


# გორაკი



2

2017

ბათუმი



ბათუმის უნივერსიტეტი  
არქიტექტურისა და  
საშენობლო საქონლის  
ინჟინერული ფაკულტეტი

ISSN 0134-3459



1 770134 345001

17002



# ჭოროხი

გამოცემის 59-ე წელი

მარტი-აპრილი

№2

2017 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი  
**სანდრო გერიძე**

სარედაქციო კოლეგია  
**როინ აბუსელიძე**  
**ცისანა ანთაძე**  
**გენრი დოლიძე**  
**შოთა ზოიძე**  
**დავით თედორაძე**  
**ლალი კონცელიძე**  
**გულნაზ სამნიძე**  
**რამაზ სურმანიძე**  
**ჯეგალ სურმანიძე**  
**ბელა ქაბურია**  
**ვახტანგ ლლონტი**  
**თინა შიოშვილი**

ტექნიკური რედაქტორი და  
კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**მალხაზ ფაღავა**

დაარსებულია 1958 წელს  
გამოდის ორ თვეში ერთხელ

© „ჭოროხი“, ბათუმი, 2017

რედაქციის მისამართი:  
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21  
ტელ.: (422) 27-15-30

გამომცემელი  
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი



ჟურნალი დაიბეჭდა  
სტამბა კოლორში



## ავტორთა საყურადღებოდ:

რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8)).  
ამასთან, რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება

## შინაარსი

### ყოფიან, ჩროს

შალვა ბაკურაძე – ლექსები .....	3
დავით თედორაძე – წიგნიდან „ხსოვნის ჩირაღდნები“ (გაგრძელება) .....	18
ნათო ინგოროშვილი – ლექსები .....	27
მზია სალვარიძე – სასელა (მოთხრობა) .....	37
გენრიეტა ქუთათელაძე – ლექსები .....	61
იზა ოსაფიაშვილი – მოთხრობები .....	68

### ჩრითიან, ჟუსლისილსიან

მინდია ცეცხლაძე – დეკონსტრუქციული პარადიგმა შალვა ბაკურაძის პოეზიაში .....	72
მალხაზ ჩოხრაძე – ჩანაწერები მურმან გორგოშაძის „საუბრების...“ გამო .....	81

### უსი

დენიზა სუგბაძე – ინფორმაციული ომი საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად (ანუ: ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის: „დავითიანის“ გაგებისათვის დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის ქრილში) (გაგრძელება) .....	85
--	----

### ჩანთულუნი ჟილთაი

ტარიელ ფუტყაძე – ქართველური კილოების გავრცელების ველი .....	107
---	-----

# ჯონია, ჯიქია



## შადვუ ბუკურუძე

### საღვთობან ნისღმან

გზამ დაიფაროს ყველა მგზავრი,  
გზამ აზიაროს მოკლულები,  
გზამ ამიხილოს გული  
ამ სიმღერაში, რომლისთვისაც  
სამ უკანასკნელ შუალამეს  
გარს უშედეგოდ ვუვლი.

ზღვამ გამიმხილოს მარილი და  
ამ მიწიანი ლაყურებით  
კვლავ ამამღეროს შენთვის,  
რომ შენი ხელი კიდევ ერთხელ,  
რომ შენთან ყოფნა კიდევ დიდხანს,  
სხვა არაფერი მეტი.

აქ ყველაფერი შენითაა,  
აქ ყველა ძილი შენთვის მღვიძავს  
და უფრო ვხვდები, მენდე  
თუ ეს სიტყვები დღევანდლამდე  
უერთმანეთოდ, როგორ ძლებდნენ,  
რას ელოდნენ და ძლებდნენ.

ძლებს ჩემი ხსოვნაც ომგამოვლილ  
ძვლებ გადამტვრეულ მეგობრებად,  
წლებ გადახოტრილ ბავშვად,  
რომ ჩემი ლოცვა სიყვარული  
მათ დაუვინყარ სახეებად  
ამ სიმღერაში ჩავსვა.

ვსვა შენი წყალი სერობებზე,  
 ვსვა შენი ღვინო ონკანიდან,  
 სხვას ველარავის ვანდო,  
 ეს ეჭვით სავსე გულისჯიბზე,  
 მტვრით გაჟღენთილი პერანგი და  
 მზით გაცრეცილი მანტო.

რომ ყველაფერი დაგავინყო,  
 რომ ყველაფერი მაპატიო,  
 რომ შეჩურთული სადმე  
 ბნელ კარადაში მიპოვნო და  
 ფრთა სახელოში გამიყარო,  
 ტანთ ჩამიცვა და გავთბე.

### ზღვისა ღელგამთა

ჩემი ხანმოკლე ლოცვებიდან, იცი, ერთერთი  
 ლოცვა შენია, შენ გეკუთვნის. ქუჩის ორივე  
 მხარეს ქვიშაა, თან ჯერ ქუჩის მეთორმეტედიც  
 არ გაგვივლია, არც ვაპირებთ. ვსხდევართ მორიგი

ფრთამოტეხილი მტრედისა და უდაზუთხულეს  
 წინადადების მოლოდინში. ქარი ჩვენთან  
 ქვიშისკენ სუნთქვით იკარგება, მაგრამ უტყუარ  
 იმედს გვიტოვებს – რჩეულნი ვართ. ის ვინც გვდევნიდა

თვალდახუჭული დააბიჯებს თავის საყვარელ  
 ნაქალაქარში, სადაც ვერცერთ სიხარულს ზღვამდე  
 ვერ გაიგრძელებ, თვალს ვერავის ვერ შეაფარებ  
 და კლდესაც ალბათ ველარავინ გაგიმხელს: რამდენ

თევზად იყიდა მამაჩვენი? ირგვლივ ქვიშაა,  
 ჩრდილს მეგზურივით ვერ გაყვები, ცაზე ღრუბლებად  
 არ გადაიფრენს ის ოჯახი ვინაც გიშვილა  
 და ჰორიზონტზე მირაჟიც კი არ შეგუბდება.

არც სახლებია, არც ქოხები, მაგრამ უკეთ თუ  
 დააკვირდები, წარმოიდგენ, რომ ვერასოდეს  
 გაგახსენდება, ის რაც ხსოვნას გსურს შეუკვეთო,  
 რაც ყველა წესით და სიცოცხლით უნდა გახსოვდეს.

არაფერია. არვინაა რწმენის უღლებით  
 რომ გადაგლალოს, რომ შენს ნაცვლად წყურვილს ამბობდეს...

აქ სულერთია საკუთარ თავს რას მოუყვები  
უკაცურ ქუჩას თუ სიზმრების მშრალ კალაპოტებს.

აქ სულერთია მერამდენე გულით ამოკრეფ  
სიცარიელეს – უერთგულე, როგორც გენებოს,  
მე შენთან ერთად ყოფნას ვირქმევ. ჩემი ხანმოკლე,  
თითქმის უსიტყვო სიმღერები, გადარჩენები...

### დიდი ბებოს ბლუზი

თბილისის ზღვაზე ავედით,  
ზღვა უკვე ჩვენზე ბნელი იყო, ზღვა...  
გუშინნინ ღამით ზღვაზე ავედით,  
ზღვა უკვე ღმერთზე ბნელი იყო, ზღვა...  
თითქოს დამხრჩვალმა ბავშვმა ფსკერიდან  
ჩვენი სიკვდილი იყნოსა.

ბალახის ფრთებზე დავნექით,  
იქიდან თითქმის აღარ ჩანდა ზღვა,  
მწვანე ბალახის ფრთებზე დავნექით,  
იქიდან მგონი აღარც ჩანდა ზღვა,  
მხოლოდ მთანმინდის ანძის ნათება  
ბნელი მალლობის გადღმა

არმოვკვდებო – მითხარი,  
თვალეებში მწვანე ხავსი ჩაგიდგა,  
არმოვკვდებო – მშვიდად მითხარი,  
სიტყვებში მწვანე ხავსი ჩაგიდგა,  
ისე განათდი, თითქოს იგივე  
ჯერ არავისთვის არ გითქვამს.

მერე ეს სიტყვაც დამარცვლე,  
ხუთტაქტიანი ლოცვა მესმოდა,  
ხუთდარდიანი სიტყვა დამარცვლე,  
ხუთივე დარდი ლოცვად მესმოდა,  
სულს ვერ ვძრავდი და აღარც მიკვირდა  
ჩემი უგულთმისნესობა:

არდავინყებით ვინყებით,  
ვხდებით პირველი ხსოვნის ერთგული,  
ყველა პირველი ხსოვნით ვინყებით,  
პირველი ფიქრის ვხდებით ერთგული

და არსებობის მტკიცებად მოგვაქვს  
პირველი სიტყვა ვერთქმული,

მოვიდეს ქარი, წამართვას,  
ყველა ნათელი ხსოვნის სათავე,  
მოვიდეს შავი ქარი, მზადავარ,  
წამართვას ყველა ფუჭი სადავე,  
გვამი უძლური, მუდამ ერთგული  
შეხვედრისთვის მზადავარ...

სიკვდილისათვის მზადავარ,  
ზღვაც უკვე ჩვენზე ბნელი არის, ზღვა...  
სიკვდილისათვის, ვამბობ, მზადავარ,  
ზღვაც უკვე ღმერთზე ბნელი არის, ზღვა..  
მხოლოდ მთაწმინდის ანძის ნათებააააააა  
და ისმის მხოლოდ ქარის ხმა...

### საშობაო კვარტეტი

კორპუსებს შორის ჩანოლილი ნისლის თანახმად  
ღამემ ქალაქი მისი მოსვლის შიშით დანაღმა,  
არ გამოხვიდეთ სახლებიდან ამაღამ!

ჩააქრეთ შუქი ოთახებში, ჩააქრეთ ღამეა,  
ნუ მოუყვებით დღეს ძილის წინ შვილიშვილს ამბავს  
გასულ ზამთარზე, იატაკზე ჩაის რომ სვამდით,  
როცა უეცრად ცვლილებები დაეტყუო ამინდს  
და ჩვენ შევძელით ფანჯრის მიღმა იმის დანახვა,  
ვინც ათი წლის წინ სწორედ ასე, გასულმა ღამით  
ბედნიერება მეგობრებთან ერთად დამარხა.  
არ გამოხვიდეთ სახლებიდან ამაღამ!

ის არის თხელი, უფრო ჯმუხი, ვიდრე დაბალი.  
ზამთარში დღისით ქურქი ათბობს – ღამით საბანი.  
ზამთრის ცივ ქარში აშრობს ხელებს ახალდაბანილს.  
ქოთნის ყვავილებს უფრთხილდება, უვლის შვილივით  
და ყოველ დილით პლანს ეწევა მამის ჩილიმით.  
არ გამოხვიდეთ სახლებიდან ამაღამ!

ის, როგორც წესი, ამ დილითაც ძილისგან აღსდგა,  
მოფსა, ჩარეცხა, მიესალმა ოჯახის წევრებს.

მიუალერსა, ჩაეხუტა, თითეულ მათგანს.  
თითოჯერ, ორჯერ, სამჯერ, ექვსჯერ და უკვე მერვე  
წრეზე რომ უნდა წასულიყო გახედა ზამთარს,  
მოიხედა და დედა უკვე კაკაოს სვამდა.  
არ გამოხვიდეთ სახლებიდან ამაღამ!

დავარცხნა წვერი, შემოიცვა, ტერფები ჩაყო  
თბილ ფეხსაცმელში, შემოიჭდო, შეიკრა თასმა.  
სარკესთან სახე მიიტანა ძალიან ახლოს,  
ვერ შეამჩნია ცვლილება და გავიდა გარეთ,  
არ გაუჩერა აჩქარებულს არცერთმა ტაქსმა  
და კორპუსებზე მიბჯენილი ღრუბლის თანახმად  
დღეს ამ ქალაქში არავინ არ გაუღებს კარებს,  
მას ოცდაათი უსრულდება ამაღამ!

ხალხი კი მწყობრად, ძველებურად ხელში ნაძვებით  
შობა ღამეში მიაბიჯებს მაინც თავხედად  
და ჩვენ მათსავით თბილ ლოგინში სანამ ჩავწვებით,  
სანამ ძილის წინ ფანჯრებსა და კარებს დავკეტავთ,  
ლოცვასავით ვთქვათ თეთრი თოვლი, რომლის თანახმად  
მას ოცდაათი უსრულდება ამაღამ!

გუშინ ბოლოჯერ იწვა ქალთან, რომელიც უყვარს,  
რომლის სხეულსაც ათი წელი მორჩილად უძლებს.  
ინგენ უსიტყვოდ, უყურებდნენ გამურულ ბუხარს.  
საათი, ორი, მერე ქალმა ფეხმძიმე მუცელს  
ხელისგულები მოუსვა და მამაკაცს უთხრა:  
ექიმმა ზუსტად გამოთვალა, ივლისში უნევეს  
დაბადება და მომავალი შვილის მამა ხარ.  
არ გამოხვიდეთ სახლებიდან ამაღამ!

ის ახლა ქუჩის ბოლოში დგას მწვანე ფარდულთან,  
მშვიდად უწოდებს ათლარიანს თევზის გამყიდველს,  
თითით ანიშნებს შუქანებულ მეცხრე სართულს და  
ხმაჩახლეჩილი იმეორებს მშვიდი სახითვე,  
რომ კორპუსებზე მიბჯენილი ღრუბლის თანახმად  
იმ სახლში აღარ დაბრუნდება, მორჩა, დასრულდა,  
რომ ოცდაათი უსრულდება ამაღამ.

ჩვენ კი ოთხივე, წლების შემდეგ დავსხდებით სადმე  
უფრო ცალ-ცალკე – ვიდრე ერთად და ამღამიდან  
ავთვლით ცაში ცას, მიწაზე ღმერთს და გულებში სათქმელს.



დავწერთ, რომ ყველა უღმერთოდ შეცდა,  
 თუ მასში ეჭვი შეეპარა, თუნდაც წამითაც.  
 დავწერთ, რომ მოკვდა ყველასათვის იმ სალამოს და  
 საკუთარ თავზე მხოლობითში ღმერთი წამოცდა.  
 არ გამოხვიდეთ სახლებიდან ამაღამ!

დავწერთ, რომ მოკვდა ყველასათვის და მერე შაშვი  
 დიდხანს მტრედის ხმით ღულუნებდა მის ფანჯარასთან,  
 სანამ დედა არ წამოდგა და მსუბუქი ტაშით  
 დააფრთხო ჩიტი, ფანჯარა კი მტკიცედ ჩარაზა,  
 თმა ყურის უკან გადინა და სუფთად გაშლილ  
 ლოგინს ქოშინით დაუბრუნდა ჩამოჯდა, დაწვა,  
 ერთიც ჩაკბიჩა ტუმბოს თავზე ნადები ვაშლი,  
 მკლავი ბალიშზე დაასვენა და მხოლოდ მაშინ,  
 შეამჩნია, რომ მის სანოლზე მეუღლის ნაცვლად  
 ინვა შიშველი ახლადშობილი ბავშვი,  
 ბედნიერია, ვინც არ შეცდება მასში!  
 ბედნიერია, ვინც არ შეცდება მასში!  
 ბედნიერია, ვინც არ შეცდება მასში!

## სტუმრის სიმღერა

თუ თქმას ვაპირებ, ახლა ვიტყვი ყველაზე მთავარს,  
 ახლა, როდესაც სტუმრად ვარ და უცხო აივნის  
 რიკულს ვეყრდნობი, მცხელა,  
 დავყურებ ქუჩის ორომტრიალს და ვამბობ: გზა ვარ,  
 რომ ნეტარია ყველა,  
 ვინც ჩემთან ერთად ამ გზას გულით გაივლის.

ღვთის გულისათვის, ნუ ამყარებთ უძღურ იმედებს,  
 რომ ღვთის გამობაა ჩემი ლექსი, რომ ვარ თავხედი,  
 რომ თქვენთან ერთად ქალაქს  
 მეც ასე ვტკეპნი. ნუ ცდუნდებით, თქვენ გზას მიენდეთ  
 და მნიშვნელობა არ აქვს,  
 ქვია თუ არა ამ გზას ჩემი სახელი.

უმნიშვნელოა, მე ვინა ვარ, თქვენც კარგად იცით,  
 რომ თქვენნაირი უღირსი ვარ და მაქვს უფლება,  
 ვიმღერო მისთვის ასე,  
 ვილოცო მისთვის, ვინც ლოცვაა ცისა და მიწის,  
 ვისაც ვერ იცნობთ ხმაზე,  
 ვინც ჩემი პირით ახლა გესაუბრებათ.

მე მას ვერ ვხედავ და ყველაზე გაბედულ ფიქრშიც  
 ვერ წარმოვიდგენ მის არსებას, მე ხომ იმდენად  
 უმწეო ვარ, რომ ვკვდები  
 ყოველთვის, როცა მეუფლება სიკვდილის შიში,  
 მაშინაც, როცა ვერ ვხვდები,  
 რომ ეს სიცოცხლე ასე მან გამითენა.

მან განმიმარტა პოეზია, რომ ჩემი წერით  
 მიმყავს ყოველი თქვენთაგანი ახალ ლოცვანთან  
 და ამ სინათლის მომრევ  
 ბნელს რომ არ ვიცნობ, რომ გახარებთ, ვსუნთქავ და ვმღერი,  
 იგი მამღერებს, თორემ  
 ამ სიმღერაზე ფიქრიც გულს ამომწვავდა.

## წერილი ნინოს

სხვას ვის ვუმღერო? აქ შენს გარდა არავის ვიცნობ,  
 სხვას ვის ველოდო, მე შენს შემდეგ არავის ველი.  
 ვინა ვარ? შენ ვარ. ჩემი გულის ოთახი ვინრო  
 სავსეა შენით სიყვარულო, სავსეა შენით.

ამ სიმღერასაც შენ მამღერებ და უკვე აღარ  
 მენალვლება, რომ დავთმე შენთვის მთელი სამყარო,  
 რამ დამანალვლოს, როცა მკერდში გულივით მყავხარ,  
 ამ სიხარულზე უფრო მეტად რამ გამახაროს.

რა უნდა მერქვას, კედლებს შორის მომწყვდეულს, მაშინ,  
 როცა შენ გქვია ეს ტუჩები, თმები, კისერი,  
 მეც ხომ შენსავით ვცხოვრობ მინით ნაშენებ სახლში,  
 გულაღმა ვწევარ იატაკზე და შენ გიმღერი.

გიმღერი ჩუმად სიყვარულო, გიმღერი მოკლედ,  
 ჩურჩულით ჩემო სიხარულო და პატარძალო  
 ვინ უნდა შემხვდეს, ან ისეთი რა უნდა მოვკვდე,  
 რომ ეს სიმღერა სიყვარულის სხვაზე გავცვალო

რომ დავივინყო ეს სიმღერა და გაგეყარო  
 რომ დავივინყო ეს სიმღერა და გაგეყარო  
 რომ დავივინყო ეს სიმღერა და გაგეყარო.

## ქმრების საპოეზო

## 1.

ამ გამოშიგნულ ვაგონებში ცხოვრობენ გზები ბალახმოვლილი  
და უიმედოდ დავინყებული.  
რუხი ბალახი – ასე ჰქვია მერძევე მოხუცს, კარდაკარ ყველს რომ  
დაატარებს და გარდაცვლილთა ამბებს გვიყვება.  
მისი თვალები მინდვრის ცისფერი ყვავილებია  
ჩემს სასკოლო ჰერბარიუმში.  
მისი ტუჩები კარადაზე ჩამომხრჩვალ ვაშლის ჩირია  
და მაცვლის ბუჩქთან აბუზული ბელურებია მისი სიტყვები

ის ამბობს  
თითქოს გვექონდეს გული  
და ეს გული გრძნობდეს სიყვარულს,  
თითქოს გვეყავდეს ღმერთი, რომელიც  
ხედავს ნასვრეტებს ჩვენს ყველივით ქათქათა გულზე,  
თითქოს ვგრძნობდეთ ბავშვობას, როგორც  
ძირგახვრეტილ ჩექმებს ნვიმაში.

„წარმოიდგინეთ თქვენი სახლი როცა მოკვდებით“ –  
იტყვის და თვალებს გააპარებს შენობებისკენ,  
რომლებშიც კედლებს ისეთივე გრილი კანი აქვთ, როგორც  
ადამიანს სიცოცხლის შემდეგ...

„წარმოიდგინეთ თქვენი სახლი, როცა მოკვდებით,  
თქვენი კეთილი ფანჯრები და სავარძლები, როცა მოკვდებით,  
ეს თქვენით სავსე ოთახები, როცა მოკვდებით,  
როცა ამ ჭერქვეშ ვერ შემოხვალთ..“

გახსოვთ ბაბუას მზიანი და ფართო ოთახი?  
იმ დილით ახალგაღვიძებულებმა კარი რომ შეაღეთ,  
მან კი გთხოვათ,  
ნუ შემოხვალთ, ბებო მოკვდაო,  
გარეთ თოვდა  
და დაორთქლილი შუშიდან დაინახეთ  
ეზოში  
საადრეო ვაშლის ადგილას პერანგისამარა იდგა ბებო  
და ბავშვივით ფეხისწვერებზე წამონეული  
ცდილობდა შეეხედა ოთახში, სადაც  
დედა ტიროდა.

თქვენ კი ფიქრობდით თოვლზე, რომელიც  
 როგორც იქნა მოვიდა  
 და ბებოზე,  
 რომელმაც ყველას დაგასწოროთ ადგომა  
 და ფეხშიშველი გავიდა თოვლში  
 ხელისგულზე ფანტელების შესაგროვებლად.  
 სიკვდილიც მაშინ ეს გეგონათ:  
 როცა ფანტელები ხელისგულზე აღარ დნებიან.  
 მერე გამოანათა მზემ და მოვიდნენ  
 ახლობლები, მეზობლები და ნათესავები  
 და თითოეულმა საკუთარი წილი სიკვდილი წაიღო თქვენგან,  
 წაიღეს, მაგრამ არც ერთს სახლამდეც არ მიჰყოლია,  
 სახლი კი უფრო დაცარიელდა,  
 არც ბებო იყო, აღარც სიკვდილი და აღარც თოვლი...

გახსოვთ ბაბუას მზიანი და ფართო ოთახი?  
 მატარებლით გაემგზავრეთ უცხო ქალაქში,  
 ფანჯრებიდან ისევ ნაცნობი ცა მოჩანდა,  
 დედიკოც ისევ ახლოს იყო  
 და თქვენ შეგეძლოთ მის კალთაში დიდხანს გეთვლინათ.

გახსოვთ ის კაცი, ტამბურში ასტრას რომ ენეოდა,  
 თან ისე მძიმედ ახველებდა, იფიქრებდი  
 ნახველს გულსაც ამოაყოლებსო.  
 გახსოვთ, მისი რუხი პალტო,  
 ჟღალი თმები და სისხლისფერი წყლიანი თვალები?  
 გახსოვთ ის კაცი, მაშინ შეშლილი რომ გეგონათ –  
 ახლა მკვდარია.  
 ის შუალდამით თქვენს კუპეში შემოეხეტა  
 და იღრიალა:

„ყველა მოკვდებით ადრე თუ გვიან  
 და ვერ მიხვდებით საითკენ მიდის  
 ეს გზა, რომელსაც სიცოცხლე ჰქვია  
 და ეს სიკვდილი, რომელსაც ჭყინტი  
 ყველის ყიდვისას დუმილით გამცნობს  
 მერძევე კარის ზარზე რომ რეკავს,  
 ის ყიდის კარაქს ყველსა და მანონს  
 და ნაცვლად წარსულს ყიდულობს შენგან.

მე კი ვიყიდე ერთხელ სიბერე,  
 რაც რამ მეზადა გავყიდე და შუა ომში უწვერული ყმანვილებისგან

ნაოჭები და სევდა ვიყიდე,  
 გულგრილობა და სიკვდილის შიში ვიყიდე  
 და შემდეგ უკვე მათ საფლავთან მქონდა ცრემლები  
 და წუთინუთზე ამოსაყვანი ყველივით თბილი სიტყვებიც,  
 მათი კანივით ქორფა ვარდებიც  
 და შეძენილი გულგრილობაც  
 და მაშინ მითხრა სასაფლაოზე მოხეტიალე ათი წლის ბიჭმა:  
 “დილით როდესაც მეძინა დედამ  
 მერცხალი ხარო, ასე თქვა ძია,  
 მე კი თქვენს გამშრალ თვალებში ვხედავ,  
 რომ მეც მოვკვდები ადრე თუ გვიან  
 და ვერ მივხვდები საითკენ მიდის  
 ეს გზა, რომელსაც სიკვდილი ჰქვია  
 და ეს სიცოცხლე, რომელსაც ჭყინტი  
 ყველის გემო აქვს და მანვნის სუნი  
 ღამლამობით რომ მაჭმევენ ძალით  
 და ჭამის შემდეგ მერევა გული  
 და ვარწყევ როგორც ფეხმძიმე ქალი  
 მთელს დედის რძეზე ნაყიდ ბავშვობას“  
 ჰოო დედათქვენი ახლა შორსაა,  
 ცოცხალია და რძისფერ ღრუბლებში დაფარფატებს  
 რძისფერი ფრთებით,  
 მამათქვენი კი ჩააძაღლეს...  
 ისინი მიხვდნენ და ჩააძაღლეს,  
 მიხვდნენ – ჰო, მიხვდნენ თუ ვინც იყო,  
 რომ თქვენს მამობას იბრალებდა  
 და სააღდგომო ღორივით დაკლეს  
 მდინარის პირას, რომელსაც ჰქვია:  
 ჩვენთან არს ღმერთი...

თქვენ კი ზღვისპირას უნდა იცხოვროთ  
 და უნდა ჭამოთ თაფლი და თევზი,  
 ესაა მამის ბოლო სურვილი,  
 ესაა მამის ბოლო ლექსი:

„სიცოცხლე ჩემი საუკეთესო თვისებაა და გეკითხები,  
 ცოცხლებს შორის განა იცნობ ვინმე ისეთს, ამ თვისებაში ეჭვს  
 რომ შეიტანს,  
 შენი ქმარი ვარ და ყოველ დილით ამ სიზმრებისგან დაცლილ  
 ზეცას, ამ სიხარულს და ამ ქალაქს ვინყებ შენიდან.  
 და ამ უკვდავი ღმერთითა და მოკვდავი ძმებით  
 გულისრევამდე ბედნიერი ვარ,

ვერ გავრკვეულვარ ღვთის სიძულვილს  
 თუ თქვენს სიყვარულს გამოვხატავ, როცა ხეიბარ  
 სიტყვებს ვაგროვებ ლოცვისათვის და როცა ღამით  
 შენთან წოლის ვითხოვ უფლებას  
 და ვისმენ ეჭვი გულის ბნელი სარდაფებიდან  
 ნესტიანი ხმით მესაუბრება,  
 რათა მეასედ დამარწმუნოს, რომ ყველა ქმარი მოკვდავია  
 და სიკვდილიდან რომ ვარ მოსული,  
 რაც თავი მახსოვს ცოცხალი ვარ – რა ვუპასუხო –  
 შემრთეს ქალი, რომელიც მიყვარს და ის არის სხვისგან ორსული.....  
 და ბნელ ოთახში ატუზული, ილღის ქვეშ ცოლის დაკარგვის  
 შიშის ლაქას ვეხები, როგორც ნიშნობის ბეჭედს,  
 მაგრამ ის მაინც ყოველ ღამით სხვასთან მიდის  
 და მთვარის შუქზე წმინდანივით მიარხევს ბეჭედს,  
 ხოლო მე ისიც აღარ ვიცი, რა უნდა ვიგრძნო, სად მტკიოდეს,  
 უბრალოდ ვზივარ, ვენევი და ვხედავ ფანჯრიდან  
 კუპრისფერი ზღვა როგორ რიყავს მეომართა ნაშლილ გვამებს,  
 მესმის დაჭრილთა  
 მიწისფერი ხროტინი და შენ გეკითხები, რისთვის დაჭირდა  
 უფალს ამდენი ბედნიერი, ამდენი მოწმე მისი ღრეობის,  
 მე ხომ არაფერს, არაფერს არ დავიშურებდი, რომ ერთხელ მაინც,  
 ერთხელ მაინც გადავხვეოდი  
 მათ, ვისი ხსოვნაც გადააქციეს საფლავის ჯვრებად,  
 მარმარილოდ, ანდა გრანიტად,  
 რათა სიცოცხლე, როგორც უბნის ბებიაქალი დახმარებოდათ  
 გამოძრომაში სიკვდილის თბილი ჭუჭრუტანიდან  
 და შეეყვარათ ისე, როგორც მიყვარხარ ახლა,  
 ყველაზე შორი, ყველაზე უცხო  
 და რაც ამ გრძნობას სიხარული და ცრემლი ახლავს  
 ამ გულის გარდა არავინ უწყის.

სწორედ ამიტომ ვიმეორებ: სიცოცხლე ჩემი საუკეთესო თვისებაა  
 და ვინც იხევე შენი შვილიდან.  
 ის ღმერთი როა, ამკარაა და მოდის რათა გადაღლილი და  
 დამძიმებული, დაკოჟრილი ხელისგულები შემოგავლო  
 სიყვარულს, როგორც ანთებულ სანთელს.  
 ის ბავშვია და უფროსებმა, როგორც ბავშვური საიდუმლო  
 სიცოცხლე ანდეს  
 და სიზმრად როცა შენს მუცელზე ყურმილებული  
 ვისმენ მის ყოფნას, ვრწმუნდები რომ ადამიანთა  
 ყველა ღიმილი და ყველა ცრემლი  
 ამ ცეროდენა მფეთქავ გულში გაერთიანდა.

რომ შენ იცოცხლებ უსიკვდილოდ, მე კი მომკლავენ  
 როგორც მოკლეს ქმრები ჩემამდე და ახლა ნებსით  
 თუ უნებლიეთ შუალამით თავდახრილი ვდგავარ ზღვასთან  
 და საკუთარ თავს დავეძებ მკვდრებში,  
 რომ მივასვენო მამის სახლში, რომელშიც კედლებს  
 ისეთივე გრილი კანი აქვთ, როგორც ადამიანს  
 სიცოცხლის შემდეგ.  
 რომელშიც სკამებს კუბოს ირგვლივ ალაგებენ და  
 ფერად-ფერად  
 ყვავილებში მჯდომ ორ წინაპარს,  
 მშობელთა კვდომას რომ შეესწრნენ  
 და ვერაფრით წარმოედგინათ ჩემი სიკვდილი,  
 ალბათ უფრო ამიტომ ჯერათ  
 რომ აღარა ვარ და ცივ ნუგეშად იტოვებენ მტვრიან ფარაჯას,  
 მაისურს და თიხიან ჩექმებს,  
 ჩარჩოში სვამენ ძველ ფოტოებს, ჭერს ღებავენ და  
 კედლებზე ქალაქს აკრავენ, ეგებ  
 ოთახის ძვლებმა მათზე უკეთ შეინახონ ჩემი სიცოცხლის  
 ნაფლეთები რუხ ბათქაშზე ნესტად რომ რჩება,  
 საფლავს ჯგებირებს უშენებენ, რომ დავინყებამ არ დატბოროს  
 და ყოველწლიურ სერობებზე სანთელივით უნთებენ ხელფასს  
 გარდაცვლილის სულს, შენ კი ცოცხლობ რათა გიყვარდეს  
 ყველა, ვინც შენში ჩემი ცოლი ვერ დაინახა,  
 ყველა ვინც მომკლა, ან ვერ მომკლა,  
 ვინც ვერ დამთმო დავინყებისთვის და ვინც კინალამ  
 ღმერთად მომნათლა...”

თქვენთვის არავის უთხოვია ბუნებრივი სიკვდილით მოკვდილო  
 თქვენთვის არავინ გაიმეტა ნაოჭები სიბერე ან ჭალარა  
 როცა სიძულვილს აუდუღარ რძესავით გასმევდნენ  
 როცა შიშისპირა ქალაქში გზრდიდნენ

ისინი იდგნენ თავდახრილნი თქვენს ლოგინთან  
 და გიმღეროდნენ ნაზის ხმით

დაიძინე  
 მე გაგზავნი როგორც მგელს ცხვრის ფარაში  
 დაიძინე  
 მე გასწავლი სხვისი სიკვდილით გახარებას  
 და კვლისპირა ქალაქში გზრდიდნენ

თქვენ კი გინდოდათ ყოფილიყავით  
 მამათქვენზე სულ ცოტა უფრო ბედნიერი

გყოლოდათ ცოლი თქოების ნაზი რხევით გაძლებასა და  
 სიკვდილს რომ გასწავლიდათ  
 გესუნთქათ მისი მკერდიდან გადმოღვრილი რძისფერი ღამეები  
 მაგრამ სიძვისპირა ქალაქში გზრდიდნენ

ისინი მუდამ უკითხავად შემოდოდნენ  
 და ბოლთას ცემდნენ თქვენს სიზმრებში  
 ღვთის სიყვარულს გირევდნენ პურში ღვარძლივით  
 ღვთისკენ ლოცვებს აშრიალებდნენ ზურგზე ფრთებად  
 და ღვთისპირა ქალაქში გზრდიდნენ  
 ღვთისპირა ქალაქში“

## 2.

„სადღაც იპოვეს უფროსებმა შავ-თეთრი დროშა  
 და გასაფერადებელი ალბომივით  
 გვარუქეს ბავშვებს“

ჩვენ კი გავიხსენეთ ისტორიის სახელმძღვანელო  
 და სკოლაში დახეპირებული ლექსები  
 და ყოველ შემხვედრს ცხვირნინ ვუფრიალებდით  
 სამშობლოს სიყვარულს  
 მოკვდავ მეზობელს ნაჭრის ბურთივით ვტენიდით პირში  
 ჩვენს უმიზეზო უკვდავებას  
 და ნესტიანი სანგრებისაკენ მივათრევდით დასაღვრელ სისხლს  
 საგმირო სხეულებით

მე მახსოვს შენი სისხლი  
 მოედანზე როცა მუხლი გადაიტყავე  
 სკოლის ექთანმა იოდით მოგბანა ჭრილობა და  
 გაოფლილ შუბლთან გიშრისფერი თმა ხელისგულით გადაგინია  
 ეს რა მტირალა ყოფილხარო ჩაგიცინა  
 და მამაჩვენს სამსახურში გადაურეკა  
 მამამ კინოში ნაგვიყვანა და ვნახეთ ფილმი ომზე  
 წლების შემდეგ კი ერთმანეთი ნავიყვანეთ ომში  
 როგორც კინოში

მე მახსოვს შენი სისხლი  
 თბილ ხნულში შავი ღივებივით რომ მოჩანდა  
 სისხლიც როგორ გაგშავებია-მეთქი გავიფიქრე  
 ვიდრე ზურგზე მოგიკიდებდი უკვე ცივს და სიკვდილგაჟღენთილს  
 შენ კი საბოლოო უსასრულო სიზმარს ხედავდი



„მე მინახავს მწვანე მოლზე შინდისფერი თბილი ლაქები  
 ეს არ იყო ჩვენი დროშის ნაგლეჯები  
 ეს იყო აბზაცები მეგობრების საბოლოო სიზმრებიდან“

ვინ დავაჯერო რომ ღმერთი ვარ  
 ერთი აბზაციც ვერ შევცვალე შენს სიკვდილში  
 ერთი მძიმეც ვერ წავშალე  
 ერთი პატარა მწვანე მორჩიც ვერ გადმოვრგე ჩემი გულიდან  
 ვინ დავაჯერო რომ ღმერთი ვარ  
 ვისაც ღიმილი შევუთვალე ცრემლი მაუნყა  
 ვისთვისაც ცრემლი გავიმეტე ყველა მკვდარია  
 მე კი უმიზნოდ უნდა ვსუნთქავდე გაზაფხულს წლიდან წლამდე

ვინ დავაჯერო რომ ღმერთი ვარ  
 ყოველ დილით პურს ვყიდულობ მაღაზიაში  
 მივირთმევ ვახშამს  
 ვიღებ ხელფასს  
 და გულს ვინახავ სიყვარულისთვის  
 ჩემს შიშველ ზურგთან ბევრი იწვა  
 და მკერდიც უკვე სხვისი ვნებებით მაქვს გაჯირჯული  
 ოცნებებს კი ისე ვაფურთხე გამვლელები მესალმებიან  
 დარბაისელი კაცი ან ასე ამბობენ

„სამშობიარო სადაც დავიბადე  
 დაბომბვის დროს დაინგრა  
 როგორ აღარ ვიფიქრო სიკვდილზე“

ვინ დავაჯერო რომ გაქრობის არ მეშინია  
 როცა შიშები ქინქლებივით ეხვევიან  
 ჩემს ლამპასავით მბჟუტავ სიცოცხლეს  
 როცა იმედი საგულედან ხურდა ფულივით ამომაცალეს  
 როცა ლექსებს ფესვებივით ვინვდი მიწისკენ  
 მიწისკენ სადაც თქვენ მეგულებით  
 და შემორჩენილ სიხარულებს შემოდგომის ფოთლებივით ვაშრიალებ

### 3.

ვის ვუმღერო ჩემი გათოშილი გული  
 ვის ავუნთო ჩემი დავინყებუი ლოცვა  
 ვისკენ გავახილო ჩემი თვალდათხრილი ქალაქი

მე უფლება მაქვს ვიყო ერთ-ერთი  
 მივითრევედე

კორპუსების ტეხილ კონტურებს  
ვრითმავდე  
სიკვდილთან მისასვლელ დღეებს

გვერდით ოთახში პერანგს აუთოებს დედა  
ხანგრძლივი თვალებით იატაკს ჩაჰყურებს  
მას ყველაფერი დაავიწყდა  
დაავიწყდა რომ მკვდარი ვარ და ყველაფერი მორჩა უკვე  
რომ მამაჩემის ძაძა ვერ მოირგო  
რომ ველარც ერთი ჩემი ღიმილი ვერ მოინატრა  
ვის მოვუთხრო ჩემი სახლის ჩამქრალი ფანჯრები

მე უფლება მაქვს ვირბინო შენსკენ  
ქანცგანყვეტამდე  
სიყვარულამდე ვათეთრო შენსკენ ნათევი გზები  
დედა  
მიყვარხარ დედა  
რძისფერი კანი და მინისფერი თვალები რომ გაქვს  
მიყვარხარ დედა  
მამა რომ მოკლეს მეც რომ მომკლეს და შენ მაინც ცოცხალი ხარ  
მიყვარხარ დედა  
ის ქალიც ჩემთან ვინც დანვება  
ვინც შემიყვარებს და შემდეგ დედა რომ გახდება და  
მიყვარხარ დედა  
ყველა სიმღერა შენსკენ რომ მოდის  
ყველა ლოცვას რომ შენ ლოცულობ  
ყველა ფანჯრიდან შენ რომ ჩანხარ  
მიყვარხარ დედა

მე უფლება მაქვს ვიყო მკვდარი  
და ველარასდროს ვისურვო დაბადება  
მე უფლება მაქვს ვიყო მკვდარი  
და ბნელ ოთახში ძველებურად ყვაოდნენ ქოთნის იები  
მე უფლება მაქვს ვიყო მკვდარი  
ვიდრე მომკლავდნენ  
ვიდრე აქ ვარ  
ვითომ ცოცხლად შენთან ერთად  
შენს საშოში  
მიყვარხარ დედა

არაფერია უფრო უღრუბლო ვიდრე ჩემი სიყვარული  
უფრო უღრუბლო ვიდრე ჩემი სიყვარული.



# დავით თადეოროძე

## *წიგნიდან „ხსოვნის ჩიხაღდებები“\**

### მამია

მამია ვარშანიძესთან სამი ათეული წელი ვმეგობრობდი. ჩვენ ერთი დედუღეთი გვქონდა, უფრო მეტიც, ჩვენი დედები ნათესავეები იყვნენ, რაც განსაკუთრებულ სიამაყეს მანიჭებდა. ჩემი პირველი წიგნის გზის დამლოცავიც მამია იყო. მისგან გულწრფელი მოლოცვები და თბილი სიტყვა არასდროს მკლებია. ბავშვივით სუფთა და გულუბრყვილო პოეტი ლექსით ცოცხლობდა, პოეზია იყო მისი საკვები და საზრდო. თავად პიროვნებაც უაღრესად პოეტური გახლდათ. ბევრჯერ გამჩენია სურვილი მისი რჩეულის შედგენისა, მისთვისაც მითქვამს, მაგრამ არასდროს დამთანხმებია. ფერადი წიგნი-ალბომის გამოცემა შევთავაზე მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე, სპონსორიც მოვუძებნე. არ მიინდაო, – მოიკლა თავი, – ლექსების წიგნს არ უხდება ზიზილ-პიპილებიო.

სიკვდილამდე აქტიური იყო. უსაქმოდ ვერასოდეს ნახავდით, სიამოვნებდა ფეხით სიარული. იყო დაუღლელი. საკუთარი ფასი იცოდა, თავს უვლიდა, უყვარდა ნათესავ-მეგობრები და მტრის ხატსაც თავადვე ქმნიდა.

ეთაყვანებოდა მეუღლეს – ქალბატონ თინა გიგინეიშვილს, თვალები კი ლამაზი ქალებისკენ გაურბოდა ყოველთვის. ერთხელ ხელნაწერი მომიტანა, – საშუალება თუ დაგირჩება, იქნებ, დამიბეჭდოო. ვკითხულობ წიგნის სათაურს და დაუფიქრებლად ვეუბნები: – დაგიბეჭდავ, ახლავე ჩაუშვებ წარმოებაში, მარტო სათაური რად ღირს-მეთქი! „სიყვარული სისხლისაგან იცლება“ – ასე ერქვა იმ წიგნს. ერთ თვეში დავუბეჭდე და სასიგნალო ეგზემპლარები საავადმყოფოში მივუტანე. ნეტავი გენახათ, როგორ გაიხარა! ათასი მადლობა მითხრა. შემდეგ იქვე მყოფ შვილს, კაცობის, ადამიანობის, შვილობის ეტალონს – ნუგზარს აუხირდა, – ერთ კვირას აქ რა გამაძლებინებს, სახლში წამიყვანეო.

\* გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნალი „ჭოროხი“, №1, 2017 წ.

...მესამე დღეს მოუკვდა მამია ბათუმს, მის ნაფერებ და ნალოლიავენ ქალაქს, აჭარა-მესხეთს, მისი პოეზიის მკვებავ მხარეებს და მთლიანად საქართველოს...

ერთხელ ძალიან აღელვებული შემოიჭრა მამია ჩემს კაბინეტში. როგორც ყოველთვის, გულწრფელი სიყვარულით მოვეხვიე და გადავკოცნე. ის კი იძახის: – მოვკლავ, დავკლავ, მივახრჩობ, ეს თავხედი რაებს მიბედავსო! – ვის, ბატონო მამია, ვის მოკლავ, მე აგერ არ გყავარ, მითხარი და თვითონ გავაგორებ-მეთქი. ის კი ისევ გაიძახის: – მოვკლავ, დავკლავ, მივახრჩობ, რაებს მიბედავს, კაცოო. როგორღაც დავამშვიდე. წიგნის რედაქტორზე იყო გაბრაზებული. გარეთ გავიყვანე, მანქანაში ჩავსვი, ლოყა-კისერი დაუკოცნე და ვუთხარი: – ყველაფერს გავარკვევ, ერთ საათში ეს მანქანა ისევ მოგიყვანს გამომცემლობაში, რედაქტორი კი იქნებ მე შემომაკვდეს შენი აღელვებისთვის-მეთქი.

გავარკვეე, წიგნის რედაქტორი ცამდე მართალი იყო. იმ სადავო აბზაცების იმგვარად გამგება თავად ავტორს აყენებდა ჩრდილს. გამომცემლობაში ერთ საათში მობრძანებულ მამიას დინჯად ავუხსენი ყოველივე. ასე ეთქვა მაგ ოჯახაშენებულს, დედანს წითელ ხაზს რომ უსვამდაო!..

მასთან, როგორც ავტორთან, მუშაობა რთული იყო. დიდი ძალისხმევა გჭირდებოდა, რამდენიმე მიუღებელი სტრიქონი რომ ამოგეღო. გამონაკლისი, ალბათ, მე ვიყავი. გრძობდა, როგორ მიყვარდა, როგორ ვაფასებდი და „დათმობაზე“ მიდიოდა.

ფელამუში უყვარდა გამორჩევით. ნუგზარ ჯაფარიძის მშობლების ოქროს ქორწილია. თამადა თვითონ ნუგზარია. თამაზ ჯაფარიძეს ვეძახი, ჩვენს მაგიდაზე რაც ფელამუშია, ვუნყოფ ლანგარზე და ვეუბნები, – ბატონ მამიას მიართვი-მეთქი. თამაზი უხერხულად იშმუშნება, გამლანძღავსო. ჩემგან მიართვი, მადლობას დაიმსახურებ, შენ რატომ გაგლანძღავს-მეთქი, – ვაგულიანებ. ისიც ასრულებს „დავალებას“. ბატონ მამიას ბავშვივით უფართოვდება თვალები სიხარულით, ფეხზე დგება, შორიდან მადლობას მეუბნება, – მაგარი ხარო, მანიშნებს.

...თეატრში მამიას იუბილე ჩატარდა. სტუმრებიცა და მასპინძლებიც მაშინდელ რესტორან „აჭარაში“ ბანკეტზე შევიკრიბეთ. რამდენიმე სტუმარი, მამია რომ განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა, ბანკეტზე იგვიანებდა. ვილაცამ უჩურჩულა, მაგენი საოლქო კომიტეტის მდივანმა „მოგიტეხა“ და „ინტურისტში“ წაიყვანა სავახშმოდო. გადაირია მამია – მოვკლავ, ჩემს სტუმრებთან რა ესაქმებაო! ძლივს დააწყნარეს. „ინტურისტში“ კი კაცი აფრინეს, ცუდ ამბავს დაატრიალებს, სასწრაფოდ თუ არ გამოუშვებ სტუმრებსო...

...ეროვნული მოძრაობა კულმინაციას აღწევს. ზვიად გამსახურდია ბათუმში, პრეზიდენტის გვერდით, სკვერში მიტინგს მართავს. კოკისპირულზე უარესი წვიმაა. საოლქო კომიტეტის მაშინდელ პირველ მდივანს, გურამ ემირიძეს, ვილაცამ ამბავი მიუტანა – მამია ვარშანიძეცაა მიტინგზეო. მე, ჯემალ ქათამაძე და რამაზ სურმანიძე თავისი მანქანით გაგვგზავნა, მამია მოიყვანეთო. მიტინგზე ოცდაათ კაცამდე თუა შემორჩენილი, იქცევა ქვეყანა, მამია კი დგას ძეგლივით ვეებერთელა ქოლგით და უსმენს გამომსვლელებს. მივედი და ვეუბნები: გურამ ემირიძემ გამომგზავნა, ბატონი მამია ამ თავსხმაში მიტინგზეა, არ გაცივდეს, სახლში წაიყვანეთო. უმაღვე დაიჯერა. როგორ გაიგო, რა კარგი კაციაო, როგორ ზრუნავს ჩემზეო, – სახლში მისვლამდე ემირიძეს ადიდებდა და ლოცავდა.

სხვებივით პარტიის მანდატი არ გადაუგდია, არ უყვარდა კეკლუცობა სხვათა დასანახად. იმ მანდატით გამოიარა სამამულო ომი. გულისჯიბით ატარებდა. სწამდა, რისთვისაც და რატომაც იბრძოდა. წარსულზე უარს მისი ბუნების კაცი ვერ იტყოდა. შემტევიც იყო და დამთმობიც. ხელმრუდები, მლიქვნელები, კოსმოპოლიტები და ეგრეთ წოდებული ინტერნაციონალები გულზე არასოდეს ეხატებოდა. როგორსაც ხედავდით, ისეთი იყო, მის უკან მეორე მამია არასდროს იდგა. ის იყო კაცი, რომელსაც სიცრუე არასდროს უთქვამს.

## ფრიდონი

„მიხარია, რომ სამასი წლის სიჩუმის შემდეგ ჩვენი ტკბილი საქართველოს უძველესმა, ულამაზესმა, მრავალწამებულმა მხარემ ისევ ამოიღა ენა და მისმა შვილებმა თავიანთი მოკრძალებული სიტყვის სანთლები ქართული მწერლობის დიდ ტაძარში აანთეს“, – ეს სიტყვები სახელოვან პოეტს, ფრიდონ ხალვაშს, ეკუთვნის, ვისი მირონცხებული ქართული სიტყვაც, უპირველეს ყოვლისა, შემოქმედისა და მამულიშვილის დიალოგია ერის რთულ, წინააღმდეგობებით აღსავსე ისტორიასთან, მის წარსულთან, აწმყოსა და მომავალთან.

ფრიდონის ლექსები გამრჯე ხარივით ეზიდება სამშობლოს ჭაპანს. გულახდილად თუ ვიტყვი, მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა დაანახა საქართველოს თავისი ძირძველი კუთხის მშვენიერება და აქაური კაცის ძლიერი სული. ფრიდონ ხალვაშს დედასაქართველოსთან დაბრუნებული მშობლიური კუთხის კულტურული დაწინაურებისთვის უცოცხლია, უბრძოლია, ღირსეული საქმეებიც უკეთებია და არც ჭოროხს გაღმა დარჩენილი მოძმეები დავინყებია. პოეტური სული შთაბერა სხალთასა და დიდაჭარაში, ტბეთსა და ხიხანში, ხინოსა და გონიოში, მარადიდსა და მაჭახელაში ნამარხულევ ქართულ სიტყვას და აჭარელი კაცის სულში პოეზიის ცეცხლი აანთო.

თუ არა მამულზე, მშობელ ხალხზე ფიქრი, შეუძლებელი იყო საქვეყნოდ აღიარებული ლექსების შექმნა: „მე არ ვიქნები შენი სტუმარი“, „გენაცვალე“, „მითხარ, როგორაა მემლექეთი“, „იავნანა“, „ასი მზე დედის გულისა“, „ჩემი ხე“, „ბერთვენახი“, „სამი სიმონეთი“ და მრავალი სხვა. იგი თავისუფალი შემოქმედია, თავისთავადია და არავის ზემოქმედებას არ განიცდის.

ბატონ ფრიდონს მრავალი ჯილდო აქვს მიღებული დამსახურებულად, მაგრამ ვალმოხდილი კაცის განცხრომით ერთი დღეც არ შეუძლია იცოცხლოს, რადგან ის თავად არის ჯილდო ქვეყნისა, ჯილდო საყვარელი სამშობლოსი.

ფრიდონთან ერთად ნახევარი საქართველო მაინც შემომივლია. მეხსიერებიდან არასოდეს წაიშლება იმ შეხვედრების მადლი და ხიბლი. გულგახსნილი, გულალაღი, გულთბილი მოფერება ბევრჯერ ყოფილა მისი ჯილდო თბილისში, ქუთაისში, თელავში, მესხეთ-ჯავახეთში, მთასა და ბარში, სოფლებსა და დაბა-ქალაქებში. სიყვარულით ავსებდნენ მუდამ მამულის სამსახურში მყოფ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს. ეფერებოდნენ გამორჩენილი მწერლები, ხელებდაკოჟრილი მშრომელები, ინტელიგენცია, ჩინიანებიცა და უჩინონიც. სუფრის თამადადაც, როგორც წესი, მას ირჩევდნენ.

მისი სწამთ და სჯერათ.

ბევრჯერ მითქვამს სახალხოდ და ახლაც მინდა გავიმეორო: ბედნიერია ოჯახი, სოფელი, რაიონი, აჭარაცა და სრულიად საქართველოც, რომ ჰყავს ფრიდონ ხალვაში. იგი რომ არ გვყოლოდა, უნდა გამოგვეგონა, ჩვენს ფანტაზიას შეექმნა, რათა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითზე თაობები აღზრდილიყო. ბატონი ფრიდონიც ბედნიერია, რომ არის ღვიძლი შვილი და გულმართალი მწერალი თავისი ქვეყნისა.

მას ჩემთვის დარდიც გაუმხელია და სიხარულიც. მისი დარდი და სიხარული კი იყო, არის და მუდამ იქნება მრავალჭირგადანახადი ჩვენი კუთხე, საქართველოს აწმყო და მომავალი. მისი შემოქმედება – პოეზიაცა და პროზაც ამისი ბრწყინვალე დასტურია.

მადლიანი წერა იცის ფრიდონმა – უბრალოდ, ლამაზად, ყოველგვარი კეკლუცობისა და კოპნიანობის გარეშე. ამიტომაც ჰყავს მილიონობით მკითხველი.

1950 წელს დაწერილ უსათაურო ლექსში ამბობს:

ორმოცდაოთხი წლის შემდეგ ჩემი  
 სახლი ასევე მიმიღებს ლხინით  
 და მე, იმდენი წლებით ნაცემი,  
 სუფრაზე დავდებ ჭალარა ღიმილს.  
 მომავალ აისს გავხედავ, ალბათ,  
 და სიცვიეში გავაღებთ სარკმლებს,  
 დიასახლისი დაიჭერს ქათამს,  
 მაგრამ ველარსად იშოვის დამკვლელს,  
 და შევექცევით მხოლოდლა მწვანელს  
 და საუკუნეს შევხვდებით დილით,  
 თვით აივანზეც გამოსვლა დამღლის  
 და შუადღეზე მომივა ძილი.  
 ძილის წინ ჩემთან დაჯდება ვაჟი,  
 თავის შეკითხვას ვერ გამაგონებს...  
 იგი ჩემს შემდეგ დარჩება სახლში  
 და საუკუნეს მას დაუტოვებ.

ბატონი ფრიდონის ნანატრი ორმოცდაოთხი წელი რა ხანია გავიდა. თავის ქვეყანაზე გადაგებულ პოეტის ნატვრა არ ისმინა ღმერთმა და საუკუნის დასასრულს თავის სოფელში, გეგელიძეებში, ასული სტუმრისთვის სიმინდით გაზრდილ ღონიერ ქათამსაც თვითონ დაიჭერს, თვითონვე დაკლავს, თვითონვე მოხდის ჭურს თავს, თვითონვე შეგვივსებს საკუთარი ხელით დანურულ წკიპურტების მქნეველი ცოლიკაურით ჯამს, გითამაძებს, დილამდე ვაჟკაცურად მოგალხენს, თავადაც მოილხენს და ალიონზე გვანცას მთაზე შემომჯდარ მზესაც დაგალოცინებს. ამიტომ 50 წლით გავუგრძელოთ 44 წლის წინათ ნანატრი, ოცდამეერთე საუკუნეში თვითონ იღვანოს და ოცდამეორე საუკუნე დაუტოვოს შვილებსა და შვილიშვილებს სამოღვაწოდ.

## ზურაბი

ზურაბ გორგილაძე „ნედლი სალამურებით“ გამოყვა სოფლის ღელეს და პოეზიის ზღვაში შევიდა.

მასპინძლებმა გულდასმით მოუსმინეს და უმაღვე იგრძნეს, რომ სამშობლოს მოველინა თვითმყოფადი პოეტი, რომლის შემოქმედებაში მთელი სისრულითა და მიმზიდველობით ცხადდებოდა მშობლიური კუთხის ხიბლი და მადლი. მისი ყოველი ახალი ლექსი დასტური იყო იმისა, რომ ამ პოეტის კვალი ღრმად და სამუდამოდ აღიბეჭდებოდა მდიდარი ტრადიციების მქონე ქართულ პოეზიაში. არავინ შემცდარა.

მის შემოქმედებაში გაზაფხულივით ერთბაშად იფეთქა სიცოცხლემ. იგი გასაოცარი გულწრფელობითა და უშუალობით გადმოსცემს აჭარული ყოფის განუმეორებელ სურათებს. ზურაბის ლექსებში მინდვრის ყვავილებივით უხვადაა გაბნეული თამამი და ორიგინალური მეტაფორები, ხალხური პოეზიიდან წამოღებული ენერჯია კი სიმსუბუქესა და სისადავეს, სინათლესა და სილალეს მატებს სათქმელს.

ზურაბის პოეზია ხან უაღრესი ტკივილითაა სავსე, ხანაც უნაზესი ლირიზმითა და სათუთი სიფაქიზით გვხიბლავს. იგი ხან ადიდებულ ჭოროხს ჰგავს, რომელიც მზადაა, ყველაფერი დალენოს და

წალეკოს, ხანაც მთის გამჭვირვალე ნისლივით ჰაეროვანია, სიოს შებერვაც რომ ჰყოფნის ცრემლად დაფრქვევისთვის.

მისი ცხოვრება არც არაკს ჰგავს და არც ზღაპარს. ის არის მოზარე, ვიდრე მომღერალი აკაკის ცრემლებით გამთბარი ქვეყნისა.

აჭარა, დაჯვარული ქვებით მოფენილი მისი მთა და ბარი, სევდიანი, ავბედითი წარსული, ტკივილ-ლებმომუშებული დღევანდელობა, სათნოებით, ღირსებით შემკული, ზნეკეთილი ადამიანები იყო და არის ზურაბის პოეზიის სუნთქვაც და მაჯისცემაც. ამიტომაც, მალლიდან გროშივით გადმოყრილ ტაშისთვის მას ერთი სტრიქონიც არ წამოსცდენია.

სარფიდან დარიალამდე საქართველოთი შეძრული, ქვეყანას ლეჩაქით ზომავს და მის დიდებას ხანჯლებით წერს. სარფის გადაღმა დარჩენილი მამულები სტკივა, ჩვენებურების ბედზე დარდობს და ავად მოქირქილებს ევედრება: „შიგნით რას მერჩი, ქართველო, გარეთ გვყავს გადასარჩენი“.

რაკი ხშირად ცრემლებით განბანილ თვალებს სიცილით იმშვენებს, მის მეგობრებს ნაკლებად გვესმის „ხარხარში ჩაკლული ტკივილის დიდება“...

სხვებზე უკეთ იცის, რომ ძნელია საქართველოს შვილობა და როცა უფრო ძნელი ქართველობა დარჩა, კოლხეთივით სევდიანმა და კახეთივით ჯავრიანმა ნიღბები ააგლიჯა ფსევდორაინდებს და ერს სიყვარულისკენ მოუწოდებდა.

სახელი და დიდება ყოველთვის ჰქონდა; არც მოშურნე ჰკლებია, მტრობის სიმწარეც განუცდია ბევრჯერ, მაგრამ სიძულვილისთვის გულისგულში ადგილი არასოდეს მიუჩენია.

ამიტომაც აქვს კაი ყმისა და რაინდის სახელი.

არც ჩვენა ვართ დონკიხოტები, ფუნდუკი ბროლის სასახლედ რომ მოგვეჩვენოს!

## ჯემალი

ჯემალ ქათამაძეს აქვს ერთი მშვენიერი ფილოსოფიური ხასიათის მოთხრობა, რომელსაც „ალუბალი“ ჰქვია. მოთხრობაში აღწერილია პატიოსანი, მშრომელი, ოჯახზე შეყვარებული კაცის ცხოვრება. სიცოცხლის მიწურულს ლოგინად ჩავარდნილი ეს ღვთისნიერი ქვრივი კაცი თავის ენამწარე რძალს, შვილიშვილსაც რომ არ აძლევს ბაბუასთან ახლოს ყოფნის საშუალებას, ლამის ფანჯარაში შემოჭრილ აყვავებულ ალუბლის ხეს აჩვენებს და ეუბნება: როცა ეს ალუბალი მსხმოიარეა, ყველა – დანყებული ადამიანით და ფრინველ-მწერით დამთავრებული, მას ეხვევა, გაძარცულსა და უნაყოფოს კი არავინ ეკარებაო. ასეა ჩემი ცხოვრებაც, სანამ შემეძლო და ოჯახში ხვავი და ბარაქა შემომქონდა, მივლიდით და მეფერებოდით, ახლა – მიხრწნილი და მომაკვდავი – აღარვის გჭირდებითო.

ეს პატარა შესავალი იმიტომ გავაკეთე, რომ მინდა თვითონ ჯემალის შემოქმედებაცა და განვლილი გზაც მუდამ აყვავებული და ნაყოფით დახუნძლული ალუბლის ხეს შევადარო, ასე უხვად რომ ჰყავს დამკრეფიც და მომვლელიც.

ჯემალმა თავისი ლამაზი ცხოვრება ისე გაატარა, საკუთარ თავზე არ უზრუნია. ღირსეულად ემსახურა მშობლიურ ქვეყანას და საყვარელ ხალხს. იგი მუდამ სხვათა ჭირისა და ღირსის გამზიარებელი იყო, მუდამ სხვის საქმეებს აგვარებდა და უზარებლად. ჩვენს მწერალთა ორგანიზაციაში არ არის თუნდაც ერთი შემოქმედი, მასთან სიკეთის ვალში რომ არ იყოს.

ის გრძნობდა, სასწაული წინათგრძნობით გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას და ბოლო დროს სულთ ხორცამდე ჯანმრთელი და ჯანსაღი კაცი ბევრს წერდა სიკვდილზე.

ჯემალი დახვეწილი ინტელექტის, ნაზი გრძნობებისა და ფაქიზი სულის მწერალი იყო. იგი ყველა ნაადრევად გარდაცვლილისა თუ მოკლულის სიკვდილში რატომღაც თავად გრძნობდა დანაშაულს.

სიყვარულს, სათნოებასა და ერთგულებას ყველაზე მაღალი ძეგლის აგებას ჰპირდებოდა. ბუნების მშვენიერებით მოხიბლულს ბულბულის გალობა რომ ესმოდა, რცხვენოდა ლექსებში გასამრჯელოს აღება. შეიძლება რომელიმე შემოქმედთან ყალბად მოგვეჩვენოს ყოველივე ეს, მაგრამ ვინც ჯემალს იცნობდა, გულწრფელად დამეთანხმება, რომ მის ლექსებში მისივე სულის სურათია აღბეჭდილი.

ჩვენი თაობის მწერლებს, და არა მარტო მწერლებს, ბევრი რამ გვისწავლია სააქაოს მყოფი ბატონი ჯემალისგან, საიქიოს წასულმაც დაგვმოძღვრა ჩინებულად და სულის გასასპეტაკებლად მშვენიერი ლექსი – „ხმა სამარიდან“ დაგვიტოვა. სწორედ ამ ლექსით მინდა დავამთავრო ჩემი ეს მიძღვნა:

ჩემი გზით ახლა სხვა ჩრდილი დადის,  
 ჩემს სკამზე ზის და იცვლის ადგილებს,  
 წამოველ, გულზე მოეშვა დარდი,  
 ამით სიცოცხლეც გავუადვილე.  
 შური და ბოღმა არასდროს მწვავდა,  
 მეზიზღებოდა წუნკი და ფლიდი,  
 ადამიანში სიკეთე მწამდა,  
 მიყვარდა მხოლოდ ბრძენი და დიდი...  
 მე შეგნებულად ციხე არ ვაგე,  
 არ მიმიზიდავს კირი და ხრეში,  
 მილიარდების პატრონი, აგერ,  
 ჩემთან წევს ჩუმად ცივ სამარეში.  
 აქედან კაცი ვერაფერს სწვდება  
 და წვიმა წაშლის ყოველგვარ ლაქას,  
 სამარის კართან ყველა გზა კვდება  
 და ყველაფერი მთავრდება აქა.  
 ამიტომ, ძმაო, დაფიქრდი წუთით,  
 ისმინე ჩემი ხმა სამარიდან,  
 ქვეყნად სიკეთის დატოვე შუქი,  
 თუ ორი დიდი ცხოვრება გინდა.

### ჰაბჰა

ქართულ მწერლობაში თუ პოეზიის მეტრი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანია“, პროზის მეტრი ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“. ასე მიმაჩნია და მგონი, სადავოც არაფერია.

საზღვარგარეთ სასწავლებლად მიმავალ შვილს „დათა თუთაშხია“ მივეცი და დავარიგე – სასთუმალთან გედოს, ძილის წინ იკითხე ყოველდღე, სამი აკადემია ვერ მოგცემს, შვილო, იმდენს, რამდენსაც ეს წიგნი-მეთქი.

ბატონ ჭაბუასთან, ჩემდა საამაყოდ, ბევრი სასიამოვნო დღე გამიტარებია. ბათუმში ჩამობრძანებულს ალი სამსონია, დათიკო ბორჩხაძე, მუხრან კობალაძე, ნუგზარ ჯაფარიძე, გენო გეგეჭკორი და



კიდევ ორი თუ სამი კაცი ვახლდით ყველგან და ყოველთვის. „დათა თუთაშხიას“ ცალკეული თავების ბეჭდვა პირველად დათიკო ბორჩხაძემ დაინყო ხელვაჩაურის რაიონულ გაზეთში. ბატონი ჭაბუა გვიყვებოდა „ლაგერებში“ გატარებულ წლებზე. იმ წლებზე, რომლებიც მოგვიანებით ასე ბრწყინვალედ აღწერა „გორა მბორგალში“. ჩვენ უსაზღვროდ გვიყვარდა ჭაბუა და გვეამაყებოდა მის გვერდით ყოფნა. იგი ჩვენთვის მზეჭაბუკი და ბრძენი, ყოვლისმცოდნე მწერალი იყო.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. „დათა თუთაშხიამ“ წიგნით და ფილმით მსოფლიოს ასამდე ქვეყანა შემოიარა, სიყვარულის შარავანდედით შეიმოსა და საქართველოს უკვდავებას კიდევ ერთი ძეგლი აუგო. ვინ მოთვლის, სხვადასხვა ქვეყანაში რამდენჯერ მომიწონებია თავი, რამდენი სუფრა დამიმშვენებია „დათა თუთაშხიადან“ ამონარიდებით. შემხვედრია ადამიანები, ამოდენა რომანი თითქმის ზეპირადაც რომ იცოდნენ.

## მუხრან მაჭავარიანი

დიდი საქართველოს სულის ასალორძინებლად, ყველა დროში ქართული მწერლობა იბრძოდა ქედმოუდრეკლად. უმძიმესი ცენზურის პირობებში ქართველი მწერლები სტრიქონებს შორის ათავსებდნენ დაფარულ ქვეტექსტებს და ჩვენც ვეძებდით და ვპოულობდით გამომშრალი ეროვნული ცნობიერებისათვის სულიერ საზრდოს.

ჩემი თაობა მუხრან მაჭავარიანის პოეზიით გაზრდილი თაობაა. მის ლექსებში თავისუფლებისმოყვარე სულის გამონათებას ვხედავდით. ეროვნული ენერგიით დამუხტული მისი ყოველი სტრიქონი მკურნალად გვევლინებოდა და ნიჰილიზმის ბაცილას გვაცლიდა. მუხრან მაჭავარიანის ლექსის ყოველ სიტყვას ბაჯალლო ოქროს ფასი ჰქონდა ჩვენთვის.

მუხრანის ომახიანი შეძახილით აღგზნებულებსა და გულანთებულებს თავი სამშობლოს თავისუფლებისთვის მებრძოლ რაინდებად წარმოგვედგინა.

იმპერიის წნეხით გულდამძიმებული პოეტი ქმნიდა პატრიოტულ შედეგებს. მას სწამდა, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, რომ ქართველის არსებობის წესი ბრძოლაა, რომ არ შეიძლება, ოცდაათსაუკუნოვანი ერი მონობას შეეგუოს.

მუხრანი შეუვალი, მტკიცე ბუნების პიროვნება და შემოქმედი. გულდასაწყვეტი იყო მისი აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისგან განრიდება.

ახლა, როცა საქართველო დაიქანცა ცრუ დაპირებებისაგან, როცა ქართველ ერს მაჯლაჯუნასავით დაანვა უიმედობა, როცა ტყუილმა და ოინბაზობამ წაღეკა ქვეყანა, იგი კვლავ დგას მართალი სიტყვის სათქმელად, წყლულების მოსაშუშებლად და ტკივილების დასაამებლად. მუხრან მაჭავარიანის სათაყვანებელი საქართველო სწორედ მისგან ელოდება ერის გამაერთიანებელ სიტყვას.

## ლომი

ზაურ ბოლქვაძეს ბათუმში ბევრი მეგობარი ჰყავს. ბათუმელებს უყვართ ლომი. ისიც ხშირად ჩამოდის „წვიმიან მზიანეთში“ მოყვრებისა და მეგობრების მოსანახულებლად. მერე მიდის გაუთავებელი შეხვედრები, ქეიფები, სიტყვით და ლექსით დამშვენებული ორგიები...

ზაფხულის დილაა. „ინტურისტის“ წინ ვდგავართ წინა დღით ნაქეიფარები.

ზაურ ბოლქვაძე ბათუმელებს, რა თქმა უნდა, ვისაც ეს შეუძლია, სთხოვს – ზღვაში გამიყვანეთ და გემზე ერთი შუშა შამპანური დამალევიანეთო. თხოვნას ბანზე უგდევენ. არც ზაური იხევს უკან.

ეშმაკურმა აზრმა გამიელვა, ზაური გვერდით გავიყვანე, – ლომო, ოღონდ ზღვაში ჩახტომას ნუ მოისურვებ და მე ნაგიყვან გემზე-მეთქი. ზაურს თვალები გაუბრწყინდა, თბილისელთაგან ორი მანდილოსანი შეარჩია და წავედით.

გემზე ასული, უსაზღვროდ კმაყოფილი, სიცილს ველარ იკავებდა – ეს რა კარგი რამეა, ეს რა მიყავი, ლომი!

– რაც შემეძლო, ის გავაკეთე, ლომი, აბა რასაც შენ ითხოვდი, იმის შემძლეად მე როგორ გამოვდგებოდი-მეთქი.

ბათუმელებს ახსოვთ ბარცხანაში, პლაჟზე მდგარი ჩამონერლი პატარა გემი, ვილაცას რესტორანი თუ კაფე-ბარი რომ ჰქონდა გახსნილი. იქ მივიყვანე ლომი. ეს ამბავი ზაურს მერე ბევრჯერ გაუხსენებია და უცინია, – რა კარგი დრო გავატარეთ, შორეული ნაოსნობის გემზე ვერ ვისიამოვნებდითო ისე.

ალბათ, იმ დღეს მომიძვნა დიდი სიყვარულითა და სითბოთი აღსავსე ლექსები:

**ორი სალალოზო ლექსპრომტი ძვირფას  
და დიდებულ დავით თედორაძეს**

I

ძმავ თედორაძე დავით,  
პირში გეტყვი: ხარ უკვდავი!  
ბევრ პოეტზე, მოღვაწეზე  
მალლა დგახარ ასი თავით!  
ხარ სიმართლის მაგალითი,  
სათნოების პელიკანი!  
მე ვერასდროს გადაგიხდი  
რა სიკეთეც შენ მიყავი.

II

ხარ კაცი – ლექსი, კაცი – წიგნი,  
კაცი – ალერსი!...  
დიდსულოვნება, თავმდაბლობა  
შენი მაოცებს!...  
„ცხრამეტი კაცის სიყვარული  
მოითარეშე“,  
მიიღე ჩემი სიყვარულიც –  
მე ვარ მეოცე.

ჩემთვის ეს ორი ლექსპრომტი ძვირფასი განძია, მას სათუთად ვინახავ, რადგან იგი ზაურ ბოლქვაძისგანაა მოძღვნილი. თავად ზაური არის კაცი – ლექსი, კაცი – წიგნი, კაცი – ალერსი, დიდბუნებოვანი და თავმდაბალი, მისი სიყვარული ყველას სწვდება. ზაურის იუმორი ხომ სიკეთის გაბრწყინებაა. ერთ სიცოცხლედ ღირს მასთან ქეიფი. მისი შემოქმედება, მისი ლექსები სამშობლოს სინათლისკენ წამყვანი სიმღერა და საგალობელია.

## შოთა

სტუდენტი რომ გავხდი, შოთა ზოიძე უკვე ახალგაზრდობის საყვარელი პოეტი იყო. ინსტიტუტიც დამთავრებული ჰქონდა და გამომცემლობაში რედაქტორადაც მუშაობდა. პროფესიონალთაგან პირველს მას ვაჩვენე ჩემი ნაცოდვილარი. არასოდეს დამავინწყდება, როგორი ყურადღებით ნაიკითხა, როგორ დამარიგა. მოგვიანებით გამომცემლობაშიც მან მიმიყვანა და ერთი წელიც ერთად ვიმუშავეთ. ბევრი, ძალიან ბევრი რამ ვისწავლე მისგან.

მას შემდეგ ათეული წლები გასულა, და ეს წლები შოთას მამულზე ფიქრით ავსებულს გაუვლია, საქართველოს ოქროს მთა-ბარი ავგაროზივით მკერდზე ჰქონდა მიკრული, მეომარივით სანგარში ინვა, სამშობლოს მტრებს ერკინებოდა, პრომეთეს ცეცხლი ეჭირა ხელში და მწვერვალებზე კოცონს აჩალებდა, ოქროს ჩიტებით სავსე ქალაქს ალამაზებდა... ლექსში ჰქონდა სულის ყლორტები და ბუნებით მეოცნებეს თავისი ეგონა ყველა ლამაზი ქალის თვალები. ჭალარა თუ ზღვასთან ალერსში თოლიების გადმობერტყილი სითეთრეც უხდებოდა ყოველთვის... რა გასაკვირია, უამრავი თაყვანისმცემელი რომ ჰყოლოდა უცოლო პოეტს.

მასხოვს, მგონი 1978 წელი იყო, მეგობრები შევეუჩნდით და საქართველოს სადღეგრძელო ლექსით დავამთავრებინეთ. მერე ეს ლექსი ნაუკითხავად დავიზეპირეთ და როცა ჯიუტობს, ჩვენ თვითონ ვუკითხავთ ხოლმე:

**„საქართველო – ნუგეში, თავს ჩაგიდებ უბეში,  
სიბერეშიც მეყვარები, როგორც სიჭაბუკეში,  
მე ვარ შენი იმედი, შენი ლელოს გამტანი,  
შენი გაზაფხული ვარ, ზაფხული და ზამთარი.**

**როცა თეთრად დაათოვს ხუდადოვს და მადათოვს,  
საქართველოს ვენახები ჩემმა სუნთქვამ გაათბოს.  
საქართველო – ნუგეში, თავს ჩაგიდებ უბეში,  
შებმული ვარ მე შენი სიყვარულის უღელში“.**

აკურთხებდნენ, ჭეშმარიტ პოეტად აკურთხებდნენ ამ სტრიქონების ავტორს, აბა რა იქნებოდა! ასეა, ერი და ქვეყანა არავის არაფერს უკარგავს. ამიტომაც მისი ეს ცხოვრება არ გაიცვლება სხვაში – ამშვენებს განვლილი შემოქმედებითი გზა, და კიდევ – სამი ანგელოზი და უსათნოესი მეუღლე. ღმერთმა მათი ბედნიერებით აავსოს!

ღირდა შოთას ამქვეყნად მოსვლა. ბრწყინვალე ლექსები, ესეები, კრიტიკული წერილები, ერთი ამოსუნთქვით წასაკითხი „საქართველოს გოლგოთა“ და „ანა დედოფალი“, კიდევ – სონეტები და ერთ წელიწადში დაცული ორი დისერტაცია... ნიჭმა და შრომის სიყვარულმა შეაქმნევეინა ყოველივე.

წინ დიდი გზა აქვს, უამრავი იდეა და ჩანაფიქრი, განუხორციელებელი არაფერი დარჩება. ოცდამეერთე საუკუნე უთუოდ ბარაქიანი იქნება აჯანყებული გულის მაგისტრისთვის.

მე კი მისივე ლექსის პერიფრაზით დავამთავრებ ამ ნაუცბათევ მიძღვნას:

**ძმაო შოთა, ნუგეში,  
თავს ჩაგიდებ უბეში,  
ისევ ისე მიყვარხარ,  
როგორც სიჭაბუკეში.**



# ნატო ინბოროყვა

## წერილი

როცა

ასე ახლოს და ასე შორს ხარ,  
ძნელია წერა.

გწერ,

აქ და ახლა, ნებადართულია  
ღრმად ჩასუნთქვა  
და ღრმად ამოსუნთქვა.

ჰაერი კეთილია და გავსებს,  
სიტყვა დამყოლია და აბრეშუმი.

გწერ,

თან ვგრძნობ  
სათქმელს ვერ გავახმოებ,  
გიგ ზავნი ნედლადა.

გწერ:

რომ ვითვლი:  
საათებს, წუთებს,  
ვჩქარობ, ვალაგებ,  
ვკეტავ და ვაღებ  
დღეებს, ღამეებს,  
ადამიანებს.

გითხარი, ვჩქარობ,  
არ შემიძლია საიდუმლოდ გადავინახო,  
თუ როგორ ვჩქარობ,  
ვიყოთ მე და შენ,  
მხოლოდ მე და შენ და ქალაქი,  
რომელიც გვიხსნის სხვა თვალებისგან.

მერამდენე ლამეა უკვე,  
ვიძინებ შენთან,  
ვიღვიძებ შენთან,  
და თან გმაღავ,  
რადგან მაშინებს,  
სინამდვილეში გვერდით მიწევს  
– მხოლოდ სურვილი,  
რომ გვერდით მყავდე.

უკვე იმდენჯერ შერჩათ ხელებს სიცარიელე,  
სადაც შენ გფიქრობ და მენატრები,  
ერბოკვერცხიც შეინვებოდა ხელისგულებზე  
და სიყვარულთან ვალმოხდილი,  
შემოგხედავდი შიგნიდან მზერით,  
რომელსაც ვმაღავ,  
რომელიც, ვიცი,  
ერთხელაც – გამცემს.

ზოგჯერ მგონია,  
თავზე მადგას ხვრელი ოზონის,  
რომელიც ვერა და ვერ ამოივსო  
და მსხვერპლად ითხოვს,  
რომ ხელები დამრჩეს ჰაერში,  
რომ გვერდით მყავდე და თან არ მყავდე.

გწერ,

ვალაგებ ჩვენს ერთად ყოფნას  
გრძელი გზისათვის,  
ქალაქისათვის, სადაც ამბობენ,  
რომ შობის ლამეს ოცნებები გაცხადდებიან.

გწერ,

თანაც გიმხელ, რომ მეშინია,  
ისე არ მომკალა,  
სიყვარული ვერ დამაჯერო.

## ადრმსატი

მისწერე, რომ გიყვარს.  
მისწერე ღიად, საჯაროდ,  
(რა საჭიროა დახურული წერილები).

უთხარი ტელეეკრანიდან,  
გამოუცხადე რადიოთი,  
გაავრცელე სოციალურ ქსელში,  
(ამ უკანასკნელს, აქვს თვისება  
„დაგილაიქოს“).

გამოგეხმაურებიან,  
მოგწერენ პასუხს მის მაგივრად.

ის დუმის ირჩევს,  
(როგორც ყოველთვის),  
მოთმინებით,  
ნაჩვევი სიყვარულის გამოცხადების უცნაურ ხერხებს.

ნუ დაიზარებ, მისწერე,  
მერე რაა, რომ აღარ გიყვარს წერილების წერა.

უთხარი

რომ სინათლეს არ დარჩა დრო,  
მოელწია ჩვენამდე.  
რომ თავისუფლება მარტოხელების საქმეა.  
რომ ღირსება სიცოცხლის თვისებაა,  
(სიკვდილს ის არ აქვს)  
რომ უხერხულობა,  
(როცა დიდი ხნის უნახავები,  
ვერ პოულობენ საჭირო სიტყვებს)  
ზერელე მოკითხვებით შემოიფარგლება.

მისწერე

რომ ის მხოლოდ მაშინ გახსოვს,  
როცა სხვა ადრესატი არ გყავს,  
როცა გინდა ვინმეს მისწერო.

გაუმხილე

როგორი ძნელია სინამდვილეში იქ,  
სადაც ჩვენ ასე ჩუმად გვიყვარს ერთმანეთი.

სადაც უბრალოდ შემოდგომაა,  
როცა უბრალოდ – სამშობლოა.

### სონეტური ქსელის მოქალაქის აღსარება

უნდა წაგშალოთ მეგობრებიდან,  
ჩემო რეალურო და არარეალურო „ფრენდებო“.  
წაგშალოთ უნდა!

დამთრგუნველია თქვენი სრულფასოვნება,  
სასტიკი.

გამოგიტყდებით,  
მახარებდა თქვენი აღმატებულობა.  
ვფიქრობდი,  
ყველაფერი იციან – გლობალურიც და ლოკალურიც.  
თან არავინ მოსწონთ,  
არაფერი მოსწონთ,  
მე კი – დამიმეგობრდნენ.

მაინც უნდა წაგშალოთ,  
თავის გადასარჩენად.

როგორი სიძულვილი იცით,  
მიმდევრებიც გყავთ,  
მადლობას გიხდებიან არსებობისთვის,  
უხარიათ, რომ აქვთ უფლება  
მოსწონდეთ თქვენი ყოვლისმცოდნეობა.

გადავიფიქრე:

მე მექნება უპირატესობა,  
არ მომწონდეთ  
და ეს გითხრათ.  
„დაგაჰაიდებთ“,  
დაგმაღავთ ან დაგემაღლებით,  
თუ მომინდება,  
ისევ მე გამხელთ.

## საბურთხი

ის გაემგზავრა მატარებლით,  
ჩვენ გავაცილეთ.  
გავამზადეთ  
ბოლო ვახშამი.  
ვალმოხდილებმა  
გადავთვალეთ  
დღე მეშვიდე და  
შემდეგ – ორმოცი.

კალენდარს,  
როგორც გულს კედელი,  
გაებზარა  
თვე – ნოემბერი.

დაუჯერე დედას –  
არ მოიხედო უკან!  
რადგან ჩვენ,  
ჯერ კიდევ შეგვიძლია  
სიცოცხლის მოთმენა.

არ მოიხედო უკან!  
ნუ მოიწყენ ლოდინს.  
ერთხელ ხომ  
მეც ჩამოვალ გაჩერებაზე,  
ჩამოვალ და მოგიყვები,  
რატომ ხარობენ ყაყაჩოები  
რკინიგზის გაყოლებით.

იყოს საკურთხი ჩემი,  
დარდი, რომელიც მჭამს.

## ჰიდრე ნოემბრამდე

გამეცნო ასე:  
– დღეიდან მამა ვარო შენი, –  
და ნავიდა.

მას შემდეგ  
მხოლოდ ორჯერ გავბედე,  
მენახა მისი სახლი.



ბავშვობაში გამიგონია  
 – თუ საფლავი ჩაიზნეა,  
 ვინმეს მოაკითხავს წასაყვანადო.

ახლა,  
 როცა ისევ ცდილობ, დამინათესავდე,  
 უნდა გთხოვო:  
 ნუ მოიკლავ შიმშილს  
 ჩემს ოჯახში.

შეარჩიე სიტყვები,  
 რომლებითაც გინდა, ხელმეორედ გამეცნო,  
 შეარჩიე, თორემ  
 აღარ  
 დამშვენდება ჩემი სიცოცხლე შენით.

### ანბარიში

მოვიდნენ ანგელოზები, ღმერთო,  
 ჩხრეკა ჩაატარონ,  
 ნება – დართულია.

გადახდილი მაქვს:

გარდაცვალებისთვის – სიკვდილით  
 სხეულისთვის – სხეულით  
 იმედგაცრუებისთვის – იმედით  
 ძილისთვის – გაღვიძებით  
 მომავლისთვის – წარსულით  
 მადლისთვის – ცოდვით  
 სიჩუმისთვის – ხმაურით

ვიხდი ხარკს:

ენისთვის, რომელზეც ვწერ.  
 სიტყვებზე მეტი ამბებისთვის.

რასაც ვწერ – იმას ვცხოვრობ.

ვალში ვარ შენთან:

სიზმრებისთვის,  
სადაც ფრენა შევძელი,  
სადაც შვილებს ვაჩენ,  
რომლებიც გამიცხადდნენ.

ვალში ხარ ჩემთან:

რომ ყვავილობამდე ვიყავი ნაყოფი.

დამრგე ლედვის ხედ  
და მის ტოტებში არბენინე  
რძე, რომელიც დააშრე ჩემში.

### ბოლოთქმა

აქ უნდა იყოს  
კიდევ ბევრი და არაერთი  
სიტყვა, რომელიც  
ვერ გამოსცდა ტუჩებს და თვალებს.

და თუ პირველად იყო სიტყვა –  
მე ვწერ შენს სახელს.

მინდოდა, მეთქვა,  
რომ ყველა გზა, რაც გავიარეთ  
და ყველა გზა, რომელზეც ვივლით,  
გაივლის ჩემზე,  
რადგან იგი იწყება შენგან.

და თუ არ გავყოფთ,  
თუ გავივლით ვთქვათ – ნახევარ გზას,  
დაგვტოვებს ჩრდილი,  
უფრო სწორად,  
ჩრდილს გადავასწრებთ

და მე ვიქნები ის ნახევარი,  
რომელსაც კითხვა,  
როგორ ვიცხოვრებ მე უშენოდ – აღარ ექნება.

ნაყოფია ეს სიყვარული,  
დრო დაუდგა – განმარტოების.

## ფრენამდე

უფალო,

დღეს ჩემი ფრენა,  
ყველა ქარის წინააღმდეგ,  
შენ გაბარია.

თუ მოგიყვები:  
ვცოდე, რამდენჯერ,  
ნუ იფიქრებ,  
შვებას მომიტანს,  
ცოდვებისგან ვშიშვლდები რადგან.

რაც უფრო ხშირად,  
უფრო მეტს ვამბობ,  
ყველა სიტყვა ტანსაცმელია,  
სამალავი და შესაფუთი.

დამიმახსოვრე.  
თუ ისევ უნდა გამანზილო,  
ნულარ შემხვდები.

დამტოვე მარტო,  
შემატოვე მონაპოვარი,  
რომ არ ვიდგე ზურგშექცეული.

რაც უნდა მეთქვა,  
ბოლოს ვინახავ:

რომ უფრო დიდხანს,  
რომ უფრო ბევრჯერ,  
ვიქნებოდი მე – შენ გარეშე.

უბრალოდ მახსოვს:  
ყველა ჩვენგანი,  
ვილაცისთვის  
ერთხელ მაინც ხდებდა

იუდა.

## სადბური

„...რომ სარკესთან, შემოსასვლელში,  
საკიდის ძირას, –  
დაქარგული ჩუსტების გვერდით  
არასოდეს უცხოვრიათ  
დიდ, მძიმე ფოსტლებს...“

## ელა (ს)

შემაჩერე და შემახსენე:  
ამ გაჩერებაზე –  
მეც ჩამოვდივარ.

გამომიჭირე :  
ბავშვობაში როგორ ვმაღავდი  
ლოგინის ქვეშ ყველა ზედმეტ ნივთს.  
(როცა კარზე ვილაც აკაკუნებდა).

მათქმევინე:  
რომ ნაცნობია  
ამ ტკივილის ტემპერატურა.

დახედე ჩემს ხელებს,  
ზამთრის ღამეებზე  
უფრო მეტად დაგრძელებულებს  
და გამოკიდულებს ჰაერში.

რა დრო გასულა,  
რაც დამარიგეს:  
„უკვე დიდი გოგო ხარ,  
ალარ იტიროო!“

მომაბარეს საკუთარი თავი,  
თავად ვიყავი ბატონ-პატრონი.  
(რა მცირეა ეს სამფლობელო).

რაც ერთხელ გაიკვანძა,  
ვერც ერთმა ქარმა თუ ქარბორბალამ  
ვერ შეძლო და ვერ გამოხსნა.

ამ გაჩერებაზე  
ყველა მიმართულების ნაცვლად  
ვანერ შენთვის: „ნუ გეშინია“!  
და ვამშვიდებ საკუთარ თავს.

ფრთხილია ჩემი ბედნიერება,  
იშვიათად გამოდის გარეთ.  
ჩიტის გული აქვს ჩემს სიხარულს,  
– მაინც დაფრინავს.



# პუნი სადვარიძე

## სასქლა

(ეთნოგრაფიული პროზა აჭარული მოტივებიდან)

### გულა

ჩვენი სოფლის თავიკაცის, რეჯებალას, ბადიშ დუნია იცნობდა. ნამეტანი ჩინგანი იყო ეს თორმეტი წლის ბალანა. მისი გუუკეთებელი რამე აღარ დარჩენილიყო, მარა ბაბუამისის შიშით ვინ გუუბედავდა ზედმეტის თქმას.

ერთხელაც ნამეტანი შეტოპა და ზედმეტი მუუვდა. ყველაფერი იქიდან დეინყო, რომ სოფლის ხოჯას ვერ იტანდა. ყველაზე მეტს მის თხასავით წვერზე და მოტლეპილ თავზე ოხუნჯობდა. ხოჯაც მისი შიშით სულ ქუდჩამოფხატული დეიარეობდა. კაცი, რომლის შიშით სოფლის ბაღნები მის ახლოს ხმამაღლა ლაპარაკსაც კი ერიდებოდნენ, ამ ღლაპს ძალივით არიდებდა თავს. ესაოდა, ბაბუამისის ვცემ პატივსო, ხან „პატრონის ხათრით ძალსაც კი არ უნდა დაარტყა ჯოხიო“, – იმართლებდა ხალხში თავს... მარა, ცოდვა გამხელილი ჯობია, იცოდა ხოჯა ეფენდიმ, რომ აი ბალანა ერთს გეოხუნჯებდა გონჯად და მერე მთელი თვე იჭაჭებოდა მის ზურგს უკან მთელი სოფელი.

ჰოდა, იმას ვამბობდი, რომ ერთხელ ნამეტანი მუუვდა-მეთქი. იმ დღეს ხოჯამ ვეღარ მიე-

თმინა ამ ბაღნის კიდვენ ერთი უშნო გამობტომა და მედრესეში ყურანის სწავლიხან ნახევარი საათით ლობიას მარცვლებზე დააყუყვა. მერე მთელი ნახევარი საათი ფიქრობდა შეთანხე ადრე დაბადებული ბალანა, თუ რაფერ წეესმე-ვია ცხვირ-პირიდან ხოჯისთინ ეს ამბავი... სახლში წამოსლიხან მედრესეს ოდაში მეორე ხოჯა შემოვდა. ცალი თვალი კი გააპარა ლობიას მარცვლებზე დამუხლულ რეჯებალას ბადიშისკენ, მარა სიტყვის თქმა ვერ გაბედა. ახლა მის ადგილზე რომ სხვა ყოფილიყო, შეიძლება უკნიდან პანღურიც კი ეთავაზებინა, მარა აჲ ბალანა სხვა იყო და პირდაპირ ხოჯა ეფენდისკენ გეეშურა. ხოჯა გრძელ სექესზე იჯდა და ნახევრად თლიმავდა. ოდაში შემოსული ხოჯის დანახვაზე ნახევრათ წამონია გვერდი და ბუჯალისკენ გეეშურა. რეჯებალას ბადიშმა ყურები ცქვიტა. მიხდა, რომ ახლავედა მეეფიქრებია რამე, ან მთელი სოფლის საშაყრო გამხდარიყო ეფეჯა ხანი. რაცხაფერ ყური მოკრა, რომ დღეს, ლოცვის მერე ჯამიკარის ნალიიქვეშ პურიანა ეჭამენ სერიგალმელი ხოჯების ერთად. ამის გაგონებაზე ერთი წუუფხუკუნა ბუჯალში ჩამუხლულმა და ძალივით ცქმუტუნი დეანყო. ხოჯა ეფენდიმ გვერდულად გამოხედა ბალანას, იფიქრა ნამეტნავად დეღალაო და პირუკულმა ამეაბლუკუნა:

– ახლა სახლისკენ უუდე და ბაბუაშენს რომ ვნახავ, სათქმელს ვეტყვიო.

კუნტრუშ-კუნტრუშით გეერბინა დასჯილმა ეზო და სულაც არ უფიქრია ხოჯის მუქარაზე. ეტყვოდა არა, ხვიტი! რამეის მთქმელი რომ ყოფილიყო, აქამდეც ეტყვოდა. რაც ამას დღემდე იბრეთი საქმეები უკეთებია, ახლაც ბაბუამისის წინდა იდგეს დორბლმორეული.

კუნტრუშით გეექცა-მეთქი კი ვთქვი მარა, იმფერი გადატყავებული ჰქონდა ბალანას მუხლები, რომ სიმწრისგან მომდგარ ცრემლებს

მჯიღებით ინმენდდა, ვინმემ არ დიმინახოს სასირცხოლო. ბზების გადაღმა ლელიპირში ჩევდა და მუხლებზეთ ეაკოტავა ზიგვაის ტოტები. – „შენი კაცობაცო!“ – ერთი მიანირება ხოჯას და ყინულივით ცივ წყალში მუხლებამდე შევდა. ცოტა ხანი ასე იდგა და როცა მუხლებში ტკივილმა უკლო, სახლისკენ გვეშურა.

სახლში ნამეტარი სხვანაირად იქცეოდა... იცოდა, რომ ბაბუამისს მისი დიდი იმედი ჰქონდა და ისიც გულს არ უტეხავდა. იმდენად ხიზმეთი, დუუზარელი და ზრდილობიანი იყო სახლში რომ, ნამეტანიც რომ დომებოდა ვინმეს, ვერაფრით დააჯერებდა ბადიშის სიგონჯეში რეჯებალას.

ჭიშკარში შესულმა კაკლიძირში ბაბუამისი დეანახა და პირდაპირ მისკენ გვეშურა. მოხუცს ფეხებშუა ნახევრად მოქსოვილი გოდორი ედვა. იქვე წყლის ღარში ჩეყარა კაი ჯაყვა დანით თხლად დაჭრილი და მრგვალად მოხვეული თხილის ხაშრები. ღობეზე კი ბლომად მიეყუდებია ჯერ კიდევ დუუმუშავებელი საგოდრე მასალა.

– დედევ, კიდევ უჩემოთ ნეე ტყეში ხომ? – ნანყენი ხმით უთხრა დაღლილ დედეს ბადიშმა. რეჯებალამ კი კითხვა შეუბრუნა ბადიშს და ჩაჭუჭული თვალით კითხა:

– ჰად იყავ ამდენ ხან? დურსუნაას ბალანამ ეფეჯა ხნის წინ გეიბინა სახლისკენ.

– რა ვიცი დედევ, მაგას ეტყობა დილით კაი-მალი და ცხელი პური არ უჭამია და ნამეტნავად ეჩქარებოდა, თვარა ბაბაას სულს ვფიცავარ, ახლა თუ არ გამოგვიშვა ხოჯამ.

მოხუცმა ალერსით ახედა ხაშარივით აშოლტილ ბადიშს და მის ხანუმს დუუძახა: – ხენიფე ხანუმ, ბალანას საჭმელი დუუდგი და აგზე მუუტანე, ნამეტანი დაჭყანული აქ სიფათი შიმშილისგან.

– არა დედევ, ოდაში შევალ, – ნამეიძახა გულამ და სახლიკენ მოკურცხლა. ზეზევლად ნეილუკმა, ნენულას ლოყაზე აკოცა და სახლის უკან სათახუმოში შეეპარა. საჭირო ნივთები ეღო და პირდაპირ ჯამიკარისკენ დუუნინინა...

ნალიასთან ახლო მისულმა ფიცრულს წრე დაარტყა. ძველი ნალია ოთხ მსხვილ დირელზე

იდგა. ნალიასა და დირელებს შორის თავგების შიშით მიწიკენ პირით მეემწყვდიათ ბარქაშები. ეს ფიცრული, ალბათ, ასი წლის მაინც იქნებოდა და ალბათ, ამიტომაც ნაცეცხლურივით გაშავებულიყო. გულა პირველად კიბეზე აძვრა და ნალიაში შეიყუყა. იქიდან კარგად დაზვერა გარემო და როცა ჯამიკარის ღობეზე ხოჯის ვირი დეინახა მიბმული, ყველა გადანყვეტილება ერთად უარყო და გახარებული ჩამოხტა ნალიიდან. სახლიდან წამოღებული სათახუმო გახსნა და პანაი ხერხით ნალიის ორი დირელი მთლიანად გადახერხა. გულამ კარგად იცოდა, რომ ორი კვირის წინ აგზენ სოფლის ბაღნები თამაშობდენ და მაშინ, ხოჯას რომ არ მეესწრო, შეიძლება, ცეცხლიც კი გეეჩინათ ფუჩეჩებში. ამიტომაც ეჭვს ვერ მიიტანდნენ მასზე და ყველაფერი იმ პანვან ბაღნებს დაბრალდებოდა. ხერხვას რომ მორჩა, ნახერხაი ფუჩეჩებით მიმოხვეტა და ხოჯის ვირი ღობის მაგივრად მოხერხილ დირელზე მიაბა. ვირს მისი ხიზმეთები წყალში რომ ჩეყარა, ბლომად ბალახბულახიც მუუმცრია და იქვე, მიწაში ნახევრად ჩაფლულ საძიძველში, წყალიც ჩუუსხა.

ხოჯები ახშანამაზიხან გამოჩინდენ ორღობეში. ნალიის ძირში დაალაგეს სახლიდან წამოღებული კალათები და დირელზე ჩამოკიდული დაბალი ტაბლა ჩამოხსნეს. სუფრა რომ გაფინეს, ზედ კაიმალი, მუჟავე, ყველი, წვანილი და ცივი დედალი ამოალაგეს. მერე ნალიიქვეშიდან ძველ-ძველი ჯორკოებიც გამოაძრეს და შუუდგნენ პურობიას.

გულამ იცოდა, რომ ქამა-სმის და ლოცვის დროს გაკეთებული იანღლიში დიდი ცოდვა იყო, ჰოდა, მოთმინებით უცდიდა ნასასლელად როის ეიშლებოდენ ბერები.

ბევრი ცდა მუუნია ბალანას.

სოფელი რაის სოფელი იქნებოდა, ხოჯების ქეიფი რომ გამოპარვოდა და თავისი წილი არ შეემატებინა მათი მაგიდისთინ. პურობას შესწრებული და სახლში მისული მგზავრები ბაღნების ხელით უგზანიდენ ცხელ-ცხელ ბორანოსა თუ კეცზე შემწვარ ზეითუნის კაკლებიან მჭადს, ქოთნით მანონსა თუ ჯამით ლობიოს. მარა, ყა-

დიოლი დაუთავს ჩამოვლა რომ გუუხარდენ, ისე ვინმეის ნახვა არ გახარებთან ხოჯებს. შეძლებული დაუთავს პურმარილი საქვეყნოდ იყო ცნობილი და კარგად იცოდნენ ბერებმა, თუ რაფრად გეფესებოდა ახლა მათი მაგიდა.

დიდი ურწმუნო ვინმე ყოფილა ეს დაუთავს და რეჯებალაას ბადიშის არ იყოს, მასაც დიდათ არ ეხატებოდა გულზე ჩვენი ხოჯები. მარა, წესის და ადეთის კარგად მცოდნეს, პურმარილში ხალხის გამორჩევა დიდ უნამუსობად მიაჩნდა და ყველას ერთნაირად უმასპინძლებოდა მის ბაბავათანში. ახლაც ჩაალაგებია კალათაში ქათმის აპოხტი, გაცხელებული ყაურმა და ნიგვზით შეზავებული ფხალის მჟავე, ზედ მიაყოლებია ბაქლავა, ბურმე და ფელამუში, თურქეთიდან გადმოტანილი ლახათლუხუმი და ქალაქიდან ამოტანილი ჩურჩხელები... დუუძახა მის ყაზირალს და ხოჯებთან გაატანა. სანამ მისი ბალანა ეზოის ჭიშკართან მივდოდა, ნალიის ქვეშ მდგომმა დაუთამ დუუძახა და მასთან ახლოს მისლა ანიშნა. ჯემალას ბუფულებში ჩეეცინა და ბაბაასკენ გუუყვა.

დაუთავს ნალიის გვერდით ქვის პატარა ოდა ჰქონდა გაკეთებული, რომელსაც საკაცოს ეძახდა. დედამისის შვილი იქნებოდა ვინმე, რომ მის უკითხვად იქ შესულიყო, ცოლსაც კი არ აძლევდა ამის უფლებას. ჯემალამ იცოდა, რომ ახლა ნენეს ჩუმად ღვინო ჰქონდა გამზადებული გასატანებლად და ამიტომაც მეხედა, უკან ნენე ხომ არ მიყურებსო...

ჯემალას გამორჩენამ ისევე დაააჯა ბერები, რაფერაც გაახარა. თავში დამაბინყდა მეთქვა, რომ ყადიოლი დაუთავს ერთი იბრეთი ადეთი ჰქონდა: მის პურმარილზე მოსული კაცი თუ ღვინოს დალევაზე ვარს იტყოდა, ვერც პურს გასინჯავდა. ჰოდა, იცოდნენ ახლა ხოჯებმა, რომ დაუთავს სანაქებო პურმარილს აუცილებლად მოყვებოდა ღვინო; მათ კი ან პურობაზე უნდა ეთქვათ ვარი, ან კიდევ მუსულმანურ ადეთზე. დღემდე არაერთხელ შესწრებთან ხოჯები დაუთავს პურმარილს და „ცოდვა გამხელილი ჯობიაო“ და უნდა ითქვას, რომ არც ერთხელ უთქვამთ ვარი დალევაზე... მხოლოდ შეზარხოშებუ-

ლებს წამოცდენიან ხოლმე, რომ ღვინის სმა ძველებიდან მოგვდევს და ამიტომაც წვეკპარებით ხანდახანო...

ჯამიკარის ნალიასთან მისული ჯემალა მონინებით მიესალმა ხოჯებს, მეაკითხა მათი ჯანის და ოჯახის ამბები. თავისი ხელით ამოალაგა სუფრაზე ბაბაას მოკითხული, ტაბლიქვემ ღვინის ტიკიც შეაცურა და სახლისკენ გაბრუნდა. მართალია, დაუთავს აღზრდილი იყო ჯემალა და მასაც ვერ ხიბლავდნენ ხოჯები დიდად, მარა უფროსების პატივისცემა არავისგან ესწავლებოდა.

ჯემალას მოსლამ ხოჯების პურობა კიდევ უფრო გააგრძელა. საცაა, მთვარე ეწვევებოდა დუნის კაფაღზე და გულას სახლში დააგვიანდებოდა, მარა, ჩაფიქრებულის გადაფიქრებას ცოცხალი თავით ვერავინ აძულებდა. მის იცბალზე პანაა წამონვიმა და ხოჯებსაც სისწრაფე დეეტყენ. რეჯებალაას ბადიშის გულშიც წამოშიშინდენ შეითნები და მუგუზალივით გუუბწყინეს ტყის პანტა ბალივით ყურყუმელა თვალეები.

დაუთავს ღვინოს შეპარებული ხოჯები კარგა გვარიანად შემთრალიყვენ. ახლა ვინმეს ბარქაშზე ხელების ტყაპუნი რომ დეენყო, შეიძლება ამაზეც აცეკვებულიყვენ ბერები.

ჰამანქი გულას ჯერი მოსულიყო.

უცქერდა ბალანა ბერების ღლაბუცს და ბაბუას ნამლერი „განგდაგანა“ ახსენდებოდა:

**„ახალგაზრდებს რანდა უთხრა,  
ბებრებია ატეხილი“.**

ჰოდა იმანაც ღობეს გრძელი ჯოხი ამოაძრო და ნელ-ნელა გააპარა მისი წვერი ნალიის დირელზე მიბმული ვირის უკანალისკენ. მარა, სანამ გულა მიაჭერდა ვირს უკანალში, ხოჯამ ნალიიდან უთავაზა ნიხლი თავის პირუტყვს და იგიც უკულმა გახტა სიმწრისგან; სიმწრიგანო ვამბობ მარა, სიმწარე დუმაში გაჩხერილი ხიშტის უნდა გენახათ თქვენ. ერთი იმფერი დეიბლორინა ვირმა, რომ რეჯებალას ბადიში თავქუდმოგლეჯილი განწინდა აწვერილ სიმინდებში...

ვირის ბლორინზე ბერები ქორდაცემული ჭუჭულებივით გეფანტენ აქეთ-იქით. მხოლოდ ჩვენი ხოჯა ეფენდი დარჩა ნალიის ძირში და



პირდაღებული უყურებდა თავის ფეხს, ამფერი რა ამოვკარი იმ შერჩვენებულს, რომ ბლორინით თავზე დამახურა სოფელიო. სოფლისა რა მოგახსენოთ, მარა ამდენ ჯახირში, საგულდაგულოდ გადახერხილი ნალია კი მართლა კინალამ ჩამომფხო თავზე გოდორივით. ვირის გამწარებულმა ჯახირმა ისე მოარყია გადახერხილი დირელები, რომ ნაქცეული კაცით გადაქანდა უკან ფიცრული და ფეხებივით ააშვირა დირელები. გადახერხილ დირელს წამოძრა ვირის საბელი და შეშინებული სახედარი უკანმუხებდავი გაშპა ლელიპირში. ნაზარხოშებულმა ბერებმა ყველაფერი ალლაჰის რისხვას მიაწერეს და კუდამოძუებულნი გეკრიფენ სახლებსკენ.

### ხატო

აქოშინებული შევარდა გულაჲ ეზოში და სახლის უკანიდან მის ოდაში გედეპარა. მთელი ღამე ბორგავდა ბალანა და სინდისის ქენჯნით კტებოდა. კიდევ კაჲ, რომ მეორე დილით ჰადმენ არ იყო წასასლელი და შვადღემდე კარგად გამეძინა. შვადღეზე ამდგარს სასტუმრო ოდიდან სტუმრების ლაპარიკი მიეყურა. ბალანამ იფიქრა, გუშინ რაცხა ნამეტანი დავაშავეო და თავწალუნული შევდა სტუმრებთან. ოდაში სექვზე სოფლის კაცები იჯდენ ფეხმორთხმული, მათ შორის იყო ხოჯა ეფენდი და დაუთა ყადიოლლიც. კაცებს ლაპარიკი არ გუუჩერებია, ბალანის სალამი ეღეს და ისვენ გააგძელეს ბჭობა. გულაჲ ნენულასთან გევდა კერიაში და ჩუმად კითხა, რა ხდებო. ბებამ თავი გააქნია სინანულით და გაშლილ მაგიდისკენ მუუთითა ბადიშ. ბალანა მიხტა, რომ საქმე მას არ ეხებოდა და გემრიელად მიირთვა სადილო შეჭამანდი.

ამამბიდან რამდენიმე დღეში სოფელში ძალვან დიდი თოვლი მოვდა. ნამეტნავად კაი სამზერელი იყო სოფელი ამფერ დროს. ბალანბულანა ისე გაახალისა ამ ამბავმა, რომ დილ-დილაი გესულები გვიან ღამეში ბრუნდებოდენ სახში. ნაქილისევის აღმართზე იმფერი სასრიპინო გეკეთებენ, რომ

რამეს რომ არ დეეკავებია, პირდაპირ ლელიპირში ადენდენ ჟღვართანს იქიდან მონწილები.

ჩვენი დელი-დულაჲ გულაჲც ისე გამშპარიყო ქეფში, რომ აღარც ჭამა ადარდებდა და აღარც – სმა... იმ დღესაც დილვანაჲ ადგა, კამალში ჩაფუნჩხილ ყველს ნენულაჲს მიერ გაჯინჯინებული რძეც დააყოლა და თიბილად ჩაცმულდაბურულმა საფშაკუნოდ წასლა დააპირა. ის იყო ოდიდან გასლას აპირებდა, რომ ჰავლის ბოლოში სიმინდით სავსე საშვალო გოდორი დენინახა. ვინცხას რომ ახლა თვალი წამეკრა ჩვენი ყახახისთინ, იფიქრებდა, სანარწყალში დუუმპა ფეხი და ფუნაში ამოგორდაო, იმფერი ნუუხდა იმ ნუთაჲ სიფათი. ახლავენნა ითქვას, რომ დიდი გოდრის დანახვაზე ასე ძალვან არ დეეჭყანებოდა სახე ბალანას, მარა იცოდა, რომ ამ პანაი გოდრის ტარება მარტო მას ქონდა გამონერილი. მარა, ისიც იცოდა, ახლა რომ ბერისთვინ ვარი ეთქვა, სიტყვას არ ეტყვოდა მოხუცი, გადაყრიდა სიმინდს დიდ გოდორში, ცოტას სიმინდს ზეიდან დუუმატებდა და უუყვებოდა აღმართს წისქვილისკენ. ამის გაფიქრებაზე ცალთვალჩაჭუჭულმა მეიფხანა თავი და ხალისდაკარგული გუუყვა გოდრისკენ. ახლოს მისულმა შით ჩეხედა და ნახვარსავსე სიმინდის დანახვაზე ახლად აღინლულ ბუჲულებში ტკიბილად ჩეედიმილა. ბალანა მიხტა, რომ ჯერ კიდევ ებრალებოდა დედემისს მძიმე ტვირთისთვის, მარა არც საფშაკუნოდ გესული ბალანა უხაროდა სახლიდან. ჰოდა, ამისთვინ მეეფიქრებია, ალბათ, წისქვილში მისი გაშვება, თვარა ასე უცბათაჲ არ დუუმთავდებოდა თავშემონახულ რეჯებალას ქიბილი. გულამ, ის იყო მეიბლუნკა გოდრის მოსაკიდებლად, რომ იქვე, გოდრიძირში კარგად გამოკოჭვილი ფუთა დენინახა. ალბათ საგზალიაო, გეფიქრა მისთათვინაჲ და სიმინდს ზეედან დაადვა. ეზოში გესულმა ნალიიძირში დადგმული მეორე გოდრიდან პანაი სიმინდი დემატა და ლელიპირს გუუყვა.

რეჯებალას სოფელში ყველაზე დიდი წისქვილი ედგა. შორიდან რომ შეგეხედა, აილა გეგონებოდა, მარა ჭკვადაჯერებული კაცი იმთათვინაჲ მიხტებოდა, რომ ამ გავეშებული მდინარის პირში

კაცი საცხოვრებელს არ მიეწოდება. ნამეტნავად შორიდან მუშნია ბალანას ნასლა, რადგან მოკლეზე იმფერი საშლიპინო ქონდენ ბალნებს გაკეთებული, რომ ზოვლი ჯიხვიც ვერ მეიკიდებდა ჰადმენ ფესს. ნახვარი საათის სავალზე სამჯერ მეტი დრო დაჭირდა ბალანას. მუხლებზე მომდგარი თოვლის გაკვალვა, ისიც გოდორმოკიდული ბალნისთვინ არ იყო სახუმარო ამბავი, მარადიდადაც არ ჩქარობდა ჩვენი ყაზახი. თუ ვერ მოასწრებდა დაღამებამდე სახლში დაბრუნებას, ნისქვილში გეათევდა ღამეს, ნეტაი, ლოგინი არ იყო იქ თუ – საჭმელ-სასმელი? ამ ნისქვილში ყუმარის მოყვარული კაცები ხშირად ათენებენ ღამეებს და რაფერც ჩუმჩუმალა ამბობს ხალხი, თურმე ღვინოსაც წრუპავენ... ისე, ერთხელ ყადიოლი ჯემალას მოტანილი ღვინო ბალნებმაც კი დალიეს ამ ნისქვილში და მერმენ ისე დათრენ, რომ ღარში უკნიდან შემეგებული წყლით პირუკულმა აბრუნეს დოლაბი... გამჩენელმა იცის, რამდენი იბრეთი ჩინგნობა გუუკეთებია გულას ამ ალაგში. ერთხელ კინალამ ცეცხლიც კი წუუკიდა ნისქვილს და რეჯებალას რომ არ მეესწრო დროზე, ალბათ, მანაც შიგ ამეებუგებოდა.

მას მერე ეშინია ცეცხლის გულას...

ნისქვილში მისულმა გადახურვილში ჩამოდგა გოდორი და რკინის რაზას დუუნყო ჯახირი. ძლივამ გახსნა კარები და შიან შევდა. დარაბა გადახსნა და სოფელს გამოდმიდან გახედა. ბუხრის ყელემიდან ამოსული ფუტები რომ არა, მინდორი ეგონებოდა კაცს სოფელი, ისე იყო თოვლით დაფარული. ყიბლისკენ ნაძვებით დაფარული მისი სახლი ადვილად გაარჩია ბალანამ და სობის დანთებას შუუდგა. კვარმა იმფერი კაჲ სუნი დაატრიალა ნისქვილში, რომ დაღლილი გულამ იქვე, სობიძირში გუუგორდა ცხვარიტყავზე და პანაი წუუძინა კიდევ.

პანამ-მეთქი ვთქვი მარა, კარქა ხანს იძინა ზავალმა. არ შუუტყია, რაფერ დენყო ქარიშხალი და ისიც, თუ რა მალე ჩამოხნელდა. ალბათ, თოვლის ბრალი იყო, თვარა, ასე ადრიელამ არნა დაღამებულყო. კარის გაჯახუნებაზე სერსემივით წამოხტა სობიძირიდან და ახათქუნებულ კარებს

ეცა. გადახურვილში გეახედა და ახლა გაახსენდა გოდორი, კიდევ კაჲ, რომ არ ნაქცეულა ამ ყიამეთში. გოდორი ნისქვილში შეეტანა და ის იყო, კარებიცნა მეეხურა, რომ ახოსთან რაცხა შავი დენახა გაგდებული. პანამ დააკვირდა და მიხტა, რომ ზავალი ეფათუნებოდა, მარა ვერ დგებოდა ფეხზე. იფიქრა, ვინცხაჲს ხობო იქნებოდა მგლის სალუკმოდ რომ არ დარჩენილიყო, წამველება გადანყვიტა. ჩქარ-ჩქარა წამეებურა თავზე ჭილოფი და კარში გევდა. ქარი დაბეჩებულივით ეცა ყიაში და კინალამ ისიც ღელისკენ დააგორა. თავს ძლივამ იკავებდა ამფერ ამინდში ბალანა, მარა მაინც მიინევდა ზეეთკენ. ახლოს მისულმა დეინახა, რომ ხობოს რაცხა ჭრელი ქონდა თავზე წამოხურვილი. ალბათ, ვირია და რაცხა ქონდა აკიდული. გეფიქრა ბალანამ და თოვლში გაკვეხილს თავზე დაადგა. ჭრელი ფარდაგი გადანია და შიშისგან კინალამ გუუსკდა გული. ვირი კი არა, ხოჯა ეფენდის ქალაქელი ბადიში იყო თოვლში გაფშეკილი. ალბათ, ჩემ მოსლამდე სული მიცაო – გეფიქრა ბალანამ და ცალი ხელით შეანჯღრია, თვარა აჲ ნაკატამ გოგო იმფერი უქმური ვინცხა იყო, რომ ცოცხალი თავით ვერ გაანძრევიებდა ვინმე მისთვინ ხელებს. ციცამ თვალეები დააფახუნა, მარა ისე იყო გაყინული, თავიც ვერ ანია ზეეთ. გულამ გულში გეფხუკუნა, ხომ ვიყარე შენზე აჯელიო, მარა მიხტა, ახლა ამის დრო არ არისო და გოგოს დენიკა, თოვლიდან ამოათრია და მერე დენახა სისხლიანი თოვლი. თურმე ზავალს მხეცის ხაფანგში მოყოლია ფეხი და ამიზა გაჩხერილა ახოში. გულამ ფეხი უსულით გუუთავისუფლა და მხარზე მეეკიდა აჲ განრეპილი გოგო. ნისქვილში ძლივამ შეყვანა და სექვზე მიანვინა. მერე კარი შიგნიდან დაკეტა დარაბებგახსნილ ფანჯარაში ჭრაქი დაანთო. ამ ადეთს ბაბუამ დააჩვია. როცხა ნისქვილში ითევდა ღამეს, ჭრაქს ფანჯარაში ტევდა მთელი ღამე ანთებულს, რომ სოფლიდან დენახენ, რომ რამე არ ჭირდა და აგზენ იყო.

გულამ სობაზე წყალი შემოდგა და ციცას შორიდან დუუძახა. ოდის სითბო ესამოვნა, ეტყობა, ციცას და მალე გამეახედა თვალში. გულამ

დანახვაზე მასაც უუვდა შუბლზე თვალები, მარა რანა ექნა, დიდად არც ენაღლებოდა ეს ხაშარა ბიჭი, ფეხის ტკივილი აწუხებდა ძალვან.

– წყალი თიბილია და თუ გინდა დეზბაი ფეხები. – უთხრა გულამ ჭეჭელას და ფეხით მუწროჩა სეჭეთან ახლოს დასაბანი, თვითონ კი თავზე დეიბურა ლამაზად და გარეთ გეცდა ღარში წყალის გასაშვებათ. ახლა რომ არ გეეშვა, ღამე ყინვას დააჭერდა და ტყვილა დარჩებოდა ბალანას ნახიზმეთარი...

გარეთ გესულ გულას გულზე დერდები შამიესია. ღმერთია მოწამე, რომ ამჯერად განგებ არ მუწუნია რამე ხოჯისთინ და მისი ბადიში შემთხვევით აღმოჩნდა მის წისქვილში. მარა, დუნის დააჯერებდა კაცი? რანდა ექნა ბალანას? ამფერ ყიამეთში სოფლისკენ რომ წესულიყო ამბის მისატანად, ან ქარი გადაჩეხავდა კილდიდან ან დათვის და მგლის ლუკმა გახდებოდა, მარა არც წისქვილში ციცას ერთად ღამის გათევანა ყოფილიყო მართალი საქმე. აგზენ ხომ არ გაათეცდა ღამეს? არადა, იმ წარაკვას ფეხი ნამეტურ გონჯად ქონდა ნატკენი. სოფლისკენ რომ წესულიყო და ციცა ტაბასტისგან დაცლილიყო, მერე რანდა ექნა?... ერთპირად ისიც კი დააპირა, რომ მარხილზე მიეკოჭა და ისე წეეყვანა სოფლისკენ, მარა იმ წუთად გედეფიქრა, ასე ხომ უმფო ჩაადგებდა იმ ზავალს ხიფათში.

საგონებელში ჩავარდნილმა წისქვილს რაცხაფერ მუწუნო წყალი და ფეხითრევით ეცდა ზეათ. პანა კა ამინდი რომ ყოფილიყო, შეძლებდა ტალდაშიც გეთია ღამე და აქიდან ედარაჯა ავადყოფისთინ, მარა ამფერ ქარბუქში რომ პანა კიდვენ დარჩენილიყო გარეთ, შეძლება იქეთ გამხდარიყო მისახედნი.

გულამ უსულით გაალო წისქვილის კარები და თავდახრილი შეცდა სობით კარქა გამთბარ ოდაში. ვითომც აქ არაფერიო, შედგა ჯორკოზე და სიმინდის გიდელივით ჯარაში ჩეხედა, ზედან სიმინდი დაამატა და მხოლოდ ახლა გეხედა ხატოსკენ. ციცას იმფერი წამხდარი ფერი ქონდა, რომ შიშისგან ყბა გუუკავდა ბალანას. ჩამოვდა ჯორკოდან და ახლოდან დახედა სეჭვზე მიწო-

ლილ ჭეჭელას. ჯირკზე შემოდგმულ ფეხიდან ისვენ დიოდა სისხლი და სიმწრისგან იწირეებოდა ზავალი. ბალანამ უცბათაე მეფიქრა და ქიბილისთვინ გამოტანებული თეთრი მიტკლის თორბა სასწრაფოდ დახია. ნახვარს ცხელი წყალი დაასხა და პანა რომ გაჯინჯიხდა, იმით სისხლიანი ფეხი მოწმინდა. მერე ეალო მეორე ნაჭერი და ფეხი კოჭში კარქა ამუხვია. პირველათ იყო გულად ასე ახლოს გოგოსთან და ძალვან უჭირდა გულში. არც ციცაე იყო კარქ დღეში... პირი კედლისკენ მიებრუნებია და მჯილით იწმინდა სიმწრით გადმოღვარულ ცრემლებს. გულად რომ ხიზმეთებს მორჩა, – „ხომ არ გინდა რამე?“ – კითხა ხოჯის ბადიშს. გოგომ თავი გააქნია ვარის ნიშნად მარა, მაინც წუხსნა ნინველმა დიდნენეს მიერ გამოკოჭვილ ფუთას თავი და ცივი-ცივი შეჭამანდი ამოალაგა ტაბლაზე. ცოტა ხნის მერე გულამ ენის ბორძიკით შეაპარა ციცას:

– თუ არ შეგეშინდება, სოფელში ჩევბენ და ხოჯა ეფენდის შენ ამბავ მუუტან, თვარა შეეშინდებიან შენებს.

– დედემ არ იცის, რომ ტააიდან წამოველ, ბალნებმა ქილისეას ამოყელვამდე ამომყვენ და მერე უკან დუუყვენ დაღმართს. მე ქილისეს რომ გვერდი ვუქციე და თქვენი სოფლისკენ წამოსლა დავაპირე, დაღმართზე ჩავლის შემეშინდა. აქიდან წამოვეე და აგზეც ბელაში გევები. – წუუყურა გოგომ პანაზე და მერე ჩქარ-ჩქარა მიაყოლა აფურთნილმა, – რაცხაფერნა ავდგე და წევდო.... ალბათ, ციცაეც იმაზენ დარდობდა, რაზეც ჩვენი ყაზახი. მათი ახალობა ვერ გაამართლებდა ერთ თავანქვეშ ღამის გათენებას. ხატოს ნათქვამმა კიდვენ უფრო დააჯა გულად და ალე-მალაე უფუნგა სადარდელი.

– ცავ, შენ რაცხაფერნა გუუძლო, მე ახლა სოფელში ჩევბენ და შენებ ამეყვან. არ შეგეშინდეს; აგზენ რომც დათვი მოვდეს, შიან მაინც ვერ შემოვა, იტრიალებს, იტრიალებს და ნევა.

ხატოს ერთი კი გუუჭიხდა თვალეები სიხარულისგან, მარა ისვენ ჩუუქრა უცბათაე ცეცხლი. – „ვაათუ, ჰადმენ გედეჩეხა ამ ყიამეთში ან დათვი წამიენია, მაშინ რანდა იქნას, ხომ დედელუბა აე ზა-

ვალი ჩემი გულისთვის?“ – დაფიქრდა გოგო და ხმამაღლა უთხრა:

– არა, მასე არ იზამს, მეცნა წამოვდე! მაშინვე წამეწვია ზეზე და ის იყო, ფეხი დაადგა ძირში რომ იმფერი ყიამეთი ხმით დეფყვირა, შემფრთხალ შველივით გაქანდა გულაჲ. კიდევ კაჲ, ხელი წააშველა ციცას, თვარა პირდაპირ სობაზე დეემხვერთებოდა მონენილი. გოგო რაცხაფერ უკან მიანვინა მარა, ფეხზე მოხვევლი ნაჭრებიდან იმფრათ ითქრიალა სისხლმა, რომ კინალამ გული წუჲვდა გულას. – „არნა ამდგარიყო აჲ დასაქორებელი ფეხზე! – ჰადან გედემეკიდა ჩემ საბელაოდ? ჯერ დედემისმა ამომიყვანა სული ყიამში, მერე – ამან. ამისთვის რაფერნა წაასაკლო თავი კაცმა და გარში გეხვიდე ამფერ ყიამეთში?“ – გაბრაზებული ფიქრობდა ბალანა და ზურგუკან ნერვებზე აყოლილი თითებს იფშვნეტდა. – „შეეჭამა ნეტაჲ დათვს, ძვალციკი არ დარჩებოდა ამისგან... არა, აგინა დარჩეს ამ სითბოში და მენა ვეყუდო ღობე-ყორეში? თუ ცოცხლათაჲ ჩევეჲ სოფელში, ხომ კაჲ, მარა, მერე რაფერნა დააჯერო ი ამოსაგდები ხოჯა, რომ კაჲს მეტი რამე არ გიგიკეთებია მისი განრიჲული ქალაქელი ბადიშისთვის? ვინმე იმფერი მაინც ყოფილიყო მის ადგილზე, რომ თავის წახდენა არ შებრალეოდა კაცს...“ – დერდობდა მისთათვინაჲ გულაჲ და ბუჯალში მიმწყვედეული თაგვივით ეხეთქებოდა იქეთ-აქეთ.

### რეჯებალა

ბერი იდერდულა ბალანამ, რაფერნა მოგციულიყო და ბოლოს მაინც წასლა დააპირა. ჩეცვა და ის იყო, გარეთნა გესულიყო, რომ კარებთან ფეხების ბრაგაბრუგი შემეყურა. ციცაჲ იმფერი დაფრთხა, დიდვან-დიდვანი კურცხლები გადმოყარა თვალებიდან. ალბათ, ეგონა დათვი მოგვადგაო კარზე... გულას კი თვალ-პირი უცბათაჲ ამუჲსინათდა, მიხტა, ვინც იქნებოდა გარეთ და კარებს ეძგერა. კარში დაღლილი დედეჲ იდგა კომბალათ ხელში. ბერი შევდა გამთბარ წისქვი-

ლში და ის იყო, დაღლილი სექვზენა წამოგორებულიყო, რომ კინალამ თავიდულზე უჲშპა თვალები. კარქა დააკვირდა ციცას და როცხა ტაბასტიან ფეხს მოკრა თვალი, ჩქარ-ჩქარა მეძრო ბაშლული და გულას იჭვიანი თვალებით დეებუცა.

– ვისია აჲ ციცაჲ? – იკითხა რეჯებალამ და თან ჯორკო მიიჩოჩა ბალნისკენ.

– ხოჯა ეფენდის ბადიშია, დედე. ქალაქელი ციცაჲ რომ იყო ამ ზაფხულ თავე ამოსული, ხომ გახსოვს? ა, ის. – უთხრა გაბღეზებული ხმით ბალანამ და წამეტნავად გონჯად შუუბღვირა სექვზე წამონოლილს, რათა მიმტარიყო ი ვირიგადებული, რომ ჯერ კიდევ ახსოვდა მისი ბრეკვა და ავენვანობა.

გულაჲს თვალწინ გეჲბინა უცბათაჲ იმ დღემ, აჲ ძუნკალი ციცაჲ რომ ამეყუდა სოფელში. ვითომ ხოჯის ბადიში ერქვა, არადა, იმფერი ახტაჯანაჲ ვინცხა იყო, სოფლის ბიჭებ გუჲსწრა იბრეთების კეთებაში. ჯერ იყო და, – „ნარებში მენდილი დავკარგეო“ – და ქალაქელ ციცაზე დახიზმეთებული ყაზირლები ბეჩებევით დეეფუთენ ყირმიზ მანდილს, რომელიც სკიდან მინაზე გადმოგორებულ ფუტკრის ხუხულაზე ნეეფარებია განგებაჲ... იმ დღეს იმფერ დღეში ჩავარდენ ბიჭები, რომ მეორე დღეს ვინმემ ველარ გამეჲმიზგულა გარეთ, იმფრათ ქონდენ სიფათები გაკაიპებული. ეს ამბავი გუჲტარეს და მერმენ ხოჯის ეზოქვემ საქორწილოდ გამონკიჲულ ბიჭებს, ზედან ქიბილის თორბა გადააფერთხა თავზე. აგი არ აკმარა და გზაზე, ჰაცხან ქორწილისკენ მიმავალ ბიჭებსნა გეველენ, ურმის გორძლოდან ამოღებული ფუნით მოსვარა ყოლიმფერი; ვინმეს რომ ვერ შეემჩნია ფეხის ჩაბიჯებამდე, ზედან ნაცარაჲ და ბალახბულახაჲც მიმოაჲნია ლამაზად... აჲ, რა იყო? ამ ციცამ იმფერები აკეთა ამ ზაფხულ, რომ დუნიაზე სახელგავარდნილმა ჩინგანმა, ჩვენმა გულამაც მოკაკვა თითი.

იხენებდა ყოლიმფერს ბალანა და აჯელისყრის იმტალით შეპყრობილს ვერ მეეფიქრებია, რანნა ეზამა. რეჯებალამ ცალი თვალით გადახედა ბადიშს და მისი გამწარებული სიფათი რომ დენახა, მიხტა, რაზე ბღღვინავდა ბალანა. მარა,

ახლა ამის დრო არ იყო და გულას ცხელი წყლის მოტანა უბრძანა. ბალანამ სობიდან გადმოდგა გუგუმი და ბერს დუუდგა ფეხებთან. დედემ თავანში გამოკოჭვილი თორბა ჩამოხსნა და იქიდან ამორჩეულ ბალახბულახი მოკალულ სინზე დაყარა და ზეადან მდულარე წყალი დაასხა. სანამ ბალახი გაჯინჯინებოდა, ხელები დეებანა და ციცას ფეხზე შეხვევლი შეხსნა. ჭრილობამ ძალვან დაააჯა მოხუცი და ჩქარ-ჩქარა დეინყო მისი გასუფთავება. მერე გაჯინჯინებული ბალახიანი წყალით ჩამობანა ფეხი და სანამ ჯერ კიდევ თიბილი იყო ბალახები, ზეადან დაადვა, ჩქარ-ჩქარა შეახვია და ლაზლის წინდა წამოაცვა. ხატოს პანაჲ კი ეტკინა, მარა ცოტა ხანში გუუარა ტკივილმა და თანდათან ჩათლიმა.

ციცას რომ დეეძინა, მერე კითხა მისი ხებერი დედემ ბადიმს. უსმენდა ბალანას ბერი და გულზე ალივით ედებოდა ბალნის მონაყოლი. – „რაფერ გემეზარდა ბალანა, ანი რომ არ წამოვსულიყავ და ამფერ ზორში დემეტია მისთათვინაჲ ზავალი?! უყურე ერთი ამ ცხვირმუუხოცველს, რაფერ სწორად უფიქრია და წინ-წინ გუუყურია. მართლა, რანნა მექნა მერე, აქ რომ ერთად დარჩენილიყვენ, ხომ წუუხსნიდა თავს მემლექეთი სალაპარიკოს და მერე რასნა დეეზსო იმათი ყია? არადა, იმხელვანი რომ ყოფილიყვენ, გელინად დემესვა, კიდვენ რა მიჭირდა, ამაზე კარქ გვარიშვილს და ლამაზ ციცას დუნიაზე ვერ მეიძევდა კაცი, მარა აგენი ჯერ ნამეტნავად პანვანები იყვენ ამ საქმისთვინ. არანდარა, რომ არ მემესწრო და ამ ყიამეთში სოფლისკენ წამოსულიყო ბალანა, ხომ დევლუპვიდი თავს?“ – იმის წარმოდგენაზეც კი გააზორზოლა ბერს, ახლა რაფერ დღეში იქნებოდა მისი ერთი კაკალაჲ ბადიში დათვების და მგლების შემყურე დაკიდულ ტყე-ღრეში...

– გულავ, დიმიყურე ბაბი! – უთხრა ბალანას დედემ და ციცასკენ გააპარა ცალი თვალი, ხომ არ მისმენსო. – აი, ბალანა ნამენტავად დიდ ზორშია, თუ ახლავენ არ წევყვათ სოფელში, დილამდე შეიძლება ველარც გაატანოს; შრატმინა იშუშვოს ამან ფეხი, პანაჲ რომ გამოკეთდეს, მერე ბებიაშენის გაკეთებულ წამალს მივცემთ

მის პატრონს და მალე მოკეთდება... გევჭირვონა და რაცხაფერ სოფელში და წევდეთ ახლავენ.

ბადიმმა ერთი კი შეხედა დაყლებილი თვალეზით დედეს, მარა მიხტა, რომ ბერი არ ცდებოდა და სიტყვა აღარ შუუბრუნა. მარტო ის კითხა, – „რაფერნა წევყვანოთო“. დედემ რამე არ უპასუხა და ძლივს-ძლივობით ფეხზე წამოდგა. მუხლი გამართა და წისქვილიდან სიტყვის უთქმელი გევდა. ცოტა ხანში გულას თავნიდან ფხაკუნი შემეესმა. დედემ წისქვილში თივის გოგორა შემოათრია და ბადიმს უთხრა:

– სანამ მე ღარიდან წყალს გადავადგებ, შენ ქიბილი ჯვალოში ჩაყარე, რომ სანამ მაგის წასაღებად ამოვალთ, თავგმა არ ირბინოს ზეადან.

– აჲ მარხილი რათ გინდა დედევ? აჲ გომბიო ხომ არნა მათრევიო ამ ტყე-ღრეში? – ბერმა წევყრუვა ბალნის ნათქვამი და წისქვილიდან გევდა. – „ამის თრევას შეშა ვათრიო ტყიდან ის მირჩევნია, სობას მაინც შუუგრძნებს კაცი“, – ციცაჲს გასაგონად ხმამალლა თქვა გულამ, თვარა, აბა, გარეთ იმფერი ყიამეთი იყო, ყურშიც რომ ჩეყვირა ბერისთვის, მაინც ვერ გააგონებდა ახლა...

ბერის ამოსლამდე მოამცრია ჯვალოში ასტამით ქიბილი ბალანამ და დიდი წვალეზით თავანში გამოკიდა, მერე წისქვილის ჯარას თავზე დაახურა, თავვი რომ არ ჩავარდნილიყო შიან და დიდი კაცივით დოინჯი შემეყყარა ნელზე. ციცას გახედა და მერე კედელზე აყუდებული გოგორა წამოაქცია ძირში. ქვეადან საბელები ამოაბა და თავნიდან ჩამოყრილი თივა კარქა ბლომად დაადვა ზეადან. ამასობაში ბერიც შემოვდა ოდაში. ხელები წეითბო სობაზე და მერე იქიდან მაშით ნაკვერჩხლები გადმოყარა. თუნუქის ნაჭერზე დაყრილი ნაცეცხლური კარში გეატანა და რაფერს „ლაზარობიას“ დროს აკეთებდა მისი ხანუმი, გარეთ გადაყარა და თან მიაძახა:

„ – ლაზარიაი მუადგა კარსა,  
აღარღალებს თავსა...

ეხვენება ღმერთსა:

– ღმერთო, მოგვე ზე და თვარე,  
შიგინახე წვიმა-წყალი“.

უკან შემობრუნებული ციცასთან ახლო მივდა და შუბლზე ხელი დაადვა. ეტყობოდა, რომ მალე ხურვებანა დაწყებოდა ბალანას და ჩქარ-ჩქარა გააღვიძა. უსულით ჯორკოზე გადმოაჯდუმლა და ბადიშს ქვეშაგებების თივაზე დაფენა უბრძანა. გულამ დედეს ნათქვამი რომ გააკეთა, მერე ციცა უსულით დაანვინეს, ზედა ლამაზად დააბურეს და კარქა მიაკოჭეს საბელებით გოგორაზე. ბიჭმა გოგორა კარებისკენ გაათრია და ტალღაში გეგტანა. დედემ კი დიდი კვარი გამოაძრო თავანიდან და ცეცხლი მუუკიდა, მერე მაგრად მიბიქსა კარი და გოგორაჲს საბელი წელზე გამეება. გულა უკნიდან ჩუუდგა და რაცხა ძალი და ღონე ქონდა, ზეფთკენ მიანვა.

### ქილისე

რეჯებალამ მოკლედან წასლას ზედად მოვლა არჩია. ქვედან რომ ლელე-ლელე წესულიყვენ, კი მივდოდენ მალე, მარა იმფერი იბრეთი კილდეები და გეარენ რომ, ამფერ ქარბუქში არ უჩანდა შეფთანს თვალი და ჰად გადაყრიდა ბალან-ბუნინანა ღმერთმა იცოდა. ზედად კი ქილისეს ეზოში ევდოდა და იქიდან დეეშვებოდა დაბლისკენ. დაბლისკენ დაშვებას, თუნდაც იმფერ გასრიპინებულზე, არ ჩივოდა ბერი, რაფერც ამ გოგორაჲს ათრევას ქილისემდე. აქიდან თოვლი უბანრავდა გზას, იქიდან – ქარიშხალი. თან ისე ბნელოდა, აჲ კვარი რომ ჩამქრალიყო უცბათაჲ, თვალთან მიტანილ თითს ვერ დენახავდა კაცი. აღმართი რომ ამეყელეს, ნაძვიძირში წამოგორდენ დაღლილები. გულამ მიმოავლო თვალი ქილისეს ალიგს და დედეს დეეკითხა:

– ბევრელ მინდოდა მეკითხნა, მარა ვერ გიბედავდი. ახლა კი აგზენ ვართ და გკითხონა: როცხა სოფლიდან ქილისესკენ ვიბუცვი, მეჩვენება, რომ აჲ ალიგი ღამეშიც გამობანებულთა. ასე რაზე ხდება, დედევ?

ბალანას კითხვა მჯილივით მოხდა გულზე ბერს და აჯილი შეყარა. მერე თანდათან სიმწრით ჩამარხული დერდები უუფუნგა გულში და

სიმწრისგან დანირეხა. ძალვან ძნელი იყო ახლა მისთვის ამაზე ლაპარაკი. არანდარა, მოტყვილე-ბას ღმერთი არ აპატიებდა ქილისეს ეზოში ბადიშის წინაშე დაყუდებულ ბერს. რამე არ უთქმია, ისე დუუგდო ყური გულში დერდებივით აბურხალებულ ქარს და ცრემლიანი თვალებით მიაშტერდა ქილისეს ეზოში კენჭებივით მიმობნეულ გორხულო ქვიებს. უცბათაჲ ალაპარაკდა ბერი:

– ჩემი დიდენეჲ იტყოდა: თათრები რომ შემოსევიან ჩვენ სოფელს, პირველად აგზენ ამოსულან. რამეთ რომ ვერ გამკლავებთან ქილისეს კედლებს, სამების გორაზე ესულან და იქ დუუნყიან კილდეების მტრევა. ზედად დაგორებული ლოდებითნა დეენგრიენ ქილისე თურმე. ბევრი უწვალთან, მარა იმდენი თათარი მუუყოლია ზედად დაგორებულ ქვიებს, რომ ბოლოს თავი დუუნებებთან. მარა იცი რა ყოფილა ყველაზე საკვირველი? ამდენი დაგორებული ქვიებიდან არც ერთი დაჯახებია თურმე ქილისეს, არანდარა, ერთიც საკმარისი იქნებოდა ძველი კედლების დასანგრევად. იმ ღამეს იმფერი გამობანებული ყოფილა ქილისეს ალეგი, რომ ხალხს შეშინებია, ცეცხლი ხომ არ წუუკიდესო იქავრობას. თათრები რომ წესულან, მთელი სოფელი ამომსკდარა აქეთკენ და კედელგუუქანებელი ქილისე რომ დუუნახთან, კაციან-ქალიანა დავარდნილა მუხლებზე და მთელი დლე უტირიან აგზენ. მას მერე ბევრი დრო გევდა. ჩვენებიდან ვინმე აღარ დარჩა ქილისეში ამომსლელი და მომლოცველი, მარა ერთი ადეთი მაინც შევტიეთ და თუ ვინმე არ გვიყურებს, გორხულო ქვების წინ ვიმუხლვით და უბეში გადანახულ სანთლებს ვანთებთ ძველებივით...

ბერის მონაყოლს გულისყურით უსმენდა გორაზე მიკოჭვილი ხოჯის ბადიში და გულში იცრემლებოდა. ბევრჯელ წამუუკრია ყური მისი დედეს მონაყოლისთვის ხატოსაც. კარქა ახლოვდა ბალანას ის დლე, როცა არ მეეშვა ხოჯას და კისერზე დაკიდული თხოვდა: – „იმისხენ, ხატოჲ რაზე დამარქვიო...“ რამეთ რომ ვერ მუუცილებია ბალანა დედეს, კისერზე შემუუსმია და ვინმეს რომ არ დეენახა, გაღმა მხრიდან ამუუყვანია ამ ეზოში. – „აგზენ დიმიცაჲო!“ – უთქმია

ბალნისთვინ და ქილისეეს უკნიდან დამალული კილტე მუუტანია. დიდხანს უჯახირია თურმე ჩაჟანგვილი ბოყვის გასახსნელად და ბოლოს მაინც გუუხსნია. შესასლელში მუხლი მუუყრია, ხელით გულმკერდზე რაცხაეები მისთავინაჲ მუუხატვია და მინაზე შუბლმიდებული, დაყუყვილი გაჩერებულა პანა ხანს. მერე ფეხზე წამომდგარა, ქალამნები წუუხდია და ბალნის ერთად შიან შესულა. ახლაც ახსოვს ხატოს, რაფერ გადმოკარკლა დედემისმა ქილისეში ცრემლები... მერე ბალანა უუნევია ხელში და კედელზე მიხატული ლამაზი ქალის წინ დუუყენებია. დიდხანს მდგარან ასე... მერე დედეს უთქმია: – „ამ ხატით ლამაზი გაქ თვალეები და იმიტომ დაგარქვი ხატოჲო“. – მეტი რამენ აღარ უთქმია. ფეხაკრეფით გამოსულან უკან და ისევ საგულდაგულოდ მუუყეტიან ქილისეეს კარები. – „აჲ ამბავი ვინმეს არნა მუუყევი“. – წუუჩურჩულა ბალანას თურმე ბერმა და ალთუნივით კულულებზე მიეფერა. – „არაო!“ – დაპირებია ისიც... სახში ჩასლამდე ჩაძინებია ბალანას და როცხა გამოღვიძებია, მარტო შუუმწყრევია დედე და ყურში უთქმია: – „კიდვენ ხომ წიმიყვან მერეო?“ – „ყველაფერი დეგესიზმრავო“, – უთქმია მაშინ დედეს და ბალანასაც დუუჯერია. აქამდე ჯეროდა თურმე... ახლა კი მიხტა, რომ ყველაფერი ნამდვილად მოხტა და იმფერი გახარებია, რომ ფეხის ტკივილი სულ მთლად დავინყებია ზავალს...

ქილისე დვიბეს ალაგზენ იყო აშენებული და აქ რომ ამფრად იქცეოდა დუნია, ქვეითკენ რა ხდებოდა, მისთავინაჲცნა მიმხდარიყო კაცი. ის იყო წასლა დააპირეს, რომ ქარმა ნაძვიდან ბლომად ბირტყი ჩამობერტყა და ზეედან დააყარა გაკოჭვილ ციცას. გულას შეეშინდა არ გეგუდოსო ხოჯის ბადიში და გოგორასთან დეიმუხლა. ჩქარ-ჩქარა გუდუუყარა სახიდან თოვლი და ის იყო, სახეზე მიეცაცუნა უცბათაჲ, რომ იმფერმა ხორშაკმა დუუარა ნამსხვანში, გლიშამ ყოლიმფერი გუუნათა ყაზირალს. მუგუზალივით უჭიხდა თვალეები გოგოს. იმფერი ლამაზი სახე-პირი მუუჩინდა კვარიშუქზე, რომ ტირილი მუუნდა გულას... მისხალაჲ ხანი გესულიყო მას მერე,

რაც ზეედან დაყუდებული დაბუცებოდა ციცას და ეგონა ასი წელი აგზენ ვდგავარო. ჭკვაყრილი იდგა მუხლებზე და ნასობარივით უხურდა ციცაეს ლოყებზე მიცაცუნებული თითები... – „აბა, დევძართო!“ – დეძახა დედემ და გოგორა მოქაჩა. ვითომ ხელებიდან ააართვეს ხატოჲ, იმფერად დეენვა ჯიგარი ბალანას და სიმწრისგან ამეღმუვლა. მარა, კიდვენ კაჲ, ამ ყიამეთში ვინმემ ვერ გეიგონა მისი ბლორინი...

ქილისეეს დაღმართზე ნაძვზე მიაბა საბელი რეჯებალამ და ხოხვახოხვით დუუყვა დაღმართს. ზურგით აკავებდა ბერი გოგორას და ისე მიყავდა ბალნები. რაცხაფერ იყო, ჩაათავეს აჲ დასანვაჲი აღმართი და გუუყვენ სოფლის გზას. წელზე თოვლს მინარბავდა ბერი და ბუკათაჲ მიბაჯბაჯებდა. ხოჯის სახლი ცოტა გაღმაში იყო და ამიტომაც ეღო გეზი მისი სახლისკენ. ყადიოლი დაუთაჲს სარკმელში გვიანი ჭრაქი დეენახა რეჯებალამ და დაუთას დუუძახა. დაუთამ იმნამალაჲ გამეხედა და რაცხაფერ მოაღნია ამათამდე. რეჯებალამ ხოჯისთვინ ამბის მიტანა დაავალა და ჩქარ-ჩქარა გუუყვა სახლისკენ. მაინც მის ხანუმსნა ეაქიმა ამ ციცაესთვინ, თვარა, დაუთასთანაც შეიძლებოდა ავადყოფის მიყვანა.

### სოფელი

იმ ყიამეთი ღამის მერე ბევრმა წყალმა ჩამეარა.

ხენიფე ხანუმის ბალახბულახითა და ხოჯის ლოცვა-შედუმანებით ციცამ მალე მეიხედა თვალში. დუნია მომკითხველი ყავდა ხოჯის ბადიშს, მარა იმათგან ცოტას თუ ეჯერა უწვერ-ულვაშო ბლაშტის ამფერი ნამოქმედარი. სხვებმა თუ არა, ხოჯამ ხომ მაინც იცოდა, რა უვარგისი და ეშმაკზე წინ გამშპარი იყო ეს ხაშარივით აყრილი ბალანა. მარა, მადლობის თქმის მეტი რა დარჩენოდა ხოჯას და ისიც ღმერთსა და რეჯებალას ერთად ადიდებდა თავანისკენ ხელებანწილი.

ეს ციცაჲ ყველა ბადიშში გამორჩეული ყავდა ხოჯას, რადგან მისი სიბერის გარგნის ერთა-

დერთი ბალანა იყო იგი. ჯანოვს ხეობის დღემდე არაფერი იცოდა ხოჯამ. ქორწილიდან რამდენიმე თვეში წესულა თურქეთისკენ გზის გასაკვალად ზავალი და უკან აღარ დაბრუნებულა. ჰადმედიდან არ მოსულა ავის თუ კარგის ამბავი. გელინმა რომ ბალვი იშვა, ძუძუს წვებამდე აცალეს და მერმენ ისე წეყვანეს ქალი მისიანებმა, რომ ვინმესთვის რამე არ უკითხიან. გაგულისებული ხოჯა დიდხანს არ ანახვებდა დედას ბალანას მარა, მას მერე, რაც ის ქალი ქალაქში გათხოვდა და იქავრი დიდი ხოჯის გელინი გახდა, ბალნის ნახვა ველარ დუშულა დედას ალაჰის შიშით. ქალმა რომ ბალნის ნახვას პანაჲ მუხშირა, ამით შეწუხებულმა კაცისიანებმა დიდი ამალით ამოაკითხეს ხოჯა ეფენდის და ციცაჲს დედასთან ერთად ქალაქში გაშვება თხვეს. ბევრი იფიქრა ხოჯამ და მიხტა, რომ უმამო ციცაჲსთვის უდედობის დამატება არ იყო კაჲ საქმე, თან იქ უფრო მეტს დეანახავდა და დეჲსტავლიდა ბალვი. ჰოდა, რაცხაფერ გეჲჭირვა და უბიძირში უსულით გამოძრდილი ბალვი ქალაქისკენ გეჲსტუმრა.

ქალაქში რომ წეყვანეს ციცაჲ, მაშინ სამიოთხი წლისა იყო. ყოველ ზაფხულ ამოყავდენ გაღმა სოფელში მცხოვრებ ტაჲაჲბს ბალანა მამის ოჯახში. ამ წელიწადს კი ხოჯის დაჲინებული თხოვნით დატიეს ციცაჲ სოფელში. აბა, რანნა ექნა კაცს, როცხა მისი თვალი კაკლებით ხედიდა თუ რაფრათ აცუნდრუჲკებულიყო მისი ჯანოვს ერთი კაკალაჲ ბალანა. უცბათაჲ რომ სახლში დაბრუნებულიყო მისი ბიჭი და ამფერი ქალაბიჭაჲ გოგო დეენახა, მერე რაფერნა გეჲსნორებია შვილისთინ თვალი? რაფერნა ეეხსნა, რომ ერთი ბლაშტი ვერ გიგიზარდე შენი საკადრისიო. თან ნაგელინვარს უკვე მისი იქავრი კირკლები ყავდა შემოხვევლი და ეშინოდა კაცს, ვაჲ, თუ თვალი ან ხელი მიაკდეს ჩემს ციცასო...

მარა „ყეზას თვალი არ უჩანსო“ ამა ქვია ზუსტად. აგზენ ამოყვანილი ბალნიდან კინალამ არ დეჲბანა ხელი კაცმა? ეხ, გელინის ცოდვამ მიწიაო, იფიქრა ხოჯამ და გამოზაფხულებულზე მისი ხელით ჩუყყვანა ციცაჲ დედამისს და ბალანასთან ერთად სულიც თან დუჲტია.

\* \* \*

ეს ამბავი მალე დეჲვიწყა სოფელმა.

გუნდრუცით მიზოზინებდა დლეეები.

სოფლელებს ამ დუხჭირ დროში რა გამუჲლევდა საფიქრალსა და სახიზმეთარს. ამას ისიც ემატებოდა, რომ ხალხი ორ წყალს შუა იდგა. ვერ გედეჲწყვიტენ მუხაჯირობისას სხვების ჭკვას აყოლოდნენ და კაი ცხოვრების ძებნაში თურქეთისკენ აყრილიყვენ თუ რუსების იმედით აქ დარჩენილიყვენ... ვინცხაჲ ადგა და წევდა, ბევრმა თავი წააგო, მარა არც აქ დარჩენილები იყვენ კაჲ დლეში. იმფერები, ვინცხას პანაჲ ჭკვა მეეკითხებოდა, ცოცხალი თავით არ უნდოდენ თურქეთში წასლა. რუსების ჩუმათაჲ ლამლამობით აქა-იქ მეიკუჭვებოდნენ და ფიშმანობდნენ. ზოგი ამბობდა, რომ „ძლივაჲ გეგმართევეთ წელში და დევხსენით თავი და ახლა რაფერნა ადგე კაცი და უკან დუჲბრუნდე თურქებსო? ამდენი წლის მერე ხალხმა პანაჲ თვალში მეიხედა, კაცს სახეზე ღიმილი დეეცყო იმდენი გამომლომპრველი ჟამის მერეო“, მარა იქვე მეორე თლიდა რუსების მიერ შეწერილ გადასახადებს, რომელიც კინალამ მოსავალზე მეტი იყო, პანაჲ თუ არა. ისეჲ თავის იმედიდა ქონებოდენ მარა, ცარიელი ხელით და მუცლით რანნა ექნენ და რაფერ, ეს ვერ გედეჲწყვიტენ. ყველამ იცოდა, რომ ვერც რუსის და მიტუმეტეს, ვერც თურქის ხელში კაი დლე არ დაათენდებოდათ, მარა მაინც ამ ორს შორის არჩევდნენ მტყუან-მართალს, რადგან მათ თავიბაშს, დედა სამშობლოჲს დიდვან კაცებს მათთვის ვერ მიეხედათ და აგენისთინ რანნა ექნენ, ნეტაჲ?

ამდენ ფიშმანში და დერდში ბევრი ოჯახი ეყარა სოფლიდან და წევდა მუჲსლელში. არც იგენს მოსწრიან კაჲ დლე, ვინცხამაც აქ დარჩენა გადაწყვიტაჲ. ოკობოკო ყოფაში ზოგი იმფრათ დეიფსო, რომ მის ნასახლარზე ნარი აყვავილდა, ზოგი კი ისე მეერგო დუნიას, რომ უცბათაჲ ორკარაჲ გახდა. ბევრჯერ აბურხალა ბედმა აღმა-დაღმა ხალხი და ბოლოს მისთათვინაჲ დაკერნებდა ყოლიმფერი. ამდენმა ჯახირმა ზოგს სიმწრით დაახჩემვია კბილები, ზოგს კი სიბეჩრით



და ასე არბენია დუნიაზე. გულზე ციციელდა-ცემული ხალხი მაინც იდგა შვაგაყოფილ ცხემლასავით და აგრძელებდა ჭიჭვეტა ცხოვრების ჭიტიინაში ბუცვას...

ამ ყიამეთში რეჯებალაჲ, ყადიოლლი დაუთაჲ, ხოჯა ეფენდი და კიდვენ რამდენიმე შეძლებული ოჯახი სოფელში დუშმნის ჯინაზე იჭიპრვოდენ და ძველებურად გაქონდენ თავი.

ხოჯის ბადიში იმ ზამთრის მერე სოფელში აღარ დაბრუნებულა, რეჯებალაჲს გულაჲ კი სოფელში ამოსულ ნაკითხ კაცებს ეეკიდა და სასტავლებლად გიმნაზიაში წევდა. რეჯებალაჲ და ხოჯა ეფენდი წელიწადში ორჯერ მიდიოდნენ ქვეთკენ ბადიშებზე თვალის გადასავლებლად.

\* \* \*

იმ ზამთრის მერე, რაც გულამ ხოჯის ბადიში სიკდილს აართვა ხელებიდან, ხუთი წელი გესულიყო. ბიჭი წელს სტავლას ამთავრებდა და რეჯებალაჲც, ამით გახარებული ალაგს ვერ იძევდა მისთინ.

მარიამობის შვა რიცხვებში ამეყუდა ჭკვით და წლებით დამძიმებული გულაჲ სოფელში. ჭიშკარზე მოყუდებული ბალანა კინალამ ვერ იცნო ნენემისმა. იმფერი აყრილიყო ტანში, რომ გეგონებოდა ძველებურად ხის ჯოხებზეა დაკვაჭული და ისე იარებო. მხრებში და კინჩხში ისე გასქელებულიყო, რომ არა ძველებურად კერატანაჲ თვალი კაკლები, ინსანს მისი ცნობა გუუჭირდებოდა. დიდხანს იხუტა ნენემ მისი ძიძგვაჲ გულში და ჩუმჩუმალაჲ ყლაპა ცრემლები. მხარში გაშლილი რეჯებალაჲ ისე იდგა მუხიძირში, ვითომ მასზე დიდი და ძლიერი ვინმე აღარ დაჩრელინიყო დუნიაზე.

ქალაქურ ხიზმეთებს შეჩვეულ გულას მის ძველ მინდარივით მოკლე და მუხხერხებელი გამუხრთა ძველი ოდა. მთელი ღამე ფიშმანობდა მუხლებში მოკუნკვილი, რაფერ ეთქვა დედესთვის, რომ ეს ძველი ფაცხა დეენგრიენ და ახალი ჯარგვალი დედგენ ძველის ალაგზე. ფიქრებში დაღლილს იმფერი ჩაძინებოდა, რომ ვერ შეეტყო, რაფერ გათენებულიყო.

– ხენიფე ხანუმ, კიდვენ ძინავს შენს ქალაქელ ბადიშს? – დედეს ძახილი შემეესმა გულას. – ხომ ვამბობდი, ჰირ წევა ხელიდან-მეთქინ ბალანაჲ და არ გეყურებოდენ არც ერთს. ჰა, უცაჲ ახლა, როჲსნა ადგეს, რომ დეელაპარიკო კაცი.

ბალანა იმწამალაჲ წამოხტა ლოგინიდან, ფეხზე ყერეგლაჲ ჩამეჩხატა და მივდა ლალუბაში პირზე წყლის შესასხამად. პანა ხანში კარგად დახაჩიული და ქორორავარცხნილი გევდა ეზოში. დედეს ამ დილაუთენია სოფლის კაცები მოსლოდენ სტუმრად. დაბალ ჯორკოებზე ჩამომჯდარიყვენ კაცები ტაბლის ირგვლივ და ნელ-ნელა წრუპავდენ შერბეთს. ასე გვიანამდე ძილით ცოტა არ იყოს, დარცხვენილი მიადგა სტუმრებს გულაჲ. კაცები ფეხზე წამოდგენ და ისე შეეგებენ თვალსა ხელს შუა ამორლილ ბიჭს. ბიჭმა მორიდებით მეჲკითხა მოხუცები და თვალი გეექცა ლობეზე მომდგარი ხოჯა ეფენდისკენ.

– დეგვენვიე შერბეთზე, ხოჯა ეფენდი! – მიწვია სუფრაზე რეჯებალაჲ ხოჯა და ბალნის ერთად გეეშურა ჭიშკრის გასაღებად. ხოჯამ თვალჩაჭუჭული აათვალიერა გულაჲ.

– ეფეჯა დიდი გაზდილხარ, ყაზირალო. – მონონებით უთხრა ხოჯამ და მხარზე ხელი მუფართხუნა ბალანას. – იმედია, ტანის აყრასთან ერთად ტვინიც მოგემატებოდა პანაჲ და ჭკვაშიც ჩაჯდებოდი.

– რა ვიცი, აბა? რაცხა ვარ, ეს ვარ. – უპასუხა თავშეკავებით გულამ და ტაბლისკენ გუუძღვა. პანა ხანში ბალანა სახში წევდა და ხელი წამუუკრა ნენეს მაგიდის გამლაში. ის იყო, კაცები მაგიდას შემუუსხდნენ, რომ ლობიგალმა ძერვენახი სოფლის ბიჭებით ეივსო. გახარებულმა გულამ იმ წამალაჲ დეჲვინყა მისი სიმაღლეც და წლებიც და იმფერი აკუნტრუშდა ეზოში, რომ კინალამ ძიგვა გეეხია უბიძირში. ბიჭები ჯიხვებვით ხტებოდნენ ლობეზე და სირა-სირა იბლუნჯავდნენ გულში მონატრებულ არხატაშს. მიკითხვ-მოკითხვის მერე ბიჭებმა უფროსებს ბოდიში მუუხადეს და ღელეში წევდნენ საცურაოდ. ბიჭები დახარბებული ისმენდნენ ქალაქის ხებრებს, არც სოფლის ბიჭებს ქონდნენ პანაჲ სალაპარიკო გულასთან.

\* \* \*

ახსანამაზიხან ბუხრიძირში იჯდა ბადიში მოხუცებთან ერთად და მომავალზე ფიქმანობდა. რეჯებ ეფენდიმ რამდენჯერმე დეეჭირა ბადიშის უკმაყოფილო, დაღრენჯილი ყურვება ფუტისგან გამოჭვარტლული კედლებისკენ და ძველი კაცის მიხვედრილობით უთხრა ბაღანას:

– ბაბი, მართალია, ფარა არ გვაქ მარა, არც იმფერი ფუხარები ვართ, რომ ამფერ ფაცხაში ამოგვხვდეს სული. ჰამანქი იმის დროა მოსული, რომ ქალი მეეყვანო და ეზო-კარი კირკლებით აავსო. ჰოდა, მოცდა არ ღირს, ალლაჰმა იცის, როდსნა ამოგვხვდეს მე და ხანუმს ყიაში სული, ხვალ დილიდან ნევალით ტყეში და მასალას დავამზადებთ. ისე, თუ იტყვი, დიდი ნადით ნევედეთ ტყეში და საქმე წინ ნევედოთ.

დედექს სიტყვები იმფერი გუუხარდა გულას, რომ კანკულა დედაბერი ხელში ანია და ხერტალივით ატრიალა.

მეორე დილით ოცამდე ახალგაზრდა გეეშურა ტყისკენ. რეჯებ ეფენდი გაფაციცებით აფრთხილებდა ახალბებს, თუ რომელი ხედა მეეჭრენ და რომელი არა. არც ისენა ექნენ, რომ ტყე ჰადმენ გამოკაფულიყო დიდზე.

– ჰან-ჰანაი გამომეჩხრეთ, ბაბი, ტყე ჩვენი ნისქვილისკენ, ბევრი არ მოგივდენ და იმ ამოსაგდები რუსებივით არ გიგვიტიტველოთ ქედები. – საბოლოოდ დაარიგა რეჯებალამ ბაღნები და უკან გაბრუნდა. – „რას რუსებიო, რას ამბობდა დედე?“ – გაკვირვებული იკითხა გულამ.

– ეხ, ძმაო, შეენნა გენახა რაფერ მიგვაყენენ რუსებმა და თოფიჭერით გვაიძულეს ახალ-ახალი ხეების ჭრა. ნაცეცხლურივით გამობანდა ქედები გადაღმა ხევში. ნასოფლარს დეემსგავსა გორიკავის მხარე. დაშრა ან სულ მთლად დეანრიტა წყაროები. აღარც მინას იკავებს რამე. ყიამეთ ამინდში ფიცრულები ხან მოვარდნილ წყალს მიაქ და ხან მინა მიაჩორებს ქვეათკენ. დეეფსო ხალხი. – უჰასუხა ბღეზით მალხაზამ.

– ჩვენსკენ არ გუუკაფიან, ვერ მუუდგენ ხომ ნასაღებად მად ოჯახქორები? – იკითხა გულამ.

– ჯერ ვერა, მარა იქ რომ ეათავებენ, მერე აქეთაც დიგვინყებენ ჯიჯღინს. – ჩეიბლუკუნა დაუთაას ბიჭმა.

– მად საქმე ნამეტარი იბრეთი რამეების მომტანი იქნება, – ხმამალლა თქვა გულამ. – დეეხსომეთ თქვენ. ქალაქში ამბობდნენ, თუ მთაში ხის ჩეხვა არ შეწყდა, მთა-ბარი გაერთიანდებო.

დერდებმონოლილებმა უხმოდ გეაარეს ქილისეის ეზო და გაღმისკენ გუუხვიეს. გულას უცბათად ის ნუთი გაახსენდა ხოჯის ბადიშს ბირტყი რომ გუდუუყარა სახიდან და იმნამალად მაშინდელი ხორშაკი დუუტრიალდა ტანში. „ალბათ, უკვე გაათხვეს ი გველივით ჭრელითვალად ციცა“, – გეიფიქრა გულში და ჰანაზე რაცხამ გუუფხაჭნა გულიფიცარი...

### ხოჯა

პირველი თოვლის მოსლამდე რეჯებალას სახლი უკვე ორთში იყო მოქცეველი. ყავარგადახურვილ ჯარგვალში ძველი ბუხრის ყელემი დეეტიენ მარტო. გულამ ცოცხალი თავით არ მოანგრევია ძველი ბუხარი. მართალია, ჰანაზე ფუტს აპარებდა ქვის ჭიტიებიდან, მარა ამოვლესოთო ეჩრემა ბაღანამ. ბუხარში ჩვენი წინაპრების სული ტრიალებსო, დეეჩრემა, არადა, საქმე იმაში იყო, რომ ხის კედლების დაშლიხან ბუხრის ქვაზე ვენახის ფოთლებით მიმოხვეველი ჯვრის ნახიშლი დეენახა ბაღანამ. გამჭვარტლული ქვის განმენდა მისი ხელით ითავა და ბევრი ხეხვა-რეცხვის მერე პირველი სახე დუუბრუნა ქვის კედელს. ამის დანახვაზე კიდვენ უფრო დეეჩრემა რეჯებალამ კედლის მოშლა და ბაღანა რომ ვერაფრით გედეებირა, ხოჯას დუუხმო საქმის გადასაწყვეტად.

უსიტყვოდ უყურა ხოჯამ კედელს და ჯანგამოცლილი დაყუყდა სექვზე დაფენილ ქეჩხოზე. ბუხართან იდგა ბიჭი და ქობულად უყურებდა ხან ხოჯას, ხან დედეს.

– ეს ბუხარი, ამ ოჯახს ყეროსავით აქ შეეყენებული. – დიდი ხნის ფიქმანის მერე დეეჩყო ხოჯამ ენის ბორძიკით. ამის მოშლა არნა იყოს ჭკვადამ-

ჯდარი კაცის საქმე. გახსოვთ, ზომოები ბლაცვი გელინის ხუმტურებს რომ უყუყვენ და ბუხრის ყელეში ჩამოაქციეს, იმიტომაც იყო რომ ზვავმა ნელო იმათი სახლი და კიდევ კაე, ინსნებიც არ მეყოლია შიან. ჩვენში ბუხარს სხვანაარად ოჯახის იმიტომაც ვუძახით, რომ ბუხრის ჩამოქცევა, ოჯახის დაფსებას უტოლდება. ამიტომაცაა, რომ როცა იტყვიან ოჯახი დეექცაო, იქვე კითხულობენ – ხალხზეა ლაპარიკი თუ ბუხარზეო. – ცოტა ხნით გაჩერდა ხოჯა და მერე რეჯებალასკენ იბრუნა პირი, – დუუჯერე ბალანას, რეჯებალა, დუუჯერე! აგენმა უკვე ჩვენზე მეტი იციან. ჩვენ გზის განარბვამინა დევნებართო თვარა, იმ გზას ჰაფთქენ უზამენ პირს, ეს მათი გადასანყვეტია. მთავარია, ხათაბალაში და უკეთურებაში არ გეერიონ და დანარჩენი გამჩენელის საქმეა.

ხოჯას მეტი რამენ აღარ უთქმია. მისმა ნათქვამმა ყერი-ყერში ამეყვანა ყველაფერი.

გამუუნათდა სახე გულას, რეჯებალა კი ყინტორდასხმულივით იდგა ბუჯალში. „ხოჯის სიტყვა ძირში არნა დავარდესო“ – რაც თავი ახსოვს, ასე ასწავლიდა დედე ბადიშებს, ჰოდა, არც თვითონ შესიტყვებია ხოჯას ბადიშის თანდასწრებით, მარა დაღრეჯილ სახეზე ეტყობოდა ხიხათ ყოფნა. ნასლიხან ხოჯამ გულა გვერდზე გეხმო, – ახშანამაზიხან „ჩემთან გამოაო“ – დუუბარა და ნეცდა.

ხოჯის ნათქვამმა კიდევ ერთხელ გააკვირვა ბალანა. „ნეტაე მაგის თავიკაფალი ამახდევია და შიან ჩამახელიაო“, ფიქრობდა მისთათვინაე. ნამეტარი სხვანაირი იყო ხოჯა ეფენდი. ვინმეს არ ვავდა დუნიაზე. მაგაზე უმფო დიდი ხოჯებიც დუუნახია, მარა ეს კაცი სულ სხვა იყო. გულას დღევანდელ დღესავით ახსოვდა ის დრო, როცა ბალნებს მედრესეას მერე ჯვარი გაღმა გორაზე ხამი მინის დამუშავებაზე რომ მიდენიდენ. იმ გორიდან პირდაპირ უყურებდა კაცი ჯვარიგორის ქილისეს. ჰოდა, მაშინ აფრთხილებდა ხოჯა ბალნებს: – „ისე იბრომეთ, ზურგი ქილისესკენ არ მიაქციოთო“. მაშინ ბლაცვი ბალნებს ეგონენ, რომ ხოჯა ამას იმისთინ ამბობდა, რომ გორი გვერდზე ხრამში არ გადაჩეხილიყვენ. ახლა კი ხვდებოდა გულა, რომ

ხოჯა მაშინ უფრო დიდი რამესკენ მუუთითებდა, მარა გაჭრილად ვერ ებნეოდა ბალნებს...

ხოჯის ოჯახში გულაე დაღამებამდე მივდა. კარში მისი ბადიში გამეეგება და შიან შუუძღვა. ხალხი ყოველთვის ამბობდა მარა, მართლა თუ ასე გენგიმად ცხოვრობდა ხოჯა, არ იცოდა რეჯებალას ბადიშმა. ამდენი სიზენგილე ერთად ჰადმენ არ ქონდა დანახული. ქვის მოპირკეთებული იატაკი, ხის ნახიშლიანი თავანი, სპარსული ნოხებით დაფარული კედლები და ხისგან გამორჩენილი მაგიდა-სკამები ზღაპრის ხებრებს აგონებდა მისთვინაე. გულას გულში მწარედ ჩეეცინა, ახლა მიხტა, თუ რატომ აღიზებდა ხოჯის წვრილკანჭაე ფაციაე სოფლის ფუხარა ბალნებს. ამფერი ოდიდან გესული ციცაქსთინ რანდა მოგეთხოვა კაცს? კიდევ კაი, ეს სახლი პანაობაში არ ქონდა ნანახი, თვარა იმ ციცაქს წინილასავით წანყვეტდა კისერს. მართალია, გულას პან-პანაე ბრაზი ერეოდა ყოლიმფერზე, მარა ის თვალგამხილო ყაზახი იყო და მალე მუუკოჭა კუდი ბლეს და ხოჯის წინ სექესზე ჩამოჯდა.

დიდხანს ფიშმანობდა ხოჯა, თუ ჰაედან დეენყო ლაპარიკი. ბოლოს თავი მუუყარა სათქმელს და თავდახრილმა დეანყო:

– ამ სოფელში ჩვენი ოჯახი უწინდელიდან მოყოლებული თავისი ნაკითხობით და გამჩენელის თავგამოდებული სიყვარულით იყო ცნობილი. – ხოჯა პანახან გაჩერდა და კიდევ დაფიშმანდა ვთქვა თუ არაო და გააგრძელა, – შენ უკვე ნაკითხი კაცი გქვია და იმიტომაც გიყვები ამას, ბევთან ამაზე ვერ ვილაპარიკებდი. მარა, ჯერ ისნა მითხრა, შენი აზრით, ბუხრის დატევაზე რატომ მოგე დასტური?

– თქვენ რა იფიქრეთ არ ვიცი მარა, მე იმიზა არ დავშალე, რომ იქ ვენახმოხვეველი ჯვრის ნახიშლი ვნახე, მართალია, ჩვენ დღეს სხვა ღმერთს ვადიდებთ, მარა ჩვენი ძველები ძველად იმ ღმერთს ადიდებდენ. ჰოდა, მეც პატივს ვცემ ჩემს ფესვებს. – დუუფიქრებელი უთხრა გულამ და ფეხზე წამოდგა.

ოთახში იმფერი სუნგალი ჩამოვარდა, რომ ბალანამ იფიქრა, ჩემმა ნათქვამმა ხოჯა დააყ-

რუვა და დაამუნჯაო. ყველაფრის გაკეთებას ელოდა გულაჲ, მაგრამ ის, რაც მოხდა, წარმოუდგენელი იყო. ხოჯა წამოდგა და კედელთან მიდგმულ სკივრს თავი ახადა. იქ იმფერი ძვირფასი ჯამ-ჭურჭელი, ქამარ-ხანჯალი და ჩოხა-კაბები ელაგა, რომ გაკვირვებისგან თვალები შუბლზე უუცოცდა ზავალს. ხოჯამ ნელ-ნელა ამოალაგა ნივთები და სექვის ძირში ფარდაგებში გახვევლი რაცხა ამელო და ფრთხილად დადვა მაგიდაზე. ცოტა ხნით გაჩერდა, ეტყობოდა, საბოლოოდ ფიშმანობდა, გეეხსნა თუ არა ეს შეფუთილი სტუმართან და ბოლოს მაინც გაბედა. ის, რაც პანა ხნის წინ დეანახა, არაფერს ნიშნავდა იმასთან შედარებით, რაც ამ პანაჲ ზარდახშაში იდგა. ხოჯამ უსულით ამელო და მაგიდაზე დაალაგა დიდი და პატარა ზომის ჯვრები, ხატები, ჯვრიანი ნიგნები და დიდი გასაღები.

– ეს რას ნიშნავს, ხოჯა ეფენდი? – ძლივს ამეაბლუკუნა გულამ.

– რას და, ყველამფერი ჩემი დედე-ნენეჲს დატევლია. მუსლიმების მოსლამდე ჩემი ოჯახის ნევრები მღვდლები იყვენ. იმ ქილისეჲს გასაღებს ჩემი ოჯახი ინახავდა ებზედი. ჰოდა, ზუსტად ქილისე რომ არ დეენგრიენ და ხალხიც არ მიეყოლებიენ ზედ, პირველი ამ სოფელში ჩემი დიდი დედეჲს დედე, სოფლის მღვდელი გამუსლიმანებულა. მერე ხალხი ამბობდა, რომ ამით ხალხსაც გული მიეცა და ადვილად გამეცვალეს ჯულიო. დიდხანს არჩევედა ამ ამბავს ხალხი, ბევრი ლანძღავდა, ბევრიც ამართლებდა მის საქციელს... დრო და დრო ყველამ ყველაფერი მიივიწყა. მარტვაჲ ჩემი ოჯახი დარჩა ორცეცხლშუჲ გამოკიდული. ძალვან ძნელია იყო ხოჯა და გულით ჯვარს ატარებდე... – უცებ ხოჯა ეფენდი გაჩერდა, გულზე მიიდვა ხელი. მეტი აღარაფერი უთქმია. ისევე უსულით ჩაალაგა და შეახვია ხოჯამ ნივთები და სკივრში გადამალა.

ენა გადაყლაპული იდგა გულაჲ შვა ოთახში და ველარ მიმხდარიყო, რა ხდებოდა, ან რაზე ეარჩია მაინცადამაინც ის ამ დიდი საიდუმლოს განდობისთინ. ბევრი კითხვა ერთად უტრიალებდა თავში და ბოლოს მაინც კითხა ხოჯას:

– რატომ მაინცდამაინც მე?

– არ ვიცი, ალბათ იმიტომ, რომ შენთან დიდ ვალში ვარ, ან იმიტომ, რომ პირველი ნაკითხი კაცი ხარ უკვე სოფელში, ან იმიტომაც, რომ გეყო ძალა და დედეჲს ჯინაზე მაინც არ დაანგრეე ჯვრიანი ბუხარი... არ ვიცი, უცბათაჲ მომინდა და ასე გადავწყვიტე. უკვე სხვა დროა მაინც, ან თურქები ველარ დაბრუნდებიან, ლელე კი, ოდესმე მაინც დუშურუნდება მის პირველ სადინარს...

– რომელი ლელე? – ისე ბლაცურად კითხა უცბათ გულამ, რომ მიხდა ხოჯა, რომ ლაპარაკის დამთავრების დრო მოსულიყო.

– რაც გითხარ, კარგად დეეხსომე და მარტო იმფერ დროს და იმფერ კაცს მუუყევი, ფჩხილიდან თმის ლერომდე რომ ენდობი...

ერთი თავით ამალლებული და ერთი ფუთით დამძიმებული მიაბიჯებდა ორლებში ბალანა და თავი სიზმარში ეგონა...

### სოფლის სასიძო

რეჯებალას ბადიშის სოფელში დაბრუნებამ ისე ააფუთუნა ხალხი, რაფერც ჟოლოჟვერის დანახვაზე აბრეშუმის ჭიები. ვინცხას ქალი ყავდა გასათხვარი, ყველაჲ ამათ ეზოში იჯდა დედაბუდიანად. საცოდავ ხენიფე ხანუმს მარტო სუფრის ალაგება-დალაგებაში ულამდებოდა. მოხუცები უსიტყვოდ უსმენდენ მათი ბიჭის სიძედ მიპირებლებს და მორიდებული ვართ ისტუმრებდენ უკან; ესაო და „ქალაქში ნასტავლი ბალნის დაყოლიება ძნელი ყოფილაო“, ან „ასე ამბობს ჯერ არ დავქორნილდებო“, ან კიდევ იმას მიზეზობდენ: „ვერაფრით მუუგრიხეთ კისერი და შევაბით ეჟვანიო...“ გულას კი ყველაფერი ეს სასაცილოდ არ ყოფნიდა და ძმა-ბიჭებთან თევზაობაში და ნადირობაში ათენ-ალამებდა. უმფო მეტად კი რეჯებალას წისქვილში იკრიბებოდენ და ყადიოლი დაუთაჲს საკაცოდან ჯემალას მოპარული ღვინით ირევდენ ჭკვას.

იმ დღესაც კარგად შემთრალეები იყვენ ბიჭები. რემზის, ხასანას და ბადრის სობიძირში

დაფენილ თივაზე ჩაძინებოდენ. ტაბლასთან გულაჲ და დაუთაჲს ჯემალაჲ შერჩენილიყვენ მარტვაჲ. რეჯებალაჲს ბადიში ხშირად ამჩნევდა, რომ ჯემალაჲ სიმთრალისხან, პანაჲ აღმაცერად ებუცვოდა. ერთი არა, ორი არა და სამი, ბოლოს ყელში ამუყვდა ბალანას და კითხა:

– ასე რაზე მიყურებ, ჯემალავ, შენთან რამე ვალში ვარ და არ მახსოვს თუ რაა ერთი, იმიხსენი.

– ახსნას რომ ჭკვა ქონდეს და საშველი, იგიხსნიდი, მარა არ ღირს ძველი თორბის წახსნა. – თავი გააქნია ჯემალამ და ჭიქაში დარჩენილი ღვინო მოწრუპა.

– რა ამბავია ამფერი მე რომ არ მახსოვს? – კითხა გულამ და პანაი ჩაფიქრდა. ბალნობაში მისი სიჩინგნით იმდენი ვინმე ყავდა აყიამეთებული, რომ ახლა ვინ მოთლიდა, მარა კარგად ახსოვს, რომ ჭკვადამჯდარ ჯემალასთან შეხლა ერთხელაც არ მოსლია.

– არა მაინც ვერ ვხტები რაშია საქმე, ჰელე, ამოღერღე და მომიყევ ყველაფერი სანამ ბელაში შიმისწრიხარ!

– მართალია, მაშინ ბალვი იყავ, მარა მაინც არ გეპატიება მარტვაჲ ციცაჲს წისქვილში წამწყდევა. ვიცი, ხოჯაზე აჯელის ყრა გინდოდა, მარა ციცაჲ არნა გეგერია მაგ საქმეში.

გულას თან ეწყინა და თან გუუხარდა ჯემალაჲს ნათქვამი. ეწყინა იმიტომ, რომ ციცაჲს სახელის ფინთად ხსენება არ იყო ზოვლი ხებერი, მარა გუუხარდა ის, რომ უმფო სხვა რამე რომ ყოფილიყო კაცობაში შესარცხვენი, თავის გამოსაყოფი ადგილი არ ექნებოდა მემლექეთში. გულამ დანვრილებით მუუყვა ჯემალას იმლამინდელი ამბავი და თან დაამატა:

– ჭო, გათხოვლი ქალის საქმეებს რაზე იძევ, რაში გჭირდება? ისე, მართლა ჰადაა გათხოვლი ხოჯის ბადიში?

– ვინაა, ჭო, გათხოვლი? – გუუკვირდა ჯემალას. – მაგა ხოჯა ქალაქში არ გაათხვებს და სოფელში კი შენ გარდა ვინმეს ოჯახში შესასლელი პირი არა აქ მაგას.

– რაჲ, ჭო? – დააფჩინა პირი გულამ. – რას ქვია არაა გათხოვლი და ილლექი ჩემი მოსაყვანიაო? რა-

ცხა ვათრიე იმ ყიამეთში არ მეყო და ახლა თურმე ჩემ სახშიდა ევტანო გაბრექილი ხოჯა და მისი სურუნჯენიაჲ ციცაჲ? ჰაცხან არიან, იქ დეეტიონ და მე თავი დამანებონ, სანამ კაჲ ჭკვაზე ვარ ჯერაც.

– აბა, თუ ხოჯის ბადიშის ამოსლას არ უცდი, რაესთვინ არ მოგყავს ქალი? ორი-სამი წლით შენზე დიდვანი გოგვებიც რომ აცუდრუკდენ და ხას ვინ გიგზავნიან ელჩად, ხან ვის, რაზე არ ირჩევ ვინმეს?

– არნა დავქორწილდე, გინდანან რამე? – გაბრაზებული წამოხტა ზეზე და წისქვილიდან გევდა.

– შენ თუ არ გინდოდა, სხვას რაზე უშლიდი ხელს? – ისე მიაძახა ჯემალამ, რომ გულას ჰიჩ არ შუუტყია რამე. არა და, თურმე შეძლებულ დაუთას და ხოჯა ეფენდის ბალნების პანავობაში დუუდვიან პირობა, რომ მათი ბალნები ილლექი დეექორწილებიენ დიდობაში. ეს ამბავი მისდღემში არ უთქმია ჯემალასთვინ მამამისს, მარა ი ამბავი რომ მომხდარა, მაშინ გუუგია, რაფერ ებნეოდა დაუთაჲ მის ქალს, – „მაგ ციცაჲს, სხვისი არ ვიცი მარა, მე სახში არ შემეყვან; რაცხა უნდა, ის ქნას ხოჯამ. ალლაჰმა იცის, იქ რა მოხდაო... მას მერე ჩამუუდვია გულში ჯემალას გულაჲს წყენა და აქნობამდე უნიკია.

წისქვილიდან გესულ გულას გულში დიდი ხნის წინ ჩალაგებული დერდები უუფუთუნდნენ. მიწანაყრილ თესლებივით წამოყეს თავი ფიქრებმა და საფიქრალი უუფუნგეს ბალანას.

– „ვინაა, ჭო, გათხოვლი?“ – ექოსავით უბრუნდებოდა უკან ჯემალაჲს სიტყვები... „ვინაა, ჭო, გათხოვლი?“ – ტრიალებდა სიტყვები ჰაერში და აქეთ-იქით აბანცალეზდა. გულამ სახეზე წყალი შეესხა და წისქვილში შებრუნდა. მაგიდაზე ჩაქინდრულ ჯემალას თავი აანეგია დაკითხა:

– რას ამბობენ, როესნა დაბრუნდესო ხოჯის ბადიში სოფელშიო?

– გათოვლებამდე ამოვაო, გუშინ ებნეოდა ბაბას ხოჯა ეფენდი. – ნახევრად სიზმრიდან უპასუხა ჯემალამ და ხვრინვა ამოუშვა.

ახალმა ხებერმა ღვინით არეული ჭკვა უმფო უურია ბალანას. ჰადან არ მუუარა ამ ამბავს და ჰადმედან ვერ მოარგო გასალები. „ის რომ, იმ

დროში იმფერი წარაკვა და კუდაბზეკა იყო ი ციცაა, ახლა ვარესი იქნებოა“, – ფიქრობდა ბიჭი. „თვალკაკლის სილამაზით ქალი ვის მუყყვანიაო, თანაც იმა იმფერი წვიტი ქლიკები ქონდა, რომ ახლაც რამეთ არ ივარგებსო“ – ინუგეშებდა თავს და მაინც ხოჯის ბადიშისკენ ეპარებოდა ფიქრები.

დილით გაღვიძებულ ჯემალას ხან აქიდან უარა გულამ, ხან იქიდან, მარა გუშინდელზე სიტყვაც ვერ დააცდენია. „ეტყობა, მართლა სიმთრალით იბოდილა ყველაფერი და დღეს რამე აღარ ახსოვსო“, – გეფიქრა გულში და პანაზე დამშვიდებული გუყყვა სახლისკენ.

ხოჯის ბადიშის სოფელში დაბრუნებას სულის სიმწრით უცდიდა გულამ. პირველი თოვლი ისე მოვდა და აშრა, რომ იმ ციცაას ამბავიც კი არ ამუშტანია ვინმეს ქალაქიდან, არათუ ი გოგო ამოსულიყო. ცოტა არ იყოს, გულზე მუშტირა, – „ვათუ, ტყვილა იმედები ჩევდევი გულშიო“, – მარა, მაინც არ იტეხავდა გულს. რეჯებალასთან კი ისვენ რძლობის მპირებელთა რიგები იდგა.

ერთხელ, სახლში მისულ გულას ოდაში ხოჯა ეფენდი დახტა სტუმრად. ზრდილობიანად დუშკრა თავი მისალმების ნიშნად და მოხუცებისგან მომორებით ბუხართან დაჯდა.

– დღეს სტუმრად ქომოების ყაანი იყო ამოსული, – ბადიშის გასაგონად თქვა რეჯებალამ.

– მერე? – ვითომც აქ არაფერიო, ისე იკითხა გულამ, – უნდოდა რამე თუ?

– კა ციცაა ყოლია თურმე გასათხვარი, სულმთლად ბალანა.

– მერე ჯერ გაზარდოს. – მოკლედ უპასუხა ბალანამ და ბუხარში შედებულ დიდ ჯირკს მხარი მუშტყვალა.

– ქო, როცხა ხომნა დაქორწილდე? – გაბრაზებით იკითხა რეჯებალამ.

– როცხა – კი.

– დღეს რა გიშლის ხელს? რაფერ, შენი მოსაწონი ციცაა არ დეჟარება ამ დუნიაზე, ნეტა?

– ჰადმენ რომ გეველო, დევნახევი. – ნიშნის მოგებით უპასუხა დედეს ბადიშმა და ფეხზე წამოდგა. ადგომისხან გულამ დეჟანახა, რომ ხოჯა გაფაციცებით ისმენდა მათ ლაპარაკს და თავში

ერთი აზრი მუშტყდა; იმ წამალად დეეტკბო ენა და დედეს უთხრა:

– მარტო მე რომ მომჩერებხართ, ადექით და თქვენაც შეარჩიეთ ციცაა. მარტო ჩემთვინ ხომ არნა მეყყვანო, არა? თუ იმფერი გოგო ნახეთ, რომ ორივეს მოგენონენ, მეც მევენონებ და ვიქორწინებო. – ისე უთხრა გულამ დედეს, რომ ხოჯისთვის თვალი არ მუშტყვილებია. ამ სიტყვებზე ძალვან აფორიაქდა ხოჯა ეფენდი. ეტყობოდა, რომ ჯემალას ოჯახივით ხოჯაც ფიქრობდა, რომ მისი ციცაასთვინ ყველაზე კაა გულამზე წაყოლა იქნებოდა. ახლა კი, როცხა ბალნის სიტყვები მეყყურა, პანა არ იყოს, მუშტყირა კაცს, ვათუ, ციცაას ამოსლამდი დაქორწინდაო.

ხოჯის სტუმრობის მერე უფრო დარაათებული დადიოდა გულამ. მისი ქკვით, ქალი უქვე დაგულვილი ყავდა და ახლა იმა უცდიდა, როასნა ამეყყვანენ სოფელში და დეეჯდუმლებიენ მისთინ. სოფლის ბიჭებმა ერთხელ ისიც უთხრეს: „გოგვების სახელ ნუ აფუჭებ, ვინცხაა ეჟჩიე თვარა, ვინც შენზეა ნათქვამი, სხვები აღარ აკითხვენ და დარჩებიან გოგვები გუშუთხვარიო“. ამ სიტყვებმა ნამეტარი გული ატკინეს გულას და პანა ჩამოაქაჩიეს. არანდარა, რა ქონდა იმფერი გადასარევი? პანას თუ გეჟჩირებდა კაცი, მისფერ ჯარგვალს ყოველთვის დადგამდა; სწავლითაც ამ უცოდინარ სოფელში დიდად ვერ გააკვირვებდი ვინმეს. პირიქით, „ჰელე, არნა დევნახო რამინა გამეყყენოს ქკვაო“, – იცინოდენ მის ზურგს უკან სოფლელები. თანდათან მიხტა გულამ, რომ ხალხმა ცალყბად დუშწყო ყურება და ერთ დღეს ყველას გამუშტყვადა. „ხალხო, მე ვინმეს არ ვწუნელო, ჯერ ვერ დავქორწილდეები, კაა ნიშან-ბოხნის ფარანა მოვაგროვო“. ეს ამბავი უცბათ გავეცელდა და ხალხსაც პანაა ბრაზი გუშარა.

ამ ამბების მერე, პანაზე კარჩაკეტილი გახდა რეჯებალას ბადიში. დილიანა მიდიოდა წისქვილში და ქალაქიდან წამოღებულ წიგნებს კითხულობდა. ახლა რომ ხნა-თესვის ზამანი ყოფილიყო, მთელი ძალ-ლონით დეჟწყებდა მუშაკობას და საფიქრალისთინ დრო აღარ დარჩებოდა, მარა ამ ზამთარში რანნა ეკეთებია? არც სახში უნდოდა

დიდხანს ყოფნა და მოხუცების გუუთავებელი ჯუჯღუნის ყურვება. ჰოდა, რაფერც იხერხებდა, ისე არიდებდა თავს ხალხში გამოჩენას. დრო და დრო სოფელში იმაზე დეხწყეს ლაპარაკი, რომ ზაქარაჲ ხოჯიბადიშის ამოსლას უცდის და იმიზა არ ქორნილდებო. რა წყალში გადავარდნილიყო აღარ იცოდა ბალანამ. სწორედ მაშინ მიხტა ერთ დიდ სიმართლეს. „სოფელი აგაშენებს და სოფელი დაგაქცევს“. აბა, რას ერჩოდენ ბალანას? იყო მისთათვინაჲ ერთი სოფლელი და უფარო ყაზირალი. მარა იმდენი ტყვილ-მართალი იბლუკუნეს მასზე, რომ ზოგისთინ რომ გეკითხა, ხოჯაზე მეტი ფარა ქონია გადამალული, არადა, ერთი ზავალი ბეშობილიც არ უჭყაოდა სახში. ნეტაჲ, ჰიჩ არ დეენგრევია ძველი ფაცხა, მეეყვანა ერთი ლამაზი ციცაჲ სახში და ყოფილიყო თიბილად. არც ხალხის სალაპარაკო გახდებოდა და მითუმეტეს, არც გასარჩევი. სიმართლენა ითქვას, მართლა რამე არ დუშავებია, მარა იმდენი მომდურავი გეჩინა, რომ ისევ ძველი ჩინგანი ბალანა ეგონა მისი თავი. კიდვენ კაჲ, დიდი თოვლი მოვდა და ხალხმა მიმოსლა შეაჩერა და გულაჲც დამშვიდებული დაჯდა სახში გაზაფხულამდე.

### სასულა

ლილიჭრელობაზე გულას დერდები სულ თლათ გეეფანტა გულიდან. დილიდან სალამომდე დედესთან ერთად მუშაობდა ყანაში. სალამოს კი მეზობლის ბიჭებთან ნარდის თამაშით გაყავდა დრო. ამ სალამოსაც ყანიდან ამოსული, ლამაზად დაბანილ-დახაჩიჩული იდგა ფეფენიკში და თუთუნს წრუპავდა. პან-პანაჲ წვიმდა, მარა იმფერს აელვებდა, რომ ეტყობოდა მაგრათნა განვიმებულებიყო. ის იყო სახშიდა შესულიყო, რომ სოფლის ბიჭებმა ჩამეფარეს თოხებით.

– ხომ მშვიდობაა? – გასძახა ბიჭებს.

– მშვიდობაა! გზაზე შვავი ჩამონვა და ხოჯის ოჯახობამ დიგვიძახა დასახმარებლად.

– ამ ლამე რა გერქარებთან მერე, ხვალამდე გედელეებს და მერე გავწმინდოთ. ახლა გადმოთ

რამე ნევლეკმოთ. – დაპატიჟა ბიჭები თავისთან გულამ.

– არა, ჭოვ, გაგიჟდი? გზაზე ხოჯის ბადიშის და მისი ქალაქელი სტუმრებით სავსე ურემი დგას. გზა ახლავენა გავწმინდოთ. – გადმოსძახეს ლობიდან.

– დახმარება ხომ არ გინდებიან? – ვითომ უხალისოდ და ზრდილობისთინ იკითხა გულამ.

– კილამ მთელი სოფლის ბიჭები იქ არიან, თუ არ გეზარება, შენც წამოჲ.

– არა, დილვენაჲ თუ ტაროსია ყანაშინა ნევდე. – გასძახა გულამ და ოდაში შევედა. მთელი ლამე ინვიმა გუუჩერებელი. ვერ მიმხტარიყო გულაჲ, წვიმის თქეში არ აძინებდა თუ ხოჯის სტუმრების ამბავი. დილაუთენია წამოდგა და ტანტრაბაში მოყვა ბოდიას. ადგილს ვერ იძევდა მისთინ. ვერ მეენელებია ის, რომ არ წაყვა გუშინ ბიჭებს ხოჯის ოჯახობის დასახმარებლად. რას იფიქრებდა ახლა ხოჯა? არა, სხვა რომ ყოფილიყო, ხომ დუუძახნელი გეექცეოდა პირველი, მარა ხოჯის ბადიშის ფეხზე კიდვენ ერთი აბლაცუნება არ იკადრა ბიჭმა. მის ჯინაზეც იმფერი წვიმდა, რომ ორლობეში კაცის ქაჭანებაც არსად იყო ვინმეხსთვის რომ გუშინდელი ამბავი ეკითხნა...

სამი დღე და ლამე ინვიმა იმ დღის მერე. ბოლოს იმფერი გამეფდარა, მზემ წამსხვანი გუუთბო დედამინას. იმ დილით დედემ ყანაში წასლაზე ვარი თქვა „სველი იქნებო“ და ამიტომაც გულაჲ სოფლის მეიდნისკენ გუუყვა გუნდრუციო. მეიდნის ჩარდახში სოფლის ბიჭები როხროხობდენ. გულაჲს მოსლა ჰიჩ არ გუუგიან ბიჭებს, ისე იყვენ გართული ლაპარაკში.

– ჭო, ქლათ მაგფერი ლამაზები კი არ არიან, მარა ჩვენი ჩაფუთნილი გოგვების მერე აჲ თავახდილი ქალაქელი გოგვები სხვანაირად გვეჩვენება და ესსაჲ მარტვაი. – ამბობდა ერთი.

– ახლა ბლაცვი არაჲ აგი? – გუუკვირდა მეორეს. – ბეჩო, ჯერ ჰადმენ დიგინახია მაგფრათ მოხატული და კაცივით შალამოცმული გოგვები. დევფიცავ, მაგფერ ციცაებს ჯერ ჩვენ მიწაზე ფეხი არ დუუბიჯებთან.

– არა, მართლა ხოჯის ბადიში რომელი იყო მაგენიდან? – იკითხა გალმელმა გივიამ.

– ხოჯის ბადიში შენი საქმე არაა, – დუყული-პეს თვალეზი გივიას და გულაზე ანიშნეს. იმან კი რამე არ შეემჩნია და ვითომც აქ არაფერიო, ისე კითხა ბიჭებს:

– ბიჭებო, სოფლის მუხთარი არ დიგინახიან ჰადმე?

– სოფლის მუხთარი წვიმებამდე ქალაქში წევდა და ჯერ კაე ხანი ვერ ამოვა. – უთხრა გულას ჯემალამ.

– რა ტყვილაე გამოვლაცუნდი ამხელა გზაზე, – ჩექნია ხელი ბალანამ და ბიჭებთან ჩამოჯდა. ერთი-ორი ხელი ნარდის თამაშის მერე ბიჭებს ქვედან ამოსული ახალგაზდები შუუერთდენ. ისინი იმფერს ფხუკუნებდენ შიგადაშიგ, რომ ბოლოს ხალხიც ეყოლიენ.

– ჭო, რაზე იცინით გვითხარით მაინც. – უთხრა ჯემალამ ახალ მოსულებს.

– რაზედა, ჩვენი „ჭყლურტაე“ ხომ იცით, ნითელთავაე მალხაზაე, – იცინოდა გივიაე, – შემოდგომაზე ქალი რომ დეინიშნა გალმა სოფელში... მისი ყაინი კიდვენ არ დაბრუნებულა ჯარიდან, ჰოდა, მამამისი იძახის თურმე სანამ რძალს არ მეყყვან, ციცას ვერ გუუშვებ სახლიდანო; ჰოდა, ამოსლია სული ყიაში ჩვენ ნითელთავას და ციცასთან შეპარულა.

– რაო, რა თქვი? მაგ ბლაცვლამაზამ მაგდენი გაბედა, რომ ციცასთან ღამე შესლა დააპირა? – იკითხეს სიცილით ბიჭებმა.

– დააპირა კი არა, შესულა კიდეც, მარა, „ბეჩის ნაქნარი ბეჩური იქნებაო“, ტყვილაე კი არ ამბობს ხალხი. ჰოდა, არევია ამ შვაბეჩას და ქალის ნაცლად, სასიმამროს შეგორვია კილამ ლოგინში. – გასკდა სიცილით გივიაე. – იმფერი უცემიან ზავალი, იმფერი, რომ ახლა დაშინებული იძახის ებბედი ქალის მომყვანელი არ ვარო.

– რანდა იქნას მერმენ მაე ხებერი? – სერიოზულად იკითხეს ბიჭებმა.

– რადა, მეყყვანს, აბა რას იზამს, მარა საცემი მაე კი არა, მისი ემიაშვილები იყვენ. ისე გუუშვეს ბალანა ქალის სახში, რომ ყველაფერი გარკვე-

ვით არ უუხსნიან. ყველაფერს თავისი წესები აქ.

– გაბრაზებით ჩექნია ხელი გივიამ. – ჯერ ისაა, რომ წინდანინა იცოდე, რომ დანიშნულის ოთახში მის გარდა ვინმე არ წვება. მერმენ იცოდენა ისიც, რომ დანიშნული ციცაეს ოთახს ოჯახის კაცები იცავენ და იქ შესლა მარტო მაშინაა სატრაბახო, თუ ისე შეე და გამოე, რომ ვინმემ ვერ დიგინახა. აბა, ცხვირ-პირს თუ დიგილიღვავენ ცოლისიანები, რალა კაცობაე მაგი?

– ჭო, ერთი რამე ვერ მივხტი მე, – იკითხა ერთმა, – თუ შესლა შედღება ქალთან, მაშინ რაზე ცავენ ოთახს?

– სერსემ! – დუუძახა გივიამ, – ქალთან ჩუმათ გადაპარვა სიძის პატივია, ოთახის დაცვა კი – ქალის ოჯახის.

– მეცაათ, კიდვენ და გკითხოთ ერთი სიბლაცვე, – დეწყო ისევ იმ პირველმა, – უცბათაე რომ ქალი დაფეხიძიდეს, მაშინ?... – გეეცინა ნინველს.

– მერე რა, მაგას იმიზა იჯებიან, რომ ქალი დაფეხიძიდეს. ქალის დაფეხიძიმება კი იმიზა უნდებიან კაცებს, რომ ქორწილი დააჩქარებონ ქალის ოჯახს.

– თუ ქორწილი მაინც ვერ მოხერდა ან დიდი თოვლია და ქალი პატრონმა ვერ წეყვანა, მაშინ?

– მაშინ, ექნე ქვა და შუუშვირე თავი, – უპასუხა გივიამ. – თუ ვერ წეყვანს პატრონი დროზე, ქალი ბალანას მამამისის სახში იშოვს და მერე ისე წეყვანს კაცისას. ჰოო, მთავარი დამავინყდა მეთქვა, – დაამატა ბოლოს, – ამფერ დაბადებულ ბალანას სხვანაარად რას უძახვენ ხომ იცით? – მაგის მეტი რა ვიცით? სასელას, ნაადრევი სხალის სახელსო. – გეეცინენ ბიჭებს. – სასელაეს მოსლამდე მისასლელ გზებში ვერ ვერკვეოდით თვარა, მაგი რავა არ ვიცითო, – დიდხანს ხორხოცებდენ ბიჭები...

### აჯელი

სოფლის ბიჭებს აყოლილი გულაე ცალი თვალით გზისკენ იბუცვოდა და მგზავრებს ათვალერებდა. სულისიმწრით ცდილობდა რაცხა გეეგ-



ნო ხოჯის ბადიშზე, მარა ჰადმეფდან არ უჩანდა პირი ხებრის მომტანელს. ბოლოს რაცხა მეამი-ზეზა და სახში ნევდა. ეზოში შესულს ოდიდან ქალების ლაპარაკი შემეესმა. გუუკვირდა, რა ხდებოდა და ბოსლის გვერდით ბოსტანში დედეს დაადგა თავზე.

– სტუმრები გვყავს? – იკითხა ხმადაბლა.

– ჰო, ხენიფე დილიდან ვერ იყო კარქად და ხოჯასთან აქიმი გოგვები არიან, იმათ დუუძახეთ გასასინჯათ.

გულამ კარგად იცოდა, რაფერი ავადყოფი იყო ნენე და რასაც ნიშნავდა ამ დილიანა იმ ციცაების სახში მოყვანა. – „მეტი რამე ვერ მეფიქრეთ ხომ?“ – გაბრაზებით უთხრა დედეს და წასლა დააპირა. სახლის უკნიდან ეზოში რომ გადიოდა, კიბეზე მდგარი ციცაა დენახა, რომელიც აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს. გულას ჯიხვის ჯინმა მუუარა და ციცას არ გამოლაპარაკებია, ისე გააგრძელა გზა.

– ერთი უყურეთ ამ ცხვირკუბბუხას! – ნამეძახა ციცამ და ჩქარი ნაბიჯით დენია ყაზახს. – ჭო, მე ბებიაშენისთინ ამხელა გზაზე ამოვეე და შენ სალამსაც არ იძლევი? ხომ არ გინდა, დედეს ნაყიდი ფეხსაცმელი შენ ფუნიან ბოსტანში დავსვარო და ისე დუუკრიფო ხენიფე ხანუმს ფხალი ჟვერი?

გულა თვალებს და ყურებს არ უჯერებდა. ჯერ სად გაგონილა, ციცა ასე ელაპარაკებოდა უცხო კაცს. ანდა ასე თავახდილი დადიოდა სხვის ოჯახში.

– რაში ჭირია ნენეს ფხალი ჟვერი, ფხალობიას აკეთებს?

– ფხალობიას კი არა, იმას კიდევ. ქალს თავინა შუუხვიოთ ფხალი ჟვერით. ახლავენ მუუტაა. – ძველებურად გეებრიქა ციცაა და ჭყეტილა თვალებით ბუკი გუუხრიტა. – ისევ იმფერი ხეპრე დარჩენილხარ! ნეტა, ამ სოფელში ერთი ბიჭი მაინც თუა ნორმალური?

– შენფერი ცერცეტაა გოგვებისთინ არ მგონია, თავი ნეხდინოს რომელიმე მაინც, ტყვილა არ ეძებო. – მიაძახა გულამ და უკან გაბრუნდა. ჩქარ-ჩქარა მიმოკრიფა ქორფა ფხლის ჟვე-

რები, წყალში კარქა გარეცხა, მერე დაფერთხა და ოდაში შევდა. სასტუმროში ხატოსავით თავახდილი გოგვები ტრიალებდენ მოხუცის ირგვლივ. ბიჭი ხმამალლა მიესალმა ყველას და პირდაპირ ნენეს საწოლისკენ ნევდა.

– რა გჭირს, ნენულავ? – ისე თბილად კითხა მუხუცს, რომ ხუთივე ციცაა ადგილზე გაშეშდა. უცბათაა მოლბა ყველა და ანთებული სანთლებით დენყეს გრეხვა პრანჭვისგან. ზურგს უკან გოგვების ფუთფუთს ყური არ ათხოვა გულამ. ნენეს ჯერ შუბლი გუუსინჯა, მერე მაჯა დეეკავა ხელით და გულიფეთქვა დეეთვალა. – ნენი, შენ თუ მარტვაა ყოფნა მოგენყინა და სტუმრებით გახალისება მოგინდა, შენი ნებაა, მარა ახლა ადექ და აგენს რაცხა აჭამ-ასვი, თვარა ხვალ მთელი სოფელი ილაპარაკებს: „რეჯე-ბალაჲს ოჯახზე ავადყოფი და ფუხარა მეორე არ მეძევა სოფელშიო“.

– რაზე ფიცხოვ, შვილო? უცხოებთან ასე არ შეძლება, ნენი. – ნუუხტა ნირი დედაბერს, რადგან მიხტა, რომ ბადიშის გაცურება არ ყოფილა ადვილი. ნელ-ნელა ნამონია თავი და ნამოდგომა დააპირა. ციცაები დაფაცურდნენ და ნენეს ნამოდგომაში დახმარება დააპირეს, რომ გულამ ხელის აწევით შეაჩერა ყველა. – ნენი ავად არ არის, ალბათ, ქალაქელი ციცაების ნახვა მუუნდა და თვალს წყალი დაალევი. კარგად ბრძანდებოდეთ! – დუუკრა ყველას თავი და ეზოში გევდა. ცოტა ხანში ციცაებიც გამოვდენ ეზოში და ჭიშკრისკენ გეეშურენ. წინ წესულ გოგვებს უცბათაა გამეყო ხოჯის ბადიში და გულასთან მივდა:

– ვალი გადახდილია! შენი რამე აღარ მმართებს. გმადლობ, რომ გადამარჩინე. – უთხრა და თვალები ეშმაკურად აატრიალა.

– რას ქვია ვალი გადახდილი გაქ? – ტვინში აასხა ბრაზი გულას. – რაა, ცავ, ამას უძახი ვალის გადახდას? იცი რა გედევტაა მაშინ? არა რა, ბლაცვი ვარ ბლაცვი! კი არნა დაგხმარებოდი, თოვლინა ნემეყარა თავზე, რომ მაა ყრალი ენა კიდვენ აღარ გეტარტარებია. მომინდომა ერთი ნაფუუკუნებით ვალის მოხდა. მთელი ცხოვრება რომ მორბედად დიმიდგე, ჩემი ვალიდან ვერ

ამოხვალ, გეგენი? – დუჟკრიჭა ბიჭმა კბილები დამცინავად მოციცინე ციცას და ხელით გასას-  
ლელისკენ მიანიშნა.

გოგვების ნასლის მერე რეჯებალას ბადი-  
ში ოდაში ჩეკეტა და დიდხანს ბრაზობდა მის  
თავზე და იმ ხეპრე გოგოზე. ვერ მიმხტარიყო,  
ასე ადვილად რაფერ გამოყავდა ამ ციცას წყო-  
ბიდან. „სადმე ხრამთან რომ შემხდეს მარტვაი,  
წიხლს ვკრავ და გადავჩეხავ მაგ ლიფსიტას მა-  
გას... რა მოხდა მერე? იმ ღამე წისქვილში რომ  
არ ვყოფილიყავ, კტარი არ იქნებოდა მაგ ზავალი  
მაინც?“ – ფიქრობდა გულში და თანდათან ეცი-  
ნებოდა საკუთარ თავზე, – „ასე რაფერ მაპარპა-  
შებს ეს ქალის ნაწყვეტაჲ, ეგო“. ბევრი ფიქრის  
მერე გულამ თავს პირობა დუუდვა, რომ არათუ  
ამ ციცას მეყვანდა ცოლად, პირიქით, ისე გუ-  
უმნარებდა სიცოცხლეს, რომ სამუდამოდ გააქ-  
ცევდა სოფლიდან.

\* \* \*

სახლში დაბრუნებული ხატოჲ ცოტა არ იყოს  
აფორიაქებული იყო. იმდენი ხანი უცადა გულა-  
სთან შეხვედრას, რომ თითქმის ყველა წუთი ქო-  
ნდა წინდანინ გაყურვილი, მარა ბიჭისგან ამფერ  
შეხვედრას არ მეელოდა ციცაჲ. ეგონა, ერთი  
შეხედვით დააბამდა და სამუდამოთ დეეტევედა  
მის გვერდში, მარა ამდენი ნაფიშმანი ერთიანად  
ჩეფეუშა ხელებში. „ამ ბიჭის მორჯულება ძნელი  
იქნება, მარა მაინც გეცტან ჩემსო“, – გადანყვი-  
ტა ციცამ და დეიკაპინა ხელები.

ჯერ იყო და შინავრები გააგზავნა ბიჭთან  
– „ხოჯას უთქმია, უსტავლელს ციცას ვერ გა-  
ვატანო, ნასტავლი კი მარტვაჲ შენ ხარ სოფელ-  
შიო“. – გულას ამაზე ბევრი უცინია და ასე შუ-  
უთლია: – „ქალაქში იმდენი ნასწავლია, რომ თუ  
ამფერი კაჲ ციცაჲ ყავდა, იქ მიეფეჩვებია ვინ-  
მეღსთვინო“. მერე იყო და „ძველი ამბების გამო  
გულაჲ ვალდებულია ცოლად მეყვანოსო“. ამა-  
ზე გაბრაზებულს უთქმია: – „იმისთინ ხომ არ გი-  
დომირჩენია, რომ ჩემი ცხოვრება ემენგრევიო“  
და ა. შ. მარა რამემ არ გაჭრა. ბოლოს, ციცასაც  
ყიაში ამუუვდა გულაჲს ამდენი თავის დაფასება

და გაბრაზებულმა ხალხში ხმა გაავცელა: „ხოჯა  
დედეჲ მაძალეხს თვარა მაგფერ ძიგვაამოკერილ  
ფუხარას სალამსაც არ მივცემდიო“. ამას კი აღ-  
არ მეელოდა გულაჲ და ცოტა არ იყოს, გულის  
ბალანი დუუთეშა ხატოჲს სიტყვებმა.

იმ დღის მერე კაჲ ხანი რამე არ გუუგია ხა-  
ტოზე. უკვე ზამთარი იყო და იმით იმშვიდებდა  
გულაჲ გულს, რომ ციცაჲ ქალაქში ველარ ნეე-  
ლოდა მისი მეგობარი გოგვებივით. ერთხელ  
ხოჯის ნათესავი ბიჭი ამოვდა მასთან და ჩუმად  
ხატოჲს წერილი მიაფეჩვა. „ვიცი, ჩემზე ძალვან  
ხარ გაბრაზებული, მარა მაინცნა გთხოვო ერთი  
რაცხა. ხვალ დილაზე შენს წისქვილში ამოვალ  
და დეგელაპარიკები“. – ეწერა წერილში. იმ ღა-  
მის გათენებას სულუხსარივით ელოდა გულაჲ.  
ამდენი გულისტკივილი უკვალოდ გამქრალიყო  
და ახლა, რადგან ასე შემობრუნდა საქმე, მზად  
იყო ფეხებში ჩავარდნოდა ციცას და მთელი  
ცხოვრება მის ფერებაში გეეტარებია. მთელი  
ღამე ზინზრიქებდა ლოგინში და ბორგავდა. რა-  
ცხაფერ იქნა, ძალით გაათენა ღამე და მერე პა-  
ნაჲ შეეშინდა: „ვაითუ, სულ სხვა რამეზე მიბარე-  
ხს და სულაც არ ფიქრობს იმაზე, რაზეც მეო“. ასე  
ხიხათ ჯერ არ ყოფილა. უცბათაჲ სხვა რამე  
რომ ვერ მეფიქრა, გაახსენდა დედეს სიტყვები:  
„როცხა ძალვან გვიჭირს, ქილისეში ავდივართ  
და თუ ვინმე არ გვიყურებს, გორხულო ქვების  
წინ ვიმუხლვით და უბეში გადანახულ სანთლებს  
ვანთებთ ძველებივით და იქავრ ღმერთს დახმა-  
რებას ვთხოვთო“... ჰოდა, გულამაც სანთლების  
დანთება გადანყვიტა. რაფერ ეარა ქილისეს  
აღმართი, ვერ მიხდა. ამ ებოში ამოსლა იმფერ  
შეებას აძლევდა გულზე, რომ ბალნობიდან მო-  
ყოლებული, სულ აქ იოხებდა გულის დერდებს.  
ციცაჲს მოსლამდე სანთლების დანთება გადა-  
წყვიტა, აანთო კიდეც და რაცხაფერ ისიც მეიხე-  
რხა, რომ იქავრი ღმერთი მეელოცა... მერე წის-  
ქვილში ჩევედა, დაანთო ცეცხლი და ის იყო, უნდა  
წამონოლილიყო, რომ კარებზე ვინცხამ დააკა-  
კუნა. ბიჭი ნელა წამოდგა და კარი გააღო. კარში  
მარტვაჲ იდგა ციცაჲ. გულამ წისქვილში შუუშვა  
ხატოჲ და კარი მაგრად გამეფხურა.

– მეგონა, ჩემი კიდევ გეშინოდა და არ შემხტებოდი. – უთხრა ციცამ გულას და სექვზე წამოჯდა. ამ სიტყვებზე გულას სისხლი გეყინა ძარღვებში და იმფერმა გაბრაზებულმა შუბლვირა ციცას, რომ ი ზავალი შიშისგან კედელზე ეწურა.

– გისმენ! – ცივად უთხრა ციცას და თუთუნს მუუკიდა.

– ჰო, კაე ნუ იბრიქვი, რაცხანა გთხოვო, – დეინყო სერიოზულად ციცამ. – დედეა ქალაქში აღარ მიშვებს, იმიჩემა: „ილლექი აქნა გათხოვდეო“. არ ვიცი რაფერნა მევექცე. ხომ ხედავ, არ ვარ მე სოფლის ქალი, აქ რამეში ვერ გამოვდგები, მარა არ მინდა დედეს გული ვატკინო. გამოზაფულებამდის დრო მინდა მოვგო.

– მერე, მე რა შვაში ვარ? – გუუკვირდა გულას?

– შენდა დემეხმარო!

– რაფერ?

– დიმიანიშნოდა!

– რაო? – ფეხზე წამოდგა გულაე, – გააფრინე?

– ვიცოდი, ვიცოდი რომ ამფერი მოშიშარაები იყავით სოფლელი ბიჭები. უფროსების უკითხველი ფეხსაც ვერ გადაგადგმევიებენ. – თქვა ციცამ და ქვედან ამოხედა გაკვირვებისგან პირდაფჩენილ ბიჭს. – შევცდი, არნა მოვსულიყავ! – წამეტირა ციცამ და წასლა დააპირა. გულიანი პანა ხანს გაჩერდა და მერე ციცას კითხა:

– ასე რაზენა მექცე?

– თოვლი რომ ადნება, ქალაქში წევალ და იმ ბიჭს წავყვები ცოლად, ვინც მიყვარს. – უპასუხა ციცამ. ამის გაგონებაზე იმფერი დეეთუთქა გულას ჯიგარი, რომ უკან-უკან წაბარბაცდა. სიმწრისგან თუ სიბრაზისგან სისხლი გეყინა, მარა თავი ხელში ეყვანა და ციცას კითხა:

– თუ იმ ბიჭზე წაყოლა გინდოდა, იქ არ იყავ, აქ რა მოგარბენიებდა?

– არა, იქიდან რომ გავთხოვილიყავ, დედეა ჩემს ნენეს ამა არასდროს აპატიებდა.

– ახლა რანნა ქნა?

– ახლა არაფერი, დედეა ილლექი ვინცხას მიმათხვებს. ის ბიჭი რომ გაზაფხულზე ამოვა, თუ

წიმიყვანა წავყვები, თუ არადა, თავს მევეკლავ. აქ მაინც არ დავჩები. – დეაჩივლა ციცამ და ჩუმათაე ქვეშ-ქვეშ ამოხედა ბიჭს. გულას ცოტა არ იყოს, მართლა შეეცოდა გოგო და კითხა:

– ჩემთან რაზე მოე?

– შენ ერთადერთი ბიჭი იყავ ამ სოფელში, რომელიც მომწონდა. ის ქალაქელი რომ არა, ალბათ, მთელი ცხოვრება შენზე ვიქნებოდი შეყვარებული, მარა ახლა ყველაფერი სხვანაადაა.

– მე რაფერნა დეგეხმარო, მითხარ, აბა. – ფიშმანის მერე უთხრა გულამ და გულდანვეტილმა დუუყურა ციცაეს ლაპარაკს...

\* \* \*

ხატოეს და გულაეს ნიშნობა მთელი სოფლის სალაპარაკო გახდა. რას არ ყვებოდა ხალხი: „რეჯებალას ხოჯის სახში იმფერი ნიშან-ბოხჩა მუუტანია, რომ ხოჯას თვალეები შუბზე ასლიაო“, სხვეები კი ამბობდნენ: „იმ ფუხარა რეჯებალას რაეს ფარა ქონდა, რომ გელინისთინ რამე მიეტანა, ისვენ ხოჯის მოტანილი მუუტანიან უკანო“ და ამფერები კიდევ რამდენი...

გულას ისე ტკივოდა ყველაფერზე გული, რომ ზოგჯერ უკმაყოფილო მზერას აპარებდა ქილისეესკენ, ესაოდა, „ერთხელ ვთხვე რაცხა და ისიც ამფრად, შებრუნებული შიშისრულაო“, მარა თქმით ვინმესთან რამეს ვერ ამბობდა. დარცხვენილი ვერც თვალეებში უყურებდა მოხუცებს და უმეტეს წილად ოდაში გამოკეტილი იჯდა. მართალია, იცოდა, რომ ეს ნიშნობა რამეს არ ნიშნავდა, მარა მაინც ხატოსთან შეხვედრიდან შეხვედრამდე ქონდა დრო მონიშნული. რომ გეკითხა, მერე რა იქნებო, ვერაფერს გიპასუხებდა. თავის თავზე ეშლებოდა ნერვეები: „ასე რაზე დემემართაო“... გამოზაფხულეებულზე ოჯახებმა ქორწილისთინ დეანყეს ხიზმეთი. ამით შენუხეებულმა გულამ ხატოს სახში მიაკითხა. მართალია, ჯერ კიდევ ციოდა, მარა ციცაე თხლათ ჩაცმული, დიდ შალმოხვეველი იდგა ტანტრაბაში და გზას უყურებდა. რაც უფრო ახლოს იყვენ დასასრულთან, მით უმფო მეტად უყვარდებოდა გულას ციცაე. ახლაც ისე უფრთხოდა სული, რომ მზად

იყო მუხლებში ჩავარდნოდა და ისე ეთხოვა სიყვარული. ეპატიებია სხვისი სიყვარული და სამუდამოდ დეეხუჭა თვალი ყველაფერზე. უნდოდა, რომ სამუდამოდ მის გვერდში მდგარიყო და ყოველ ამოსუნთქვაზე უფრო და უფრო ზეით ეენია ეს გრძნობა. ახლოს მისულმა შენიშნა, რომ ხატო სულ მთლად გალურჯებულიყო სიცივისგან.

– რა ხდება, რატომ დგახარ ასე თხლად ჩაცმული ამ სიცივეში? – მზრუნველობით კითხა ბიჭმა და მხარზე ოდნავ გადამშპარი შალი ყელთან მუყყარა. მისი ყელის სითბო ისე მიეთბუნა თითებზე, რომ მთელი სხეული უზინზრიქდა და ძლივად შეაკავა თავი და რომ გულში არ ჩებლუჯა.

– ორ დღეში ქორნილი გვაქ, ზეგე დილას იბიჭი აქ ამოვა და დედეს ჩემ თავს თხოვს. კაე იქნებოდა, რომ შენაც შეპირებული გყოლოდა ვინმე და მარტვაე არ დარჩენილიყავ.

ციცაეს სიტყვებზე გულას მწარედ ჩეეცინა და ჩუმად უთხრა:

– მთავარია, შენ გიგიმართლოს ყველაფერში და მე რაცხა მეშველებაო.

იმ საღამოს გულასთან ხატოს გამოგზავნილი ბალანა მოვდა და უთხრა რომ: „ხატომ თქვა, დღეს ღამე ჩემთან მოვდეს იილექიო. რაცხა შეეცვალა და საქმეშინა ჩავახედო, თვარა ხვალ დილას ყველაფერი გვიან იქნებაო“. ამ ამბავმა სულ არია ბალანა. დაღამებას გულის ზორზოლით უცადა და როცხა ყველაფერი მიწყნარდა, სახლიდან ქურდით გეპარა და სიბნელეს შეერია. უსულით შევდა ხოჯის ეზოში და უჩუმარად გედეპარა ტანტრაბაში. მოსინჯა ფანჯრები და რომელიც ღია იყო, იმაში გადაძრა. ჩუმად მიმეახედა და როცხა დარწმუნდა, რომ ოთახი არ არეგია, ფეხაკრეფით მივდა ციცაეს ლოგინთან და ის იყო უნდა გეეღვიძებია, რომ გაშეშდა. ცხოვრებაში პირველად ხედავდა ლოგინში დანოლილ ქალს. თეთრი მხრები მთვარესავით მუყჩანდა ლოგინში ხატოს. ისე ღმათ ეძინა ციცას, რომ გულად მზად იყო, აგზენ დარჩენილიყო და მისი ძილისთინ ედარაჯა მთელი სიცოცხლე. ამ წუთში მასზე ბედნიერი კაცი დუნიაზე არ დეია-

რებოდა. სული ყიაში ქონდა მობჯენილი და ძლივად იკავებდა ცრემლებს. უნდოდა ხელში ეეხუჭა და ასე ენიკა სიკდილის ბოლომდე მისი გულის ნაფეთქარი ციცაე... ამ ფიქრებში იყო გულად, რომ ხატო ლოგინში გადაბრუნდა და თავზე დამდგარი კაცის რომ დეენახა, კინალამ იკივლა, მარა მალე მოვდა გონზე და ლოგინში წამოჯდა. შიშველი მხრები ახლა კიდევ უფრო მუყშიშველდა ციცას და უფრო დიდზე დაზაფრა ყახახი.

– დაჯექი ჩემთან! – ჩუმად უთხრა გულას და მის გვერდით ალაგზე მიანიშნა.

– არა, აგზე ვიქნები. – იუხერხულა ბიჭმა.

– მოე-მეთქი, რაცხანა გითხრა! – ჩუუფურჩულა და გვერდზე მიინია.

გულა ფთხილად ჩამოჯდა ხატოსთან და ყინულივით გაშეშდა. ხატომ მეორე ბალიში ამეღო ლოგინიდან და ზურგის უკან დუუდვა ბიჭს. გულა მთელი ტანით მიეყრდნო ბალიშს და გეეტრუნა. ხატომ პანაზე წამონია თავი გულას მიყრდნო მკერდზე. ბიჭი ისე აზინზრიქდა, რომ უკვე ვეღარაფერს მალავდა. ის იყო უნდა წამომსტარიყო ლოგინიდან, რომ ხატომ დააკავა.

– იცი, რაზე დიგობარე? – ჩუმად კითხა ციცამ ბიჭს და ქვეედან ახედა. – კიდევ ერთი რაცხანა გაგანდო. მე რომ დღეს რამეეს შეცლა შემეძლოს, – მოყვა ამბავს შორიდან, – ამ ქორნილს არ ჩავშლიდი და სამუდამოდ შენთან დავრჩებოდი, მარა...

– რა მარა, რა ხდება? მითხარ თუ ღმერთი გწამს, თვარა ამძრა სული ცდაში.

– მინდა, რომ ამ ღამეს ჩემთან დარჩე. მინდა, რომ ამით მაინც გიდიგისადო ვალი, იმ ყველაფრისთინ, რაც ჩემზე გიგიკეთებია.

– არა, რას ამბობ? შენ მალე სხვისი ცოლინა გახდე.

– არა უშავს. მასთან უკვე ვიყავ და... ამიტომ რამე არ დემემჩნევა. – თქვა ციცამ და თვალი მოაშორა გულას.

თავზარდაცემული ბიჭი ყურებს არ უჯერებდა. უცბათაე იმფერი ბღეზი მეერია, რომ მზად იყო ყიაში ცემოდა ციცას და ერთი ხელის მოსმით დეემთავრებია ყველაფერი. მარა, მარტო

ეს არ იქნებოდა საკმარისი. უნდოდა, რომ მისი სიყვარულისთვის, საქმროს ღალატისთვის, ხოჯის შერცხვენისთვის და საერთოდ, ყველა უკეთურებისთვის ერთად ეზღვევია. ის იყო წამოდგა და ხელი წეღო ხატოისკენ, რომ კიდევ ერთხელ გაშემდა ზავალი. მის წინ ულამაზესი ციცაი იწვა ნახვარად წამომჯდარი და ცრემლიანი თვალებით ეხვეწებოდა: „ნუ გამწირავო!“ გულამ იგძნო, ცოტა კიდევ რომ ეყურებია მისთვის, მართლა ვედარ შეეკავებდა თავს და უჭკვო ქალის დაკრულზე მოყვებოდა ცეკვას. ამას კი ებბედი ვერ აპატიებდა თავს... გულას დედეს ნათქვამი სიტყვები გაახსენდა უცბათა: „ჭკვას კაცმა უნდა მუუხმოს, თვარა ქალებს იგი ზოგჯერ ჰირ არ მეეთხოვებო“ და იმწამალა ნუუჭირა ციცას ყიაში, მარა, დასახჩობად წაღებული ხელეზი მისთათვინაჲ რაფერ მეეხვია ხატოს, ეს ვედარ მიხტა... დიდხანს ეფერებოდა და კოცნიდა გულაი მისთვის ამფერ საყვარელ და საძულველ სხეულს. უკვე ყველაფრის კვალი წაშლილიყო. ჰადმენ აღარ იყო სიყვარული და პატივისცემა, აღარც სიძულვილი და შუღლი. მარტო აჩხერებული სისხლი და აფორიაქებული სული დარჩენილიყო ქარიშხალივით, რომელიც ყველას და ყველაფერს გულში იხვევდა და ანადგურებდა...

ჰადამდე გაგრძელდა ყველაფერი, აღარ ახსოვდა გულას. უსიტყვოთ მიჩერებოდა ჭერს და თვალებიდან სიმწრის კურცხლები ცვიოდა. მის მკერდზე ჯერ კიდევ ფეთქავდა გული, რომლის მოსპობაც ასე გულთ უნდოდა და მზად იყო კიდევ, ყოველ წუთში დეესრულებია დანყებული საქმე, მარა, იმწამალა ახსენდებოდა, რომ ყველაფერში მანაც იყო გარეული და ამიტომაც

იჯდა ხელფეხშეკრულივით. რამდენ ხანს იყო დაყუყვილი ციცაას ლოგინთან არ ახსოვდა, მარა როცხა ცაზე მთვარე ამეწვერა და ცის კაფალზე მამალივით დაწუნდა, ისე გამოზინდა ყოლიმფერი, რომ წასლა დააპირა. მძიმედ აათრია ტანი ლოგინიდან და ის იყო ჩაცმას აპირებდა, რომ კიდევ ერთხელ დეებუცა ლოგინს და სუნთქვა გუუკავდა, თაბრუ დეესხა და სანოლის წინ მუხლებზე ჩეიჩოქა. ასე დარჩა მანამ, სანამ არ გეესაზრა, თუ რაფერ მოატყვილა კიდევ ერთხელ ამ ციცამ და სამუდამოდ გააბა მახეში...

გულაჲ გათენებამდე ჰადმენ აღარ წესულა. ჰირარ უფიქრია იმაზე, თუ რაფერ უნდა გესულიყო აქიდან ან რაფერნა ეეტანა ციცაას ოჯახისგან ქოთი. ის ახლა სულ სხვა რამეზე ფიქრობდა და უსულ-უსულით ალაგებდა მომავლის გეგმებს. დილაადრიან ეზოში გესული ისე ნელა მიაბიჯებდა, გეგონებოდა, განგებაი ენახვებოდა მთელ სოფელს ხატოს ოთახიდან გამოსული და ეტყობოდა, რომ ისიც აღარ ადერდებდა, ვინმე თუ ცხვირ-პირს დუუღელავდა... ჭიშკართან მისულმა ფეხებთან მიფორთხებულ ძალს თავზე ხელი გუდუუსვა და შემთხვევით თვალი წამოკრა ღობეზე ინდაყვჩამოყრდნობილ რეჯებალას და ხოჯა ეფენდის, რომლებსაც ჩუმათაჲ ეცინებოდენ ბუეუღებში და მაშინათვე ყველაფერს მიხდა... გახარებულ ბაღანას მისთათვინაჲ გულში აღლები ჩუუდინდა და მადლიერი მზერა გეეპარა ჯვარიგორისკენ, სადაც გორხულო ქვიებით გარშემორტყმული ქილისე წინილებით კალთა ამოვსებულ კრუხივით იდგა და მზრუნველ თვალს არ აშორებდა დუუთლელი დარდითა თუ სიხარულით დუნიაზე მომობნეულ შვილებს...



# ბანრიცა ქუთათიძე

## მე ისევ ამ ვბრ

თავს იწონებდა მეფურ იერით  
დიდი მთის ძირას  
უცხო ყვავილი,  
ის ლალი იყო და დიდებული,  
თუმც არაამქვეყნიურ მის სილამაზეს  
თავს დასდგომოდა სიკვდილის ჩრდილი...  
– მალე ვულკანი ამოიფრქვევა, აქაურობას სჯობს გაეცალო! –  
მეძახდა ვილაც სასომიხდილი.

– სად, სად წავიდე,  
სად ვეძებო მყუდრო სავანე,  
როგორ დავტოვო სიზმარეთის ჩემი საუფლო,  
ანდა ფიქრები – ჩემი სიზმრები  
ვით გავიყოლო უცხო მხარეში,  
რომ დამეკარგონ, ან არ ისურვონ ჩემთან დარჩენა?  
მაცხოვარმაც რომ ჩამიაროს გულგრილად კარზე,  
გულის კარები რომ დამეხშოს,  
ან გადამეკრას თვალებზე ლიბრი,  
ერთი ყარბის დაპურებაც რომ ვერ შევიძლო,  
მაშინ რაღა ვქნა?  
არა, არა, აქაურობას ვერ მივატოვებ,  
განსაცდელს მაინც ვერ გავექცევი,  
როგორც წინილა თავს ვერ დააღწევს  
მტაცებლის კლანჭებს,  
ვერც მე – საწუთროს...  
ჰო, გადარჩენის იმედი მაქვს ძალიან მცირე...  
ჩემს სიკვდილამდე, იქნებ, სიკვდილმა  
თვითონ მოიკლას თავი...

ბედისწერამ ჩვენ გვარგუნა ცხოვრება მკაცრი,  
 ბასრი სიცივე ისადგურებს სხეულში, სულში,  
 რომელსაც ხშირად უყალბესი ღიმილით ვფარავთ;  
 დიახ, ღიმილით,  
 ღიმილი ჩვენი ავგაროზია,  
 მეხამრიდია, მაგრამ დროებით,  
 რადგან სიღრმეში ვინც ჩახედა ყოფიერებას,  
 ვერ ნაიყარა თავზე ნაცარი და დასვა კითხვები:  
 მაინც რა არის ამ მიწის იქით,  
 ან ამ მიწაზე ყოფნა რა არის,  
 ან არყოფნა სად მიგვაქანებს, რომელ ნაპირზე,  
 დიდ დასაბამში? იქ, იმ სანყისში,  
 სადაც აფეთქდა და დაიბადა მთელი სამყარო?  
 იქნებ უსასრულო სივრცეთა მიღმა,  
 პარალელურ თუ სულ სხვა განზომილებაში,  
 სად ზენაარს გაუშლია აზრის კარავი  
 და დიდი ხანია ატარქსიული სიმშვიდე სუფევს...  
 დალივლივებენ ლეპტონები,  
 დაცურავენ და მბრძანებლობენ  
 და ჩემს გულს, სიტყვის მალამოთი  
 ძლივს მოშუშებულს  
 ისევ დასჩემდა ტკივილის შიში –  
 ვაითუ, სამყარო ენტროპიას დაუბრუნდეს!  
 დრო დამეკარგა? დროს დავეკარგე –  
 უსასრულობას ვერ შევენივთე, ცად ვერ ავმალლდი!

მალე, სულ მალე ამოხეთქავს, ვიცი, ვულკანი,  
 ბუდეებს მალე დატოვებენ, ალბათ, ჩიტებიც,  
 მე არსად წავალ, მე ისევ აქ ვარ  
 და აქ ვიქნები,  
 დაუსაბამო და ხელთუქმნელი.

### თანამედროვე რეცენზია

(სანდრო ბერიძის „მეილები ნატო ინგოროყვასთვის“)

ეს მეილები –  
 სიჩუმის შემდეგ დიდი რევანში,  
 ახალი რეკვიემი,  
 მჟღერი და ძლიერი  
 გალაქტიკებისაკენ მიიკვლევს გზას...  
 ჰო, მართალია, ჰყავს ადრესატი

(ნატო ინგოროყვა – ლექსის დედოფალი),  
 მაგრამ ახლა მას მეც ვკითხულობ,  
 ყველა სტრიქონის მესმის ხმაური  
 და შენი ლექსის გამჭვირვალე ბადეში  
 გამოჩნდა ჩემი ჭრელი სიზმარიც,  
 მიკროლექტონები გზას მიიკვლევენ,  
 ტვინის ემოციური რუკაც  
 ივსება და ფართოვდება.  
 დაიძრა ფიქრების ახალი ტალღა,  
 სტარტზონაც ჩაირთო:  
 დადებითი უკუკავშირის მქონე სისტემის  
 აქტიური ნაწილი ვხდები და  
 ეს მერამდენედ ვკითხულობ შენს „მეილებს“...  
 რა განცდაა, ღრმა, უცხოფერი...  
 და ვით ჩვილი  
 დაენაფება სანოვარას  
 ან თითს საკუთარს,  
 მეც ისე ვენაფები  
 სტრიქონებს პოსტმოდერნულს.  
 რა შორს გაიჭერ –  
 ხან ცაში ხარ და ხან კიდეც – სკნელში,  
 (ჰო, ლექსსაც აქვს თავისი სამოთხე და ჯოჯოხეთი).  
 რა სიხარულიც მომგვარა ლექსმა  
 (ეს აღმოჩენის იყო ტოლფასი),  
 ვშიშობ, ნუხილით არ შემეცვალოს –  
 არ ამოქმედდეს ემოციათა მუდმივობის ქანქარა,  
 (ვისაც რამდენი სიხარული მიეცემა,  
 იმდენივე მწუხარება დაერთვის),  
 ტვინის ემოციურ მექანიზმშიც არისო რალაც  
 ქანქარის მსგავსი);  
 შენი ლექსი – ქოქოსის მნიფე ნაყოფია  
 (ბევრისთვის უჩვეულო, ბევრისთვის – უცხოფერი).  
 მზე უხვად შეუსრუტავს,  
 იქნებ, სულაც სარკეა მზისა,  
 ან იქნებ, შორეული ცის ვარსკვლავია  
 და შარავანდედი, მე რომ მიზიდავს,  
 სიტყვის ახლებური კონცენტრაციაა შენს ცნობიერში –  
 ფონემური სიმბოლო და გამოვლინება  
 ღვთაებრივი ლოგოსის,  
 მართლაცდა, სამოსელი პირველი.  
 შენი ლექსი? – მეილია კოსმოსში გაგზავნილი,  
 ელის ნამკითხველს.



## ოღონდ ინამე

გულის კარები რომ დაგმანე  
 და ცხრაკლიტულით გადარაზე,  
 მითხარი ერთი, ვით ჩავაღწიო შენს გულგრილ გულში,  
 როგორ დაგიხსნა სიკვდილისაგან,  
 და ჯოჯოხეთის საუფლოსგან როგორ დაგიხსნა,  
 ვით დაგანახო, რომ დღეები მოგელის მძიმე,  
 თუ არ მინამე...  
 მე არჩევანის გიბოძე ნება,  
 შენ შეგიძლია აირჩიო, რაიც გულით გსურს –  
 სიკეთე და სიყვარული,  
 ანდა პირიქით, მხარი აქციო ამას ყველაფერს,  
 შეუდგე ბილიკს ამპარტავნების,  
 ააყვავილო ცოდვები შენში  
 და მინიერი სიამით მთვრალმა  
 სულ მიმივიწყო თავდადრეკილი,  
 გოლგოთის შარას რომ მივყვები, ეს რა ხანია,  
 და შენზე ვფიქრობ...  
 მზვობარის ბილიკია მუდამ საშიში,  
 სად მხეცი ბუდობს მარადიული,  
 უფრთხილდი ამ გზას, მაცდურია ძალზე სატანა,  
 გადაგიბირებს ლამაზი სიტყვით...  
 ძღვენი კი ჩემი – მადლიანი და მთლად ციური  
 თვალთ არა ჩანს –  
 წყარო სიცოცხლის მუდამ არის საძიებელი,  
 თუკი მოძებნი, დარწყულდები კიდეც მწყურვალე,  
 ოღონდ ინამე,  
 გაულე რწმენას დახშული კარი და  
 მოეფერე სასურველ სტუმარს.

## წუხელის, გვიან

წუხელის, გვიან, აჩრდილი ღამის  
 ლამობდა სახლში შემოპარვას,  
 ღია ფანჯრიდან გალეული მოჩანდა მთვარე,  
 უკანასკნელი მეოთხედის წამებს ითვლიდა...  
 სადღაც ძაღლები ისე ყეფდნენ,  
 ტანში მზარავდა,  
 ასე მეგონა, უბედურება ახლოვდებოდა;

– უბედურება ყმუის? – მკენწლავდა ფიქრი,  
 რა ეშველება ჩვენს ცივილიზაციას,  
 ზეტექნიკურს, მაგრამ უგულოს,  
 აპოკალიფსის მომლოდინეს,  
 სხვა პლანეტაზე სიცოცხლის მაძიებელს,  
 ომებითა და კატასტროფებით შენუხებულს,  
 იქნებ, წარსულში დაბრუნება სჯობს?  
 იმ სამასი მილიონი წლის წინ,  
 როცა პირველად ავიდგით ფეხი და  
 ცაში ავიხედეთ:  
 სამყარო ამოივსო ჩვენით,  
 მენამულად აკაშკაშდნენ ვარსკვლავები,  
 ამოენტო მთვარე,  
 მისი ახლოს დანახვა მოგვინდა,  
 მაგრამ... ცას ვერ შევწვდით და ყვირილი დავიწყეთ,  
 გონების თვალმა იწყო ახელა...  
 მთვარეს მგლებიც შეყმუოდნენ  
 და ძაღლებიც უყეფდნენ,  
 დიახ, მაშინაც,  
 მაგრამ ჩვენს ყვირილს სხვა ძალა ჰქონდა,  
 სულ სხვა წადილი...  
 უცებ გამიწყდა ფიქრის გორგალი,  
 რა დამემართა?  
 დავლანდე, სიკვდილი დაიძურნებოდა ოთახში ქურდით,  
 გავბრაზდი და ის გარეთ გავაგდე.

\* \* \*

მგზავრი ვარ, მგზავრი,  
 ყარიბი და მიუსაფარი,  
 უმისამართო გზებს დავდგომივარ,  
 რადგან მისამართს არ მიმხელები ფარისევლები...  
 სამაგიეროდ, რჩევებს მაძლევენ:  
 – სჯობს ჩვენებური წესით იცხოვრო,  
 ნეტავ, რას ეძებ,  
 აუტკივარ თავს რას იტკივებ, არ გვეპუები,  
 საით ისწრაფვი, რა გრჯის, რა გინდა?  
 სურვილებს მაინც ვერ გაექცევი,  
 საკუთარი სხეულის ტყვე ხარ, იცოდე!  
 ფარისევლებო, ყურს არ გიგდებთ დიდი ხანია,  
 მივდივარ გზაზე,  
 უცნობ გზაზე უმისამართოდ,

დამენყრილია ირგვლივ ყველა და ყველაფერი,  
სასიამოვნოს ვერ დავარქმევ ჩემს ამ მგზავრობას.  
სადღაც შორს მოჩანს ჩემნაირი ვიღაც ეული,  
ვეძახი, მაგრამ ამაოდ, ძახილი ვერა, ვერ გავაგონე.

ჰოდა, მარტო ვარ ისევ ისე საკუთარ თავთან,  
მცირე ხნითაც რომ ველარ ვრჩებოდი!  
აღარ გავურბი ჩემს ალტერ-ეგოს,  
საკუთარ ფიქრებს  
და ვიძირები საკუთარ „მეში“ ...  
მე დავინახე ჩემი პორტრეტი,  
სიმაღლესი გითხრათ, არ მომეწონა –  
უსამართლო და სასტიკი ცხოვრების  
შედეგია...  
შიშისგან გული გადამიქანდა,  
ქვეცნობიერი საგანგაშო სიგნალს გამოსცემს,  
რალა ვქნა ახლა, რა ვიღონო, რა გზას დავადგე...  
სჯობს რომ გავიქცე!  
და მეც გავრბივარ,  
უცებ რიყეზე დამიცდა ფეხი,  
წავიბორძიკე,  
მაგრამ დაცემას ამარიდა რალაცა ძალამ  
(მფარველმა ანგელოზმა?!)  
– გზა განაგრძეო, – მომწვდა ჩურჩული,  
ვინაც დაეძებს, პოულობს კიდეც,  
დააკაკუნე და გაგელეზა,  
მოითხოვე და მოგეცემა,  
ნუ წუხარ,  
მისამართები არ სჭირდებათ უფლის რჩეულებს.

## ნუბეში

ცას რომ ცრემლები ჩამოსდის,  
ცა რომ მწუხარეა და მტირალი,  
გული მენურება –  
ვაითუ, ღვთისმშობელი ტირის...  
ქარი ფანჯარას ერკინება,  
ჰაერში ცახცახებს შუქი,  
წვიმა მიკაკუნებს ფანჯრებზე –  
სახლში შემომიშვი...  
სტუმარი ღვთისაა,

მაგრამ სად თქმულა სტუმრობა წვიმის,  
რომ შემოვუშვა,  
ვაითუ, სველი თითებით  
ობობას მოქსოვილი კედლები დამინგრიოს  
და წყალმა წაილოს ეს ჩემი კერია,  
მაშინ?!

ვით მივატოვო ეს ჩემი სახლი,  
ლოკოკინას გამბედაობაც რომ სანატრელი მაქვს;  
ჰო, შევეზარდე ამ სამყაროს ჩუმი მოთმენით  
და სულის ხუნდებს დამიმძიმებს  
წვიმა ნამდვილად...  
ამიტომ, წვიმავ, ვერ იქნები ჩემი სტუმარი!

მგონი, გამიგო წვიმამ,  
ისე შეანელა ტემპი,  
მაღე გადაიღებს, ალბათ,  
მესმის ჩურჩული გრძნეული წვეთის:  
– მშვიდად იყავი,  
ორფეოსმა დაკვრა შეწყვიტა,  
სიკვდილის სიმებს ააჟღერებს  
ახლა ვერავინ,  
უფალმა დაგიცვა  
და აგაცილა წარღვნა და მეხი.  
შეხედე ზეცას  
თავზე გადიკრავს ის ცისარტყელას,  
ეს ნიშანია და ზეციური დიდი ნუგეში!



# იზა ოსაფაიშვილი

## სად ხარ, ბიჭო შოთაია

ცაზე ღრუბლები ერთბაშად მოიქუფრა, მერე ელვამ თვალისმომჭრელად გაიკაშკაშა და წვიმისათვის დამახასიათებელი ჭექა-ქუხილიც ატყდა. წინამ ჩაით სავსე კალათა ფარდულში გააქანა და აწონის შემდეგ თავისი ნამუშევრით კმაყოფილი დარჩა. ცარიელი კალათა მკლავზე მოირგო და ჩქარი ნაბიჯებით სახლისაკენ გაეშურა, რათა წვიმა არ წამოწეოდა, თან სკოლიდან დაბრუნებული შვილებისათვის დროულად სადილი მოემზადებინა. გულდათუთქული წინა, სადაც არ უნდა ყოფილიყო, შინ თუ გარეთ, მწარედ ამოიხრებდა, შუბლზე ხელის მოსმით ოფლს ჩამოიწმენდა და ამ ოთხ სიტყვას – „სათ ხარ, ბიჭო შოთაია?“ დღეში რამდენჯერმე წარმოსთქვამდა. ცხრა წლის პატარა ქრისტიანემ ველარ მოითმინა და დედას შეეკითხა: „დედა! ვინაა მაგი შოთაიე, ასე მიდღემჩი ენაზე რომ გაკერია მისი სახელი და ბევრჯერ კურცხალიც კი დევინახე შენს თვალზე?“ წინამ, იმ წუთშიც მოიწმინდა წინსაფრის კალთით ლოყაზე ჩამოგორებული ცრემლი და შვილს შეჰპირდა, როცა დაისვენებდა, მის დიდ გულისტკივილს მოკლედ მოუთხრობდა. ქრისტიანემ, როდესაც ისადილა და გაკვეთილები მოამზადა, კვლავ შეახსენა დედას ვინმე შოთაიეს შესახებ. ხო, კაი, ნენა, მოგიყობი, მოგიყობი, თუ ძაან გაინტერესებს.

შოთაიე ჩემი ძმაი იყო, შვილო. როცა უკანასკნელად ვნახე, იმ დღეს შუუსრულდა ჩვიდმეტი წელი. ლამაზი და ჭკვიანი ბიჭი იყო, თავლის-

ფერი თვალები ჰქონდა და ნაბლისფერი კუჭუჭათები. დედას შვილებში გამორჩეულად უყვარდა, რადგან მშრომელი და მშობლების შემცოდე, დუზარებელი ბალანე იყო. დედამამისშვილებში უფროსი მე ვიყავი, შუათანა შოთაიე და უმცროსი – ჭოლაიე. მამამ ავადმყოფობის გამო ნაადრევად, 38 წლის ასაკში, დაამთავრა თავისი სიცოცხლე, რომელსაც უმწეო მდგომარეობაში დარჩა ახალგაზრდა ქვრივი სამი პატარა ბაღნებით. ჩვენი დედა, ვარდო მარშანია, აფხაზის ქალი იყო, კულტურულ ოჯახში გაზრდილი. ის მუდამ ზრდილობას, მოთმენას და ადამიანის გატანას გვასწავლიდა, ბოროტება ვერ წარმოედგინა და ყველას ალაღად მიენდობოდა. ამიტომ ბოლოს სიკეთე უკულმა შემოუტრიალდა. იმ დროიზა სოფლად ყველა ღარიბად ცხოვრობდა. ხალხი მარტო იმას ფიქრობდა, შიმშილით არ დახოცილიყო. ამიზა იყო ჩემმა მშობლებმა თუთხმეტი წლის ბალანე გამათხუა ამავე სოფელში. შოთაიე რომ დეიკარგა, უკვე ორი შვილის დედა ვიყავი, მარა მეც თვითონ ბალანას, დიდი არაფელი გამეგებოდა. „რაი, დედა? ...რაფერ დეიკარგა ჩემი ბიძიე, ომში იყო თუ?“ „არა, დედა, ოცდაჩვიდმეტი წელი იდგა, დიდი არეულობა, ხალხის გადასახლება, შიმშილი, გაჭირვება და უბედურება ტრიალებდა ქვეყანაში. დედას მეზობლად ერთი ქალი – როზაიე ცხოვრობდა, რომელიც ბიცოლად მეკუთვნოდა, ქმარი ადრე მუუკვტა, ახალგაზრდობაში და ოთხ ბალანას მარტო ზრდიდა, მერე ვინცხა აჭარიდან გადმოხვენილი ხასანიე ანთაძე გეიცნო და მეორე ქმრად სახში დეისვა. როზაიამ მასთან კიდო ერთი შვილი გააჩინა და იმას ჯემალიე ჰქვიოდა, ჩემი ლევანიეს კბილა იყო, ერთათ დეიარებოდნენ გორაბერეჟოულის კლაში. როცა წვერ-ულვაში ამოუვიდა, ისე გეიპარა ამ სოფლიდან მისი ასავალ-დასავალიც არავინმა არ იცოდა. მე ახლა, რასაც მოგიყობი, ნენა, იმ ამბის მერე რაი გააჩერებდა ჩვენს

სოფელში? როცა პატარე ჭკუა მიეცა თავში და ყველაფერში გარკოული იყო, დედამისი არასდროს არ დაინტერესებულა, სათ გაქრა მისი ჯემალიე, ალბათ, უვნებლათ ეგულეობდა სადმე და მშვიდათ ცხოვრობდა, მაგი ჩვენი ცოდვით საგსე.

– „დედა! შემინუხდა გული, დეინყე ერთი შოთაიეს დაკარგვის ამბავი“. „ხო, იმას გიჩიოდი, როზაიე ბიცოლეს აჭარელი მეორე ქმარი თავის სოფელში, ხულოში, აპირებდა თურმე წასვლას. იმ კაცს უბედური ჩემი დედიზა ასე უთქმია, გამატანე შენი შოთაიე, ჯანი და ღონე არ აკლია და რამდენსაც ზიდავს, იმდენ სიმინდს გამოვატან შინ. მაინც კაია, ერთხანს თავს გეიტანთო. მეც იქინე მოხუც მშობლებს მევინახულე და მოგვიანებით დავბრუნდებო. ჩემმა მშიერმა ნენამ სიხარულისაგან პირზე კოცნით გააცილა აჭარელი სიძე, ვინმე ხასანიე ანთაძე და მისი საფიცარი შოთაიეც თან გააყოლა. ჭინჭის ბოხჩაში პატარე საგზალი ჩუუდუა და გზაი დუულოცა. ბევრი დღეები გევიდა, თვეები, მერე წლები და არც ერთი მათგანი უკან არ დაბრუნებულა. ჩემი დედა დღეი და ღამე ტიროდა ჩუმჩუმათ“. „რეიზა ჩუმჩუმათ, დედა?“ „რეიზა, ნენა და მთავრობაში მაგის გაცხადება საშიში იყო მაშინ, რადგან ათას რამეს გამოგიგონებდენ, ადვილად იჭირავდენ ხალხს, ზოგს ტყულე ხვრიტავდენ. ჩემს საცოდავ დედას ისეველე იგი როზაიე ბიცოლე აშინებდა ყველაზე უფრო, ამ სიტყვებით: თქვენ რომ შოთაიეს ამბავი გაასაჩივროთ, მთელ ოჯახს შუა-აზიაში გადაგასახლებენო, რადგან ხულოში წასულ შოთაიას თურქეთის შპიონს დუუძახებენო. მეც ბალანეს ჭკუა მქონდა და დიდი არაფელი შემეძლო, ვიყავით ასე ჩუმათ. მაშვინ ვერც ამ სიტყვებს ვჩიოდი ხმამალლა, ახლა რომ ვიძახი, „სათ ხარ, ბიჯო შოთაიე-მეთქი“. უბედური დედე შოთაიეს დარდით ხუთ წელიწადში გარდაიცვალა. ამ დროს დიდი სამამულო ომი ძვინვარებდა, მამაშენიც იბრძოდა. მე მეოთხე ბალანაზე ვიყავი ფეხმძიმეთ, თავზე ათასგვარი გაჭირვება მეხვია. შოთაიე დღესაც თვალწინ მიდგანა, მარა ვერაფერს ვშველი, ნენა. სახში რომ მომკვდარიყო ან ომში დაღუპულიყო, უფრო ბედნიერი ვიქნებო-

დი“. ამ ამბის მოყოლით ცხრა წლის მგრძობიარე ბავშვს ღამის იყო ბოლმისაგან გული გასკდომოდა. ეხლა პირიქით, ნინა შეეცადა გოგონას დამშვიდებას. გავიდა წლები. ქრისტინეს, როცა დედის ნალვლიან თვალებს შეხედავდა, სასონარკვეთილ ბავშვს, ყურში მუდამ ნაცნობი სიტყვები ჩაესმოდა: „სად ხარ, ბიჯო შოთაია“. ნინა ხშირად სხვა რამითაც იყო დანალვლიანებული – შვილებზე ზრუნვა, ინვალდი მეუღლის მოვლა და დუხჭირი ცხოვრება. ქრისტინეს დედის მოგონებასთან ერთად ოთხი დაუვიწყარი სიტყვაც თან დევს, „სად ხარ, ბიჯო შოთაია“. ის, როდესაც სრულწლოვანი გახდა, გაეცნო საქართველოს ყველა კუთხეს, განსაკუთრებით აჭარის მხარით დაინტერესდა, რადგან არ ასვენებდა იქ მსხვერპლად შეწირული ბიძის ბედი. დიდხანს დამუნჯებული ადევნებდა თვალს აჭარის ყოფა-ცხოვრებას, მის ადათ-წესებს და ბოლოს შურისძიების სურვილიც მთლიანად გაუქრა, მან გაიცნო და დაუახლოვდა უმშვენიერეს წარმტაც მხარეს, სადაც იგრძნო სითბო, სტუმართმოყვარეობა, სიყვარული, ადამიანური მოპყრობა და ერთმანეთის გატანა. დღეს მას ამ უნიკალური ხალხისა და კუთხის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია. ქრისტინემ სწორად განჭვრიტა და გააცნობიერა, რომ ზოგჯერ ოჯახის წევრებშიც შეიძლება გამომჟღავნდეს ბოროტი სულის ადამიანი, რომელიც ჩირქს მოსცხებს უმნიკვლო ჯიშს და ჯილაგს. ქრისტინე ველარ ხედავს ძველებურად ყველა აჭარელის თვალეებში ჩვიდმეტი წლის ბიძის მტერს. ამ ულამაზეს კუთხეზე შეყვარებულმა ქრისტინემ ბოლოს დასძინა: ვინ იცის, იქნებ, ის საბრალო შოთაიე და ხასანიე ერთად დაიღუპნენ გაუგებარ ვითარებაშიო. ქრისტინე ჰუმანური და მიმტევებლობის მქადაგებელი მართმადიდებელი ქრისტიანია, ამიტომ თავს იკავებს რამდენიმე ათეული წლის წინ უდოკუმენტო, ბურუსით მოცული ამბის განკითხვისგან. თუმცა, სამოც წელს გადაცილებული ქალბატონი, ვიდრე მეხსიერება არ დალატობს, ვერაფრით დაივინყებს დედასთან ერთად ამ ოთხ სიტყვას – „სად ხარ, ბიჯო შოთაია“.

## უცნაური სიყვარულის ისტორია

– დილამშვიდობისა, ჩემო ათანასე! – გაგიმარჯოს გერონტი. – კი მარა, შე კაი კაცო, ასე უთენია ვინ გამოგაგდო გარეთ, ცვარნამში, რომ აკრავ მაგ ვენახს? – ეხ, აბა რა ვქნა, გერონტი, ნუხელ ნინუცა თუ არ მოკვდებოდა, არ მეგონა, მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს, წნევა თითქმის სამასზე აუფარდა. ჩემდა საუბედუროდ, გაზომვაც ვისწავლე და წამდაუნუმ მეძახის, ვარ თუ არა საჭირო.

– გერონტი, თქვენსკენ რაია ახალი, ამ ზეით კაი ხანია არ გამივლია სახლიკაცებში, ნინუცას ავადმყოფობის გამო. – ხო, ათანასე, ახალი რაია და...იი... ჩვენი მეზობელი, ელიჩქე ანდლულაძის მორცხვი ბიჭი რომაა, გივიე, ნუხელის ქალი მოუყვანია, საცხა იქიდანაა, მგონი, საჭამიასერს რომ უძახიენ. – უჰ, რა მითხარი გერონტი, ალბათ, უპატრონოა თვარა მაგ უსუსურს ვინ გამოყობოდა ჰა?...

– რაიო? უპატრონო კი არა, იმფერი გოგოა, მისი მიხვრა-მოხვრა მერცხლის ბუდიდან ამოფრენილ ჩიტს მოგაგონებს, თან მომღერალი და მოცეკვავე ყოფილა. – კაი, კაი, ნევიმუშავებ ჰანას, სანამ მზემ არ დააჭირა და მერე გევიარ მაგენისკენ, ვნახავ, ერთი რაცხა ჩიტია.

ისე ანდლულაძეებს ქალის გამოცნობა არ გვემლება. გივიე მარტო მოყვარე კი არაა, ჩემი სისხლი და ხორცია, ათანასემ, ტირიფის წნელით კიდევ რამდენიმე ვენახის ლერწი სანდომიანად მავთულს მიაკრა და წნევიან ცოლს გასძახა: ნინუცა, ჩემთვის სადილიზა ნუ შეინუხებ თავს, ზეით მივალ ანდლულაძეებში, ელიჩქეს ბიჭმა ქალი მეიყვანაო და მინდა ვნახო, ვინაა ერთი, გივიას მამა არ ყავს და... უნდა დუულოცო ოჯახი, პატიოსანი და ალალი ბიჭია, ჰოდა, იქინე, მაჭუმენ რაცხას. ისე, ელიჩქე პურმარილიანი ქალი წამდვილათაა. კაი ათანასე, ჩემგანაც მუულოცე, მარა ბეური არ დეიგვიანო, ხომ იცი, წნევა მაქ გასაზომი საღამოს, აბა, შენს მეტი ვინ გამიზომავს? სასმელზეც თავი შეიკავე პანა.

– ლომა, ლომა, რამდენს ყეფავ? მეზობელი ვერ იცანი? მობრძანდი ათანასე, მობრძანდი.

– ახლოს ვარ ელიჩქა. რაცხა გევიე შენს გივიაზე და მოგილოცო? – კი, შენი ჭირიმე, კი ეხ, გივიეს მამა მოსწრებოდა ამ ამბავს, ჩემო ათანასე, მაშინ რაღა მიჭირდა, რას იზამ, იმ მუხთალმა ომმა რომელ ოჯახს არ დაასვა მუუშუშებელი დალი? – ახლა მომავალზე უნდა ვიფიქროთ გადარჩენილმა ხალხმა და გევიხანგრძლივოთ სიცოცხლე. ყველა ყველაა, ჩემო ელიჩქა მარა რძალი სადაა, რძალი, არ უნდა გამაცნო?... – ჯუნა: მოი ნენა, ჩვენი სახლიკაცი გვესტუმრა, ძვირფასი ადამიანია, აბა, სხვებმა ვერ მეიფიქრა ჩემი ოჯახის სიმრავლე და სიხარული რომ გეეზიარებიათ. ანტიკა ჯუნამ ბოშისებური ტანის რხევითა და ცქრიალა სახის გამომეტყველებით, ერთ დროს შეუდარებელ მექალთანეს, სამოცდაათ წელს გადაცილებულ ათანასეს, მომავადობელი ღიმილით ხელი ჩამოართვა და მოპირდაპირედ სკამზე ჩამოჯდა. მოხუცს თითქოს თვალებში სინათლე მოემატა, მუხლებში – ძალა, გულში – სიხალისე. ჯუნას დანახვამ სულ მთლად შეცვალა ადამიანი. დაავიწყდა ახლობლობა, ასაკი, მეზობლობა და საერთოდ ყველაფერი. მან თავი ჯუნასავით ცხრამეტი წლის წარმოიდგინა და ცხოვრების რიტმი ორმოცდაათი წლით უკუ დაატრიალა. დიახ, ათანასემ როგორც კი თვალი შეავლო წყნარი გივიეს ახალმოყვანილ ცოლს, იმ ნუთიდან შეყვარებული გახდა. ჭკვიანი და ეშმაკი ჯუნა მიხვდა ბერიკაცის ამჩატეზას, მაგრამ არაფერი შეიმჩნია. ელიჩქას რძალი საკითხავი ქალი დადგა მთელი სოფლის სამეზობლოს თვალში. რა აღარ გამოსდიოდა ხელიდან, მათ შორის ექთნის ფუნქციებსაც ასრულებდა უმაღლეს დონეზე. მალე ეს ამბავი ათანასეს მეუღლემაც შეიტყო და ჯუნას გარეშე არც წნევას იზომავდა, არც ნემსს იკეთებდა და არც არავისი სჯეროდა. ათანასეს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან ჯუნა მის ოჯახში ხშირი სტუმარი იყო. ჯუნას ნინუცას მაღლიერი შვილები ხშირად თბილისიდან ძვირფასი საჩუქრებითაც კი ანებივრებდნენ, ერთხელ შეყვარებულმა მო-

ხუცმა ისიც კი მოიგონა, თითქოს, სიზმარი ნახა ნინუცაზე, ამ ღამეს ველარ გადაიტანდა და ჯუნა ღამის თევით სახლში მოიპატიჟა, მაგრამ გივიამ უსაყვარლესი ცოლი მომაკვდავთან მარტოდ დასარჩენად როდი გაიმეტა, ის ღამე ცოლ-ქმარმა ერთად გაუთიეს ავადმყოფს, თუმცა, ათანასე მაინც ბედნიერად გრძნობდა თავს, რადგან საყვარელი ქალი მასთან ახლოს ეგულებოდა. მალე ჯუნა ორი ქალიშვილის დედა გახდა. ბერიკაცი თანდათან სიყვარულით ღამის ჭკუიდან გადავიდა, აგრეთვე უსაშველოდ შეიყვარა ჯუნას შვილებიც, მათთვის მუდამ მზად ჰქონდა, კანფეტი, ხილი და სხვადასხვა ნუგბარი. ბაბუას განატრებულ გოგონებს, ათანასეც ღვიძლი ბაბუასავით მიაჩნდათ და აღარ ცილდებოდნენ, ვიდრე დედა არ მოიკითხავდა. ბავშვების ნასაყვანად მოსულ ჯუნას, ათანასე, ისეთ სასიყვარულო სიტყვებს ჩასწურჩულებდა ხოლმე, ალბათ, მსგავსს ოცი წლის ვაჟიც კი ვერ წარმოსთქვამდა გოგონას მიმართ. ჯუნა კი ხარხარებდა და ხანდახან, რათქმა უნდა, თუ ვინმე ვერ დაინახავდა, თავშიც კი ჩაუკაკუნებდა ხელს ამ სიტყვებით: – შე გამოჩერჩეტებულ ბერიკაცო, ჭკუა როდის უნდა ისწავლო? ათანასეც პასუხს არ აყოვნებდა, – ჩამარტყი შენი ჭირიმე, ჩამარტყი, შენი ხელი ხომ შემეხო და მეტი არაფერი მინდაო, ჯუნა! გემუდარები: ბავშვებს მაინც ნუ წამართმევ ადრიანათ, მაგენი შენი ხორცის ნაჭერია და ამით მაინც გამახარე, ჩემო სიცოცხლე. ერთ მშვენიერ დღეს ათანასე ოზურგეთში გაემგზავრა მეგობრის – ევგენი ღლონტის სანახავად და თავისი ტანჯვის შესახებ მოკლედ უამბო: ევგენი, ძმაო! ერთი უცნაური ამბავი შემემთხვა, გთხოვ, გულისყურით მომისმინო, ოღონდ არც დამცინო და არც გამკიცხო. – გისმენ, ათანასე, გისმენ. – რა, ჩემო ევგენი და... ამ სიბერეში შვილიშვილის ტოლა ქალი შემიყვარდა და თანაც მისი ქმარი ნათესავადაც კი მეკუთვნის. თავს ველარ ვაკონტროლებ, ალბათ, არანაირი გამართლება არ მაქვს, მაგრამ ვიცი ამ უცნაური მო-

ვლენების გამო ნაადრევად სიცოცხლესაც დავამთავრებ. ჩვენ შორის არანაირ სიახლოვეს ადგილი არ აქვს, მაგრამ თუ ერთ დღესაც ვერ დავინახავ, ღამისაა, გული გამიჩერდეს. ის ისეთი ჭკვიანია, ეჭვიც არავის შეეპარება მართლაცდა უცნაურ სიყვარულზე, რადგან არასოდეს მკიცხავს საჯაროდ და არც მსჯის რაიმე ხერხით. მისი ერთი გაღიმება მთელ სიცოცხლეს მირჩვენია. ათანასეს ნაამბობზე ევგენიმაც გემრიელად გაიცინა და პასუხიც სწრაფად დაურთო: – ჩემო ძმაო! ცხოვრებაში რა არ ხდება, მითუმეტეს სიყვარულში. სიყვარული ადამიანს ათასგვარი გზებით ეწვევა სხვადასხვა ასაკში, მთავარია, ზომიერება დავიცვათ ისე, რომ არც შენ და არც სხვას ხალხის რისხვა არ დაატყდეს თავს. ჯობს დაინვა სიკვდილამდე საიდუმლოებით მოცულ სივრცეში და მიუნვდომელ ვარსკვლავს ისე ნუ ჩამოეკიდები, რომ საქვეყნოდ მიწაზე დაენარცხო. საბრალო ათანასემ მეგობარს მადლობა გადაუხადა და ნირნამხდარი სახლში დაბრუნდა. იმ დღიდან მოყოლებული წამდაუნუმ ათანასე ჯუნას გოგონებს ალერსით გასძახოდა: – ლელა, ლია, მოდიო, ბაბუ, კამფეტები უნდა მოგცეთო, – ბავშვებიც სიხარულით გამორბოდნენ დედაზე შეყვარებულ მოხუცთან. ნინუცას ჯანმრთელობა თანდათან უარესდებოდა, ამიტომ წნევის გაზომვა უფრო ხშირად იყო საჭირო, ვიდრე ადრე. სიცოცხლით სავსე მერცხალივით ჯუნას, დღეში რამდენჯერმე უხდებოდა ათანასეს ოჯახში მისვლა. სწორედ ამან განაპირობა, მომხდარის შესახებ მოულოდნელი და საკვირველი ამბავი, რომელიც მეხის გავარდნასავით გაისმა სოფელში. ნინუცას ნაცვლად, გულის შეტევით გარდაიცვალა სრულიად ჯანმრთელი ათანასე ანდლულაძე. სიკვდილის მიზეზი მხოლოდ მერცხალა ჯუნას მეტმა არავინ იცოდა. დატანჯული ბერიკაცის ცხედარს ჯუნამ სიბრაღულით დახედა და რამდენიმე ცრემლის წვეთით სახე დაუნამა, მერე რიგით მეზობლებს შეერია და გულგახეთქილი ათანასე უკანასკნელ გზაზე გააცილა.



# ჯიბიანა, ჯუჯულიანი



## პინდია ცაცხდაძა

### დეკონსტრუქციული პარადიგმა შალვა ბაკურაძის პოეზიაში

„შესაძლოა მსოფლიო ისტორია სულ რამდენიმე მეტაფორის სხვადასხვა ინტონაციის ისტორიაა“.

*ხორხე ლუის ბორხესი, „პასკალის სფერო“.*

პოეზიისა და რელიგიურ-ფილოსოფიური დისკურსის ურთიერთმიმართების თანამედროვე დასავლური გააზრება გულისხმობს დეკონსტრუქციონიზმს ანუ პარადიგმას, სადაც ტექსტი არ განიხილება როგორც რაიმეგვარი „ჭეშმარიტების“, იდეის, ნარატივის წარმომდგენი, პირიქით, იგი ახდენს ჰეგემონიური ნარატივების დეკონსტრუქციას თავისი ბუნდოვანებით და ორაზროვნებით. წლების მანძილზე ჩამოფარებული „რკინის ფარდა“ ხელს უშლიდა დეკონსტრუქციული პარადიგმის ათვისებას ქართულ ლიტერატურულ სივრცეში, სანაცვლოდ კი გაბატონებული იყო სოცრეალისტური დისკურსი, როგორც საბჭოთა ტოტალიტარიზმის ერთ-ერთი საყრდენი.

სწორედ მეორე მსოფლიო ომის ტოტალიტარული კატასტროფებისა და ფაშიზმის შემდგომი, მოპასუხე პროცესია დასავლურ ფილოსოფიაში ნიცშესთან მიბრუნება და „ჭეშმარიტების“ დეკონსტრუქცია. მარტინ ჰაიდეგერის ჰერმენევტიკა ეკუთვნის დეკონსტრუქციულ პარადიგმას, რაც თავის საფუძვლებში, უკავშირდება ფრიდრიხ ნიცშეს მიერ პლატონური მეტაფიზიკის დეკონსტრუქციას (კენედი..., 1995: 169). ნიცშეს თანახმად, სამყაროს ჩვენეული აღქმა სუბიექტურია, „ჭეშმარიტებები წარმოადგენენ ილუზიებს, რომლებიც დავივინწყეთ... მეტაფორებს, რომლებიც გაცვდა“ (ბანი-ნი..., 2003: 830).

ნიცშე გამოდის „ჭეშმარიტების ტირანიის წინააღმდეგ“ და წერს: „თუნდაც რომ ვიყოთ საკმარისად გიჟები, იმისათვის რათა ყველა ჩვენი შეხედულება სწორად მიგვაჩნდეს, მაინც არ უნდა გვსურდეს, რომ მხოლოდ ისინი არსებობდეს“, რადგან ჭეშმარიტება ძლიერდება სანინააღმდეგო აზრთან ბრძოლაში და თუ მხოლოდ ჭეშმარიტება არსებობს, იგი ხდება „მოსაბეზრებელი, უძლური და უგემური“ (ნიცშე, 2006ბ: 206). ნიცშე ეწინააღმდეგება საკუთარი იდეალის სხვებზე თავსმოხვევას და პროპაგანდას (ნიცშე, 1968: 190-191).

ჭეშმარიტების წვდომის ანუ სამყაროს გაგების მიმართ სკეპტიციზმი გულისხმობს ასევე სკეპტიციზმს ტექსტების გაგების მიმართ. დეკონსტრუქციულ პარადიგმაში პოეზია ჰეგემონიურ ნარატივს კი არ წარმოადგენს, არამედ პირიქით, მსგავსი ნარატივების დეკონსტრუქციას ახდენს; როგორც ამერიკელი დეკონსტრუქციონისტი პოლ დე მანი ამბობს: „პოეტური ნაწერი დეკონსტრუქციის ყველაზე წარმატებული და დახვეწილი ფორმაა“ (მაკკორტი, 2001: 103).

ჰაიდეგერიანულ პარადიგმაში პოეზიის მსგავსი დეკონსტრუქციული პოტენციალი დაკავშირებულია პოეზიის თვისებასთან, იყოს ბუნდოვანი და პოლიფონიური. ჰაიდეგერთან პოეტური ენა არის „ორაზროვანი ორაზროვნება“, არა იმ აზრით, რომ ორიდან ერთ-ერთია ჭეშმარიტი მნიშვნელობა, არამედ მსგავსი ორაზროვნება „ორ დაპირისპირებულ მნიშვნელობას ანიჭებს არასტაბილურობას, იგი საერთოდ არ აწარმოებს ორაზროვნებას არსებული მნიშვნელობებისგან, არამედ ათავსებს ორაზროვნებას სივრცეში, რომელიც ამ მნიშვნელობათა „შუაშია“ და არც ერთს წარმოადგენს და არც მეორეს. ადამიანი, საგნები და ენა, ყველაფერი მოყვანილია მოძრაობაში და განძარცვულია დასწრებულობაზე რამეგვარი პრეტენზიისგან“ (დალსტრომი, 2011: 226).

ჰაიდეგერთან არამხოლოდ პოეტური სიტყვა, არამედ ზოგადად ენა თავის პრიმორდიალურ გამოვლინებაში არის პოეტური და პოლიფონიური, საგნის სახელდების მომენტში სიტყვა გახსნილია მრავალი მნიშვნელობისთვის და მხოლოდ შემდეგ, ჩვეულებრივ მეტყველებაში ხდება მისი ავტომატიზება და მიბმა ერთ მნიშვნელობასთან.

ჰაიდეგერის მიხედვით, „აზროვნებაში ყოფნა არტიკულირდება ენის მეშვეობით. ენა ყოფნის სახლია. ამ სახლში ადამიანები ცხოვრობენ. მოაზროვნებები და პოეტები ამ სახლის მცველები არიან“ (მელპასი..., 2015: 121). ეს გულისხმობს, რომ ენის საშუალებით ხორციელდება აზროვნება, სამყაროს გააზრება. საგანი ჩვენს გონებაში იქმნება ენის მეშვეობით და არ არსებობს საგნის პრელინგვისტური მენტალური შესატყვისი. „ენის გარეთ არ არსებობს საგანი, ანუ როგორც ყოფნის, ასევე მნიშვნელობის ერთობ პირობითი და ინტერპრეტაციული ბუნების გამო მათი კარგად არტიკულირება ენის მეტაფორის გამოყენებითაა შესაძლებელი. გარდა ამისა, იგულისხმება, რომ საგნები ყოფნაში შემოდიან ენის მეშვეობით“ (მელპასი..., 2015: 503). ჰაიდეგერის მიხედვით, ენა და პოეტები არიან თავდაპირველი ინტერპრეტერები (მელპასი..., 2015: 107).

ჰაიდეგერისათვის, იყო, ნიშნავს იყო ინტერპრეტირებული, რაც ნიშნავს უფრო მეცნიერული მიდგომის უარყოფას, რომლის მიხედვითაც საგნებს აქვთ არსისეული არსებობა ან მნიშვნელობა (მელპასი..., 2015: 501). ენას, უპირველეს ყოვლისა, გამოაქვს საგნები, როგორც საგნები სააშკარაოზე, რაც არის სწორედ ის, რასაც ჰაიდეგერი გულისხმობს „პოეზიაში“ (ლაფონი, 2000: 92). როდესაც ენა სახელდება საგანს პირველად, მხოლოდ ასეთ სახელდებას გამოაქვს საგანი სიტყვასა და ხილვადობაში. ეს სახელდება აკუთვნებს საგანს თავის ყოფნას მისი ყოფნისგან გამომდინარე, იმის მომზადებაში, რაც გამოთქმადია, მას, ამავე დროს, გამოაქვს გამოუთქმადი, როგორც ასეთი, სამყაროში (ლაფონი, 2000: 93).

ჰაიდეგერი ერთმანეთს უპირისპირებს ყოველდღიურ გაგებას და პოეტურ ენას (მელპასი..., 2015: 121). „ენას აქვს თავისი უტყუარი ყოფნა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მნიშვნელობათა ახალი კორელაციები და ამგვარად – თუმცა არა აუცილებლად – ახალი სიტყვები და ფრაზები ემატება მას გაგების შედეგად“, სწორედ პოეზია გამოხატავს ენის ამგვარ ყოფას (უოტსი, 2011: 164).

ჩვეულებრივ მეტყველებაში კი არასდროს ხდება ასეთი ქმნადობა – „ყოველდღიური საუბარი არის დავინწყებული და ამდენად – გაცვეთილი პოეზია, რომლისგანაც იშვიათად ისმის რაიმე ძახილი. პოეზიის საპირისპირო არ არის პროზა, წმინდა პროზა არასოდესაა „პროზაული“. იგი პოეტურია როგორც პოეზია“ (ლაფონი, 2000: 101). „წამდვილი პოეზია ხელახლა მოიხელთებს ყოველდღი-

ურ სიტყვებში მიძინებულ, განმასხვივოსნებელ ძალას, იმგვარად, რომ ჩვენ თითქოსდა პირველად ვხედავთ და განვიცდით სამყაროს“ (უოტსი, 2011: 166).

ჰაიდეგერის მიხედვით, აზროვნება და პოეზია ენას კი არ იყენებს გამოხატვისათვის, არამედ სწორედ მათი საშუალებით ყალიბდება ენა (ელდრიჯი, 2009: 64). ჰაიდეგერის მიხედვით, სიტყვები არ არის ცნებები და ამდენად ის ჭურჭლები, რომლიდანაც ამოვხაპავთ შინაარსს. „სიტყვები არის ჭის წყაროები, რომელთაც ვპოულობთ და ვთხრით თქმის დროს, ჭის წყაროები, რომლებიც უნდა ვიპოვოთ და ამოვთხაროთ ისევ და ისევ, რომლებიც ადვილად უჩინარდება მინაში, მაგრამ ასევე დროდადრო ამოხეთქავს, მაშინ როცა ყველაზე ნაკლებად ველით“ (ელდრიჯი, 2009: 68).

მსგავსად ამისა, ჟილ დელიოზის მიხედვით, მწერლები ისეთივე მოაზროვნეები არიან, როგორც ფილოსოფოსები, უბრალოდ ისინი აზროვნებენ არა ცნებების, არამედ სიტყვების მეშვეობით (სმი-თი..., 2013: 25).

ფრანგი დეკონსტრუქციონისტი – ჟაკ დერიდა გმობს ერთხმადანობის არისტოტელიანურ იდეალს და მიიჩნევს, რომ უნდა ვწეროთ და ვიკითხოთ იმგვარად, რომ მოხდეს ამ ლოგოცენტრისტული ტრადიციის დეკონსტრუქცია. დერიდას მიერ ფილოსოფიური ტექსტების ნაკითხვები მოიაზრებს, რომ ლიტერატურული ტექსტების შემთხვევაშიც შესაძლებელია მსგავსი ნაკითხვა, რაც გულისხმობს „თვითდამხობის“ უსასრულო პროცესს (კენედი..., 1995: 173).

პოლ დე მანის მიხედვით, დერიდა იძლევა მეთოდს, რომელსაც ასეთი ნაკითხვა შეუძლია განაპირობოს. დე მანის მიერ დერიდას იდეების ათვისება გადამწყვეტი მომენტია დეკონსტრუქციონიზმის განვითარებაში (კენედი..., 1995: 174). უშუალოდ ლიტერატურულ კრიტიკას დეკონსტრუქცია უკავშირდება არა დერიდას, არამედ პოლ დე მანის საშუალებით (კენედი..., 1995: 166).

დე მანის დეკონსტრუქცია არ გულისხმობს, რომ კრიტიკოსს თავისი მიზნების შესაბამისად შეუძლია ინტერპრეტაცია, დე მანის აზრით, სწორი კითხვის აქტის შედეგად ვიღებთ ნაკითხვის ანუ ინტერპრეტაციის შეუძლებლობას (კენედი..., 1995: 182). ჯონათან ქალერის მიხედვით, „ტექსტს, „თავისი მარგინალური ელემენტების ძალით“ ძალუძს „დაამხოს“ წინა ნაკითხვები“ (კენედი..., 1995: 191), ქალერის აზრით, დეკონსტრუქციული კრიტიკის შედეგი არის „კრიტიკოსის მუდმივი თვითგანახლების გამოცდილება ინტერპრეტაციის წინა ჯერზე გამოყენებული ჩარჩოების მუდმივი გადაღავით“, შედეგი არის შესაძლებლობა და უნარი „ჩაერთო პრაქტიკაში, რომელიც გამუდმებით იცილებს თავიდან განსაზღვრულობის შესაძლებლობას“. ასეთი კრიტიკა არ გულისხმობს ფილოსოფიის ლიტერატურით ჩანაცვლებას ან ფილოსოფიის მიყენებას ლიტერატურისათვის, არამედ ჩართვას იმგვარ ქმედებაში, რომელსაც ეფექტურად ველარ მივუყენებთ ფილოსოფია-ლიტერატურის, ასევე ზოგადობა-პარტიკულარულობის ტრადიციულ გარჩევა-განსხვავებას.

რიჩარდ რორტის აზრით, „დეკონსტრუქციული კრიტიკის ქალერისეული გააზრებიდან აშკარა ხდება თუ რაოდენ რადიკალურია ასეთი კრიტიკის განცხადებები და რამდენად რადიკალურები უნდა იყვნენ ისინი რათა უპასუხონ მათ წინააღმდეგ მიმართულ სტანდარტულ კრიტიკას“, რაც გულისხმობს ბრალდებას, რომ თითქოს დეკონსტრუქცია უშვებს ინტერპრეტაციის არბიტრარულობას. რორტის აზრით, მსგავს რადიკალურ ქმედებას როტორიკულ-პოლიტიკური შეფერილობაც აქვს და მართლაც დეკონსტრუქციონისტები თავიანთ პრაქტიკას პოლიტიკური პრაქტიკის გაგრძელებად მიიჩნევენ (კენედი..., 1995: 192).

საუბარია დეკონსტრუქციის კრიტიკულ პოტენციალზე კაპიტალისტურ-პატრიარქალური და განმანათლებლური დისკურსის წინააღმდეგ, ფუკოს პერსპექტივიდან, „მარქსიზმი მოდიდან გადასული ჰუმანიზმის სახეობა“, ხოლო ჟან ფრანსუა ლიოტარის მიხედვით, ნიცმეს, ჰაიდეგერის და

ფუკოს შემდეგ ჩვენ აღარ შეგვიძლია ისეთი „მეტა-ნარატივების“ რწმენა, როგორცაა მარქსიზმი (კენედი..., 1995: 195).

რაც შეეხება კონკრეტულ მიდგომას, ნიგნში „გრამატოლოგიისათვის“, დერიდა ამბობს, რომ როდესაც ტექსტის გაშიფრვისას ვაწყდებით სიტყვას ან მეტაფორას, რომელიც შეიცავს წინააღმდეგობას, ორაზროვნებას და მიუთითებს ერთიანი მნიშვნელობის არარსებობაზე, ჩვენ უნდა ჩავეჭიდოთ სწორედ ამ სიტყვას თუ მეტაფორას, „ჩვენ თვალი უნდა მივადევნოთ მის თავგადასავალს ტექსტში და დავინახოთ როგორ იმსხვრევა ტექსტი, როგორც შენიღბვის სტრუქტურა, რომელიც ავლენს თავის თვითტრანსგრესიას, თავის გადაუწყვეტადობას (კენედი..., 1995: 184)“.

დერიდას მიხედვით, როდესაც ვცდილობთ გავიაზროთ აღსანიშნი ან საგნის „სრული“ პრეზენსი, არ შეგვიძლია გავექცეთ ნიშნების სამყაროს (გრონდენი, 2012: 241). „ნარმოდგენილი მუდამ უკვე არის ნარმოსადგენი“, არსებობს მხოლოდ ნიშნები, «ჩვენ ვაზროვნებთ მხოლოდ ნიშნებში», „არაფერია ტექსტის გარეთ“ (ეკო, 1994: 35). დეკონსტრუქციული წაკითხვა არ სვამს კითხვას: რა იგულისხმა ავტორმა? არამედ, რას აღნიშავს ეს ნიშნები? და იგი ამას აკეთებს იმის გაცნობიერებით, რომ არასოდეს იქნება საბოლოო წაკითხვა ან ინტერპრეტაცია“. დერიდას მიხედვით მუდამ იქნება „გაუვალე პოზიციები“, „რომელიც არ გადაიჭრება, რაც უნდა მკაცრი იყოს ჩვენი ანალიზი თუ ეგზეგეზა“ (პორტერი..., 2011: 205). დეკონსტრუქციონისტული წაკითხვა ნიშნავს „იცხოვრო გადაუწყვეტადობასთან, როგორც მუდმივ მოძრაობასთან მოცემულ შესაძლებლობებს შორის“ (პორტერი..., 2011: 206).

ამერიკელი ფილოსოფოსის – ჯონ კაპუტოს მიხედვით, რადიკალური ჰერმენევტიკა არის „მზაობა იცხოვრო ილუზიის გარეშე“ (კაპუტო, 1987: 146) და იგულისხმება დერიდანული გადაუწყვეტადობის პირისპირ დარჩენა, აპოლონური წესრიგის ილუზიის გარეშე ყოფნა, დიონისური ქაოსის პირისპირ. კაპუტოს აზრით, დერიდა არ ეწინააღმდეგება „აუცილებელ ჭეშმარიტებას“, „პრაგმატულ ფიქციას“, უბრალოდ მოითხოვს სიფხიზლეს მის მიმართ, რათა არ დაგვაგინყდეს ხსენებული ჭეშმარიტების ფიქციურობა, არ დაგვაგინყდეს, რომ იგი მხოლოდ დროებით ახდენს განუსაზღვრელი და გარდაუვალე ცვალებადობის, უკონტროლო დინების, „კომბინატორული შესაძლებლობების არარედუცირებადი მრავალხმიანობის“ მოთვინიერებას და სტაბილიზაციას. დერიდას სურს ამ დინების ზეიმური დასტურყოფა, მისი კულტივირება ერთგვარი დიონისური ცეკვით, რიტმითა და დითირამბული სიმღერით (კაპუტო, 1987: 145).

თუმცა არსებობს კონტექსტი, რომელიც მაინც ზღუდავს შესაძლო მნიშვნელობათა წყებას და „ამცირებს გარდაუვალ ორაზროვნებას“ (პორტერი..., 2011: 206). გერმანელი ჰერმენევტიკოსი ჰანს გეორგ გადამერი „ასევე აღიარებს, რომ გაგება ნიშნავს განსხვავებულად გაგებას ყოველ ჯერზე, თუმცა უნდა ვეცადოთ დიალოგს, რაც უნდა არასრულყოფილი და შეზღუდული იყოს იგი. ჰერმენევტიკა და დეკონსტრუქცია ერთმანეთის კორექტივებს წარმოადგენს და არა ბიპოლარულ ოპოზიციებს“ (პორტერი..., 2011: 209).

ისევ ნიციშეს თუ დავუბრუნდებით, კარგად კითხვის ხელოვნება ნიშნავს „გქონდეს უნარი წაკითხო ფაქტები ინტერპრეტაციებით მათი გაყალბების გარეშე, წაკითხო იმგვარად, რომ გაგების სურვილს არ მისცე საშუალება დაგაკარგვინოს წინდახედულობა, მოთმინება, დელიკატურობა“ (ნიციშე, 2005ა: 51).

შალვა ბაკურაძესთან პოეტური სიტყვის დეკონსტრუქციულობა მინიშნებულია ლექსში „საიდანაც უნდა დავიწყოთ“. ავტორი/ლირიკული გმირი საბოლოოდ მკითხველში ათავსებს მნიშვნელობის ნარმოქმნის შესაძლებლობას, თანაც ნარმოქმნის პროცესი არასოდესაა დასრულებული, ხდება დროებითი „აპოლონური წესრიგის“ ისევ ნგრევა დიონისური ქაოსით; თავად ავტორი ტექსტებს ქმნის იმგვარად, რომ ნარმოქმნება დერიდანული გადაუწყვეტადობა, ხდება „მარადიული დაბრუ-

ნება“ ტექსტებთან, მუდმივი „თვითდამსობა“: მნიშვნელობათა დიონისურ ქაოსზე დაწესებული აპოლონური წესრიგი და საზრისი გამუდმებით და განმეორებით ინგრევა და ხელახლა იქმნება:

„არასდროს გასხლა ჩემი წიგნი, მასში ვერც ერთი სიტყვა ვერ ლერნობს შენს გარეშე, დიდხანს ვეძებდი შესაფერ მინას, შესაფერ მზეს, შესაფერ წვიმას ლექსნერგები რომ გადმომერგო შენში გულიდან და ახლა უკვე როცა ყვავის ბალის მეცხრედი, ვხევ ცოცხალ ფურცლებს უანგარო სიყვარულით და ღრმა მონინებით კვლავ გულთან მიმაქვს“. (ბაკურაძე, 2013: 39)

ჰაიდეგერის ფრაზა „ენა ყოფნის სახლია“ ტექსტში მცირედი პერიფრაზითაა წარმოდგენილი:

„სიტყვები თითქოს ბალახია ერთი შეხედვით, მაგრამ კარგად თუ დააკვირდი, მათი ფეხები ვაზის ფესვივით ცეცხლგამძლეა და უფრო მეტიც, მე მათზე ვსახლობ, მათზე მიძინავს, მათზე დავდივარ და ამ ვენახში ერთხელ მაინც თუკი შეხვედი და სიტყვის სუნი შეიგრძენი, გეტყვი ნამდვილად, მეფე კი არა, რომ იყო ღმერთი, ამ სილამაზეს ვერ დათმობდი ალბათ ადვილად“.

შალვა ბაკურაძის ესთეტიკური მრწამსიც გადაუწყვეტადობის ველშია მოქცეული, ენის და აზროვნების დეკონსტრუქცია შესაძლოა უკავშირდებოდეს მისტიკურ დისკურსსაც, რადგან ამ ავტორის ტექსტებში საკმაოდ ექსპლიციტურია დაოისტური და ვედანტურ-ბუდისტური, აღმოსავლური მისტიკის დისკურსი. ჰაიდეგერის ფრაზა „ენა ყოფნის სახლია“ შეიძლება შევადაროთ სუფი მისტიკოსის – ჰაფიზის ფრაზას: „რასაც ვსაუბრობთ, ხდება სახლი, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ“ (მურსი, 2006: 120), ფილოსოფოსი დავით ანდრიაძე საუბრობს ჰაიდეგერის მიმართებაზე სუფიურ კონტექსტთან სწორედ პოეზიის გააზრების თვალსაზრისით (ანდრიაძე, 2010: 1).

ჰაიდეგერის იდეის მსგავსად, დაო, როგორც სახელდების აქტი, ქმნის პოეზიას (ჟი, 2012:42). დაოიზმში, ისევე როგორც ჰაიდეგერთან, ყოველდღიური ენა ვერ გადმოსცემს ადამიანის ცოცხალ გამოცდილებას (ჟი, 2012:44). ჯუან ძის „გამოუთქმადის გამოთქმა“ გულისხმობს საუბარს მსჯელობისა და ჭეშმარიტების განაცხადის გარეშე, ესაა გადაცემა კვალის დატოვების გარეშე (ჟი, 2012:46). ჯუან ძი ამბობს, რომ „თევზის მახე საჭიროა თევზის დაჭერამდე, შემდეგ იგი უნდა გადავავლოთ. ასევე საუბარი საჭიროა გამოხატვისათვის და შემდეგ უნდა დავივიწყოთ, რაც ითქვა“; ჯუან ძის, ლაო ძის და ბუდას აფიქრებთ ადამიანთა ტენდენცია მიეჯაჭვონ იმას, რაც ითქვა (ჟი, 2012: 47).

ნაგარჯუნას ბუდისტურ ფილოსოფიაში მისტიკური გამოცდილება მიიღწევა ფილოსოფიური დეკონსტრუქციით, თუმცა ეს საკმარისი არაა, ძენ-ბუდიზმი მოითხოვს, რომ დეკონსტრუქცია და გასხივოსნება ერთდროულად მოხდეს და ამისათვის ლოგიკის კანონის ტრანსცენდირება უნდა მოხდეს. ძენის კოანი ანუ ლაკონური პოეტური გამოცანა აიძულებს ლოგიკურ პოზიციას უკანდახევას (ჟი, 2012:53).

ჰაიდეგერის მიხედვით, ექსისტენციალური გამოცდილების აღწერისას რეიფიკაციისა და თეორეტიზაციის არიდების მიზნით, საჭიროა „ფორმალური მინიშნება“, „რაც გულისხმობს არა რალაციის მტკიცებას შეუმცდარი და აბსოლუტური ცოდნის მიწოდების პრეტენზიით, არამედ მიმართულების

ზომიერ „მინიშნებას“ იმ მოვლენისკენ, რომელსაც ვიკვლევთ, შედეგის წინასწარ დადგინების გარეშე, იმგვარად, რომ დარჩეს შემდგომი დაზუსტების და შესწორების შესაძლებლობა (მელპასი..., 2015: 109)“. ეს არ ნიშნავს ინტელექტუალური სიზარმაცის ნახალისებას და კონცეპტუალიზმთან დაპირისპირებას, თუმცა იგი აგვარიდებს კონცეპტუალურ დოგმატიზმს (მელპასი..., 2015: 110). შალვა ბაკურაძის ტექსტებში სწორედ ამგვარი ფორმალური მინიშნებებია წარმოდგენილი.

მკითხველის მიერ წარმოქმნილი მნიშვნელობა ინტერპრეტაციის შედეგია, ხოლო ინტერპრეტაცია გულისხმობს ე.წ. ნიღბების ჩხვლეტას, როგორც დელიოზის აღნიშნავს, „ფილოსოფოსს უწევს რელიგიური ნიღბის ტარება; ერთი მხრივ მან უნდა ირწმუნოს ამ ნიღბის, რომლის დამარცხება მას ძალუძს მისთვის ახალი აზრის მინიჭებით, რომელიც გამოხატავს ნამდვილად ანტირელიგიურ ძალას“ (დელიოზი, 2002: 5). ანუ რელიგიური ნიშანი შესაძლოა მხოლოდ ფორმალურადაა რელიგიური და წარმოადგენს ფილოსოფიურ კონცეპტს. მაგალითად, შეუცნობადობის ნიშანი მისტიციზმში ტრანსცენდენტურ რეალობას და მისტიკურ გამოცდილებას მიემართება, ხოლო ფილოსოფიაში – იმანენტურობას. ჟორჟ ბატაის მიხედვით, რასაც იგი უწოდებს „შინაგან გამოცდილებას“, გაიგება როგორც „მისტიკური გამოცდილება“, თუმცა ბატაი მხოლოდ იყენებს მისტიკური მიმართებების ჩარჩოს, რათა გააუქმოს იგი, ბატაი, ბლანშოს მსგავსად, გვთავაზობს „შეუცნობლის“ „ახალ თეოლოგიას“, ოღონდ ეს „შეუცნობელი“ არაა ღმერთი (კერეტი, 1999: 21). დელიოზთან, „სიცოცხლის რეალობა შეუცნობადია, რადგან იგი მიუწვდომელია საღი აზრის იმ კატეგორიებისთვის, რომლითაც ჩვენ ჩვეულებრივ შევიმეცნებთ საგნებს. ეს კი ცხადია არ გულისხმობს ტრანსცენდენტურის მისტიკურ გამოცდილებას“ (ჰეინსი, 2012: 71).

გარდა იმისა რომ სიტყვა მნიშვნელობათა წარმომქნელია, ხდება სიტყვების მიღმა გასვლაც, როცა მუსიკა ხდება პირველადი. ამ დროს ხდება არა იმდენად მნიშვნელობათა, არამედ გამოცდილებათა უშუალო გადაცემა და/ან წარმოქმნა, როგორც ეს მოაზრებულია ნიცშესთან, რომლის მიხედვითაც, მუსიკის მეშვეობით უკეთ ხდება იმ გაგების გადაცემა, რასაც ლინგვისტური გამოხატულება მხოლოდ აზუნდოვნებს (გრეისიკი... 2011: 352). როგორც ლევან ბრეგაძე აღნიშნავს, მოცემული ავტორის ტექსტებში სიტყვის როლი მინიმალურია, მთავარი როლი ინტონაციას აკისრია, ავტორი სიტყვებით კი არა, ინტონაციებით აზროვნებს. ლევან ბრეგაძე ციტირებს შალვა ბაკურაძის მინი-პოემას „ვეფხისტყაოსნიდან“ ფრაზას: „ლექსი ყველასთვისაა და მისი მიღების შანსი ყველას თანაბრად აქვს, ლექსისგან რამე განსაკუთრებულს ნუ მოელი, უბრალოდ უსმინე და როგორც გესმის, ისე გაიგე“. და განმარტავს: „ანუ: სიტყვებზე მეტად ინტონაციებს მიაქცევ ყურადღება, ინტონაციებს მიენდო!“ (ბრეგაძე, 2014: 69).

შემდეგ სტროფებში სიტყვა შეპირისპირებულია სიმღერასთან:

„უთხარი ყველას, შენ უთხარი, თორემ ჩემს სიტყვებს  
ყურს ვინ დაუგდებს, ვინ მოისმენს, ვინ დაიჯერებს.  
ვინ დამიჯერებს, რომ ღმერთი ხარ, რომ შენით ვიწყებ  
ჩემს უსაშველო უსიტყვობით მოკლულ სიმღერებს“. (ბაკურაძე, 2013: 37)

„აქ სულერთია მერამდენე გულით ამოკრეფ  
სიცარიელეს – უერთგულე, როგორც გენებოს,  
მე შენთან ერთად ყოფნას ვირქმევ. ჩემი ხანმოკლე,  
თითქმის უსიტყვო სიმღერები, გადარჩენები...“ (ბაკურაძე, 2013: 65)

ლექსში „ყველაზე მოკლე თავგადასავალს“ მინიშნებულია სიტყვის მეორადობა მუსიკის მიმართ (ბაკურაძე, 2013: 60):

(არც მიფიქრია, სხვა ენაზე დამეწერა შენთვის ეს წიგნი. ერთი თვისება აქვს ქართულ ანბანს – ყველაზე დაბალ ლილხსაც კი უნაკლოდ წერს, ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეული შენი მსგავსი ვინც ქართული არ იცის, ალბათ ამ ღვარჭნილებში ამოიცნობს იმ სიმღერის ყველა მთავარ სანოტო ნიშანს.) (ბაკურაძე, 2013: 59)

მსგავსად ამისა, ნიციშვილს მიაჩნია, რომ ზარატუსტრა რელიგიური ნარატივების და პროფეტული გამოცხადებების პარადიმა (ჰეიტები, 2005: 164), ახალგაზრდა ნიციშვილს მიხედვით, პრიმორდიალური ფუძე უპირველესად გამოხატულია ინტონაციაში და „*ინტონაციური ქვენიდადაგი უნივერსალური და ინტელიგიბელურია ენებს შორის განსხვავებების მიუხედავად*“, სიტყვები წარმოდგენის მეორე დონეა და ისინი გამოხატავენ პრიმორდიალურ ფუძეს, რომელიც უკვე წარმოდგენილია ინტონაციის მიერ (მიურეი, 1999:114).

ნიციშვილს მიხედვით, „ასე იტყოდა ზარატუსტრა“ უნდა ჩავთვალოთ მუსიკად, სადაც მთავარია ინტონაციების სწორი მოსმენა, ზარატუსტრა ამბობს: „*იმღერე! აღარ ილაპარაკო! განა ყველა სიტყვა სერიოზული და მძიმე ადამიანებისთვის არ არის შექმნილი? განა ყველა სიტყვა ტყუილი არაა მათთვის, ვინც მსუბუქია? იმღერე! ნულარ ლაპარაკობ!*“ (გრეისიკი... 2011:356). ერთი მხრივ – ნიციშვილს ამ ნაწარმოებში სიცოცხლის დასტურყოფა ხდება სიტყვებით, მეორე მხრივ კი, მხოლოდ მისი პოეზიის და პოეტური პროზის მუსიკას შეუძლია იმ „ფუნდამენტური, „დითირამბული“ ემოციის გადმოცემა, რომელიც საფუძვლად უდევს და აერთიანებს ამ ქმნილებებს“, მუსიკა გვაგრძნობინებს ხსენებულ ემოციას (იანგი, 2010: 434). ზოგადად, ნიციშვილსთან ხელოვნების ფუნქცია არის სიცოცხლის დასტურყოფა (იანგი, 2010: 119).

თუმცა, მოგვიანებით, ნიციშვილს მიდის დასკვნამდე, რომ მუსიკის თავდაპირველმა ერთიანობამ პოეზიასთან, მუსიკა სიმბოლიზმით დატვირთა და ახლა უკვე „*დრამატული მუსიკა მხოლოდ მაშინღა შესაძლებელი თუ ინტონაციური ხელოვნება დაამარცხებს სიმბოლური ხერხების უზარმაზარ სამფლობელოს*“ (ნიციშვილ... 1996: 99). ნიციშვილს აზრით, რაც უფრო იზრდება ჩვენი ყურის „აზროვნების უნარი“, მით უფრო მეტად უგრძნობი ხდება იგი, გრძნობის ორგანოები ბლავდება და მხოლოდ ტვინი განიცდის სიამოვნებას, სიმბოლური ანაცვლებს რეალურად არსებულს (ნიციშვილ... 1996: 100). შესაბამისად, ნიციშვილს ყოველგვარ ხელოვნებას აღარ მიიჩნევს კულტურის განახლების საშუალებად, რადგან ხელოვნებაც შეიძლება აღმოჩნდეს „*მეტაფიზიკის მახეში*“ (რემპლი, 2000: 123), ამიტომ, ნიციშვილს თანახმად, დიონისური მუსიკა, რომელიც ინარჩუნებს უნივერსალურ მგრძნობელობას, უნდა დაეფუძნოს ანტიკური ქორალური სიმღერის დითირამბის ნიმუშს, რომელიც ზოგადად იამბური საზომის ლექსი იყო (გრეისიკი... 2011: 352).

შალვა ბაკურაძის ხუთი ჰერმენევტიკულად მნიშვნელოვანი ლექსი ფორმით არის ქორეული იამბიკო – შესაძლოა, აქ იამბური საზომის არჩევა რამეგვარად დაკავშირებულია დიონისური მუსიკის ნიციშვილურ გაგებასთან, მით უფრო, რომ ამ ტექსტების ინტონაცია ან ტრაგიკულია, რითაც ასევე გამოხატავს ნიციშვილურ დასტურყოფას, ან შინაარსობრივად მიაჩნია დიონისურ ერთობასა და სიცოცხლის დასტურყოფას. მაგალითად, დასდებელში {მოვედით დღეს შვილნო}; დასტურყოფის შინაარსიც და ემოციაც ძლიერდება უშუალოდ მომდევნო დასდებელში {შენ მეუფეო, მეუ...}. შალვა ბაკურაძე ცდილობს სპეციფიკური მუსიკის მოძიებას ან შექმნას, იგი იშვიათად წერს რიტმიკის ტრადიციული ფორმებით.

როცა ვსაუბრობთ ინტონაციის მსგავს დეკონსტრუქციონისტულ გააზრებაზე, გასათვალისწინებელია სინტია ჩეიზის მოსაზრება, რომელიც პოლ დე მანის მაქსიმუმის ერთგვარი პერიფრაზია: „ენის შესაძლებლობა იმოქმედოს (to perform – წარმოდგენა, თამაში როლის, მუსიკალური ნაწარმოების

შესრულება, განხორციელება, კეთება, ეფექტურობის დემონსტრირება) ისეთივე ფიქციურია, როგორც ენის შესაძლებლობა ამტკიცოს“ (კენედი..., 1995: 189). შესაბამისად, ინტონაციაც დეკონსტრუქციული გადაწყვეტადობის ველშია მოქცეული და ვერ იქნება ტექსტის გაგების გარანტი.

ამგვარად, შალვა ბაკურაძის ტექსტების ინტერპრეტაცია მოითხოვს რადიკალური ჰერმენევტიკის (დეკონსტრუქციულ) მიდგომას, რომელიც აცნობიერებს ნებისმიერი ინტერპრეტაციის პირობითობას და გადაწყვეტადობის ველში ტოვებს ხსენებული ფორმალური ნიშნების კონტექსტზე მიკუთვნებულობას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანდრიაძე, 2010: ანდრიაძე, დ.; „ხელახალი RENDEZ-VOUS (კულტურსემიოლოგიური კონტამინაციები)“; ჟურნალ „სემიოტიკის“ ბლოგი, 2010, ნომბერი;
2. ბაკურაძე, 2013: ბაკურაძე, შალვა; დასდებულნი წმინდისა აღდგომისანი; ახალი საუნჯე; თბილისი;
3. ბანიანი..., 2003: Bunnin, Nicholas; Tsui-James Eric; The Blackwell Companion to Philosophy; Blackwell Publishers Ltd, a Blackwell Publishing company; Padstow;
4. ბრეგაძე, 2014: ბრეგაძე, ლევან; ინტონაციების პოემა (შალვა ბაკურაძის ვეფხისტყაოსნის ინტერპრეტაციის ცდა); ჟურნალი ახალი საუნჯე, მაისი, N3(11); თბილისი;
5. გრეისიკი..., 2011: Gracyk, Theodore; Kania, Andrew; The Routledge Companion to Philosophy and Music; Routledge; New York;
6. გრონდენი, 2012: Grondin, Jean; Introduction to Metaphysics: From Parmenides to Levinas; Columbia University Press; New York;
7. დალსტრომი, 2011: Dahlstrom, Daniel O.; Interpreting Heidegger: Critical Essays; Cambridge University Press; Cambridge;
8. დელიოზი, 2002: Deleuze, Gilles; Nietzsche and Philosophy; Continuum; Trowbridge;
9. დეტვაილერი..., 2000: Detweiler, Robert , David Jasper; Religion and Literature: A Reader; Westminster John Knox Press; Louisville;
10. ეკო, 1994: Eco, Umberto; The Limits of Interpretation; Indiana University Press; Indianapolis;
11. იანგი, 2010: Young, Julian; Friedrich Nietzsche: A Philosophical Biography; Cambridge University Press; New York;
12. კაპუტო, 1987: Caputo, John D.; Radical Hermeneutics: Repetition, Deconstruction, and the Hermeneutic Project; Indiana University Press; Bloomington; Indianapolis;
13. კენედი..., 1995: Kennedy, George Alexander; Selden, Raman; The Cambridge History of Literary Criticism; Volume 8; Cambridge University Press; Cambridge;
14. კერეტი, 1999: Carrette, Jeremy R.; Religion and Culture; Routledge; New York;
15. ლაფონი, 2000: Lafont, Cristina; Heidegger, Language, and World-Disclosure; Cambridge University Press; New York;
16. მაკკორტი, 2001: McCort, Dennis; Going beyond the Pairs: The Coincidence of Opposites in German Romanticism, Zen and Deconstruction; State University of New York; Albany;
17. მელპასი..., 2015: Malpas, Jeff ; Gander, Hans-Helmuth; The Routledge Companion to Hermeneutics; Routledge; Abingdon;



18. მიურეი, 1999: Murray, Peter Durno; Nietzsche's Affirmative Morality: A Revaluation Based in the Dionysian World-View; Walter De Gruyter; Berlin;
19. მუდი, 2005: Moody, A. David; The Cambridge Companion to T. S. Eliot; Cambridge University Press; Cambridge;
20. მურსი, 2006: Moores, D. J.; Mystical Discourse in Wordsworth and Whitman: A Transatlantic Bridge; Peeters; Leuven;
21. ნიცშე, 1968: Nietzsche, Friedrich; Kaufman, Walter; Friedrich Nietzsche: The Will to Power; Random House; New York;
22. ნიცშე, 1996: Nietzsche, Friedrich; Hollingdale, R. J.; Nietzsche: Human, All Too Human: A Book for Free Spirits; Cambridge University Press; Cambridge;
23. ნიცშე, 2005ა: Nietzsche, Friedrich; The Anti-Christ, Ecce Homo, Twilight of the Idols & Other Writings; Cambridge University Press; New York;
24. ნიცშე, 2006ბ: Nietzsche, Friedrich; Clarck, Maudemarie; Leiter, Brian; Daybreak: Thoughts on the prejudices of morality; Cambridge University Press; Cambridge;
25. პორტერი..., 2011: Porter, Stanley E.; Robinson, Jason C.; Hermeneutics: An Introduction to Interpretive Theory; William B. Eerdmans Publishing Company; Grand Rapids/Cambridge;
26. ჟი, 2012: ჟი, Yong; Poetic Leaps in Zen's Journey of Enlightenment; iUniverse, Inc.; Bloomington;
27. რემპლი, 2000: Rampley, Matthew; Nietzsche, Aesthetics and Modernity; Cambridge University Press; New York;
28. უოტსი, 2011: Watts, Michael; The Philosophy of Heidegger; Routledge; Abingdon;
29. ჰეინსი, 2012: Haynes, Patrice; Immanent Transcendence: Reconfiguring Materialism in Continental Philosophy; Bloomsbary; Chennai.



# გადახაზ როსპარაძე

## ჩანაწერები მურმან ბორბოშაძის „საუბრების...“ ბამო

2016 წელს პროფესორმა მურმან გორგოშაძემ საინტერესო წიგნი გამოსცა და უწოდა მას „საუბრები ეროვნულ ცნობიერებაზე“. ნაშრომი ეხება ეროვნული ცნობიერებისა და თვით-ცნობიერების, ეროვნული ცნობიერებისა და რელიგიის, ერისა და სახელმწიფოს მიმართების ზოგიერთ თეორიულ ასპექტს. აღნიშნული საკითხების კვლევა მრავალი თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი და ამავე დროს, პრაქტიკული დანიშნულების მქონე. ნიშანდობლივია, რომ ავტორი, გლობალურ საკითხებთან ერთად, ქართული რეალობის განზოგადებას ცდილობს და მოიხმობს შთამბეჭდავ მასალას ქართველი ხალხის წარსული და თანამედროვე ცხოვრებიდან, ჩვენი სახელმწიფოებრიობის ისტორიიდან.

წიგნის სათაურში გამოტანილი სიტყვა – „საუბრები“ – ნაშრომის კომპოზიციასაც განსაზღვრავს. საუბრები უკვე ნიშნავს „ავტონომიური“ თემების გამოყოფას და განხილვას; თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ „ავტონომიურობის“ ხსენება მეტად პირობითია: ცალკეულ პარაგრაფებს (ანუ საუბრის თემებს) შორის ღრმა შინაგანი კავშირია; თითოეული „საუბარი“ წარმოაჩენს ეროვნული ცნობიერების რომელიმე ასპექტს, ხოლო თემატურ-მსოფლმხედველობრივი ხერხემალი მთლიანობას ანიჭებს კომპოზიციურ დეტალებს და, შესაბამისად, მთელ ნაშრომს.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „საუბრები“ არის წინაპირობა მონოგრაფიისათვის მეტად აქტუალურ, ქართველი ერისთვის და ქართული სახელმწიფოსთვის საჭირობოტო, პრობლემებზე.

ავტორი თანმიმდევრულად, მეცნიერული კეთილსინდისიერებით განიხილავს ქართველი თუ უცხოელი ავტორების თეორიულ ნააზრევს, მრავალრიცხოვან სამეცნიერო ლიტერატურას, მათ შორის, ქართველოლოგიის სხვადასხვა დარგის უახლეს გამოკვლევებს.

კვლევის არეალში მოქცეულია უცხოეთში კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური ქართველებიც. ამ მიმართულებით კვლევის განვითარება-გაღრმავება კი საინტერესო და აუცილებელია მრავალი თვალსაზრისით. მით უმეტეს, რომ ავტორი ფართოდ განიხილავს რელიგიური იდენტობის საკითხებს და რელიგიის გავლენას ეროვნულ თვითშემეცნებაზე. უნდა დავეთანხმოთ ავტორს, რომ „ქართული თეორიული მეცნიერებანი ვალშია თანამედროვე ქართული „ქართველთმცოდნეობისა“ თუ ქართველოლოგიის“ წინაშე. არადა, უცხოეთში კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური ქართველების ეთნო-ლინგვისტურ შესწავლასთან ერთად მეტად მნიშვნელოვანია იმ თეორიული საკითხების მეცნიერული კვლევა, რომლებიც ხელს შეუწყობს მათი ყოფის უკეთ გაგებას. თეორიული

კვლევის ერთ-ერთ ასეთ მიმართულებას კი ეროვნული ცნობიერებისა და თვითცნობიერების შესწავლა წარმოადგენს“. ამდენად, ნაშრომის აქტიულობას, მეცნიერულ ღირებულებასთან ერთად, ხსენებული თემატური რკალიც განაპირობებს: XIX საუკუნეში გადასახლებულ ქართველ მუსლიმანთა შთამომავლები დღემდე კომპაქტურად სახლობენ თანამედროვე თურქეთის მრავალ პროვინციაში. შესაბამისად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სწორ მეთოდოლოგიურ საფუძველზე დამყარებული კვლევები, ერთი მხრივ, რელიგიისა და ეთნიკურობისა, რელიგიისა და ერის იდენტობისა და მეორე მხრივ, მათი გავლენებისა ეროვნული ცნობიერების ფორმირებასა და მოტივაციაზე.

თურქეთში მცხოვრებ ქართველებში საკუთარ ვინაობასთან დამოკიდებულება არაა ერთგვაროვანი, რაც ხშირად მკაფიოდ ჩანს – მუჰაჯირთა მიყრუებული სოფლის ბერიკაცებთან საუბრისას თუ თურქეთის ქართველთა რომელიმე წარმომადგენლობით შეკრება-სიმპოზიუმზე. გაცნობა-დაახლოების პროცესი, კი, რომელმაც მეოცე საუკუნის მიწურულიდან სრულიად ახალი შინაარსი შეიძინა, კიდევ დიდხანს გაგრძელდება და, როცა საქმე ეხება ისტორიულ სამშობლოს და ტრადიციულ ქართულ ღირებულებებს, ჩვენებურებსაც, ამჟამინდელ თუ ხვალინდელ თაობას, კიდევ ბევრი აქვთ სანახავი, დასაკვირვებელი, გასაგები და გასაანალიზებელი...

ეს ვრცელი და რთული თემაა, ამიტომ თვითშემეცნების დისონანსურ შრეებს მეტად მოკლედ შევეხები და, სარეცენზიო ნაშრომის თემატური რკალების ფარგლებში, მხოლოდ ერთ ჩანაწერს მოვიყვან ჩვენი 2012 წლის ექსპედიციის დღიურიდან:

ოსმანი ორდუს პროვინციაში გავიცანით. წარმოშობით ქედის რაიონიდანაა, ქართულიც იცის და საკუთარი ფესვებით, გურჯობით, ამაცობს. იცის, რომ საქართველოში მცხოვრები მუსლიმები, კომუნისტების დროს, რელიგიური თვალსაზრისით იჩაგრებოდნენ. იგი, როგორც ქართველი მუსლიმი, განიცდის ამას და ცდილობს,

დაეხმაროს თანამოძმეებს. ეს აქტიურობა მისი ქართული იდენტობის ერთგვარი გამოვლინებაა. რამდენიმე წლის წინ მონაწილეობდა ღონისძიებაში, რომელიც ქართულ ენაზე გამოცემულ მუსლიმური ლიტერატურის დარიგებას ისახავდა მიზნად. ეს წიგნები მხოლოდ საქართველოს მოსახლეობისთვის იყო განკუთვნილი. ოსმანიც ჩამოდიოდა ბათუმში და წიგნები ჩამოჰქონდა.

საეჭვო არაა, რომ ოსმანი გულწრფელად იყო შენუხებული საქართველოში მცხოვრებ თანამემამულეთა ბედით, ანუ რელიგიურ თანაგრძნობას ეროვნული ვინაობა განაპირობებდა. თუმცა ნაციონალური იდენტობის პრობლემათა ფართო სპექტრის განხილვისას გამოიკვეთა უშუალოდ მის თვალწინ არსებული არსებითი საკითხი: ქართული ენის პრობლემა თურქეთის ქართველ მუსლიმებში! ოსმანი აღიარებს, 21-ე საუკუნეში თურქეთის ქართველობა საბოლოოდ დაკარგავს ქართულ ენას. წინაპართა ენა არც მის სოფელში იცის ახალმა თაობამ, მათ შორის, არც მისმა შვილიშვილებმა. ჰოდა, რელიგიური შინაარსის წიგნებით სავსე ხურჯინს ბათუმში რომ დაცლიდა, განა არ უნდა გასჩენოდა სურვილი – იგივე ხურჯინი უკან ცარიელი კი არ წაეღო, არამედ „დედა ენით“ გაეცხო – თურქეთის ქართველთა შვილებისთვის, შვილიშვილებისთვის, შვილთაშვილებისთვის?

ცარიელი ხურჯინის თემასთან იმის გახსენებაც ღირს, რომ თანამედროვე თურქეთის კანონმდებლობით, ნაციონალური უმცირესობებისათვის ნებადართულია სკოლებში მშობლიური ენის, როგორც არჩევითი საგნის, სწავლება. ეს სულ ახალი ამბავია – თურქეთის განათლების სისტემის მნიშვნელოვანი სიახლე, ნაციონალურ უმცირესობათა ენების სწავლება არჩევითი საგნების ფარგლებში, იქაურ ქართველთა სინამდვილეში ნელ-ნელა, მძიმედ მკვიდრდება და მითუმეტეს დასაფასებელია ამ საქმის გულშემატკივართა, სამწუხაროდ, არცთუ მრავალრიცხოვანი ჯგუფის, თავდადება...

და სიტყვა რომ არ „გაგვექცეს“, სწორედ მოცემულ კონტექსტში უნდა გავამახვილოთ ყუ-

რადღეჲა მურმან გორგოშაძის მოსაზრებაზე, რომელიც, ვფიქრობთ, საყურადღებო იქნება უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა ყოფით დაინტერესებული არაერთი მკვლევრისთვის და, რომელმაც, შესაძლოა, ამავე დროს, მრავალი ახალი თვალსაზრისის წარმოქმნა-ჩამოყალიბებისაკენ უბიძგოს სპეციალისტებს: „საინტერესოა, – აღნიშნავს სარეცენზიო წიგნის ავტორი, – რომ ეროვნული იდენტობის მატარებელი პიროვნების ეროვნული ცნობიერება ხშირად, სხვა სახელმწიფოში თუ სხვა ერის წარმომადგენლების გარემოცვაში ხანგრძლივი ცხოვრებისას, იმ ერზე პოზიტიური შეხედულებებით საზრდოობს, რომელსაც თავს აკუთვნებს იგი. ასეთ შემთხვევაში (თუნდაც კომპაქტური მოსახლეობისას) ეროვნული იდენტიფიკაციის საფუძველს მხოლოდ გენეტიკური მექანიზმები წარმოადგენენ და არა მისი ეროვნული იდენტობის ყოველდღიურად მაცოცხლებელი სოციალური მექანიზმები. ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, ადათ-წესები, ყოველდღიური გარეგანი რესურსების არასაკმარისობის პირობებში, დამატებითი, შინაგანი ფსიქოლოგიური რესურსებით ამუშავებული, ეროვნულობის შემანარჩუნებელი ფენომენია“.

ჩვენი რეცენზია ცალმხრივი რომ არ გამოვიდეს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ უცხოეთში მცხოვრები ქართველების ეროვნული ცნობიერების საკითხები არსებითი, მაგრამ მხოლოდ ერთ-ერთი თემაა წიგნისა, სინამდვილეში ნაშრომის პრობლემატიკა გაცილებით უფრო ფართო და მრავლისმომცველია. „საუბრების...“ დიაპაზონზე, აქტუალობაზე და მაღალ სამეცნიერო ღირებულებაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა იმ თემების ჩამონათვალიც კი, რომელსაც იგი მოიცავს. კერძოდ, ესენია: ეროვნული ცნობიერების შესწავლის აუცილებლობა და მნიშვნელობა; ეროვნული ცნობიერების არსი, ზოგადი და სპეციფიკური ნიშნები; ეროვნული ცნობიერების შინაარსი და ადგილი ცნობიერების სტრუქტურაში; ეროვნული ცნობიერების სტრუქტურა; ეროვნული თვითცნობიერების რაობა; ეროვნული ცნობიერება და რელიგია; ეროვნული ცნობიერების

სიმყარის ფაქტორები და საფრთხეები; ერი და სახელმწიფო – ურთიერთმიმართების ასპექტები...

ფაქტია, რომ „ეროვნული ცნობიერების და საერთოდ, ეროვნული პრობლემატიკის თეორიული საკითხები მე-20 საუკუნის დასაწყისის საქართველოში საფუძვლიანად დამუშავდა, ძირითადად, არჩილ ჯორჯაძის, მიხაკო წერეთლის, დიმიტრი უზნაძისა და კონსტანტინე კაპანელის მიერ. მათ აღნიშნული მიმართულებით რამდენიმე მნიშვნელოვანი კონცეფცია გამოკვეთეს...“ თუმცა, შეუძლებელია არ დაეთანხმო მოსაზრებას მურმან გორგოშაძისა, რომელიც მიუთითებს სამწუხარო გარემოებაზე, რომ ხსენებული კონცეფციებიდან „არც ერთს არ განუცდია განვითარება-გაძლიერება და შემდგომი დამუშავება მომდევნო თაობის მკვლევართა მიერ. შეგროვებულია დიდძალი ეთნოლინგვისტური მასალა, როგორც საქართველოში, ასევე, უცხოეთში მცხოვრები ქართველების შესახებ, რომელიც ეროვნული ცნობიერების პრობლემატიკის ჭრილში თეორიულ გააზრებას მოითხოვს“.

მურმან გორგოშაძის ნაშრომი ეთნოეროვნული კვლევისათვის აუცილებელი კომპლექსური მიდგომის ჩინებული ნიმუშია. ავტორი შესაშური სრულყოფილებით იყენებს და ახლებურად განიხილავს ბევრ წყაროთმცოდნეობით, ისტორიულ, ენათმეცნიერულ, ეთნოლოგიურ, ლიტერატურულმცოდნეობით და სხვა მონაცემს, რაც ნათლად წარმოაჩენს მის მაღალ კვალიფიკაციასა და განუელი შრომის მოცულობას.

თითოეული სასაუბრო თემა ფართო ყურადღებას იმსახურებს, რაც ვერაფრით ჩაეტევა ერთი რეცენზიის ფარგლებში. ამიტომ, დარჩენილი სათქმელის საკომპენსაციოდ, წარმოვადგენ მურმან გორგოშაძის მიერ გადაღებულ ფოტოს, რომელიც 2010 წელსაა გადაღებული ტაოში, ჯერაც შემორჩენილ ქართულენოვან სოფელ ხევაიში, და ჩვენს ჩანაწერში მას სიმბოლური დატვირთვა გააჩნია: ფოტოზე ასახულია ტაოელი გურჯების მზადება „ხორუმის“ როკვისათვის...





# დანიელ სუმბაძე

## ინფორმაციული ომი საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის ხელში ჩასაბღებად

(ანუ: ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის: „დავითიანის“  
გაგებისათვის დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის ჭრილში)\*

**კაცობრიობის  
„თავზარდამცემი საიდუმლო“  
(გაგრძელება)**

მთელი თავისი დედაბუდით წაასხა ბაბილონის მეფემ, ნაბუქოდონოსორმა, იუდას მეფე ბაბილონში და მის ადგილზე მეფედვე დატოვა მეფის ბიძა – ციდეკიაჰუ. მეორედ დალაშქრა ნაბუქოდონოსორმა იერუსალიმი. მეფედ დატოვებული ციდეკიაჰუ, რომელიც გადაუდგა ბაბილონის მეფეს, გაექცა. დაიჭირეს გაქცეული ციდეკიაჰუ ქალდეველებმა, მიჰგვარეს მეფეს, თვალწინ დაუკლეს შვილები, დათხარეს თვალები, სპილენძის ბორკილები დაადეს და ასე თვალებდათხრილი მიიყვანეს ბაბილონს...

ბიბლიის მეფეთა წიგნებიდან მოხმობილი ფრაგმენტებით მკითხველისათვის გვინდა თვალსაჩინო იყოს ბაბილონის ტყვეობის უმძიმესი ხასიათი ებრაელთათვის.

ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის მეფობის მე-19 წელს, მისი ქონდაქართუხუცესი,

ნებუზარდანი, ბაბილონის მეფის მორჩილი, მოადგა იერუსალიმს: გადანვა უფლის სახლი და მეფის სახლი, იერუსალიმის ყველა სახლი, ყველა დიდი სახლი ცეცხლს მისცა... დაანგრია კედლები იერუსალიმის ირგვლივ... ქალაქში დარჩენილი მოსახლეობა და ისინი, ვინც ბაბილონის მეფეს ჩაბარდნენ, ჭრელ ხალხთან ერთად აჰყარა... **ნაწილი ქვეყნის ხალხისა მევენახეებად და მხვნელ-მთესველებად დატოვა...**“ (4 მეფ. 25, 9-12).

დანიელ წინასწარმეტყველის წიგნში აღწერილია ბაბილონში ჩამოყვანილ იუდეველ ტყვეთა გამოყენების ისტორია სამეფო კარის ე. წ. ინტელექტუალურ საქმეებში მოსამსახურეობისათვის, რაც ჩვენ მიერ ზემოთ ხსენებული წარმოუდგენელი „მითით“, ბ-ნ ვლადიმერ ვახანიას მიერ შექმნილით, ქალდეველთა მიერ ქალდეური სიბრძნის ებრაელთათვის გადაცემის რიტუალი ყოფილა, განხორციელებული ფანატიკოსი ქალდეველი მოგვების წინასწარმეტყველების შედეგად. როგორც ზემოთ იყო უკვე აღნიშნული, ბ-ნ ვახანიას აზრით, ბაბილონის ტყვეობა, ანუ

\* გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნალი „ჭოროხი“, №4, 5, 6, 2015 წ.; №1, 2017 წ.

ებრაელთა ქვეყნის დაქცევა, რომელზეც ესოდენ უმძლავრესი გოდებით გოდებენ ბიბლიური წინასწარმეტყველნი, საშინელი წყევლა-კრულვით მანყევარნი ბაბილონისა, თურმე იმისათვის შემდგარა, რომ გონიერი ებრაელები წამოეყვანათ ბაბილონში ქალდეურ სიბრძნეში გასაწრთვლად. ვახანას მთელი ამ დეტექტივის შესაქმნელად გამოყენებულია დანიელ წინასწარმეტყველის წიგნში ასახული ინფორმაცია, რომლითაც მეფე ნაბუქოდონოსორმა, რომელმაც იერუსალიმიდან წამოღებული ძვირფასი ჭურჭლეული თავისი ღმერთის საგანძურში შეიტანა და ტრადიციისამებრ, ნადავლი თავის ღმერთს მიართვა, საჭურისთა მთავარს დავალება მისცა: „მიეგვარა მისთვის ისრაელიანთაგან, სამეფო მოდგმიდან და დიდებულთაგან უნაკლო, შესახედავად მშვენიერი, ყველა სიბრძნეში დახელოვნებული, ნიჭიერი და სწავლის უნარიანი ყმანვილები, რომელთაც შეეძლებოდათ მეფის კარზე სამსახურის განწევა და (ამისათვის) ქალდეველთა მნიშვნობრობისა და ენის შესწავლა“. (დან. 1, 3-4).

ბაბილონის მეფეთ, სხვა ქვეყნების არაერთი მეფე და დიდებული ჰყავდათ თავიანთ სამეფო კარზე ტყვეებად, როგორც ამას მეფეთა მეოთხე წიგნი გვაუწყებს ბიბლიისა, და გვაუწყებს იმასაც, რომ სამეფო დიდსულოვნების ეთიკა, მეფობისა და დიდებულობის პატივის ნიშნად, ბაბილონის მეფეთ განაწყობდა რომ დაპყრობილი ქვეყნის დამორჩილებულ მეფეთა და დიდებულთადმი შესაფერისი და მეფეთა საკადრისი სამსახური დაენესებინათ, ამასთან საჭირო და სასარგებლო საკუთარი სამეფო კარისათვის. რაც შეეხება ქალდეველთა წიგნების გამოყენებას ებრაელთა მიერ, ეს უკვე დასრულებულია ბაბილონის ტყვეობის დროს. ებრაელებს უკვე თავისი ოქროს ხანა გავლილი აქვთ. ქალდეველთა სიბრძნის გადაცემა და ებრაელთაგან მითვისება იწყება და შედგება არა ბაბილონში, არამედ ქალდეველთა ურში, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ქალდეველთა ქვეყნის დედაქალაქია ური, როცა ებრაელთა ერთი მომთაბარე თემი შეეხიზნება ქალდეველთა ქვეყანას და მის ქურუ-

მებს. შეიძლება ითქვას, რომ უკვე აბრაამიდან მითვისებული ქალდეური ცოდნა გადაეცემათ ისრაელიანთა თაობებს. და არა მხოლოდ ქალდეველთაგან მითვისებული! სპეციალისტების მიერ დადგენილია მოსე წინასწარმეტყველის ათი მცნების გადმოსესხება ეგვიპტელთა წმინდა წიგნიდან, რომელსაც „მკვდართა წიგნი“ ჰქვია (ჯონათან ბლეკი „მსოფლიოს საიდუმლო ისტორია“). თუმცა, ებრაელთა ბუნება-ხასიათიდან გამომდინარე, ალბათ, არც ბაბილონში დარჩებოდნენ სარგებლის გამოძებნის გარეშე.

ჩვენ მიერ ზემოთ ხმობილ ქართულ ხალხურ გამონათქვამში: „ურია წყალს მიჰქონდა და ჩემი გზაც იქით არიო“ – საოცარი სიღრმით არის დაჭერილი ებრაელი ხალხის უჩვეულო და, შეიძლება ითქვას, გენიალური უნარი, ნებისმიერი უბედურება შეატრიალოს თავის სასარგებლოდ. ასე ხდებოდა მათი ბიბლიური ისტორიითაც და ასე მოხდა ჩვენს თვალწინაც, მეორე მსოფლიო ომითაც, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ბაბილონის ტყვეობაზე. ბაბილონის ტყვეობა, ებრაელი ერისთვის იყო უდიდესი ტრაგედია, უდიდესი ნიშანსვეტი მათი ისტეროვნული ისტორიისა. მთელი ებრაელი ერის ტყვედ წასხმა ბაბილონელთა მიერ და დარბევა და დაქცევა ებრაელთა ოქროს ხანით მოპოვებული ეროვნული მეობის განსახიერებისა: სოლომონის ტაძრისა, აგებულის ებრაელთა მფარველი ღმერთისადმი სამსახურად. ეს იყო გამანადგურებელი დარტყმა, რომელიც ქალდეველებმა მიაყენეს ებრაელებს. შეიძლება ითქვას, რომ ებრაელები განთავისუფლდნენ მეორე მსოფლიო ომის გერმანულ-ფაშისტური წამებიდან, მაგრამ დღესაც ვერ განთავისუფლებულან ბაბილონის ტყვეობიდან, ანუ ქალდეველთაგან მიყენებული რელიგიური შურისძიებისაგან. მეორე მსოფლიო ომი, რომელიც უდიდესი ტრაგედია იყო ებრაელი ხალხისთვის, ომი, რომლითაც ებრაელი ხალხის მსოფლიო დევნამ და წამებამ კულმინაციას მიაღწია, დამთავრდა ებრაელი ხალხის გამარჯვებით, რადგან ამ ომით ებრაელმა ხალხმა შეცვალა მსოფლიო, შეცვალა მსოფლიოს დამოკიდებულება

ებრაელთა მიმართ. ებრაელთა მდევნელი და მძულვარე მსოფლიოდან მივიღეთ ებრაელთა ქომაგი და ებრაელთა წამებულ ბედზე გადაფარებული, ყოველგვარ ანტიემიტიზმზე აღშფოთებული მსოფლიო. ეს, ცხადია, არ ეხება საქართველოს, სადაც არასოდეს ყოფილა ებრაელთა დევნა და სადაც ყოველთვის ჰქონდათ სიყვარული ებრაელებს, და საერთოდ აზრადაც არ მოსვლია ქართველობას, რაიმე ტკივილის მიყენება მათთვის. გვიყვარდნენ ისინი და გვიყვარან. მაგრამ დადგა ჟამი, როდესაც კაცობრიობამ დაიწყო თვითგამორკვევა საიდუმლოებით მოცული ამ ორი სუბიექტის ურთიერთმიმართებისა: კაცობრიობისა და ებრაელი ერის. როგორ მოხდა, რომ ეს ბიბლიური ხალხი, ერთდროულად, იყო დევნილიც, მთელ მსოფლიოში კარს მიღმა დატოვებულიც, და ამავდროულად, კაცობრიობის მასწავლებელი და ცხოვრების სახელმძღვანელოდ მიმცემი წმინდა წიგნისა, ბიბლიის. თვით ქრისტიანობის გამარჯვებითაც ხომ ებრაელი ხალხის ბიბლიური ისტორია სახარებასთან ერთად იქცა სახელმძღვანელოდ კაცობრიული აზროვნების? უფრო მეტი და მეტი: ებრაელებმა შეძლეს თვით ქრისტეს მოვლინებაც კი, და თვით ქრისტეს ჯვარცმაც კი, გამოეყენებინათ თავის სასარგებლოდ.

დიდი ილია ჭავჭავაძე და დიდი აკაკი წერეთელი, ეს ორი დიდი მგოსანი და ორი დიდი მოძღვარი ქართველი ერისა, ებრაელი ხალხის მიმართ ორი სრულიად სხვადასხვა პოზიციით წარუდგებიან მშობელ ხალხს. საოცარია დამოკიდებულება **აკაკი წერეთლისა** ებრაელთადმი. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არასოდეს გამხდარა ეს დამოკიდებულება რაიმე განხილვისა და შემეცნების საგანი. შესანიშნავი საქმე განახორციელა ცნობილმა ისტორიკოსმა და მწერალმა, ბ-ნმა **ზურაბ რატიანმა**, როდესაც ცალკე, საგანგებო აზრობრივი მახვილით, პატარა წიგნად გამოსცა ქართული ესსეისტიკის ორი ბრწყინვალე ნიმუში: **ილია ჭავჭავაძის „დავით აღმაშენებელი“** და **აკაკი წერეთლის „თამარ მეფე“**. თამარ მეფისადმი მიძღვნილ წერილში, სადაც თავისთავად

დედაკაცის, დედის, ქალის ფენომენზე უხდება აკაკის საუბარი, აკაკი წერეთელი ებრაელ ხალხს უწოდებს ყველა ხალხის მოძულე ერს, და ბიბლიურ პოზიციას ქალისადმი, პატრიარქალურსა და მძვინვარეს, ქალის დამაკნინებელს და კაცობრიული ცოდვის სათავედ დამწესებელს, უწოდებს **„მანანალა აზრს“**. აკაკი წერეთელი ვერ ეგუება ქალის დაკნინების ებრაულ ფილოსოფიას ბიბლიაში და უცხადებს ცეცხლოვან ამბოხს ყოველგვარი დარიდების გარეშე. აკაკი წერეთლის ამ დამოკიდებულებას ებრაული ბიბლიური ცნობიერებისადმი და მის განსჯას ბიბლიური ხედვისას დედური სანწყისისადმი, ჩვენ უკვე შევეხეთ ჩვენს ნაშრომში: „თამარ მეფის წმ. სამების მეოთხე წევრად გამოცხადების გაგებისათვის“ (იხ. კრებული: „ბიზანტინოლოგია“, 2010) და აკაკის ამ აზრს მივეცი თუდიდესი შეფასება. **აკაკი წერეთლის** ამ თვალსაზრისს ბიბლიური ღირებულებების შესახებ თეოლოგიური აზრის ისტორიაში უდავოდ მიეცემა უდიდესი, უდავოდ მსოფლიო მასშტაბის მნიშვნელობა. რაც შეეხება, **ილია ჭავჭავაძის** განსჯას და დამოკიდებულებას ებრაელი ხალხის ფენომენისადმი, რასაც ჩვენ უკვე შევეხეთ ზემოთ, წინამდებარე შრომის შესაბამის პრობლემებთან კავშირში, ილიასეული თვალსაზრისი სრულიად განსხვავებულია და ილია ჭავჭავაძეში, მისი ლექსით: „პოეტი“, იმდენად იგრძნობა სიმპატია მოსე წინასწარმეტყველის, როგორც ერის წინამძღოლის იდეალური წარმომადგენლის მიმართ, იმდენად აიგივებს კიდევ ილია თავისთავს, როგორც წინამძღოლს ქართველი ერისას მოსესთან, რომ მისთვის, ქართული ეროვნული მოძრაობის ფუძემდებლისა და წინამძღოლისათვის, ბიბლიისადმი, ანუ პირველ რიგში, მოსეს წიგნებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების ადგილი თითქოს აღარ რჩება: „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი ზეციერსა, ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“-ო. ამგვარი ბიბლიური სულისკვეთებით გადმოსცემს ილია ჭავჭავაძე თავის მისიას, საკუთარი ერის პატრონობისას. და სწორედ ამ დიად ქართულ გრძნობაში, ილია



ჭავჭავაძისეულ ქართულ ცნობიერებაში იბადება პირველად ფუნდამენტური მნიშვნელობის კითხვა: რატომ იდეენებიან ეს სანყალი და წამებული ებრაელები მთელ მსოფლიოში?! რა დააშავეს ისეთი, რომ დედამიწის ყველა კონტინენტისთვის არიან მიუღებელი?! და დასასრულ, მიუხედავად თავისი ღრმად ადამიანური და სრულიად ქართული და მოყვრული თანადგომისა, რომელიც გამოხატულია მის წერილში „ებრაელთა შესახებ“, ბრძენი პატრონი თავისი ერისა გამაფრთხილებელ დასკვნასთან მიდის, ისეთ საყოველთაოდ მნიშვნელოვან დასკვნასთან, რომელსაც არც ერთი გონიერი ერი მხედველობიდან არ გაუშვებდა. ქართველ ერს არასოდეს მიუქცევია რაიმე საგანგებო ყურადღება ილია ჭავჭავაძის არც ამ წერილისათვის და არც ამ დასკვნისათვის, გარდა იმისა, რომ წერილი ილიას გამომცემელ ფილოლოგ მეცნიერთა მიერ მის ნაშრომთა ტომეულებში იქნა შეტანილი და მისი, ამ წერილის, არსებობა ქართული ცნობიერების ისტორიისათვის უზრუნველყოფილ იქნა.

ებრაელი ერის ფენომენი ნამდვილად არ არის სათანადოდ შესწავლილი, ისევე, როგორც სათანადოდ არ არის შესწავლილი ებრაელი ერის ბიბლიური ისტორია. ილია ჭავჭავაძის მსჯელობა ებრაელი ერის შესახებ, ებრაელი ერის მიზანსწრაფვაზე მსოფლიო ბატონობისაკენ, ერთგვარი ილუსტრაციაა ამ ერის, როგორც ფენომენალური მოვლენის შეუსწავლელობისა მსოფლიოს ხალხებისაგან. ილია ჭავჭავაძის წერილი დანერვილია მე-19-ე საუკუნის დასასრულს, ფაქტიურად იმ დროს, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში საძირკვლებს იყრის მსოფლიოს სიონისტური მოძრაობა, როდესაც იწყება აღმავლობა ებრაელი ერის ბიბლიური მიზანსწრაფვისა, საკუთარი სახელმწიფოებრიობის აღდგენით მსოფლიოზე გაბატონებისა. ილია ჭავჭავაძეს ეს ინფორმაცია ჯერ არა აქვს. და იგი, მისი ეპოქალური პიროვნული ალლო, საოცარი წინასწარმეტყველებით ჩაავლებს იმ უმნიშვნელოვანეს მსოფლიო აზრს ებრაელთა შესახებ, რომელიც, როგორც ჩანს, თერგდალე-

ულ პეტერბურგელთან უნდა შემოღწეულიყო ევროპიდან. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არავის ისეთ სიღრმეებში არ გაუშიფრავს ებრაული ფენომენი, როგორც ეს რუსულმა თეოლოგიურმა და ანალიტიკურმა გონებამ შესძლო. ილია ჭავჭავაძეს, როგორც ქართველ კაცს, ამ მიმართულებით მძაფრი ინტერესი არც ჰქონია. ქართულ ცნობიერებაში, მთელი ქრისტიანული ისტორიის მანძილზე, ეს ქართულ-ებრაული ფენომენალური ურთიერთმიმართების პრობლემა ინფორმაციულად იყო დამარხული. აკაკი წერეთლის აზროვნებაში, მის ეროვნულ ხედვაში, შესაძლოა, ეს სრულიად სტიქიურად და ბუნებრივად იჩინეს თავს, როგორც ალტერნატიული, ღრმად ქართული, სრულიად გენიალურად თავისთავადი, ანტიბიბლიური, როგორც ანტიებრაული და წმინდა ქართული პოზიცია. ილია ჭავჭავაძე კი, რომელსაც შეეძლო ერის სიცოცხლეზე ფიქრით ეკონომიკისა და ფინანსების ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაში პროფესიონალის დონეზე შეეღწია, აღმოაჩინეს, რომ ებრაელი ხალხი მთელ მსოფლიოში იდეენება არა თავისი რელიგიური, ან გენეტიკური ფანატიზმის გამო, არამედ იმ უსამართლო ეკონომიკური პოლიტიკის გამო, რომელიც მას გზად და საშუალებად გაუხდია მსოფლიოს ფინანსური კაპიტალის ხელში ჩასაგდებად, და, ამ გზით, გავლენის მოსახდენად ქვეყანათა და მეფეთა ბედზე. ილია ჭავჭავაძე აღმოაჩინეს, რომ მსოფლიოში დევნილი ებრაელი ხალხი, ამ უსამართლო ეკონომიკური პოლიტიკის გზით, მსოფლიო ბატონობის განსახორციელებლად ემზადება. და აი, ამ უსამართლო მსოფლიო ეკონომიკურ პოლიტიკას მიიჩნევს ილია ჭავჭავაძე დამაფიქრებლად მთელი კაცობრიობისათვის, როგორც მე-19-ე საუკუნის მსოფლიო მოქალაქეც და ქართველი ერის უგვირგვინო მეფეც...

ჩვენ დღეს ვცხოვრობთ ილია ჭავჭავაძის წინასწარმეტყველებაახდენილ მსოფლიოში, შეუმეცნებელი და არმცოდნენი ილია ჭავჭავაძის წინასწარმეტყველებისა და იმ მსოფლიო რეალობისა, რომელშიც ვცხოვრობთ. და საო-

ცარი რამ ხდება: დღევანდელი საფრანგეთის ერთ-ერთი ცნობილი პოლიტიკოსი, საფრანგეთის ეროვნული ფრონტის ლიდერი, დღეს უკვე პირველი კანდიდატი საფრანგეთის პრეზიდენტობისა, ქ-ნი მარინ ლე პენი პირდაპირ აცხადებს ღიად და მთელი მსოფლიოს გასაგონად: „დღევანდელი მსოფლიოს ვაჭრობისა და ეკონომიკის საერთაშორისო კანონები უსამართლოა!“ „მსოფლიო ბანკი და მსოფლიო სავალუტო ფონდი მოძველებული სტრუქტურებია!“

ასეთი სიზუსტით ახდენა ილია ჭავჭავაძის წინასწარმეტყველური გაფრთხილებისა მართლაც საოცრებაა! ეს „მოძველებული სტრუქტურები“, რომლებიც საქართველოს ევროკავშირში და ნატოში გაწევრიანებისაკენ ეწევიან, მიუღებელნი არიან საფრანგეთისათვის, რადგან მათთვის, როგორც ანბანურად განმარტავს მარინ ლე პენი, ევროკავშირი არ ნიშნავს ევროპას, რომ ევროპა და ევროკავშირი სხვადასხვა რამეა, რომ საფრანგეთისათვის ევროკავშირში გაერთიანება თავსომხვეულია გაურკვეველი ძალების მიერ. მარინ ლე პენი ალუთქვამს ფრანგ ხალხს, რომ ის გამოიყვანს საფრანგეთს ევროკავშირიდანაც და ნატოდანაც. ამ პოზიციებშია მისი, მარინ ლე პენის, როგორც თანამედროვე ევროპის ერთ-ერთი სახელგანთქმული პოლიტიკოსის ნამდვილი წარმატების მთავარი საწინდარი. ფაქტიურად იგი, მარინ ლე პენი, იმავე ხედვის განგრძობაა ევროპის პოლიტიკურ სივრცეში თავისი ქვეყნისთვის, როგორისაც იყო ინგლისის შეუპოვარი პრემიერი, „რკინის ლედი“, ქ-ნი მარგარეტ ტეტჩერი. – ჩვენ არ გვჭირდება ევროკავშირი, აცხადებდა ტეტჩერი. – ევროკავშირი არის მასონური გაერთიანება, მასონური ინტერესებისა და არა ევროპის ქვეყნების... დიახ, ევროკავშირი გახლავთ მასონური გაერთიანება, რომელსაც შეუძლია საქართველოს ციხეებში იპოვოს ვლადიმერ ვახანია, რომელსაც შეუძლია შეაღწიოს ვლადიმერ ვახანიას მორალურ ცნობიერებაში და მომენტალური და სადღეისო მასონური ინტერესების სასარგებლოდ და ქართველი ერის საცდურად შეაცვლევინოს და დაასახიჩრებინოს

თვით ბიბლიური ისტორია, მთელი მსოფლიოს ხელისგულზე დადებული ისტორია – ბაბილონური და ებრაული ფენომენების ურთიერთმიმართების...

გაზეთ „ქალდეა“-ში გამოქვეყნებულ ჩემს შრომაში: „ქალდეელები ბიბლიისა და ქალდეელები ბიზანტიისა“, ფართო საზოგადოებისთვის პირველად წარმოვადგინეთ ელენა ბლავაცკაიას და საქართველოს პატრიარქის, მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის, კირიონ მეორის (1918), ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილის თვალსაზრისები ქალდეელები ხალხის, იგივე ბაბილონელი ხალხის ფენომენის შესახებ.

„ფილოსოფოსი შელინგი აცხადებდა, რომ ებრაული მონოთეიზმი ტრანსფორმაცია უნდა იყოს წინარე ცივილიზაციის ეზოთერული, არა-პატრიარქალური მონოთეიზმისა. ეს ვარაუდები, ცხადია, საჭიროებდნენ დასტურად მოხმობას ნივთიერი წერილობითი ძეგლებისას, რომელნიც დროის მსახვრალი ხელითაც და ადამიანთა ხელშეწყობითაც განადგურდნენ და აღარ არსებობენ...“ (დ. ს.)

„მთელი ქალდეური საკრალური ლიტერატურა უფიცთა თვალთაგან დაიკარგა ისევე უკვალოდ, როგორც ჩაძირული ატლანტიდა“ – ბრძანებს მსოფლიოს თეოსოფიური მოძრაობის ფუძემდებელი, დიდი ქალბატონი, **ელენე ბლავაცკაია** თავის წიგნში: „საიდუმლო დოქტრინა“, და თავის მხრივ, უფრო დეტალურად განმარტავს ამ ჩაძირვის ტრაგედიას: ქალდეური ცივილიზაცია მართლაც ჩაძირული იყო მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის ჩვენი წლთაღრიცხვის მე-19-ე საუკუნემდე. **მე-19 საუკუნეში „ქალდეური გენეზისის“ ლურსმული დაფების აღმოჩენით კი დასრულდაო გზა-კვალის არევა, განხორციელებული 1500 წლის განმავლობაში მთელი ცივილიზებული ერებისათვის, რომელთათვისაც ბიბლიური, ანუ ებრაელთმიერი ნასესხობანი ქალდეელებისაგან, მიჩნეული იყო უშუალოდ ღვთაებრივ გამოცხადებად თავად ებრაელებისად“.**

საქართველოს კათალიკოს პატრიარქი, კირიონ მეორე, საძაგლიშვილი, პროფესიით ისტორი-

კოსი-არქეოლოგი, დღემდე არ ვიცით, რატომ, 1918 წელს მოკლულ იქნა. მის პირად არქივში დღემდე გამოუქვეყნებელი და მიუკვლეველი დარჩა მისი უნმინდესობის წერილი: *Значение раскопок в Халдее для начальной истории Картвел (Грузин)...* სრულიად დამოუკიდებლად ელენე ბლავაცკაიასაგან, პირდაპირ აგრძელებს ამ წერილით ელენე ბლავაცკაიას სიტყვებს ორთოდოქსალური ქრისტიანობის ეს ქართველი წარმომადგენელი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, კირიონ მეორე: *„Придав значение божественного откровения исключительно своей национальной культуре, евреи, как народ богоизбранный, навязали всему миру свою национальную историю, которая у них слилась с историей религии.*

Раскопки доказали что в Месопотамии за VII-VIII тысяч лет до Рождения Христова жили Кальды, которые первые в мире выработали свою высокую национальную культуру, сделавшуюся источником и образцом для культур последующих народов.

До сих пор существовало превратное понятие о еврейской культуре. **Более 2000 лет евреи держали в религиозно-историческом порабощении почти весь мир, сумев навязать человечеству негласно присвоенные ими от других... народов и склоченные на свой лад религиозные верования**“ . (ხაზი ჩვენია, დ. ს.)

სორბონის უნივერსიტეტში წაკითხულ მოხსენებაში, ჩვენ ვწერთ:

„მინდა... განვაცხადო, რომ ქალდეური საკრალური ლიტერატურა არ ჩაძირულა, როგორც ატლანტიდა და გადარჩენილია ყველაზე დიდი და ყველაზე საკრალური თხზულება ქალდეველი ხალხისა. ეს გახლავთ ქალდეური ენა. ეს გახლავთ გადარჩენილი შთამომავლობა ქალდეველი ხალხისა, რომელიც ერთ მილიონამდეა დარჩენილი და მიმოფანტული მთელ დღევანდელ მსოფლიოში... ისინი ისევე წარმოადგენენ იმ უძველეს ცივილიზაციას შუმერულ-ქალდეური ქვეყნისას, როგორც ჩვენ, ქართველები, ცოცხალი

ხატი და მკვიდრი ცოცხალი განგრძობანი ვართ **ქალდეურზე უფრო ძველი კოლხურ-მოსხური ცივილიზაციისა**, არგონავტების დროინდელი მეფე აიეტისა და კოლხი მედეას მოდგმის“ (დენიზა სუმბაძე: „ქალდეველები ბიბლიისა და ქალდეველები ბიზანტიისა“, 2001 წელი, პარიზი).

ამგვარად, ჩვენ შევეცადეთ, გვეჩვენებინა ევროპული, ანუ შელინგისეული, ფუნდამენტურ-თეოსოფიური, ანუ ელენა ბლავაცკაისეული და ქართულ-ეკლესიური, ანუ კათალიკოს-პატრიარქ კირიონ მეორისეული პოზიციები ქალდეური ფენომენისა და ებრაული ფენომენის პრინციპული ურთიერთმიმართების. **თანამედროვე ტერმინოლოგიით საქმე გვაქვს ერთი ხალხის ინტელექტუალური საკუთრების მითვისებასთან მეორე ხალხის მიერ არაეთიკური გზებით და დამალვა-მითვისების ფაქტისა საინფორმაციო ომების გზით და არა ბაბილონის ტყვეობის მოწყობა ებრაელთადმი უპირატესობის დასათმობად.** საქართველოს ეკლესიას არანაირი ყურადღება და ინტერესი არ გამოუჩენია კირიონ კათალიკოსის ამ უმნიშვნელოვანესი წერილის მიმართ.

როდესაც ევროპელმა არქეოლოგებმა ნივთიერად გახსნეს საიდუმლო ებრაელთა მიერ მთელი ბიბლიური თეოლოგიის წამოღებისა და მითვისებისა ქალდეველთაგან, როგორც ჩანს, საჭირო გახდა ახალი „მითების“ შექმნა ამ დანაშაულის გადასაფარად და გასაბათილებლად. ამ „მითებში“ სრულიად ჩვენდა მოულოდნელად პოლიტ-პატიმარ ვახანიას ციხეში ამოყვეს თავი, თანაც ჩვენეულ შრომაში წარმოჩენილი ქალდეური ღირსების ჩასაქრობად და საგანგებო გაზეთის „ქალდეის“ ფურცლებზე გამოსამზეურებლად გვერდიგვერდ ჩვენი შრომისა: „ქალდეველები ბიბლიისა...“ შეგახსენებთ მთელ იმ ლოგიკურ სიუჟეტს, რომელიც ბ-ნმა ვახანიამ მოგვანოდა და ციხიდან ქალდეურ-ებრაული თეოლოგიური ურთიერთმიმართების განსამარტებლად: ვახანიას აზრით, ქალდეველები ვარსკვლავთმეტყველები იყვნენ და ვარსკვლავთმეტყველური წინასწარმეტყველებით იცოდნენ, რომ კაცობრიობის

მომავალი განპირობებულია, რომ ამ განპირობებულობის მიხედვით კაცობრიობის მომავალი ეკუთვნის ებრაელ ხალხს. ამიტომ ფანატიკოსმა ქალდეველმა მოგვებმა მეფე ნაბუქოდონოსორის ზეობაში მოაწყვეს „ბაბილონის ტყვეობა“, წამოიყვანეს ებრაელთა ქვეყნიდან რჩეული ებრაელები, განსწავლეს ქალდეურ ენაზე და გადასცეს მათ ქალდეური სიბრძნეც და ენაც, რათა შემდგომში, როგორც კაცობრიობის მომავლის მფლობელებს, შეენახათ ეს სიბრძნე, როგორც სიტყვა და მოძღვრება ღვთისა, განკუთვნილი მთელი კაცობრიობისათვის ებრაელთა გზით.

ბ-ნი ვახანია არ კმაყოფილდება იმით, რომ ბაბილონის ტყვეობა ებრაელთა უპირობო მსოფლიო ბატონობის წინასწარმეტყველებმა მოაწყვეს ებრაელთათვის თავიანთი ნაწერების გადასაცემად. ბოლოს იმასაც გვეტყვის, რომ ბაბილონელებმა კი არ დაატყვევეს ებრაელები, ე. ი. ბაბილონის ტყვეობა ბაბილონისმიერ ტყვეობას კი არ ნიშნავს, არამედ ბაბილონელების დატყვევებას – ებრაელთა მიერ:

„თეოლოგის და ისტორიკოსის, **არქიმანდრიტ პეტრე სოლიარსკის** ცნობით, ქალდეველთა კასტური ოლიგარქია მოიცავდა ბაბილონის (შუმერის) და ეგვიპტის ქურუმებს.. კასტის ცოცხალი მემკვიდრე, ერთადერთი მემკვიდრე ქართველი ხალხია. ღვთის ამ თავზარდამცემი საიდუმლოსთვის ქალდეველთა მოდგმა დაემონა ებრაელებს, გახდა იაკობის ტყვე („გთნდა, უფალო, ქვეყანაი შენი, მოაქციე ტყვეი იაკობისი“, ფსალ. 84, 2)“. (გაზ.: „ქალდეა“, №4, 2011 წელი, რედაქტორი აკადემია „ქალდეის“ პრეზიდენტი, პოეტი ვაჟა ეგრისელი).

ბ-ნი ვახანიას მთელი ეს პოზიციები, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ქ-ნი **ინწკირველის** პოზიციების მიმდევრობა და მათი განგრძობაა. ასე რომ ამ პოზიციების დანერგვაზე ქართულ ცნობიერებაში საკმაოდ ადრე დაიწყო ზრუნვა საქართველოში გარკვეული ძალების მიერ, იქიდან მოყოლებული, როცა ცირა ინწკირველმა ქართული ეროვნული მოძრაობის შუაგულში, საქართველოს დროშის ისტორიულ სახელწოდე-

ბაში: „გორგასლიან-დავითიანში“, დავით ებრაელთა მეფის ამოკითხვა მოინდომა ქართველთა მეფის – დავით აღმაშენებლის სანაცვლოდ.

მკითხველის ყურადღება მინდა ამ განმეორებით მოხმობილ ფრაგმენტში, ავტორის კიდევ ერთ მსჯელობაზე მივაპყრო და შეკითხვა ისე დავსვა. ციტატის დასაწყისში ხომ გვითხრა ბ-ნმა ვახანიამ, რომ ბაბილონელი ქურუმების წინასწარმეტყველებით მოეწყობა „ბაბილონის ტყვეობა“, ციტატის დასასრულით, თურმე იაკობს, ებრაელთა დიდ ეთნარქოსს ანუ სიმბოლოს ებრაელი ხალხისას, და აქედან გამომდინარე თვით ებრაელებს დაუტყვევებიათ ქალდეველები. უფრო ზუსტად: „ქალდეველთა კასტის ცოცხალი მემკვიდრე, ერთადერთი მემკვიდრე ქართველი ხალხია. ღვთის ამ თავზარდამცემი საიდუმლოსთვის ქალდეველთა მოდგმა დაემონა ებრაელებს, გახდა იაკობის ტყვე!“ – წერს ბ-ნი ვახანია. ვახანიას ამ წარმოუდგენელ უაზრო მსჯელობას თან ერთვის ციტატა ფსალმუნიდან, როგორც დადასტურება მისივე გამოგონილი უაზრობისა, რომ ქალდეველთა მოდგმა დაემონა ებრაელებს და გახდა იაკობის ტყვე:

„გთნდა, უფალო, ქვეყანაი შენი, მოაქციე ტყვეი იაკობისი“. ამ დალოცვილ ვახანიას არც ქართული სცოდნია და არც აზრის გაგების უნარი ჰქონია. ფსალმუნში, როგორც ცნობილია, ყველა საგალობელი უფლისადმი დავითს არ ეკუთვნის, მაგრამ ყველა დავითისეული სულისკვეთებისაა, რელიგიურადაც და ეროვნულადაც. ეს სტრიქონი: „გთნდა, უფალო...“ სრულიად აშკარად ბაბილონის ტყვეობის დასასრულს ეხება და ამდენად დავით წინასწარმეტყველისაც ვერ იქნება, მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარია, რომ უფლისადმი ვედრებაში მაღლიერებაა გამოხატული იმის გამო, რომ უფალმა მოაქცია, ანუ უკან დააბრუნა მისი ხალხი, იაკობის ხალხი, იაკობის ტყვეები. უფლისეულ ქვეყანაში იგულისხმება „ისრაელი“, საიდანაც ბაბილონელებმა წაიყვანეს ტყვედ ისრაელიანები, ანუ იაკობის შთამომავლები. უყვარდა უფალს თავისი ქვეყანა, თავისი ხალხი. „იაკობის ტყვეები“ ეს ებრაელი

ხალხია, დამატყვევებლები კი იაკობის ხალხისა, ანუ იაკობის ტყვეებისა, არიან ბაბილონელები, იგივე ქალდეველები, და არა იაკობია დამატყვევებელი ქალდეველებისა. „გთნდა, უფალო! ქუეყანაი შენი...“ – მიმართავს საგალობლის ავტორი უფალს: „გესათნოებოდა რა, გიყვარდა რა, უფალო, შენი ქვეყანა...“ როგორც ცნობილია, ბიბლიაში, არაერთგზის მიმართავს უფალი ებრაელ ხალხს, როგორც თავის საკუთარ ხალხს, თავის ამორჩეულ ხალხს, და აქედან გამომდინარე, ქვეყანაც მისი საკუთარი ხალხისა, მისი ქვეყანაა. აქ „ქვეყანა“, ფაქტიურად „ხალხსაც“ ნიშნავს, რამდენადაც „ქვეყანაში“ ყოველთვის იგულისხმება მიწა-წყალი თავისი ხალხით.

ფსალმუნი ასე იწყება: „გესათნოებოდა რა შენი ქვეყანა, უფალო, დააბრუნე (კიდევ უკან) ტყვეობაში მყოფი მოდგმა იაკობისა“... (შემდეგ ასე გრძელდება ეს ფსალმუნი: „აპატიე დანაშაული შენს ხალხს, დაფარე ყველა მისი ცოდვა...“ და ა. შ.)

ბ-ნ ვახანიას გაგებით ამ სტრიქონში ნათქვამია, რომ „ქალდეველთა კასტის ცოცხალი მემკვიდრე, ერთადერთი მემკვიდრე ქართველი ხალხია. ღვთის ამ თავზარდამცემი საიდუმლოსთვის ქალდეველთა მოდგმა დაემონა ებრაელებს, გახდა იაკობის ტყვე“. ჯერ ერთი რატომ არის და ვისთვის არის თავზარდამცემი საიდუმლო ის, რომ ქალდეველთა ერთადერთი ცოცხალი მემკვიდრე ქართველი ხალხია, ავტორის მსჯელობაში გაურკვეველია, და მეორეც, რატომ უნდა დამონებოდა ამისათვის ქალდეველთა მოდგმა ებრაელებს, და რატომ უნდა გამხდარიყო იაკობის ტყვე? არანაირი ლოგიკა ამ მსჯელობაში არ არსებობს. ერთადერთი, რაც ამ გაუგებრობის კორიანტელში იკითხება, ეს არის ავტორის დაინტერესება, ამოიკითხოს ქალდეურისა და ებრაელის ისტორიულ ურთიერთმიმართებაში ებრაელის არარსებული უპირატესობა, ქალდეველთა მხრიდან აღიარება ებრაელთა უპირატესობისა, დათმობა ებრაელთათვის თავიანთი მონაპოვარი სიბრძნისა, ნაწერებისა, ენისა, საკაცობრიო მისიისა და ფაქტიურად ყველაფრისა...

ყოვლად გასაოცარი თანაც ის არის, რომ ყველაფერ ამას, რასაც ბ-ნი ვახანია იგონებს, ანუ „თითხნის“, ასალებს როგორც ინტერპრეტაციას ბიბლიური პასაჟებისას, რომლებშიც, როგორც დავინახეთ, რბილად რომ ვთქვათ, არაფერი მსგავსი არ წერია. პირდაპირ რომ შევაფასოთ, საშინელი ავანტიურიზმია ჩადენილი, მაგრამ არა მხოლოდ უმეცრებით და უნებურად, აშკარად გამიზნული ტენდენციით, და ცხადია, ისმის კითხვა: რა ძალა ადგას ამ უბედურ ვახანიას და რისთვის იგდებს ხათაბალაში თავს? ან თვითონ ან მისი დამკვეთი?

ამ დეტექტივის ავტორს, ან ამ დეტექტივის დამკვეთს მიაჩნია, რომ დღევანდელი ქართველი ხალხი გამოთავყვანებული და გაუნათლებელი ხალხია და მისი დაქირავება ფულით და მის ტვინში ამ დამქირავებლისაგან ნებისმიერი ინფორმაციის ჩათესვა ისეთივე მარტივი შესაძლებლობაა, როგორც დაქირავება ვილაც უბირი სუროგატი დედისა, ამერიკელი გეებისათვის, და ყოველივე ამის გამოცხადება ევროამერიკული ზეჰუმანისტური ეთიკის გამოვლენად. ამ დეტექტივის ავტორს მიაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლება საქართველოს ეკლესიას ვახანიას ჭკუაზე წაიყვანს და რაზეც გინდა იმაზე მოაწერინებს ხელს. ამ დეტექტივის ავტორს მიაჩნია, რომ ის, რასაც ქალბატონი **დენიზა სუმბაძე** წერს, თავად საქართველოს ეკლესიის მიერ იქნება გაუფასურებული, რადგან პატიმარ **ვახანიას** დეტექტივის უკან დიდი ალბათობით საქართველოს ხელისუფლება დგას, ხოლო ქ-ნ **დენიზა სუმბაძის** უკან დგას მხოლოდ ისტორიული სიმართლე ქალდეველთა დიადი სიბრძნისა, რომელიც დღეს არავის სჭირდება და მხოლოდ თითო-ოროლა მეცნიერს, რომლებიც, ქ-ნ სუმბაძის გვერდით დგანან, როცა მოისურვებს, მაშინ გააჩუმებს სახელმწიფო, ქართველი ხალხის ყველაზე დიდი ავტორიტეტის, საქართველოს ეკლესიისავე მხარდაჭერით! საპირისპიროდ ბ-ნ ვახანიას აღმოჩენებისა, ვითომ ქალდეველებმა თავიანთი უპირატესობა ებრაელებს დაუთმეს, ვითომ ქალდეველმა მოგვებმა ებრაელთა

მსოფლიო ბატონობა იწინასწარმეტყველეს და ამიტომ მთელი ქალდეური სიბრძნე და ნაწერნი მათ გადასცეს და მათ დაუთმეს, ვითომ ბაბილონის მიერ მთელი ებრაელი ერის ტყვედ წასხმა ამისთვის მოაწყვეს, და ა. შ. ქ-ნ დენიზა სუმბაძეს თავის კვლევაში სრულიად საპირისპირო თვალსაზრისები აქვს წარმოდგენილი. ეს თვალსაზრისები დღევანდელი ქართველი ერის წინაპარი ხალხის, ქალდეველების ღირსებისა და დამსახურების წამოწევისა, დღევანდელი ქართველი ერის ფენომენალური რაობის ღირსებისა და დამსახურების წამოწევისა ციწნავს. და სრულიად უნებურად, ყოველგვარი პოლიტიკური მიზანდასახულობის გარეშე, შეიძლება თავისუფლად ითქვას, ღვთის განგებით, ქ-ნი დენიზა სუმბაძე მშობლიური ხალხის ისტორიულ წარსულში ჩაღრმავებით, როგორც ჭეშმარიტების მაძიებელი შემეცნებელი, ვერავითარ შემთხვევაში ვერ აუვლის გვერდს ქართველთა წინაპარი ქალდეველი ხალხისა და ებრაელი ხალხის ისტორიული ურთიერთმიმართების შეფასებას, იმ ურთიერთმიმართების ისტორიას, რომელსაც, ფაქტიურად მთლიანად მოიცავს კაცობრიობის ისტორიის ისეთი კომპეტენტური წმინდა წიგნი, როგორც ბიბლიაა. ბიბლია ფაქტიურად ეს არის ქართველთა და ებრაელთა ურთიერთმიმართების ქრისტესწინარე ისტორია, რომელიც გასაიდუმლოებულია მთელი კაცობრიობისათვის სწორედ ქალდეველთა და ქართველთა ისტორიული იგივეობის მიჩქმალვით. და ამ მიჩქმალული მიმართების ჩვენეული შემეცნება-შეფასება და ყოველივე ამის წამოწევა ჩვენი ეროვნული ცნობიერების ჭრილში, ქალდეველთა უპირატესობისა და ებრაელი ერის დანაშაულებრივი ისტორიის მხილება ქალდეველთა მიმართ, გვიხდება იმ დროს, როცა ებრაელი ხალხი მსოფლიო ასპარეზზე გამოდის, როგორც პრეტენდენტი მსოფლიოს ახალი იმპერიის შექმნისა და მსოფლიოს მართვის. როცა რუსეთის უდიდესი იმპერიის დაშლა ხორციელდება ებრაულ-მასონური „პერესტროიკის“ გზით, ხოლო „ევროპის კავშირი“ იქმნება ევროპის ქვეყნების ებრაულ-მასონური

გაერთიანებით. უფრო მეტი: როცა ებრაელ ხალხს, მოპოვებული აქვს ისეთი დიდი ზესახელმწიფოს მფარველობა, როგორც ამერიკის შეერთებული შტატებია, მოპოვებული აქვს მსოფლიო ხალხების თანადგომა, როგორც უსამართლოდ დევნილსა და წამებულ ერს, და ნებისმიერი ადამიანური, გნებავთ მეცნიერული კრიტიკული დამოკიდებულებაც კი შეიძლება შეფასდეს როგორც ანტისემიტიზმი, მოპოვებული აქვს მსოფლიოს ფინანსური კაპიტალი და გავლენა თითქმის პლანეტარულ სახელმწიფოებრივ კონტიგენტზე, და რაც მთავარია, ჩვენი, ქართველი ხალხის დამოუკიდებელი სახელმწიფო მანქანა ხელში აქვს ჩაგდებული: რადგანაც მანქანის საჭესთან ე. წ. „თავისუფლების ინსტიტუტი“, ანუ დიდი სიონისტი „ჯორჯ სოროსი“ ზის, ქართველი ხალხისავე არჩეული...

და მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ინფორმაციული გასხვივონება ქართველი ხალხის ცნობიერებისა, და რეალური აღქმა დღევანდელი რეალობისა, როგორც ისტორიული შედეგი ებრაელ მასონთაგან სინამდვილის დამალვისა და ქართველი ხალხის მომწყვდევისა სახელმწიფო დამოუკიდებლობის იდეით, მოტყუების გზით, ებრაულ-მასონურ ალყაში, განათება ქართული გონისა ამ უმძიმესი ჭეშმარიტების ცოდნით, მისი ეროვნული ღირსების შეურაცხმყოფელი იდეოლოგიის გაუცნობიერებელი მიღებით, ჩემი რწმენით, იქნება თვითგამორკვევა ჩვენი განსაცდელის რაობის, ალბათ, თავზარდამცემიც, მაგრამ არნახული ძალის მომნიჭებელიც, ჩვენი ეროვნული ღირსების დასაცავად და წარმოსაჩენად, ქართველი ერის ეროვნული მეობის, მისი კეთილშობილური თვითმყოფადობის გასაბრწყინებლად, ებრაულ-მასონური მსოფლიოს ახალი წესრიგის სიბნელიდან და სიღამპლიდან კაცობრიობის გზის გასანათებლად და გამოსაყვანად.

„ვაი მე! ხიზანი ვარ მეშექისა!“, გოდებს დავით წინასწარმეტყველის სახელით ებრაელი ავტორი 120-ე ფსალმუნისა. ბიბლიესტიკაში აღიარებულია, რომ ეს ფსალმუნი ბაბილონის ტყვე-

ობის დროს არის შექმნილი და „მეშექნი“ ბაბილონელები არიან. ფსალმუნის ამ სტრიქონით ბაბილონელები ანუ ქალდეველები მოიხსენიებიან მესხებადაც, რამეთუ მეშექნი, ბიბლიური წარმოთქმით, არიან იგივე „მესხნი“, სისხლხორცეული ნინაპრები ქართველი ხალხისა, თანამედროვე და დღესაც ცოცხალი მესხური ტომებისა.

ბაბილონის ტყვეობა იყო რევანში ქალდეური დიდი უპირატესობის გრძნობისა ებრაელთა მიმართ. ბაბილონელმა, ანუ ქალდეველმა მოგვებმა ებრაელთა მომავალი კი არ იწინასწარმეტყველეს, არამედ ქრისტეს მოვლინება იწინასწარმეტყველეს, და პირველებიც ჩავიდნენ იერუსალიმში ვარსკვლავის გზით ქრისტესშობის სახარებლად და მესიის თაყვანისსაცემად ბეთლემს. რაც ნამდვილად არ ნიშნავდა ებრაელთა უპირობო მომავალს. ქრისტეს ვერმიწვდომით მათ, ებრაელებმა დაკარგეს ისიც, რაც ჰქონდათ და რაც მიეცათ ღვთისაგან: შესაძლებლობა, შანსი ქრისტეს აღიარებისა საკუთარი სჯულის დასასრულად და დაგვირგვინებად, როგორც ამას პავლე მოციქული განმარტავს. ქალდეველთა სიბრძნის მემკვიდრენი და ჭეშმარიტი მფლობელები რომ ყოფილიყვნენ ებრაელები, მაშინ ჯვარზე კი არ გააკრავდნენ ქრისტეს, არამედ თვითონ იქნებოდნენ „მესიის მახვილნი“. „მესიის მახვილნი“ ღვთიური წილხვედრით ისტორიულად აღმოჩნდნენ ქართველნი, ქალდეველთა სისხლხორცეული მემკვიდრენი, რომელთაც საკუთარი ქრისტიანული ისტორიის ორიათასწლეულის მანძილზე ღირსეულად აღასრულეს თავიანთი მისია „მესიის მახვილისა“ და ღირსეულად დაიმკვიდრეს წოდება „თავისი უფალივით ჯვარცმული ერის“. ეს წოდება მხოლოდ ქართველი ერის კუთვნილებაა.

დიახ! ჩვენ ნამდვილად მიგვაჩნია, რომ ქრისტიანობა ზოგადქალდეური მოვლენაა. რომ ქრისტეს მოვლინებაც და ქრისტიანული მოძღვრების დაბადებაც, ეს იყო ქალდეური ცნობიერების ვულკანური ამოხეთქვა იუდეაში, და ქალდეური ცნობიერების საკაცობრიო გამარჯვება. ქ-

დენიზა სუმბაძის თეოლოგიურ კვლევაში გაიმიფრა ისიც, რომ ქრისტესშობის მახარობლებიცა და ქრისტესჯვარცმის ჭირისუფლებიც ქალდეველი მოგვები არიან: პირველნი „აღმოსავლეთიდან“ ჩასულნი იერუსალიმის ბეთლემს, ხოლო მეორენი, ჩასულნი იერუსალიმს – მცხეთიდან... ეს კი ნამდვილად თავზარდამცემი საიდუმლოა კაცობრიობისა, რომელიც თვით არქიმანდრიტიმ პეტრე სოლიარსკიმაც არ იცის (იხ. გაზეთი: „ივერია“, 2003 წლის დეკემბერი, ნიუ იორკი; ჟურნალი: „ლიტერატურა და ხელოვნება“, რედაქტორი ვაჟა ოთარაშვილი, 2005 წ. №2, დენიზა სუმბაძე: „გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ“, 2012 წელი, თსუ არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრი).

**ეკლესიური „ხელისკვრა“ და ეროვნულ-მეცნიერული თვალსაზრისების გაძევება**

დღევანდელი გადასახედიდან, ჩემთვის უკვე სრულიად ახალ ინტერპრეტაციას და მნიშვნელობას იძენს ჩემი გათავისუფლების აქტი საქართველოს საპატრიარქოს პატროლოგ-რეფერენტის თანამდებობიდან სწორედ 1990 წელს. სწორედ დღევანდელი გადასახედიდან ხდება ნათელი, რომ ამ დროისათვის უკვე დოკუმენტურად არის სახეზე პროსიონისტური ტენდენციების დანერგვის მცდელობა საკუთრივ ქართულ სამეცნიერო კვლევებში. 1990 წელს, ცამონმენდილზე ჩემი გათავისუფლება საპატრიარქოს პატროლოგ-რეფერენტის თანამდებობიდან ეს უკვე ჩემი მეორე გათავისუფლებაა ეკლესიური მსახურებიდან, დიდხანს აუხსნელად დარჩენილი ჩემთვის. ამჯერად, ჩემი ამ მეორე გათავისუფლების კონკრეტული საფუძველი ხდება ჟურნალ „ხელოვნებაში“ გამოქვეყნება რადიოგადაცემებად გახმაურებული ჩემი სამეცნიერო ნაშრომისა: „მიდმოგონებანი... დედათა მონასტერზე, ანუ რუსთაველისა და ანტონ კათალიკოსის მსოფლმხედველობრივი ურთი-

ერთმიმართება“. საქართველოს პატრიარქის, მისი უწმინდესობის, ილია მეორის მიერ ინერება ბრძანება ჩემი გათავისუფლებისა, ჩემი ყოველგვარი საქმის კურსში შეყვანის გარეშე და მისი უწმინდესობის კურთხევით საქართველოს საპატრიარქოს სახელით იგზავნება წერილი ჟურნალ „ხელოვნების“ რედაქტორთან, ბ-ნ ნოდარ გურაბანიძესთან, საუნწყებლად იმისა, რომ ჟურნალ „ხელოვნებაში“ გამოქვეყნებული ნაშრომის – „მიდმოგონებანი... დედათა მონასტერზე, ანუ რუსთაველისა და ანტონ კათალიკოსის მსოფლმხედველობრივი ურთიერთმართებისათვის“ – ავტორის შეხედულებებს საპატრიარქო არ იზიარებს. ამავდროულად ბ-ნ გურაბანიძეს ეძლევა დავალება, რომ ეს უწყება გამოქვეყნდეს ჟურნალ „ხელოვნებაში“ საპატრიარქოს განცხადების სახით. როდესაც მთელი ეს ინფორმაცია ჩემამდე მოიტანეს ახლობლებმა, ჩემთვის ეს იმდენად დაუჯერებელი იყო, რომ თვით საპატრიარქოს იმდროინდელი მდივანი, დავით ცისკარიშვილი, ვისი ხელითაც საპატრიარქოს სახელით განცხადება იქნა მიტანილი ბ-ნ ნოდარ გურაბანიძესთან, ვერ მაჯერებდა, რომ ეს ყველაფერი მართალი იყო და მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით სრულდებოდა. საქართველოს პატრიარქის თანაშემწე, ქ-ნი შ. თეთრუაშვილი, რომელიც ორგანიზატორობდა ჩემს გათავისუფლებას საპატრიარქოს პატროლოგის თანამდებობიდან, უცებ დაუფარავად მიცხადებს, რომ იგი აღშფოთებულია ჩემი ნაშრომით. საქმის გასარკვევად მისულმა პატრიარქისაგან ისიც შევიტყვე, რომ თურმე მთელი ქალაქი ყოფილა აჯანყებული ჩემი ნაშრომის მიმართ, ანუ ჩემი რადიოგადაცემებით, რომელიც ჟურნალ „ხელოვნებაში“, ჟურნალის რედაქტორის მიწვევით, გამოქვეყნების პროცესში იყო, და, რაც მთავარია, ყველაფერი თურმე იქიდან დაწყებულა, რომ პირადად პატრიარქის მდივანი – ქალბატონი, მისი აღმატებული წმინდა თეოლოგიურ-დოგმატური აზროვნება, მოსულა აღშფოთებაში. როგორც პირადად განმიცხადა, მე ჩემი ნაშრომით შეურაცხოფა მიმიყენებია

ეკლესიისათვის და პირადად მისთვის. მიჭირს, პატივცემულ მკითხველო, ეს წლებით დათმენილი უბედურება გაგიმხილოთ. მიჭირს გაგიზიაროთ, რაოდენ გაოგნებული თვითმხილველი გახლდით ჩემთვის წარმოუდგენელი რეალობისა: ქ-ნ თეთრუაშვილის აზრი ჩემს ნაშრომზე მისი უწმინდესობისათვის საეკლესიო კანონის მნიშვნელობისა იყო... ჩემი თავზარდაცემული აღშფოთების დაფარვა კი იმდენად შეუძლებელი იყო ჩემგან მისი უწმინდესობის წინაშე, რომ მისი უწმინდესობა იძულებული აღმოჩნდა ჩემი გათავისუფლება საპატრიარქოს პატროლოგის თანამდებობიდან მცირე ხნით შეეყოვნებინა და რედაქციაში გაგზავნილი განცხადებაც შეეჩერებინა, მაგრამ ეს დაყოვნება დიდად არ გაჭიანურებულა. ერთ მშვენიერ დღეს, ერთმანეთის გვერდიგვერდ მდგომარე თავად პატრიარქისა და მისი თანაშემწის, ქ-ნ თეთრუაშვილის მიერ ერთობლივად მეუწყა, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, რომ სახელმეკრულეო სამუშაოზე ვიყავი გადაყვანილი, ანუ გათავისუფლებული ვიყავი საქართველოს პატრიარქის პატროლოგ-რეფერენტის თანამდებობიდან...

„– თქვენ არაფერს არ აკეთებთ თქვენი ღირსების დასაცავად... ფილოსოფიურად ცხოვრობთ. ერთხელაც არ დაგირეკიათ ჩემთვის“ – მეუბნება 1974 წლის პაპანაქება ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, ცნობილი მწერალი და მკვლევარი, ბ-ნი აკაკი განერელია, სრულიად მოულოდნელად შეხვედრილი ზღვის პირას, ლიძავაში, გამსახურდიების აგარაკის წინ. ბატონი აკაკი მარტო არ იყო. ვილაც ახლდა. ვერ გავიგე, რას მეუბნებოდა:

„– მაპატიეთ, ბ-ნო აკაკი, მაგრამ ვერ გავიგე, რატომ უნდა დამერეკა-მეთქი თქვენთვის“.

„– როგორ, თქვენ არ იცით, რომ თქვენი შრომის რეცენზირება ცეკადან მე დამევალა? თქვენი გათავისუფლების საკითხი დგას ფილოსოფიის ინსტიტუტიდან. დიახ. მე უკვე გადავეცი ჩემი რეცენზია. ჩემს ბიოგრაფიაში ამას როგორ ჩავწერდი, რომ დენიზა სუმბაძე ჩემი რეცენზიით მოეხსნათ ფილოსოფიის ინსტიტუტიდან. „ასეთ



კადრებს გაფრთხილება უნდათ-მეთქი“. მინდა იცოდეთ, ასე თავდება ჩემი რეცენზია“.

საქმე იმ დროის საზოგადოებაში გახმაურებულ ჩემ შრომას ეხებოდა: „დიონისე არეოპაგელი და დანტე ალიგიერი“, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნეში“ გამოქვეყნდა. ხელისუფლების შეშფოთება ჩემი, როგორც შრომის ავტორის, რელიგიური აზროვნებით იყო გამოწვეული და დღეს შემოდის გულწრფელად ვთქვა, რომ ხელისუფლებას ნამდვილად ჰქონდა ამის საფუძველი, მაგრამ არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც გიცავდნენ და გაფრთხილებოდნენ...

ქართული საზოგადოებრიობისათვის ცნობილია, რომ 1979-80 წლებში ლოცვა-კურთხევა მომეცა მისი უწმინდესობის, საქართველოს პატრიარქისაგან, რომ როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის მეცნიერს მცხეთის სასულიერო სემინარიაში წამეკითხა ლექციების კურსი თემაზე: ქრისტიანული თეოლოგიის ბერძნულ ფილოსოფიური საფუძვლები, რისთვისაც ფილოსოფიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ ინსტიტუტის დატოვება მოითხოვა ჩემგან, როგორც ჩანს, ხელისუფლების დავალებით, რადგან იმ დროის ხელისუფლების პირველი პირის, შევარდნაძის თანაშემწის, ბ-ნ ლადო ალფენიძისაგან კეთილისმყოფელი რჩევით, თუ ამ ნაბიჯისათვის მონანიების განაცხადს არ დავწერდი შევარდნაძის სახელზე, ამოქმედდებოდა ჩემს წინააღმდეგ სახელმწიფო მანქანა და ჩემი პიროვნებისგან აღარაფერი არ დარჩებოდა... ჩემი ბედისწერით, თუ ღვთის განგებით, მე უნდა მენახა ყველაზე საშინელი სახე ამ მანქანის... ეკლესიით შენიღბული მანქანის ვალიარებ, რომ ჩემს გამოკვლევას, „მიდმოგონებანი დედათა მონასტერზე, ანუ რუსთაველისა და ანტონ კათალიკოსის მსოფლმხედველობრივი ურთიერთმიმართებისათვის“, რომელზედაც ზემოთ მოგახსენეთ, სამეცნიერო შრომის პრეტენზია აქვს და სრულიად ცალკე დგას ამჟამინდელი ეკლესიური დოგმატიკისაგან, მაგრამ ეს „ცალკე ყოფნა“ ნიშნავს დოგმატიკაში ჩალრმავებას და ეკ-

ლესიის უდიდესი მამების მიერ მოპოვებული თეოლოგიური პრინციპების ამოკითხვას ახალი რაკურსებით. ჩემი მიზანი, რუსთაველისა და ანტონ კათალიკოსის მსოფლმხედველობრივი ურთიერთმიმართების კვლევაში, არც იყო, გამესამართლებინა ან რუსთაველი, ან ანტონ კათალიკოსი. ჩემი მიზანი იყო ამეხსნა ქართულ ისტორიოგრაფიაში უკვე ცნობილი ამ დაპირისპირების მიზეზი და საფუძველი და გამეანალიზებინა შესაბამისობა თვითეული მხარისა ეროვნულ პრინციპებთან. ამ თვალსაზრისით დღესაც მიმაჩნია, რომ რუსთაველი უფრო ეროვნულიც არის და უფრო ახლოსაც დგას ქრისტესთან, ვიდრე ეკლესიური დოგმატიკები, რომლებშიც ძალზე დიდია გავლენა იუდაიზმისა. ღრმად დარწმუნებული ვარ, მესამე ათასწლეულით მსოფლიო ქრისტიანობა წარმართება რუსთაველური ქრისტიანობის გზით. საჭიროდ და საინტერესოდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ წლების შემდეგ, საქართველოს ეკლესია მონამეტელი მოძღვრის, **მამა გიორგი ბასილაძის** ქადაგებებით იწყებს რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ეკლესიური სულისკვეთებით წარმოჩენას, რის გამოც გაურკვეველობაში ჩავარდნილი ცნობილი ჟურნალისტი, **ეთერ კასრელიშვილი**, ამ და კიდევ სხვა, ძალიან ჩემეული პრობლემების ირგვლივ ინტერვიუს იღებს და განმარტებას ითხოვს ჩემგან. როგორ ხდება, რომ ის საკითხები, რომლებზედაც მე წლების წინ მეცნიერების ენაზე ვსაუბრობდი, და მიუღებელიც გახლდით ჩემი თვალთახედვების გამო, ამჯერად შიგ ეკლესიაში, ამასთან ესოდენ გახმაურებული მოძღვრის, მონამეტელი მამა გიორგი ბასილაძის საჯარო ქადაგებათა თემები ხდებიან, იმავე მიმართულებითა და იმავე სულისკვეთებით გააზრებულნი?! (იხ. დანართი: ეთერ კასრელიშვილის ინტერვიუ...) მაგრამ ესეც არ არის მთავარი ჩემს წინააღმდეგ ორგანიზებულ თავდასხმაში. ჩემს გამოკვლევაში წამოყენებულ ყველა პრობლემაზე გვერდის ავლით ჩემი მთავარი ბრალმდებლის, საპატრიარქოს თეოლოგიური მეტრის, ქ-ნ თეთრუაშვილის მიერ საგანგამოდ რეკლამირებული აღმოჩნდა ჩემეული ქადაგება დედაუფლისა,

როგორც სულიწმინდის პიროვნული შინაარსის დღევანდელი გადასახედიდან, ჩემს თვალში, ეს ფაქტი უსათუოდ იმსახურებს საგანგებო ყურადღებას, რადგან ჩემეული გაგება დედაუფლისა, როგორც სულიწმინდის დედურობისა, ამასთან ყველა ჩემს ნაშრომში, ქრისტიანობას რადიკალურად მიჯნავს ძველი აღთქმისაგან და იუდეური თეოლოგიისაგან:

„ქრისტიანულმა თეოლოგიამ – ვნერ ზემოთ მითითებულ ჩემს ნაშრომში: „მიდმოგონებანი... დედათა მონასტერზე, ანუ რუსთაველისა და ანტონ კათალიკოსის მსოფლმხედველობრივი ურთიერთმიმართებისათვის“ – ადამიანურმა შემეცნებამ იმ ცივილიზაციისამ, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, ზეცაშივე ჩაახშო და დაფარა დედურობა სულიწმინდური საწყისისა, დაფარა პიროვნულობა დედურობისა მისი ზეპიროვნული არსის გამო, რითაც მამალმერთი, ვითარცა შემოქმედი ქვეყნიერებისა, დატოვა ზეცაში მარტო, არმესაჭიროე ქვეყნიერების შექმნაში დედური საწყისის თანხლებისა და თანამონაწილეობისა. (მაშინ როდესაც) ქვეყანაზე არ არსებობს დედობა უმამობოდ და მამობა უდედობოდ, მაგრამ იუდეური ღვთისმეტყველებით არსებობს. იუდეური ღვთისმეტყველებით იდეალი დედურ-მამური ქვეყნიერების შემოქმედისა არის მარტო მამა. ქვეყნიერებას თავისი გამჩენი დედა არა ჰყავს. და ამ განმარტოებული ყოფით მამური საწყისისა, ვითარცა მამალმერთის, ქრისტიანობამ, სულიწმინდის დედურობის ახსნის გარეშე, ნიშნავს, რომ ზეცაშივე დაუშვა იდეალი დედაკაცისა და მამაკაცის განცალკევების. ზეცაშივე განხეთქა უღელი მათი განუყოფელი ერთად ყოფნისა და სიყვარულის შემოქმედებით ძალად განცდის. სამყაროს შექმნისა და ქვეყნიერების მართვის უღელში შეაბა განმარტოებული, „მონყენილი ადამი“, საკუთარ მეორე ნახევარს ჩამოჭრილი და დაჭირვებული, და ვერ მიხვდა, რომ ამით განსაცდელში ჩააგდო ქვეყნიერებაცა და ადამიც, რომელიც ღმერთმა ქვეყნიერებისათვის ევასთან განუყრელად შექმნა. ასე დაკარგა ქრისტიანობამ უკვე თავისი მსოფლმხედველო-

ბის დასაწყისშივე, თავის ზეციურ იდეალშივე, ადამისა და ევას სიყვარული...“ (გვ. 29).

„ჩვენი ფიქრით, ლუთერს, ქრისტიანული ევროპის ახალ მამას, ჯერ კიდევ არ შეეძლო, კაცობრიული შემეცნების ლოგიკა მიეყვანა არა მარტო ქრისტიანული ფილოსოფიურ-მეტაფიზიკური ჰიპოტაზისა და ცხოვრების გზის შეუსაბამობასთან, არამედ არ შეეძლო არც მამალმერთისა და სულიწმინდის შემოქმედებით ერთსაწყისიერებაზე გადაეტანა აზრი და აღმოეჩინა შეუსაბამობა პაპის განსახიერებისა შემოქმედი მამალმერთისა და სულიწმინდისეული საწყისისად ერთდროულად“... (გვ. 96).

ამრიგად, განგაში ქართულ ეკლესიაში ატეხილი საქართველოს პატრიარქის თანაშემწე ქალბატონის მიერ, სულიწმინდის დედურ საწყისად ჩემეულ გაგებასთან დაკავშირებით, ჩემი დღევანდელი გადასახედიდან, ეს იყო ებრაულ-თეოლოგიური განგაში იმ ადამიანებისა, რომლებიც ქრისტიანობას თამაშობდნენ და შინაგანად იუდეველნი იყვნენ. დღევანდელი გადასახედიდან უკვე საჭიროდ მიმაჩნია ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ საპატრიარქოში მოწყობილი აჯანყება სულიწმინდის ჩემეული გაგების მიმართ, ანუ ჩემს მიერ დედაუფლის ცნების შემოტანის მიმართ, ხდება იმ დროს, როცა ჩვენთვის ყველასთვის შეუმჩნეველად, საქართველოს სახელმწიფოს გარკვეული სამსახურები, საქართველოს ისტორიულ დროშებში ეძებენ ბიბლიური მეფის დავით წინასწარმეტყველის დროშას, ხოლო ქართულ ეკლესიას, მიმდინარე პოლიტიკური პროცესების კონტექსტში, ამზადებენ იუდაიზმთან და თანამედროვე „ტამპლიერებთან“ კოჰაბიტაციური თანამშრომლობისათვის. ამ აზრს კიდევ უფრო მიმტკიცებს ის გარემოება, რომ 1991 წელს, ჩემს მიერ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრის თეორიულ ბაზაზე დაფუძნებული პეტრე იბერის სახელობის რელიგიურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტი, რომლის ძირითადი პროფილებიც ამ ეტაპზე რელიგიათმცოდნეობა და ბიბლიესტიკა გახლდათ,

ინსტიტუტი, რომლის ნიაღშიც ქართული მეცნიერების უმნიშვნელოვანესმა წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი (ალბათ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინსტიტუტი, რეალურად, უფასო სწავლების პრინციპით ფუნქციონირებდა და თითქმის ყველა სალექციო კურსი ანაზღაურების გარეშე იკითხებოდა!), დაფუძნებისთანავე იქნა მიზანში ამოღებული ნაირნაირი თავდასხმებისა და პროვოკაციებისათვის, როგორც ეკლესიის წარმომადგენელთა, ასევე სახელმწიფოს წარმომადგენელთა მხრიდან (მე გახლდით ინსტიტუტის დამფუძნებელი და სამეცნიერო ხელმძღვანელი, რექტორი – ქ-ნი ნელი მახარაძე). მამა არჩილ მინდიაშვილმა, რომელიც იმ დროისათვის საქართველოს პარლამენტში ეკლესიის წარმომადგენელი იყო, სატელევიზიო გამოსვლით მოუწოდა საზოგადოებას, და ინსტიტუტის მსმენელებს, დაეგმოთ პეტრე იბერის ინსტიტუტი. ხოლო ტელევიზიამ მე და ქ-ნი ნელი მახარაძეს კომენტარის გაკეთების უფლებაც კი არ მოგვცა...

პეტრე იბერის ინსტიტუტმა თავისი პირველი ნაკადის ოთხმოცამდე მსმენელიდან 55 დიპლომანტის გამოშვება შეძლო მხოლოდ, რომელთაგან უმრავლესნი, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ავტორიტეტული მასწავლებლები არიან. ის ეკლესიურ-სახელმწიფოებრივი თავდასხმები კი, ხელისუფლების ჩარევით, დაავიწყდნენ საქართველოს კულტურის მაშინდელმა მინისტრმა, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორმა, ბ-ნმა ვალერი ასათიანმა, რომლის პირადი სასამართლო სარჩელითაც, 1996 წელს, საქართველოს სახელმწიფოს სამართალდამცავებმა სასამართლოს განჩინების წესით აიძულეს პეტრე იბერის ინსტიტუტი, დაეტოვებინა თბილისის, ერეკლეს მოედნის №10-ში მდებარე დაბზარული სახლის სარდაფული სართული, რომელიც წლების განმავლობაში დაობებული-დახავსებული, საკუთარი ხელებით განმინდეს იბერთა ღვთისმშობლის ხატის სახელზე შექმნილი საქველმოქმედო საზოგადოების წევრებმა და აუდიტორიად აქციეს პეტრე იბერის ინსტიტუტის მსმენელთათვის.

სწორედ პეტრე იბერის ინსტიტუტის ამ ერთადერთ აუდიტორიაში შედგა, უკვე 1994 წელს, ქართველ ბაგრატიონთა ჩემმიერი პირველი მონვევა. მინდა აღვნიშნო, რომ ამ მონვევას წინ ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტის, ბ-ნ რეზო ჩხეიძის თაოსნობით გამართული ყოველთა ქართველთა მსოფლიო ფორუმი უძლოდა წინ. ასეთ მნიშვნელოვან ისტორიულ თავყრილობაზე საზღვარგარეთელი ბაგრატიონები აღმოჩნდნენ მოპატიჟებულნი, საქართველოს ტახტის უშუალო მემკვიდრეთაგან კი არავინ ჩანდა. ბ-ნი პეტრე გრუზინსკის ოჯახს ბავშვობიდან ვიცნობდი ჩემი განუყრელი მეგობრისა და სულიერი დის, ელიზა დოკვაძის, მხრიდან, რომელიც პეტრე გრუზინსკის პირველ შვილთან, ქ-ნი დალი გრუზინსკისთან, ბავშვობიდან თანშეზრდილი, სიცოცხლის ბოლომდე განუყრელი და მისი უერთგულესი მეგობარი იყო, და საერთოდ როგორც ეტალონი მეგობრობისა, იგი უსაყვარლესი ადამიანი იყო გრუზინსკების მთელი ოჯახის. ჩემი შეხვედრა აგვისტოს ომის შემდგომ გართულებულ საქვეყნო ვითარებაში, საქართველოს სამეფო ტახტის პრობლემებზე სასაუბროდ ბ-ნი ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკისთან, 2008 წლის სექტემბერში, ელიზა დოკვაძის სახლში და ელიზას თანდასწრებით შედგა... 2013 წლის 3 მარტის ღამეს, ელიზა დოკვაძე სრულიად გაურკვეველი სიკვდილით გარდაიცვალა თბილისის ინგოროყვას სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის სასწრაფო სარეანიმაციო განყოფილებაში. ელიზა დოკვაძე გულმხურვალედ უჭერდა მხარს საქართველოს სამეფო ტახტის აღდგენის იდეას... და მისი გარდაცვალება, გარდა იმისა რომ ჩემთვის აუნაზღაურებელი ტრაგედია იყო, იმ შინაურული ხიდის ჩატეხვასაც ნიშნავდა, რომელიც მაკავშირებდა ბაგრატიონების ოჯახთან...

როგორც მახსოვს, თეკლა ბატონიშვილის სასახლის სარდაფულ სართულზე, პეტრე იბერის ინსტიტუტის აუდიტორიაში, 25-30 კაცი შემოიკრიბა ქართველ ბაგრატიონთაგან. მათ შორის ქ-ნი ნინო ბაგრატიონი და ბ-ნი ნუგზარ ბაგრატიონი

ცნობილი ბაგრატიონები იყვნენ. პატივი მქონდა ჩვენი საზოგადოების – იბერიის ღვთისმშობლის ხატის სახელზე დაფუძნებული საქველმოქმედო საზოგადოებისა და პეტრე იბერიის სახელობის რელიგიურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტის სახელით მეუწყებინა მათთვის, რომ საჭიროდ მიგვაჩნდა ბაგრატიონთა დინასტიის შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრის დაფუძნება და ყოველივე ამ საკითხების საქმის კურსში მისი უწმინდესობის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია მეორის შეყვანა. ჩემს მიერ მონვეული ბაგრატიონთა წარმომადგენლობა ვაახლე მის უწმინდესობას, რომელმაც აკურთხა ისინი „ბაგრატიონთა სახლის“ ოფიციალურ საზოგადოებად ჩამოყალიბებისათვის. ამის შემდეგ ჩემთვის პრობლემა ქართველ ბაგრატიონთა არსებობისა საქართველოში, საპატრიარქოს ლაბირინთებში ჩაიყლაპა, როგორც ხდებოდა ეს ჩვეულებრივ, ყველა იმ პრობლემასთან დაკავშირებით, რომელსაც, მე შევძლებდი და, საპატრიარქოში ამა თუ იმ ფორმით მივიტანდი: იქნებოდა ეს იბერიის ღვთისმშობლის ხატის ათონიდან საქართველოში გადმობრძანების პრობლემა, ბაგრატიონთა ფენომენის, დალის ხეობის მხარდაჭერის, საგვარიშვილო მოძრაობის, თუ რაიმე სხვის. ეს შთაბეჭდილება, რომ პრობლემა „ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ“, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ნიშნავდა იმას, რომ პრობლემა საქართველოს პატრიარქის თანაშემწე ქალბატონის, ანუ სახელმწიფოს სპეციალური სამსახურების კომპეტენციაში გადადიოდა. ბაგრატიონთა პრობლემაზე მუშაობის ეკლესიური შედეგები დღის სინათლეზე გამოჩნდა მხოლოდ 2008 წლის სექტემბერში, როდესაც ბაგრატიონთა ქორნილი აღმოჩნდა დანიშნული საქართველოს პატრიარქის კურთხევით. როგორც გაირკვა, საქართველოს საპატრიარქოს საკუთარი კონსულტანტი ჰყავდა დანიშნული მონარქიის საკითხებში, გაიოზ მამალაძის სახით, რომელსაც საქართველოს სამეფო ტახტის ლეგიტიმური პრეტენდენტის შესახებ საკუთარი კონცეფცია ჰქონდა შემუშავებული. ეს კონცეფცია კი ქართველ ბაგრატიონთა ებ-

რულ წარმომავლობაზე იყო დაშენებული. როგორც უკვე აღვნიშნე, გაიოზ მამალაძის აზრით, ქართველი ბაგრატიონები ებრაელთა პირველი მამამთავრის, აბრაამის, 70-ე თაობად დაბრუნდნენ საქართველოში, ებრაელთა დედამთავრის, რაქელის მოსახელე ქალისაგან ქრისტიანებად მოქცეულნი და საქართველოში ქრისტიანობის წინამძღოლებად მოვლენილნი. ვახანასებური ისტორიკოსები ეტყობა ჩვენ ადრეც გვევლინებოდნენ საქართველოში ჩვენი საკუთარი ისტორიის შესათითხნად, რაზედაც ილია ჭავჭავაძე ესოდენ წუხდა...

ბაგრატიონთა ორი სხვადასხვა ქართული განშტოების წარმომადგენელთა დაქორწინება, ვითომ ტახტის ლეგიტიმური წარმომადგენლის ხელოვნურად შესაქმნელად, ყოველად გამოგონილი ლეგიტიმური საჭიროება გახლდათ, რომელიც სრულიად არ ესაჭიროებოდა საქართველოს ტახტს და მითუმეტეს ქართველ ხალხს, რომელიც დღესდღეობით მხოლოდ ალმაცერად და დრომოჭმულად უყურებს საერთოდ მეფობის იდეას. ბაგრატიონთა ქორწინების კურთხევა აშკარად პატრიარქის შეცდომაში შეყვანით იყო მიღწეული და აშკარად პოლიტიკური დანიშნულება ჰქონდა. ჩაფიქრებული ქორწინების შემდეგ, ახლადშობილი უფლისწული, რეალური მმართველი ქვეყნისა ვერ იქნებოდა. მმართველობა უნდა პატრიარქს მინდობოდა. ამასთან მმართველობა, როგორც არა მართვა, არამედ სუფევა. მეფობის შეთავაზების ამ მიმზიდველ იდეაში შეფუთული იყო ეკლესიური კანონიზაცია საქართველოს ტახტის უფლისწულისა, როგორც ებრაელთა მეფის – დავითის გენეტიკური შთამომავლის. დღეს, როდესაც საქართველოს პატრიარქის სიტყვა და პოზიცია ქართველი ხალხის ყველაზე დიდი ავტორიტეტის სიტყვასა და პოზიციას ნიშნავს, ვედარავის დაუმტკიცებს თვით მთელი ქართველი ხალხი, იმას, რომ საქართველოს სამეფო ტახტი, საუკუნეთა განმავლობაში მართული ებრაელთა დიდი მეფის, დავითის შთამომავალ ბაგრატიონთა მიერ, ისეთივე კუთვნილი არ არის ებრაელი ხალხისა, როგორც ქართველი ხალხის,

ებრაელი ხალხისა, რომელმაც აგერ, სულ ახლახან, 50 წლის წინ, ისრაელის ტერიტორიაზე, ორი ათასეული წლის წინ დაკარგული სახელმწიფოებრიობა აღიდგინა. ეს კანონიზაცია, დავითიანობისა, როგორც დავითის ხორციელი შთამომავლობის შინაარსისა, სიონისტური იდეოლოგიით მართულმა საქართველოს ხელისუფლებამ საქართველოს პატრიარქსა და ქართულ ეკლესიას უკვე მთელი მსოფლიოს დასანახად და გასაგონად დაადასტურებინა და გამოსძალა, როგორც უძვირფასესი ისტორიული დოკუმენტი, მთელი ქართული საზოგადოებრიობის თვალწინ, მისივე, მთელი ქართული საზოგადოებრიობის სრული მდუმარების ფონზე.

სავარაუდოდ, საქართველოს „ნაცმოძრაობის“ მიერ შემუშავებული საქართველოს ახალი კონსტიტუცია, რომელიც პრეზიდენტის უფლებებს ზღუდავს და პრემიერისას აფართოებს, მსოფლიოს ახალი წესრიგის მესვეურთაგან გათვლილი პროექტით უნდა იყოს შემუშავებული, რომელშიც პრეზიდენტის ადგილი კონსტიტუციური მონარქიის მოდელით უნდა დაიკავოს ლეგიტიმურად უფლებამოსილმა მეფემ, საქართველოში მიმდინარე ეკლესიური პროცესებით, ებრაელთა მეფის, დავითის შთამომავალმა უფლისწულმა, რომელიც, არც ისე დიდი ხნის წინ, სვეტიცხოვლის წმინდა ტაძარში, უფლისწულად მონათლა მისმა უწმინდესობამ, საქართველოს პატრიარქმა, ილია მეორემ, და რომელთა ტახტებსაც, ანუ საქართველოს სამეფო და საპატრიარქო ტახტებს, უკვე გარანტირებულად, მსოფლიოს ახალი წესრიგის მესვეურთა მხარდაჭერით, თავად ქართველ ტამპლიერთა, ანუ „სოლომონის მეტაძრეთა“ ორდენი დაიცავს.

ამ ეკლესიურ-პოლიტიკური კოჰაბიტაციური ურთიერთობის გამოვლინებაა საქართველოს საპატრიარქოსთან დაფუძნებული, იუდეურ-მართლმადიდებლური, სრულიად საქართველოს ახალგაზრდული მოძრაობა: „დავითიანნი“, შექმნილი მისი უწმინდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით: ებრაელთა დიდი მეფის,

ბიბლიური დავით წინასწარმეტყველის და ქართველთა დიდი მეფის, დავით აღმაშენებლის, როგორც ქართველი ხალხის ორი დიდი წინამორბედის შთამომავალთა მოძრაობა.

„ვარდების რევოლუციით“ მოსულმა საქართველოს ხელისუფლებამ და საქართველოს ეკლესიამ, ერთობლივად, საერთაშორისო ფონდის USAID-ის მხარდაჭერით, საქართველოს საპატრიარქოსთან, 2008 წლის 8 თებერვალს, ე. ი. დავით აღმაშენებლის დღეს დააფუძნეს ეს სრულიად საქართველოს ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანნი“, რომელიც სრულიად ქართველ ახალგაზრდობას – საქართველოს მომავალს – აცხადებს ებრაელთა მეფისა და მეფსალმუნის დავითისა და დავით აღმაშენებლის ერთიან შთამომავლობად და მიმდევრობად. მოძრაობა „დავითიანის“ სულისკვეთება ორი სიმბოლური ნიშნით არის გამოხატული მოძრაობის ლერბში: ებრაელთა მეფის, დავითის ქნართა და საქართველოს საპატრიარქო ბეჭდით. მოძრაობის წესდება გასაიდუმლოებულია და მისი მოპოვება, საქართველოს საპატრიარქოს ყოფილმა პატროლოგმა, ვერ შეეძელი, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური თხოვნით მივმართე საქართველოს პატრიარქს. დიდი ალბათობით წერილი საკანცელარიო პროცედურაშივე დაიბლოკა. „დაიბლოკა-მეთქი“ ვამბობ, რადგან საპატრიარქოს სამუშაო მექანიზმი ისეა აწყობილი, ვერავინ გაიგებს, რომელი განცხადება მივიდა პატრიარქთან და რომელი – არა. საყოველთაოდ ცნობილი ინფორმაციით, რომელსაც მოძრაობა „დავითიანის“ ფაქტიური ხელმძღვანელი, **კოტე სვანაძე** გვანვდის, ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანნი“, იმიტომ დაარსდა საქართველოში, ებრაელთა მეფისა და ქართველთა მეფის ერთიანი ხატიც იმისთვის შეიქმნა, და დავით ებრაელთა მეფისა და დავით აღმაშენებლის ერთიანი ახალგაზრდული მიმდევრობაც მოძრაობის სახით იმიტომ შეიქმნა, რომ ებრძოლოს, მაგალითად, ნარკომანიას, რაც ნამდვილად კეთილშობილური საქმეა და რატომღაც, თითქმის სისტემატიურად, მოძრაობა „დავითიანნი“ გვი-

ლოცავს ჩვენ, მთელ საქართველოს და ქართველ ხალხს ასიათასი წმინდანის დღესასწაულს. საქართველოს პატრიარქის მიერ ნაკურთხი ახალი ხატი, ერთად გამოსახული ორი დავითისა, ებრაელთა მეფისა და ქართველთა მეფისა, დაბრძანებულია წმინდა სამების საკათედრო ტაძრის სამრეკლოში. აღნიშნული ახალგაზრდული მოძრაობა: „დავითიანნი“ სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილია პრესტიჟული ოფისით, რუსთაველის გამზირზე, მესამე სართულზე იმავე შენობისა, რომლის პირველ სართულზეც საქართველოს პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდია განთავსებული. მოძრაობა „დავითიანნი“ უზრუნველყოფილია თავისი რელიგიურ-პოლიტიკური სტატუსითაც. საქართველოს სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად არის რეგისტრირებული – ე. წ. „ქართველ ტამპლიერთა ორდენი“, რომელიც თავისი ოფიციალური წესდებით, ღირსეულ „დავითიანთა“ მასონურ გაერთიანებას წარმოადგენს. როგორც ამ გაერთიანების წესდება გადმოგვცემს, იგი მიზნად ისახავს საქართველოს სამეფო და საპატრიარქო ტახტების პატრონობას. როგორც რაინდთა მხედრულ სამოსს, ქართველ ტამპლიერთა ორდენს, მმართველობისათვის, საქართველოს მთელი ტერიტორია დაყოფილი აქვს რეგიონებად, რომელთაც მინიჭებული აქვთ წმინდანთა სახელწოდებები... ხოლო, როგორც რელიგიური გაერთიანება, ქართველ „ტამპლიერთა“, ანუ „მეტაძრეთა“ ორდენი, საქართველოს ამჟამინდელი კანონმდებლობით განსაზღვრული იურიდიული უფლებამოსილებით, რომელსაც საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდიც უჭერს მხარს, საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას უტოლდება. შეგახსენებთ, რომ სიტყვა „ტამპლიერი“ ინგლისური სიტყვაა და „მეტაძრეს“ ნიშნავს, ხოლო აზრობრივად ამ ტერმინში იგულისხმება არა ნებისმიერი ტაძარი, არამედ ცნობილი ისტორიული ტაძარი, აგებული ქრისტესწინარედ მეფე სოლომონის დროს, ებრაელთა ღმერთის საღვთისმსახუროდ, რომელზედაც ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

„ტამპლიერთა“ მსოფლიო მოძრაობა მიზნად ისახავს ისრაელის დიდთა მეფეთა: მეფსალმუნისა და წინასწარმეტყველის, დავითისა და მისი ვაჟის, სოლომონის მიერ ისრაელიანთა ღმერთის – იაჰვეს, ანუ იეჰოვას სადიდებლად აგებული და მსოფლიო ისტორიული პროცესებით განადგურებული ტაძრის აღდგინებას. აღსანიშნავია, რომ ქართველ ტამპლიერთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით, რომელიც მათსავე ვებ-გვერდზეა მოთავსებული, ტამპლიერთა მსოფლიო მოძრაობის ცენტრალური ოფისი მდებარეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ინტერნეტ საძიებლებით ჩვენთვის ცნობილია ის ფაქტიც, რომ ტამპლიერთა ორდენები ისეთივე მასიური მასშტაბებით დაფუძნებული ორგანიზაციებია პოსტსაბჭოთა გავლენის სივრცეში, როგორც ჯორჯ სოროსის „ღია სამოქალაქო საზოგადოებები“. სახეზეა: უკრაინელი ტამპლიერები, რუმინელი ტამპლიერები, ბულგარელი ტამპლიერები, და ა. შ.

საქართველოს პატრიარქის ვიზიტის შემდგომ დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში და დედოფალ ელისაბედთან შეხვედრის შემდგომ, რომელიც აღიარებული დიდი ფიგურაა მსოფლიოს მასონური მოძრაობის, საქართველოს საპატრიარქოს დასჭირდა ოფიციალური განცხადების (23.02.2011 წ.) გაკეთება, რომ საქართველოს პატრიარქს არ უკუერთხებიაო ქართველ ტამპლიერთა ორდენი. მაგრამ საქართველოს საპატრიარქოს განცხადება და საქართველოს პატრიარქის განცხადება ერთიდაიგივეს არ ნიშნავს. საქართველოს პატრიარქს არ გაუკეთებია განცხადება. საქართველოს პატრიარქმა ეს განცხადება უსათუოდ პირადად უნდა გააკეთოს, თუ მას არ უკუერთხებია ქართველ ტამპლიერთა ორდენი. ხოლო თუ ეს შეცდომა „ანკესის“ ტექნოლოგიით იქნა დაშვებული ეკლესიის მიერ, ეკლესიის მიერვე უნდა იქნას აღიარებული და კუთრხევა ყველა კანონიკური წესის დაცვით ოფიციალურად და სახალხოდ უნდა იქნას მოხსნილი. ვიცოდეთ და გვახსოვდეს, რომ ქართველმა ტამპლიერებმა, ოფიცია-

ლურად, ინტერნეტით აუწყეს მთელ მსოფლიოს, რომ ისინი იკურთხნენ საქართველოს ეკლესიის მიერ. ინტერნეტში, ქართულ ენაზე დაიდო ე. წ. „ქართველ ტამპლიერთა“ შემდეგი განცხადება:

„2010 წლის დეკემბერში გვაკურთხეს უძველესი ქართული სამეფოს დროის წესით. ასეთი კურთხევა რამდენიმე საუკუნეა არ ჩატარებულა საქართველოში. გვაკურთხეს, როგორც ქრისტეს ლაშქარი, ქრისტეს მხედრობა, ამასთანავე, ბაგრატიონთა მხედრობა. მოგვეცა უდიდესი პატივი და ნება დაგვრთეს, სამეხობის საკათედრო ტაძარში, შობისა და ნათლისღების წირვებზე, საკურთხეველსა და პატრიარქის ტახტთან დგომისა (გადმონერილია „ქართველ ტამპლიერთა ორდენის“ ვებ-გვერდიდან 2011 წელს).

პირადად ჩემთვის, უშუალოდ ქართველ ტამპლიერთა ორდენის წარმომადგენელი მთავარი პირების, **თეიმურაზ თუმანიშვილისა და დიმიტრი ყიფიანისაგან** არის ცნობილი, რომ მათთვის, როგორც ქართველ ტამპლიერთა ორდენის მეთაურთათვის, უშუალოდ საქართველოს პატრიარქთან შეხვედრებისა და ურთიერთობისათვის, არანაირი პრობლემა და არანაირი დაბრკოლება არ არსებობს, რაც ძალიან მარტივად და ცხადად იმას ნიშნავს, რომ პიროვნება, რომელიც საპატრიარქოში, როგორც ინსტიტუციონალურ დანესებულებაში, საქართველოს პატრიარქთან საზოგადოების წარმომადგენელთა შეხვედრების უფლებამოსილებასა და ამ შეხვედრების პროცედურულ მოწესრიგებას პრაქტიკულად განაგებს, საქართველოს პატრიარქის საყოველთაოდ ცნობილი თანაშემწე ქალბატონი, უშუალოდ მართავს საქართველოს **პატრიარქისა** და ქართველ ტამპლიერთა ორდენის წარმომადგენელთა შეხვედრებსაც, და რომ **საქართველოს პატრიარქისა და ქართველ ტამპლიერთა კავშირი ხელდასხმულია საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების მიერ**. უფრო მეტი: საქართველოს პატრიარქისა და ქართველ ტამპლიერთა ურთიერთობა ხელისუფლების მიერ და ხელისუფლების დავალებით იმართება. ვის შეუძლია საქართველოს პატრიარქს თავად მისი კურთხე-

ვის გარეშე, ე. ი. პატრიარქს პატრიარქის გარეშე უკურთხოს საკურთხეველის საპატიო ამაღლად ტამპლიერ მასონთა წარმომადგენლები? ცხადაა, არავის. ქართველ ხალხს, საქართველოს ეკლესიას და საერთოდ საქართველოს მომავალს აუცილებლად სჭირდება საკუთრივ უწმინდესის განცხადება, როგორც ისტორიული დოკუმენტი, რომ მას, საქართველოს პატრიარქს, მის უწმინდესობას, ილია მეორეს არ უკურთხებია ქართველ ტამპლიერთა ორდენი.

ქართველ ტამპლიერთა ორდენის ზემოთ ხმობილი განაცხადი, რომელშიც ნათქვამია, რომ ისინი, ანუ ქართველი ტამპლიერები, აკურთხეს, როგორც ქრისტეს მხედრობა და ბაგრატიონთა მხედრობა, ზუსტად ასახავს ქართველ ტამპლიერთა ორდენის ჩვენს ხელთ არსებულ ოფიციალურ წესდებას, რომელშიც ორდენის მიზანდასახულებად გაცხადებულია საქართველოს სამეფო და საქართველოს საპატრიარქო ტახტების პატრონობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ისრაელის ბიბლიურ მეფეთა, დავითისა და სოლომონის მიერ ისრაელიანთა ღმერთის – იაჰვეს, იგივე იეჰოვას სადიდებლად და თაყვანისსაცემად აგებული სახელგანთქმული ტაძრის აღდგენისათვის დაფუძნებული მრავალსაუკუნოვანი მოძრაობა, ინგლისურ ენაზე „ტამპლიერთა“, ხოლო ქართულ ენაზე „ტაძრელთა“ მოძრაობა, შევიდა საქართველოს წმ. სამეხობის საკათედრო ტაძრის საკურთხეველში და ქართველი ერის ღმერთისაკენ აღმავალ მლოცვარე სიტყვას აედევნა... უფრო მეტი: ქართველ ტამპლიერთა ე. წ. მხედრობა სარგებლობს რა საქართველოს ისტორიის უძველეს მატრიანეში – „ქართლის ცხოვრებაში“ დაშვებული ინფორმაციული აღრევით, რომელმაც ცთომილებაში ჩააგდო თვით ქართული ეკლესია, პრეტენზიას აცხადებს საქართველოს საპატრიარქო და სამეფო ტახტების მეურვეობისას: საქართველოს ეკლესიის გაგებით, საქართველოს სამეფო ტახტი ხომ დღევანდელ ბაგრატიონებს, როგორც ისრაელის ბიბლიურ მეფეთა შთამომავლებს: დავით წინასწარმეტყველისა და სოლომონ მეფის შთამომავლებს ეკუთვნით?! ამგვარი

გაგებით, საქართველოს ეკლესია, ფაქტობრივად, ჩადგა თანამედროვე მსოფლიოს ახალი, სიონისტურ-მასონური მოძრაობის ყველაზე სანუკვარი მიზნის, სოლომონის ტაძრის აღდგინების სამსახურში და არა მხოლოდ... მართალია, დიდი ხანია გვესმის, რომ „იყიდება საქართველო“, მაგრამ ის ფორმა გაყიდვისა, რომელსაც ჩვენი რეალობა იღებს, სიტყვაში ვერ თავსდება. როგორ ფიქრობთ? ხომ არ ხდება გაყიდვა, ქართველი ხალხის თვალეზში ნაცრის შეყრით, ქართველი ერის მთელი ისტორიისა და ხომ არ ხორციელდება ქართველი ერის ეროვნული ფენომენის ამოშლა არა მხოლოდ ცალკეული ქართველის პირადობის დამადასტურებელი მოწმობიდან ამოშლის გზით, არამედ – მთელი ქართველი ერის პირადობის ისტორიის ამოშლით საკაცობრიო რეალობიდან?! ხომ არ იდგამს საკუთარ ტახტს იუდაიზმი საქართველოში საქართველოს ეკლესიის გზით?! რას ნიშნავს საქართველოს ეკლესიურ რეალობაში მასიური შეცვლა წმ. სამების ხატის **ახალი ალექსისეული** კანონიკურ იკონოგრაფიული სიუჟეტისა, ანუ: მამა ღმერთისა, მარჯუენით მჯდომარე იესო ქრისტესი და მტრედით გამოსახული სულიწმიდის ხატისა, ძველი ალექსისეული, აბრაამთან დასტუმრებული სამი ჭაბუკის სიუჟეტით?! საქართველოს პატრიარქის, მისი უწმინდესობის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით შესრულებული, ახალი, ძვირფასი თვლებით მოჭედული ხატი: „საქართველოს იმედი“, რომელიც ერთგვარი „მეტოქია“ მე-19 საუკუნეში შესრულებული „საქართველოს დიდების“ ცნობილი ხატისა, კომპოზიციურად, ამაღლებულ და მანათობელ ქრისტეს გამოსახულებაში ჩაანაცვლებს წმინდა სამების ძველი ალექსისეულ სიუჟეტს, ანგელოზებად აღქმული სამი ჭაბუკისას. „საქართველოს იმედის“ ამ ახალ მონუმენტურ ხატში საქართველოს იმედის კომპოზიციის დაგვირგვინება ძველი ალექსისეული სამი ჭაბუკით, რომელთაც დაინტერესებულმა „თეორეტიკოსებმა“ ხელოვნურად მოახვიეს წმინდა სამების გაგება (ისევე, როგორც წარღვნის შემდგომი კაცობრიული მოდგმის ეპონიმებად ცნობილ ნოეს

ვაჟიშვილებს: სემის, ქამისა და იაფეტის სამპიროვნულობის შემთხვევაში მოხდა), არავითარ სიმბოლურ თეოლოგიას არ ექვემდებარება. როგორც აბრაამთან დასტუმრებული სამი ჭაბუკის სამპიროვნულობაში, ისე ნოეს სამი ვაჟის, სემის, ქამისა და იაფეტის სამპიროვნულობაში ქრისტიანული წმინდა სამების სიმბოლურ გამოვლინებათა ამოკითხვა არის შედეგი ქრისტიან თეორეტიკოსთა ტენდენციური პოზიციისა, წმინდა სამება ამოკითხონ ძველ ალექსისეულ და ამ გზით გააძლიერონ და დაასაბუთონ ჭეშმარიტება ახალი ალექსისა. სამაგიეროდ ეს ხელოვნურად მოძიებული სიმბოლური წმინდა სამება, საშუალებას გვაძლევს, თავიდან ავიცილოთ ტრადიციული კანონიკური იკონოგრაფიული სიუჟეტი წმინდა სამებისა: მამისა, ძისა-იესო ქრისტესი, და მტრედით გამოხატული სულიწმიდისა, რაც ზუსტად გამოხატავს დღევანდელი ქართული ეკლესიის გადახრას ძველი ალექსისეული და ქართული ეკლესიის ცნობიერებაში იუდაისტური ტენდენციების მომძლავრებას. ფაქტობრივად, წმ. სამების ტრადიციული ხატის შეცვლით, ძველი ალექსისეული სიუჟეტით, ქართულმა ეკლესიამ ერთი მხრივ შეცვალა ქრისტეს გამოსახულება მარჯუენით მამისა, მტრედის სახით გამოსახული სულიწმიდის სხივთა ფენაში, და აერიდა ქრისტიანული თეოლოგიის ფუნდამენტური პრინციპის, ვიზუალურ დადასტურებას, ხოლო მეორე მხრივ, ამ შეცვლით, იკონოგრაფიულად ქრისტეს გამოსახულების გაყვანა მოხდა წმინდა სამებიდან. რამდენად გამართლებულია მამისა, ძისა და სულიწმინდის რეალურ გამოსახულებათა შეცვლა ძველი ალექსისეული სამი ჭაბუკის სიუჟეტით, აბრაამის სტუმრებით, რომელთაგანაც ორი მათგანი, აბრაამის შემდგომ, აბრაამის ძმისწულის, ლოტის სტუმრები ხდებიან? აბრაამთან ამ სამი ჭაბუკის გამოცხადების შედეგია წინასწარმეტყველება, რომ აბრაამის ცოლს, უშვილოს და უკვე ასაკში შესულს, შეეძინება შვილი, და ეს მართლაც ასე მოხდება. ებრაელი ერის, როგორც სემიტური მოდგმის გენეალოგია დალაგდება სწორედ ამ გამოცხა-



დების აღსრულებით: „აბრაამ შვა ისააკ, ისააკ შვა იაკობ, იაკობ შვა იუდა და ძმანი მისნი...“ და ა. შ. ხოლო, რაც შეეხება ლოტისგან სტუმრობას და ამ ჭაბუკების დამსახურებას ლოტის წინაშე, როგორც ვიცით, წმინდა წერილით, ანუ ბიბლიურივე გადმოცემით, საკმაოდ მძიმე დრამა დატრიალდება თავად ლოტისათვის. ქალდეველთა ქვეყნიდან აბრაამთან ერთად წამოსული ლოტი, უსახლკარო და უბინაო, თავისი ცოლითა და ორი ქალიშვილით დაბინავდება ქალაქში, რომელიც სოდომურ ცოდვაშია ერთიანად ჩაფლული და დღეს თუ ხვალ უფლის განგებით მძვინვარე განადგურება ელის. სოდომის განადგურების საბოლოო განჩინების მისაღებად უფლისათვის სოდომელების საქციელი ხდება, რომელსაც ისინი ლოტს დასტუმრებული ჭაბუკების მიმართ გამოიჩინენ: ლოტის სახლს შემორტყმული მთელი ჯოგი, სოდომური ვნებით შეპყრობილი კაცებისა, ლოტისგან ითხოვენ სტუმარი ჭაბუკების გადაცემას. თავზარდაცემული ლოტი იძულებულია თავისი ქალიშვილები შესთავაზოს ვნებააშლილ კაცებს, ოღონდაც სტუმრები იხსნას. უფალი ანგელოზების გზით აუწყებს ლოტს რომ გადაუდებლად, უკანმოუხედავად უნდა გავიდეს სოდომიდან. ასეც მოიქცევა ლოტი, მაგრამ იმის გამო, რომ მისი ცოლი დაარღვევს უფლის ბრძანებას და უკან მიიხედავს, უკვე ცეცხლის ბულში გახვეული სოდომისაკენ, მარილის სვეტად გააქვავებს მას უფალი და ამგვარად, ლოტი, სოდომიდან გაქვევის დროს, ცოლს დაკარგავს. ტრაგიკული ბედის მამა და ორი ქალიშვილი კი ისეთ უკაცრიელს შეაფარებენ თავს, სადაც ადამიანის ჭაჭანება არ არის, და იმისათვის, რომ არ ამოწყდნენ, ქალიშვილები მიიღებენ გადაწყვეტილებას, მამისაგან შობონ. ასე შეუერთდება აბრაამის მოდემას ცოდვილი ორი შტო ლოტისა – მოაბელებისა და ყამონიანებისა – რომელთაც იუდეური წესით, სალოცავში, უფლის წინაშე დგომა ეკრძალებათ. ამრიგად, ძველი აღთქმის მთელ ისტორიაში, აბრაამთან დასტუმრებული სამი ჭაბუკი, გაგებული როგორც ღმერთისგან გამოგზავნილი სამი ანგელოზი, არის ღრმად ებ-

რაულ-ეროვნული დატვირთვის, და ქრისტიანული წმინდა სამების: მამისა, ძისა და სულიწმიდის ალეგორიად გააზრება მათი, სრულიად ნაძალადევი და ხელოვნურია. „საქართველოს იმედის“ ხატის დაგვირგვინება კი ამგვარი ალეგორიით, როგორი ძვირფასი თვლებითაც არ უნდა მოვჭედოთ იგი, დაუშვებლია!

ეკლესია არ არის სამეცნიერო კვლევითი დანესებულება. პასუხისმგებლობა ამ ცთომილებაში კატეგორიულად ეკუთვნის ქართულ მეცნიერებას და ქართველ მეცნიერებს. ჩვენ ვდგავართ საშიშროების წინაშე იმისა, რომ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების კონტექსტში მომძლავრებული ტენდენცია ეროვნული იდენტობის უგულვებლყოფისა და უეროვნებო მსოფლიოში გადასვლისა, ქართველი ხალხისთვის არ აღმოჩნდეს დამატებითი საფუძველი, მის მიერ, ქართველი ხალხის მიერ საკუთარი თვითმყოფადობის უარყოფისა და მშობლიური მიწა-წყლის ნაწილ-ნაწილ გასხვისებასთან ერთად საკუთარი ეროვნული ისტორიის გასხვისებისაც; შეიძლება ითქვას უფრო მწვავედაც: საკუთარი ეროვნული ისტორიისა და ეროვნული მეობის გასხვისების...

ქართულ საზოგადოებრიობას გაცნობიერებული არა აქვს, რომ საქართველოს ეკლესიის კურთხევით ანა ბაგრატიონ-გრუზინსკისა და ესპანეთში გაზრდილი დავით ბატონიშვილის ხელოვნური ქორწინებით შობილი შვილი, რომელიც თავად ბაგრატიონთა სახლის განცხადებით, არავითარი გენეტიკური კანონიერების თვალსაზრისით არ წარმოადგენდა აუცილებლობას, საქართველოს პატრიარქის, მისი უწმინდესობის, ილია მეორის მიერ სვეტიცხოვლის წმინდა ტაძარში მოინათლა როგორც ებრაელთა მეფის, დავითის შთამომავალი უფლისწული. ქართველ ხალხს გაცნობიერებული არა აქვს, რომ საქართველოს ეკლესიამ, საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა ისტორიული ტიტულის „დავითიანის“ მცდარ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, კერძოდ, ქართველი ბაგრატიონების გაგებითა და საქვეყნო აღიარებით ებრაელთა ბიბლიური მეფის, დავით

წინასწარმეტყველის, ხორციელ შთამომავლებად, მსოფლიოს სიონისტურ მოძრაობასა და დღევანდელ ისრაელს, რომელმაც ორიათასწლოვანი ხანგრძლივობით დაკარგული სახელმწიფოებრიობა აღიდგინა და ამჟამად, თავგანწირული იბრძვის დავითისა და სოლომონის ტახტისა და დავითისა და სოლომონის ტაძრის აღდგენისათვის, საქართველოს სამეფო ტახტზე უფლებამოსილება დაუმტკიცა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ საქართველოში ოფიციალურად არის რეგისტრირებული „ქართველ ტამპლიერთა ორდენი“, რომელსაც თავისი ოფიციალური წესდებით საქართველოს სამეფოს და საპატრიარქო ტახტების პატრონობა აქვს მიზანდასახული, უნდა დავასკვნათ, რომ საქართველოში მსოფლიოს ახალი წესრიგის დასამყარებლად შემოყვანილ ხელისუფალთა მეშვეობით მსოფლიოს სიონისტურმა მოძრაობამ, ბ-ნ ჯორჯ სოროსის წარმომადგენლობით, შეძლო, ჯერ კონკორდატის გზით აეყვანა კონსტიტუციური უფლებამოსილების დონეზე საქართველოს ხელისუფლებისა და საქართველოს ეკლესიის თანამშრომლობა ერთმანეთთან, ხოლო შემდეგ, როგორც ეკლესიური, ასევე საერო საკანონმდებლო წესით, საქართველოს სამეფო ტახტის პატრონობა ჩაებარებინა ქართველ ტამპლიერთა ორდენისათვის, იგივე სოლომონის ტაძრელებისათვის, ანუ ქართულ-ებრაული სიონისტური ლაშქრისათვის. და ძალაუვნებურად ჩნდება კითხვა: ხომ არ იმყოფება ქართული ეკლესია იმ პოლიტიკური პატიმრის როლში, რომელიც მის მიერვე გამოგონილი დეტექტიური ეპიზოდებით, ჩვენთვის გაუგებარი საჭიროებით გვიკიჟინებს ქალდეველთაგან საკუთარი უპირატესობების დათმობაზე ებრაელთათვის. რატომ ინვესტს საქართველოს ეკლესია შთაბეჭდილებას მონარქიის იდეის წარმართვისას ხალხისაგან ფარული და კონსპირაციული მეთოდით?! ხომ არა გვაქვს საქმე, საქართველოს პატრიარქის შეცდომაში შეყვანით, საქართველოში ოფიციალურად რეგისტრირებულ ტამპლიერ-მასონთა ორდენის მართლაც კურთხევასთან საქართველოს პატრიარქის მიერ და საქართველოს სამეფო ტახტის

დათმობასთან ქართველ ტამპლიერთა საპატრონოდ? ხომ ფაქტია, რომ ქართველ ტამპლიერთა ორდენი დავით ბატონიშვილის მფარველობაში იმყოფება? ხომ ფაქტია, რომ ლეგიტიმაციის სახელით გამოგონილი ბაგრატიონთა ქორწინება, სრულიად სხვა მიზნისათვის იყო ჩაფიქრებული? ხომ ფაქტია, რომ ქართველი ხალხისთვის უცნობი მსოფლმხედველობრივი ორიენტაციის დავით ბატონიშვილი აღმოჩნდა ე. წ. ლეგიტიმური უფლისწულის გამჩენი. საქართველოს პატრიარქისადმი ქართველი ხალხის ნდობის ფაქტორი იმხელაა, რომ მის ყოველ ნაბიჯს ქართველი ხალხი სიფხიზლედახშული მიჰყვება. საპატრიარქოში არ არსებობს, ასევე, ისტორიულ-ტრადიციული საკათალიკოსო საბჭო, შემდგარი საერო პირთაგან, რომელიც ერთგვარად დააკავშირებდა საქართველოს საპატრიარქო მმართველობასა და ქართველ ხალხს... ამ ფუნქციას საქართველოს საპატრიარქოში ასრულებს სახელმწიფოს მიერ შექმნილი „მარდოქაი-ესთერის“ მექანიზმი... ცუდი არ იქნება გავიხსენოთ, რომ ბიბლიური გადმოცემით მარდოქაი-ესთერის მექანიზმით სპარსეთის უდიდესი იმპერია ებრაული ინტერესებისათვის ამუშავდა და დასრულდა სპარსეთის მეფის, დარიოსის მცდელობით: ბაბილონელთა მიერ დანგრეული სოლომონის ტაძრის აღდგენის... ისტორიული წყაროებით დარიოსი ესთერის შვილი იყო სპარსეთის მეფისაგან გაჩენილი, ისე რომ სპარსეთის მეფემ არც იცოდა, რომ ესთერი ებრაელი იყო...

აი, ამ გამოწვევების კონტექსტში გვიხდება ჩვენ განმარტება იმისა, თუ რას ნიშნავს საქართველოს ბაგრატიონთა დინასტიის დიდთა მეფეთა ტიტულატურაში მოხსენიება მათი, ანუ ქართველი ბაგრატიონებისა „დავითიანებად“, ან „დავითიან-სოლომონიანებად“, ანუ შთამომავლებად დიდთა ებრაელთა მეფეთა მოდგმისად... ძალზედ ყურადსაღებ ფაქტებად მიგვაჩნია მისი უწმინდესობის, საქართველოს პატრიარქის განცხადებები 2014 წლის აპრილში, მიჯრით გაკეთებული, დევიდ ლიდინგტონის – დიდი ბრიტანეთის მინისტრის ევროპის საკი-

თხებში, ისრაელის შინაგან საქმეთა მინისტრის – გიდეონ საარისა, და მალტის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის – ჯორჯ ველლას საპატრიარქო რეზიდენციაში სტუმრობების დროს, რომ „საქართველოსთვის ევროკავშირში გაერთიანება აუცილებელია“. როგორც საპატრიარქოს ვებგვერდებით გვატყობინებენ, ეს გახლავთ გუნდი, რომელიც აღჭურვილია უფლებით საქართველოს პატრიარქთან კარს მიღმა საუბრის... საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი მალტის მასონური საიდუმლო ორდენის კავალერი იყო. სავარაუდოდ, ეს ვიზიტები საქართველოში მონარქიის აღდგენის საკითხებთან უნდა იყოს დაკავშირებული... შეუძლებელია არ აღვნიშნოთ, რა საინტერესო ხედვა აქვს ჩვენს ხალხს: საქართველოს სამეფოს ვებ გვერდზე რიგითი მოქალაქის კომენტარი და პასუხი კითხვაზე, ემხრობა თუ არ ემხრობა მონარქიას, გვაუნწყებს და გვაფრთხილებს: ...ოლონდ საქართველოს მეფე არ შეიძლება იყოს მალტის მასონური ორდენის კავალერი. ეს რიგითი ქართველისათვის, თორემ ეკლესიის საქმეთა მმართველისათვის, ქალბატონისთვის, რომლისათვისაც მსოფლიო საეკლესიო კრებათა უფლ-

ეზამოსილებანი აღმოჩნდა მინიჭებული, რომლისათვისაც აღმაშფოთებელი აღმოჩნდა ჩემი გაგებული დედა უფალიცა, დანტე ალიგიერიცა და რუსთაველის „ვეფხისტყაოსანიც“, სრულიად დოგმატურ-კანონიკური აღმოჩნდა მოძრაობა დავითიანნიც, ბაგრატიონთა დავითიანობის გაგებაც ებრაელთა მეფის გენეტიკურ შთამომავლებად და, ქართველ მართლმადიდებელ ტამპლიერთა ორდენიც, რომლის წევრებიც საიდუმლო ხელდასხმის რიტუალში სამჯერ აფურთხებენ ქრისტეს ხატს. ესენი გვილოცავენ ჩვენ, მთელ საქართველოს ასი ათასი წმინდანის ხსენების დღეს, წმინდანების, რომელთაც სიკვდილი არჩიეს ქრისტეს ხატზე ფეხის დაბიჯებას. როგორც ჩანს, საქართველოს ეკლესიას და ეკლესიის საქმეთა მთავარმმართველ ქალბატონს, რომელსაც ჩემეული გაგება სულიწმინდის დედურობისა აღმაშფოთებელ შეურაცხყოფად მიაჩნია საქართველოს ეკლესიისათვის, და ჩემი გაძევების საფუძვლად საქართველოს ეკლესიის პატროლოგის ფუნქციიდან, ქართველი ტამპლიერები მიაჩნია ჭეშმარიტ დოგმატიკოს მართლმადიდებლებად და ქართული ეკლესიის ნამდვილ სულიერ შვილებად.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



## ტარიად ფუცკარაძე

### ქართველური კილოების ბავრცელების ველი\*

საქართველოს კულტურულ-ადმინისტრაციულ ცენტრთან სიმორე-სიახლოვის მიხედვით, გამოვეყოფთ სამ დიდ დიალექტურ ჯგუფს: **ცენტრალური, განაპირა და საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გარეთ არსებული კილოები**. ამ პარაგრაფში ზოგადად წარმოვადგენთ თანამედროვე ქართველურ კილოთა გავრცელების ველს რაიონებისა და ხეობების მიხედვით.

#### ცენტრალური კილოები:

**ქართლური დიალექტი.** ქართლური ყველაზე მსხვილი დიალექტური ერთეულია. ქართლურ კილოზე მეტყველი ქართველობა საქართველოს დღევანდელი საზღვრების მიხედვით ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში — ქართლში ცხოვრობს; ქართლი ძირითადად მოიცავს მტკვრის შუა წელის ხეობას, კასპის, ქარელის, მცხეთის, გორის, ცხინვალის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, ახალგორის, წალკის, ჯავის, თეთრიწყაროსა და ხაშურის რაიონებს.

ქართლური კილო ყველაზე ახლოს დგას სამწიგნობრო ქართულთან. სხვა ქართველურ კილოთაგან ყველაზე მეტ საერთოს იგი პოულობს კახურთან. ეს ბუნებრივია მათი ტერიტორიული სიახლოვისა და პოლიტიკურ-ეკონომიკური ერთიანობის გამო.

დიალექტური თავისებურებების გათვალისწინებით, ქართლურ კილოში ოთხი ძირითადი კილოკავი გამოიყოფა: ცენტრალური ანუ **შიდა ქართლური** (მცხეთის, კასპის, გორის, ქარელის რაიონების მეტყველება), ჩრდილო ანუ **ზემო ქართლური** (ახალგორის, აგრეთვე, დუშეთის რაიონში შემავალი სოფლების მეტყველება), სამხრეთი ანუ **ქვემო ქართლური** (გომარული, წერაქვ-სიონური, რეხული, ალგეთური თქმები) და **დასავლური ქართლური** (ბორჯომის, ხაშურისა და სურამის მეტყველება).

**კახური დიალექტი.** კახეთი აღმოსავლეთ საქართველოს ვრცელ ტერიტორიაზეა გაშლილი. მოიცავს მდინარე ივრის შიდა და ქვემო დინებისა და მდინარე ალაზნის აუზს. დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით, კახეთში შედის: ახმეტის, თელავის, ყვარლის, გურჯაანის, სიღნაღის, ლაგოდეხის, დედოფლისწყაროს, საგარეჯოს რაიონები და თბილისის გარეუბანი. კახელები საკმაო რაოდენობით ცხოვრობენ თიანეთის რაიონში.

\* მასალის მომზადებისას გამოყენებულია 2006 წელს გამოცემული „ქართული ენის ისტორიის“ შესაბამისი მონაკვეთი.

კახეთი იყოფა: გარეკახეთად (მდ. ივრის შუა წელი), ქიზიყად (მდ. ივრის ქვემო წელი), შიგნიკახეთად (მდ. ალაზნის მარჯვენა სანაპირო) და გაღმამხრად (მდ. ალაზნის მარცხენა სანაპირო). მიუხედავად ფართო გავრცელებულობისა, კახური მეტყველება ძირითადად ყველგან ერთნაირია; გამოიყოფა სამი კილოკავი: **გარეკახური**, **შიგნიკახური** და **ქიზიყური**. ქიზიყურის სახელწოდებით ცნობილია სიღნაღისა და ნაწილობრივ დედოფლისწყაროს რაიონების მოსახლეობის მეტყველება. დანარჩენი კილოკავებისაგან განსხვავებით, ქიზიყური მეტყველებისათვის დამახასიათებელია არქაული მოვლენები.

**გურული დიალექტი.** გურული მეტყველება გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს სამ რაიონში: ოზურგეთში, ჩოხატაურსა და ლანჩხუთში. გურიას ჩრდილოეთით სამეგრელო ესაზღვრება, სამხრეთით — აჭარა, აღმოსავლეთით — იმერეთი, დასავლეთით — შავი ზღვა. გურულ დიალექტში შთამბეჭდავია მეგრულ-ჭანური ფენა.

გურული კილო იყოფა ორ კილოკავად: **ზემო** და **ქვემო გურულად**. ზემო გურული მოიცავს ძირითადად ჩოხატაურისა და ოზურგეთის მთიანი რეგიონის მოსახლეობის მეტყველებას, ქვემო გურული — ლანჩხუთისა და ოზურგეთის რაიონების მეტყველებას. გურული კილოს კილოკავებად დაყოფას საფუძვლად უდევს, ერთი მხრივ, ლექსიკური და, მეორე მხრივ კი, მორფოლოგიური სხვაობა. ზემო გურული დიალექტური თავისებურებებით უფრო უახლოვდება ქვემო იმერულს, ვიდრე ქვემო გურულს.

**იმერული დიალექტი.** იმერეთი ერთ-ერთი დიდი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა დასავლეთ საქართველოში. სახელწოდება დაკავშირებულია ამ მხარის მდებარეობასთან: **იმერეთი**, ე.ი. ლიხის მთის გადაღმა მხარე (მდრ.: **ამერეთი**). მოგვიანებით იმერეთი — კუთხის სახელწოდებად, ხოლო „იმერელი“ ამ კუთხის ქართველთა სახელად (თემონიმად) ჩამოყალიბდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ვახუშტის თხზულებაში „იმერეთი“ ძველი მნიშვნელობით გამოიყენება — გულისხმობს მთელ დასავლეთ საქართველოს: **„ბაგრატიონთა რაჟამს დაიბყრეს ყოველი საქართველო, ამათ უწოდეს ქართლს ამერეთი და აფხაზეთს იმერეთი, ანუ იმერნი და ამერნი, უმეტესად შეერთებისათჳს; აწცა საზოგადოდ უწოდებენ იმერეთს... ცხენისწყალს-ზეითს, აღმოსავლეთის კერძსა, ვიდრე ლიხის მთამდე...“** (ვახუშტი, 1941).

იმერეთი გეოგრაფიულად ორ დიდ რეგიონად იყოფა: ზემო და ქვემო იმერეთად. ზემო იმერეთი მოიცავს საჩხერის, ჭიათურის, ზესტაფონისა და ხარაგაულის რაიონებს, ხოლო ქვემო იმერეთში მოიაზრება თერჯოლის, ტყიბულის, ბაღდათის, წყალტუბოს, ხონის, სამტრედიისა და ვანის რაიონები, ნაწილობრივ — აბაშის რაიონი (საზღვრისპირა სოფლები).

ზემო იმერეთს აღმოსავლეთით ესაზღვრება ლიხის ანუ სურამის ქედი, სამხრეთით — აჭარა-იმერეთის ქედი, ჩრდილოეთით — რაჭის ქედი, დასავლეთით — სამეგრელო. ქვემო იმერეთს სამხრეთით ესაზღვრება მესხეთი, ჩრდილოეთით — ნაქერალას ქედი და ხვამლის მთა, აღმოსავლეთით — ჭიათურის, ზესტაფონისა და ხარაგაულის რაიონები, სამხრეთით — გურია.

იმერული ერთ-ერთ მსხვილ დიალექტურ ერთეულს წარმოადგენს. იყოფა **ზემოიმერულ** და **ქვემოიმერულ კილოკავებად**.

იმერულის ენობრივი ერთეულების სტატუსის შესახებ სამეცნიერო წრეებში აზრთა სხვადასხვაობაა: მეცნიერთა ნაწილი (შ.ძიძიგური, ქ.ძოწენიძე...) იმერულ დიალექტს ორ კილოკავად ყოფს, ნაწილი (ა. შანიძე) — სამად (ზემო-, შუა- და ქვემოიმერული); კ.კუბლაშვილი ზემო- და ქვემოიმერულს დამოუკიდებელ დიალექტურ ერთეულებად მიიჩნევს. ამასთანავე, გამოყოფენ **შუაიმერულ კილოსაც** (გ. ფანჩვიძე). შუაიმერულად მიიჩნევა ზემო და ქვემო იმერეთს შორის არსებული გარდამავალი ზოლის მეტყველება (თერჯოლური, ბაღდათური, ტყიბულური), რომლისთვისაც დამახასიათებელია როგორც ქვემოიმერულის, ისე ზემოიმერულის ენობრივი ნიშნები.

**ლენჩხუმიური დიალექტი.** ლენჩხუმიური დიალექტი ძირითადად ცაგერის რაიონშია გავრცელებული, ნაწილობრივ მოიცავს ამბროლაურისა და წყალტუბოს რაიონების სოფლებს.

ლექსები ცხენისწყლის, რიონისა და ლაჯანურის ხეობებშია მოქცეული. ლექსებს აღმოსავლეთით რაჭა (მდინარე ასკი) ესაზღვრება, დასავლეთით — სამეგრელო (ასხის მთა), ჩრდილოეთით — ქვემო სვანეთი (ყვედრემის ლეღე), სამხრეთით — იმერეთი.

ლექსები წყაროებში პირველად მოიხსენიება VI საუკუნეში (პროკოფი კესარიელი) **სკვიმნი** სახელით. სავარაუდოა, რომ **სკვიმ-** ფუძე იგივეა, რაც **ლე-ჩხუმ-** (**ლე-** დანიშნულების მაწარმოებელი საერთოქართველური პრეფიქსია).

გეოგრაფიულად ლექსებს ორ ნაწილად ყოფენ: **ზემო ლექსუმა** (ცხენისწყლისა და ლაჯანურის ხეობათა, აგრეთვე, რიონის ხეობის ერთი ნაწილის სოფლები) და **ქვემო ლექსუმა** (რიონის ხეობის სოფლები ტვიმიდან ლეხიდრის ხეობის ჩათვლით სოფელ ღვედამდე).

**განაპირა კილოები:**

**ფხოური კილოები:**

ფხოველები წყაროებში პირველად IV საუკუნეში იხსენიება. წმინდა ნინომ, სხვა ქართველ მთიელებთან ერთად (ჭართალელები, წილკნელები, გუდამაყრელები), ფხოველებსაც უქადაგა ქრისტიანობა. მათ ქრისტიანობა არ მიუღიათ, რის გამოც „ფხოელთა დაუტევეს ქუეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთს“ (ქართლის ცხოვრება, 1995, გვ.125-126). ტერმინი „ფხოვი“ ძველ ისტორიულ წყაროებში გამოიყენებოდა ორი ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონის, კერძოდ, ფშავისა და ხევსურეთის აღსანიშნავად, შესაბამისად, „ფხოელნი“ გულისხმობდა ხევსურებსა და ფშავლებს; ამის შესახებ ვახუშტიც აღნიშნავს: „...აწ უწოდებენ ფშავ-ხევსურეთს, რომელთა პირველ ეწოდათ ფხოელნი“ (ვახუშტი, 1941, გვ.93). ფშავ-ხევსურულთან მსგავსების გამო გამართლებული ჩანს, ამავე ჯგუფში გაერთიანდეს მთის სხვა კილოებიც: თუშური, მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული.

**ხევსურული დიალექტი.** ხევსურეთი ერთ-ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხეა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. კავკასიონის ქედი ხევსურეთს ორ ნაწილად ყოფს: ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარე, ანუ **პირიქითა ხევსურეთი** და სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარე, ანუ **პირაქეთა ხევსურეთი**. პირიქითა ხევსურეთი მოიცავს არღოტისა და შატლის ხეობებს (ახლანდელი დუშეთის რაიონის შატლის სასოფლო საბჭოს ტერიტორია), პირაქეთა ხევსურეთი — ხევსურეთის არაგვის ხეობას (დუშეთის რაიონის ბარისახოსა და გუდანის სასოფლო საბჭოების ტერიტორია). პირიქითა და პირაქეთა ხევსურეთი ერთმანეთს არხოტისა და დათვისჯვრის უღელტეხილით უკავშირდება.

ხევსურეთი აღნიშნული კუთხის აღსანიშნავად XV საუკუნიდან ჩნდება. სახელი დარქმეულია მხარის მთიანი, ხევებიანი ადგილმდებარეობის გამო.

ხევსურეთს ჩრდილოეთით ესაზღვრება ჩეჩენთ-ინგუშეთი, აღმოსავლეთით — თუშეთი, დასავლეთით — ხევი და გუდამაყარი, სამხრეთით — ფშავი. ხევსურეთი დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით მოიცავს დუშეთის რაიონს. ხევსურები ცხოვრობენ, აგრეთვე, გუდამაყრისა (სოფელი ბაკურხევი) და ხევის (სოფლები: ჯუთა და ართხმო) ტერიტორიაზე და თიანეთის რაიონში. ხევსურულ დიალექტში გამოიყოფა ორი კილოკავი: **შატილურ-მიდმახეური** და **პირაქეთულ-არხოტული**.

**ფშავური დიალექტი.** ფშავი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მდებარეობს. სახელწოდება „ფშავი“ XV საუკუნიდან გვხვდება. ძველი ისტორიული სახელი **ფხოვი** დღეს მხოლოდ ერთ სოფელ — **შუაფხოს** შერჩენია. ფშავის მთავარი მდინარე არაგვია, რომელიც სამი შენაკადისაგან შედგება: ბოთანას წყალი, ასისხევი და ბოგოჩარის ხევი.

ფშავის საზღვრებია: ჩრდილო-აღმოსავლეთით — კავკასიონის მთავარი ქედი, რომელიც მას აღმოსავლეთით ყოფს თუშეთისაგან და ჩრდილოეთით კი — პირიქითი ხევსურეთისაგან; დასავლეთით — პირაქეთი ხევსურეთი, მთიულეთ-გუდამაყარი, სამხრეთით — დუშეთის რაიონი.

ფშავლები დღეს გაფანტულნი არიან მდინარე არაგვის, ივრის, ილტოსა და ალაზნის სათავეებში. დიდი რაოდენობით ცხოვრობენ, აგრეთვე, გომბორში, ერწო-თიანეთსა და შირაქში. **ერწო-თიანეთს** ხშირად ფშავის სახელითაც მოიხსენიებენ. **ფშავლები** საკმაო რაოდენობით ცხოვრობენ ახმეტის რაიონში, პანკისის ხეობაში; თელავის რაიონის ორ სოფელში (ლუჩური და ლაფანყური); ყვარლის რაიონის სოფელ გელჭალაში. დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით, **ფშავი** დუშეთის რაიონს მიეკუთვნება.

**თუშური დიალექტი.** თუშეთი საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ მთიანეთს ეკუთვნის; მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით. აღმოსავლეთით თუშეთს დაღესტანი ესაზღვრება, დასავლეთით — ფშავ-ხევსურეთი, ჩრდილოეთით — ჩეჩენეთ-ინგუშეთი, სამხრეთით — კახეთი. თუშეთი შემოზღუდულია წყალგამყოფი მაღალი ქედებით. პირიქითა ქედი თუშეთს ორად ყოფს: ჩრდილოეთ მხარეზეა **პირიქითა ხეობა** და სამხრეთით — **გომეწრის ხეობა**. თუშეთში ორი მდინარე მიედინება: გომეწრისა და პირიქითის ალაზანი.

წყაროებში თუშები II საუკუნიდან ჩანან. თუშეთი (**თუშთა თემი**) დღეს ოთხ თემად იყოფა: წოგები, გომეწარანი, ჩაღმები და პირიქითნი. თუშეთის ადმინისტრაციული ცენტრია სოფელი ომალო. თუშეთი ახმეტის რაიონში შედის.

გომეწრის, ჩაღმისა და პირიქითის თუშები თუშურ დიალექტზე მეტყველებენ, წოგათას თუშების საოჯახო სამეტყველო კოდი კი წოგათუშურია (სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ენობრივი ერთეული **ბაცბურის** სახელითაც მოიხსენიება), რომელიც ვაინახურ ენებსაც ენათესავება და ქართულსაც. სხვა ქართველებთან წოგათუშები კახური დიალექტის მსგავს გარდამავალ კილოზე მეტყველებენ.

**მხეური დიალექტი.** ხევი მდებარეობს საქართველოს ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში, რომელზედაც გადის საქართველოს სამხედრო გზა. **ხევის**, თავისი მდებარეობის გამო, საქართველოს ისტორიაში ყოველთვის ჰქონდა მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო და სტრატეგიული როლი. ხევის საშუალებით საქართველო უკავშირდებოდა ჩრდილოეთით მცხოვრებ მეზობლებს. ამ გზის ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტებია — ჯვრის უღელტეხილი და დარიალის კარიბჭე. ჯვრის უღელტეხილს მოხვევები ეძახიან ჯორთვაკეს (ჯვართვაკეს ანუ ჯორს (ჯორი//ჯვარი). ხევის ტერიტორია მოიცავს, აგრეთვე, სნოს ხეობას, რომელსაც ლიტერატურაში ლუდუშაურის ხეობასაც უწოდებენ. თერგისა და სნოს ხეობებთან ერთად ყაზბეგის რაიონის ფარგლებში მოქცეულია თეთრი არაგვის (მთიულეთის არაგვის) სათავეები და თრუსოს ხეობა — ისტორიული დვალეთის ერთი ნაწილი.

დღევანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, **ხევი** ყაზბეგის რაიონში შედის. ჩრდილოეთიდან ხევის ჩრდილოეთ ოსეთი და ინგუშეთი ესაზღვრება, სამხრეთიდან — მთიულეთისა და გუდამაყრის ეთნოგრაფიული ერთეულები, აღმოსავლეთიდან — ხევსურეთი, დასავლეთიდან ხევის თერგისავე ხეობაში მდებარე მცირე ეთნოგრაფიული ერთეული თრუსო ესაზღვრება, საიდანაც ისტორიულ დვალეთშია გადასასვლელი.

**მთიულურ-გუდამაყრული დიალექტი.** მთიულეთ-გუდამაყარი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. მთიულეთი მოიცავს მდინარე თეთრი არაგვის ხეობას. მისი უკიდურესი სამხრეთი საზღვარია მთიულთკარი, ჩრდილოეთით — თრუსოს ხევი და საკუთრივ ხევი, აღმოსავლეთით — გუდამაყარი, დასავლეთით — ლომისის ქედი.

საქართველოს თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, მთიულეთი მდებარეობს ნაწილობრივ დუშეთის, ნაწილობრივ ყაზბეგის რაიონების ტერიტორიაზე.

გუდამაყარი მდებარეობს შავი არაგვის ხეობაში. შავ არაგვს ქმნის ორი მდინარე: ბოსლისა და ბურ-საჭილის არაგვი. შავი არაგვი ფასანაურთან უერთდება თეთრ არაგვს. გუდამაყარს ჩრდილოეთით ხევი ესაზღვრება, ჩრდილო-აღმოსავლეთით — ხევსურეთი, აღმოსავლეთით — ფშავი, დასავლეთით — მთიულეთი.

დღევანდელი მთიულეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონი ორი დამოუკიდებელი მხარის — ხადისა და ცხავატის გაერთიანების შედეგადაა მიღებული. მთიულეთი ცნობილი იყო კოშკების სიმრავლით. მარტო ხადაში 60 კოშკი ყოფილა. „...გარდა სვანეთისა, ჩვენ არ ვიცით არც ერთი კუთხე, სადაც მცირე ტერიტორიაზე ასე ბევრი კოშკი იდგეს“ (პ. ზაქარაია, 1962, გვ. 50).

### მესხური კილოები:

„მესხეთი“ ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ზემო ქართლის) ძველი სახელწოდებაა. ტერმინით: „**მესხური კილოები**“ მოვიაზრებთ ისტორიული მესხეთის ტერიტორიაზე არსებულ ქართულ ეთნოგრაფიულ ჯგუფთა (თემთა) მეტყველებას (სამეცნიერო ლიტერატურაში „მესხური“ ძირითადად გამოყენებულია ან საკუთრივ სამცხურის, ან სამცხურ-ჯავახურის აღსანიშნავად); შედარებით ვრცლად წარმოვადგენთ ტაოკლარჯულ კილოებს, რამდენადაც, ჯერჯერობით, მათ შესახებ ინფორმაცია მწირია სამეცნიერო ლიტერატურაში.

მესხეთის ტერიტორია მოიცავდა მდ. მტკვრის აუზის ზემო ნაწილს (სამცხე, ჯავახეთი, არტაანი, ერუშეთი, კოლა) და მდ. ჭოროხის აუზს მთლიანად (აჭარა, კლარჯეთი, შავშეთი, ტაო, სპერი). ამ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ მესხები. აქედან მოდის მხარის სახელწოდებაც — მესხეთი. XVI საუკუნეში მესხეთი ოსმალებმა მიიტაცეს და იქ ოსმალეთის ადმინისტრაციული ერთეული — ახალციხის საფაშო შექმნეს. ისტორიული მესხეთის ნაწილი (სამცხე და ჯავახეთი) საქართველოს დაუბრუნდა რუსეთ-თურქეთის 1828-29 წლების ომის შედეგად, ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების (1829) თანახმად, ხოლო აჭარა — რუსეთ-ოსმალეთის 1877-78 წლების ომის შემდეგ ბერლინის კონგრესის (1878 წ.) გადაწყვეტილებით. ამჟამად თურქეთის ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დარჩენილია: ისტორიული ტაო, კლარჯეთი, შავშეთ-იმერხევი, ლივანა, მაჭახელა, ლაზეთი, ერუშეთი, კოლა, არტაანი...

მესხური კილოებიდან დღეს საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში მხოლოდ აჭარული, სამცხური და ჯავახურია, დანარჩენი კი თურქეთის საზღვრებშია.

**აჭარული დიალექტი.** აჭარული დიალექტი ერთ-ერთი მსხვილი დიალექტური ერთეულია. აჭარული მეტყველება გავრცელებულია შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის, ხულოს, ქობულეთის რაიონებში, ნაწილობრივ — გურიის მხარეში.

აჭარას ჩრდილოეთით ესაზღვრება გურია, აღმოსავლეთით — სამცხე, სამხრეთით — თურქეთის სახელმწიფო საზღვარი, დასავლეთით აკრავს შავი ზღვა. აჭარის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ბათუმი.

აჭარული იყოფა **ზემო** და **ქვემო აჭარულად**: ზემოაჭარული მოიცავს ხულოს, შუახევის, ქედის და, ნაწილობრივ, ხელვაჩაურის რაიონებს; ქვემოაჭარული — ხელვაჩაურსა და ქობულეთს.

**სამცხური დიალექტი.** ისტორიული სამცხე (ახლანდელი მესხეთი) მდებარეობს მტკვრის ხეობაში; მოიცავს ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის რაიონებს.

სამცხეს დასავლეთით ესაზღვრება აჭარა, აღმოსავლეთით — ჯავახეთი, სამხრეთით — საქართველოს ისტორიული კუთხეები: ერუშეთი და შავშეთი, ჩრდილოეთით — გურია და იმერეთი. სამცხის ნაწილი — ფოცხოვის ხეობა — დღეს თურქეთშია.

სპეციალისტთა უმრავლესობა (ნ.მარი, ივ.ჯავახიშვილი, ა.შანიძე, არნ.ჩიქობავა, ზ.ჭუმბურიძე...) თვლის, რომ სახელწოდება „სამცხე“ მომდინარეობს სატომო სახელისაგან: „მესხი“ **სა-ე** მაწარმოების დართვით, კერძოდ: მესხი > სა-მესხ-ე > სა-მსხ-ე (ე ხმოვნის ამოვარდნით) > სამცხე (ს>ც პროცესის შედეგად).

სამცხური მეტყველება მეტად ახლოს დგას ჯავახურთან.



**ჯავახური დიალექტი.** ჯავახეთი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ საზღვარზე. თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით ჯავახეთი მოიცავს მთლიანად ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებს, ნაწილობრივ — ასპინძის რაიონს.

ჯავახეთის ისტორიულ-გეოგრაფიული საზღვრებია: აღმოსავლეთით — ქართლი (წალკისა და დმანისის რაიონები), დასავლეთით — სამცხე (ასპინძის რაიონი), ჩრდილოეთით — ბორჯომის რაიონი, სამხრეთ-აღმოსავლეთით — სომხეთი, სამხრეთ-დასავლეთით — თურქეთის სახელმწიფო საზღვარი.

**იმერხელი (შავშური) დიალექტი.** ისტორიული შავშეთის ხეობებს შორის ქართული ენა და ქართული ტოპონიმები ყველაზე უკეთ დაცულია ბერთისწყლის/შავშეთისწყლის შენაკადის — იმერხევისწყლის (ფაფართისწყლის) ხეობის სოფლებში: ივეთში, იფხრევლში, იმნიეთში, ქოქლიეთში, წყალსიმერში, ბზათაში, შოლტისხევში, წეთილეთში, აგარაში, ხოხლევში, მანატბაში, ზაქიეთში, ბაძგირეთში, ხევწვრილში, ზიოსში, უბეში, დაბაში, დასამობში, ჩაქველთაში, ჩინორში, თეთრაკეთში, უსტამისში, სურევანში, დევეთში, თეთრაკეთში, დიდმერეში, ლიონეთში, დავლათში, ჩინორში, შერთულში, ფარნუხში, მაჩხატეთში, ჯვარისხევში, ანდრიაწმინდაში და სხვ. ადრე, ტერმინი „იმერხევი“ გეოგრაფიული ცნების აღმნიშვნელი იყო (გადაღმა ხევი), შემდეგ კი თურქეთის საზღვრებში მოქცეული ქართული კუთხის — შავშეთის — ერთი ნაწილის სახელად იქცა.

ვახუშტი შავშეთის შესახებ წერს:

„ხოლო შავშეთის-წყალი გამოსდის ერუშეთსა და შავშეთს შორისს არსიანის მთას. ეს დის პირველად აღმოსავლეთიდან დასავლეთად, მერმე მოდრკების და დის აღმოსავლეთს — სამკრეთს შუადად ჩდილოთ-დასავლეთს შორის. ამას, ჭოროხის შესართავს ზეით, მოერთვის მდინარედ ჭილოვნის-ვევი, გამოსდის არსიანის მთას, მოდის ჩდილოდამ სამკრით გრეხით... და მზღვრის შავშეთს: აღმოსავლით მთა არსიანი, და გარდავლენან მას ზედა გზანი ერუშეთს, ფოცხვის-ვეობას და ზარზმა-ყელს; სამკრით მზღვრის კლდე, არტანუჯსა და შავშეთს შორისი, ვითარცა კედელი, რომელი ჩამოვალს არსიანის მთიდან დასავლეთად, ვიდრე კნინდა ჭოროხამდე, და განვლის მას კლდესა შინა გზა, ვითარცა კარი და თუნიერ მისა არა არს გზა; დასავლით მთა შავშეთისა, შავშეთსა და ჭოროხს შორისი; ჩდილოთ მთა, არსიანიდან ჩამოსული დასავლით ჭოროხამდე. და არს ესე შავშეთი ტყიანი, გორა-მთიანი... (ვახუშტი, 1914, გვ. 135-136).

იმერხევი დღემდე შემორჩენილი ქართული ციხეები და ეკლესიების ნანგრევები; განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ მხოლოდ იმერხევიში, დიობანსა და უბეს შორის, სათავესთან (მთის სახელია) ახლოს დასტურდება ტოპონიმი **ხანძთა** (სადაც ეკლესიის ნანგრევებაცაა); ხალხური გადმოცემით, აქ, ხანძთაში, ძველად არსებობდა „უნივერსიტეტი“ (დღემდე ხანძთად ითვლება ისტორიული პორტას სამონასტრო კომპლექსი). იქაურ სოფლებსა და სხვა გეოგრაფიულ ადგილებს (მთებს, ხეობებს, ველებს...) ოფიციალურად შეუცვალეს ქართული სახელი და მათ ნაცვლად უწოდეს ოსმალური, თურქული და ქურთული სახელები. ამაზე ვახუშტიც აღნიშნავს:

„...დასავლით არს და შიფაქლუს მთის იქით გურჯი ბოღჯის ვეობა ანუ საქართველოს-ყელისა, რამეთუ ოდეს დაიპყრეს ოსმალთა აზრუმ (დღევანდელი **ერზურუმი** — ე.დ.), მიერ ჟამით უწოდეს სახელი ესე“ (ვახუშტი, 1941, გვ. 141).

შავშეთ-იმერხევი, სხვა ისტორიულ ქართულ მხარეებთან ერთად, XVI საუკუნიდან თურქეთის ქვეშევრდომობაშია. ოთხ საუკუნეზე მეტია, იგი უცხო ენობრივ გარემოში იმყოფება. იმერხევიში მცხოვრებ ქართველთა ერთი ნაწილი დღემდე ქართულად მეტყველებს. შავშეთში ძირითადად თურქულია გაბატონებული, შავშეთის სოფლების მიკროტოპონიმიაც მომრავლებულია თურქულენოვანი სახელები. სოფლის როგორც ძველი, ისე ახლანდელი (როგორც ქართული, ისე თურქული) სახელები სინონიმური ტოპონიმებია. იხმარება ორივე სახელი. თუმცა არის საშიშროება იმისა, რომ გარკვეული დროის

გასვლის შემდეგ ქართული სახელი გაქრეს. შავშეთ-იმერხევის სოფლებში ბევრი ქართული წარმომავლობის გვარსახელი დღემდე შემორჩა, თუმცა ოფიციალურად მოსახლეობას მიღებული აქვს თურქული გვარები. იციან წინაპრების გვარებიც. ეს გვარები ბოლოვდება **-ძე, -შვილი, -იენთი, -ეთ, -ებ, -ოსან** სუფიქსებით (ნ. ცეცხლაძე, 2002, გვ. 239-243).

იმერხეული მეტყველების ნიმუშები პირველად გამოაქვეყნა ნ.მარმა (1911 წ.); 1993 წელს უფრო სრულყოფილი მასალა გამოსცა შ.ფუტყარაძემ. იმერხეველ ქართველთა უდიდესი ნაწილი დღემდე დედაენაზე თავისუფლად მეტყველებს (თუმცა ბავშვებს უკვე უჭირთ ქართულად მეტყველება). იმერხეული დიალექტი აჭარულსა და მაჭახლურს ჩამოჰგავს, მაგრამ მნიშვნელოვანი სხვაობა შეინიშნება ფონეტიკაშიც (ვ ბგერა, პალატალიზებული ხმოვნები, დენაფრიკატიზებული d...), მორფოლოგიაშიც (II სუბიექტური პირის ნიშნად ჰ-ს აქტიური გამოვლენა, მა-, წამა- ზმნისწინების, მატაპონიმბელი -თი სუფიქსის აქტიური გამოყენება) და ლექსიკაშიც (ლენჭი/ღარჭი — მოზრდილი ბიჭი, ბახალა — გოგო, ამეზღამ — ამაღამ, მტაქანი/იტაქანი — სტაქანი, ლახანა — კომბოსტო, კოდავი — კოდალა, კუმბ-ტაძ/ყართოფი — კარტოფილი, ჯაჭკვი — ჯაჭვი...); შდრ., იმერხეველის დაკვირვება: „აჭარული და აქეთური გურჯიჯა ერთმანეთ არ ეწყობა“ (შ. ფუტყარაძე). იმერხეულ კილოში გამოიყოფა ზემომერხეული და ქვემომერხეული კილოკავები.

**ტაოური დიალექტი.** ტაო ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი კუთხეა, რომელიც დღეს თურქეთის საზღვრებში შედის. ტაო ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების მიხედვით იყოფოდა ორ ნაწილად და „ორსავე კერძოსა ტაოსა თავისი სახელი ჰქონდა: ამიერთაო — ქვემო ტაო და იმიერთაო — ზემო ტაო. ამიერი და იმიერი ტაო ერთმანეთისაგან გამოიყოფოდა ოლთისისწყლის (დღევანდელი ოლთუ-ჩაი) ქვემო წელით და მისი შენაკადი ბარდუსის წყლით [დღევანდელი ბარდუს-ჩაი]“ (ი. ჯავახიშვილი).

ტაოს საზღვრების შესახებ ვახუშტი მოგვითხრობს:

„არამედ ართვინს ზეითი, იდამდე, ჭოროხის დასავლეთისა, თორთომის მთის აღმოსავლეთით არს პარხალი ანუ ტაოსკარი, ანუ ტაო. და მზღვრის ამას: აღმოსავლით ჭოროხის მდინარე; სამკრით თორთომიდან ჩამოსული მთა იდამდე; დასავლით თორთომის მთა; ჩდილოთ ჭოროხი და ისპირის მთა. და არს ეს ტაო ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი ყოვლითა მოსავლითა, და მთის კერძოთ, ვითარცა ჯავახეთი. არამედ არს მთიანი, გორიანი, დელოვან-წრამოვანი, ღრატოიანი, წყლიანი და იწრო. და არიან ჰევთა დაბნები. კაცნიცა ეგრეთნივე. გარნა იდი და ნარუმაკი არიან, ვითარცა თრიალეთი ანუ ჯავახეთი ყოვლითურთ“... (ვახუშტი, 1941, გვ.138).

ტაო „ჰევების“ სიმრავლით გამოირჩეოდა. ტაოს ქვეყანა (მხარე) რვა „ჰევს“ მოიცავდა; კერძოდ, მათი სახელებია: კოლა, ბერდაცფორი, პარტიზაცფორი, ჭყატქი, ბუხა, ოქაღე, აზორდაცფორი და არსიაცფორი პარხალის მთებთან (დ. მუსხელიშვილი, 1980, გვ.160). ლოგიკურია მოსაზრება, რომ უძველესი ქართველური სახელმწიფოს — **დიაოხის/ტაოხის** — სახელი **ტაოს** ფორმითაა შემორჩენილი. შემდეგ **ტაო** კოლხეთის სამეფოში შედიოდა. ძვ. წ. IV-III საუკუნეებიდან იგი ძველი კოლხეთის მემკვიდრე ქუჯ-ფარნავაზის **ქართლის** ორგანული ნაწილია. ძვ. წ. II საუკუნეში **ტაო** სომხეთმა დაიპყრო; ახ. წ. I-II საუკუნეებიდან კი კვლავ ქართლის სამეფოშია; VIII-IX საუკუნეებში აქ ფართო სამონასტრო მშენებლობა მიმდინარეობდა: აშენდა ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლები: ბანა, ხახული, ოშკი, პარხალი...

ტაოური კარგადაა შემონახული **ჰევების ხევში**, პარხალთან ახლოს მდებარე სამ სოფელში: ხევაიში (ხევეგში), ბალხსა და ქობაიში (ქვაბაგში); შ.ფუტყარაძის ცნობით, პარხალისწყლის ქართულად მოლაპარაკე სოფლებია, აგრეთვე: არჯევანი, არმენხევი, ახალთი, ბალხიბარი, ბერთახევი, ბოწმინდა, გოდლეკარი, გუდასხევი, დევთისა, დიდიღელე, დიდიხევი, დოლეკარი, ელიასხევი, ვანისხევი, ვაჩეკარი, ვეჯანკეთი, იეთი, იმტკორი, კილიონი, კლდეკარი, კონწოლი, კრეველათი, კუეპრეთი/კუპრეთი, მახატე-

თი, ნავანევი, ნიკლოვი, ობლეკარი, ოლდემი, სარიგოლი, საფარანტე, სოროხევი, უტავი, ფარისხევი, ფიქალთი, ფიხნეთი, ქისორეთი, ქონობანი, ქორიეთი, ცირეკარი, წვევიბარი, ჭედლიან კარი, ჭილათი, ხევმუდი, ხუცეკარი... ოლთისისწყლის ხეობის ქართული სოფლებია: ავწალა, ანზავი, ბანა, იშხანი, კარნავაზი, კიახი, კოსორი, ოლორი, ორთისი, სოლომონისი, ფანასკერტი... თორთომისწყლის ხეობა-შია: ოშკი, ხახული; ჭოროხის მიმდებარე ტერიტორიაზეა: ბინათი, გუმფალი, კოწახური, დორთქილი-სა, უშხუმი, ქორთა, ხოთი, ხომხალი.

ტაოური ქართული საგარდობლად განსხვავდება სხვა მესხური კილოებისგან; ტაოური კილოს გავე-ბა რთულია საგანგებო შესწავლის გარეშე. ფონეტიკურ მოვლენათაგან აღსანიშნავია: ხმოვან პრე-ფიქსთა პარამონიზაცია და ო-ს პალატალიზება (შემოვიარეთ . შიმივიარეთ, წამოვა > წომწვა, შემოვ-იდა > შომოვიდა > შომწვიდა), ჯ ბგერის არსებობა და სხვ. მორფოლოგიური მოვლენებიდან აღსანი-შნავია: შა- ზმნისწინი (მაწონ შაყენებ), ზოგ სახელურ სემანტიკურ ჯგუფთან ებ- მრავლობითობის ნაცვლად ნარ- სუფიქსის გამოყენება (გზევნარი „გზები“, ვევნარი „ხეები“, ხევნარი „ხეები“, კაპნარი „კაპნები“, კარნალი „კარები“, თევნარი „მთები“), გაუხარდათ ფორმის ნაცვლად დასტურდება: გუუხ-არნეს, III სუბიექტური პირის ნიშნად ზოგჯერ ა-ს გამოყენება ს-ს ნაცვლად: გვაქვა „გვაქვს“, მაქვა „მა-ქვს“; ძველი ქართულის მსგავსად ა-ს გამოყენება -ში-ს ნაცვლად „მოსკოვა ჩაველ“, დასტურდება კითხ-ვითი ნაწილაკი ა („რამდენი ღარჭი გყავსა?“)... ლექსიკაშიც არსებითია სხვაობა: ხვარათი „საუბარი“, იარენობა „ძველი ამბების გახსენება“ (აქ სიტყვა „ლაპარაკი“ საერთოდ არ იცინა), ღენჭი „ბიჭი, გოგო 10 წლამდე“, ბგანო „გოგო 10 წლის შემდეგ“, დედეკაცი „გათხოვილი“, ქართოლი „კარტოფილი“, ავა-რა „იაილები“, ჭანი „ლაზი“, ფხიკია „ფრთხალი“, დაზუნა „ანთება“, ტიკი „გუდა-სტიკრი“, გუმუულებთ „დავიბრუნებთ“, ჩაზავდება „ჩაცვივდება“, ვედ- ფუძის ნაცვლად ზოგჯერ ვლინდება ვენ- (წვენეთ „წვე-დეთ“), ტრინკი „ფეხი“, ძვა „გზა“, თავშხამ „თავაღმა“, პოპოჭიკი „ჩლიქი“, ისკამი „სკამი“, კედი „ძაფი“, კოწიწი (მწვანე დიდი ხვლიკი), ხულუი (პატარა ხვლიკი), სლიკვი (უფრო პატარა ხვლიკი), ყური მი-ყარე „ყური დაუგდე“, მუცელი მენთება „მუცელი მტკივა“ და სხვ.

**მაჭახლური დიალექტი.** მაჭახელი/მიჭიხიანი ისტორიული ქართული თემია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მდინარე მაჭახელას და მისი შენაკადების: მინდიეთის წყლისა და ეფრატის ღელის ხეობებში (მდინარე მაჭახელა სოფელ მაჭახლისპირთან უერთდება ჭოროხს). თავისი გეოგრაფიული მდებარეობით მაჭახელი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, პირ-ველ რიგში, ჭოროხის ხეობის მხარის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. მაჭახელას ხეობის წარსულის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული უძველეს ქართულ ხელნაწერ დოკუმენტში, რომელიც ცნობილია „მაჭახლის ხეობის სულთა მატინის“ სახელწოდებით. მასში აღნიშნულია მაშინ-დელი გვარსახელები, ადგილის სახელები, ტოპონიმები. XVII საუკუნის პირველ მეოთხედში ოსმალებ-მა დაიპყრეს მთელი სამცხე-საათაბაგო. ამავე პერიოდიდან ლაზეთთან ერთად აჭარა-მაჭახელი ჩამო-აცილეს საქართველოს; მიტაცებული ტერიტორიები სანჯაყებად (ოლქებად) დაყვეს. თავდაპირველად ცალკე სანჯაყს წარმოადგენდა მაჭახელი, რომელიც ჩილდირის (ახალციხის) ვილაიეთში შედიოდა. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ მაჭახლის მოსახლეობის დიდი ნაწილი თურქეთში გადაიხვეწა: **მუჭა-ჯირობა** განაპირობა მეფის რუსეთის ხელისუფლების მიერ ხელოვნურად შექმნილმა მძიმე პირობებმა (საზღვრისპირა რეგიონებში რუსეთი სომხებს უფრო ენდობოდა; ამავე დროს, სულთნის თურქეთს იაფი მუშახელი ესაჭიროებოდა). დღეს ზემო მაჭახელი თურქეთის საზღვრებშია, ქვემო მაჭახელი კი საქართველოს შემადგენლობაშია. კერძოდ, ხელვაჩაურის რაიონში შედის: ზედა ჩხუტუნეთი, ქვედა ჩხუტუნეთი, ჩიქუნეთი, ცხემლარა, სკურდიდი, აჭარისაღმართი, ქედქედი, სინდიეთი, ჭანივრი, გორ-გაძეთი, საფუტკრეთი და სხვ. თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებშია: ხერთვისი (აქ ერთმანეთს ერთ-ვის მინდიეთისა და ეფრატის ღელები), მინდიეთი, აკრია, ქვაბისთავი, ზედვაკე, ეფრატი.

თურქული ინტენსიური გავლენის მიუხედავად, ზემო მაჭახელშიც დღესაც მშვენიერი ქართული (მაჭახლური დიალექტით) ლაპარაკობენ; მაჭახლურ კილოს ორი კილოკავი აქვს: ზემომაჭახლური და ქვემომაჭახლური; დიალექტური მახასიათებლები უფრო მკაფიოდ ჩანს ზემომაჭახლურში. მაჭახლურის თავისებურებათაგან აღსანიშნავია: რ სონორის დაკარგვა, შა- ზმნისწინის აქტიური გამოჩენა („უღელი შაადგის ქედზე“; შ. ფუტკარაძე), წა > წო პროცესი (წოველით, წოვდა...), არქაული ხოლმეობითის მსგავსი ფორმების (ითიბვის, იყიდვის, დეირგვის, ვკლიდით, ვასხმდით...) პოვნისებობა; ამ კილოში -არ სუფიქსი წარმომავლობას აწარმოებს ძველი ქართულისა და ზანურის მსგავსად (ჩხუტუნ-არ-ი: ჩხუტუნეთელი); არაიშვიათად, თავისებურია ლექსიკაც: მიწახაპაჟ „კარტოფილი“, წანწალაკი „საცალფეხო ხიდი“, დედლუცა „პატარა დედალი“, დაწონდება „მოეწონება“ და სხვ.

**ლივანური დიალექტი.** ისტორიული ლივანა მდებარეობდა ფეოდალური ხანის სამხრეთ საქართველოში, მდ. ჭოროხის ქვემო დინებაში. ისტორიულ წყაროებში სხვადასხვა სახელწოდებით გვხვდება: **ლივანი, ნიგალი.** პირველად იხსენიება XI საუკუნეში (ნიგალი). ვახუშტის მიხედვით, მოიცავდა მდ. ჭოროხის ხეობის ქვედა წელის ორივე მხარეს ართვინის სანახებთურთ: „და ამ **ართვანის** (< არდ-ოვანი — ტ. ფ.) სანახებთურთ, ვიდრე ერგეს საზღვრამდე, ჭოროხის ვეობის იმიერი და ამიერი იწოდების ლივანის ვეობად. და არს ეს ლივანის ვეობა თვნიერ სივიწროვისა, ფრიად ნაყოფიერი ნარინჯით, თურიჯით, ლიმოთი, ზეთისხილით...“ (ვახუშტი, 1941, გვ. 136). შემდგომში **ლივანად** მოიაზრებოდა მდინარეების — აჭარისწყლისა და ჭოროხის შესაყართან მდებარე ტერიტორია.

1549 წელს **ლივანა** ოსმალებმა დაიკავეს. რუსეთ-ოსმალეთის 1877-78 წლების ომის შემდეგ ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა ტერიტორიებთან ერთად რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. ამჟამად ლივანის მხოლოდ მცირე ნაწილს ფლობს საქართველო, დიდი ნაწილი კი თურქეთის საზღვრებში რჩება. ქართული ენის ლივანურ კილოზე მოლაპარაკე ქართველობის სოფლებია: ხელვაჩაურის რაიონში: მირვეთი, კირნათი, მარადიდი; მურღულის რაიონში: აგარა, ადუჩა, არხვა, ბაგა, ბაშქოი, ბუჯური, გევილი, გოგლიეთი, გურბუნი, დიალეთი, დურჩა, ერეგუნა, ისკები, კაბარჯეთი, კასიმეთი, კორიდსეთი, ლომეკეთი, ოზმალი, ტრაპენი, ფოროსეთი, ქამილეთი, ქვამჩირეთი, ქობეკეთი, ქორთუკეთი, ქურა, ყავრიეთი, ჩხალეთი, ძანცული, წყალყა, ჭილაგრი, ხახური, ხორსოლი, ჟუანი... ბორჩხის რაიონში: აგარა, ავანა, არჰავეთი, ახალდაბა, ბაგენი, ბანაკნა, ბელღევანი, ბეშაგლი, დამფალი, დევსქელი, ებრიკა, ვაზრია, ვალაშენი, ვინტავლი, ზედუბანი, ზელიეთი, თხილაზორი, კატაფხია, კვარჩხანი, კინცხურეთი, კირსა, ზედა მარადიდი, მურკივეთი, ნიგია, ომანა, ორჯი, ოფუჯა, ოხორჯი, პეტრული, საბაგრი, უზრუმა, უკარნერე, ქართლა, კლასკური, ღვია, შუახევი, ჩარბიეთი, ჭინკური, ხება, ხინწკანა... ართვინის რაიონში: არდოლა, ბერთა, გვერდაბალები, დოლისყანა, ერთა ხიდი, თოღოში, ისკება, კაპარი, კორძული, ლომაშენი, მამაწმინდა, მოხობანი, ნეძვი, ოპიზა, სინკოთი, უსტამისი, ფერასხევი, შურმახი, ჩიდილა, ჩხაკათი, წეფთა, წყალოქრო, ხაიფეთი, ჯმერკი... (შ.ფუტკარაძე).

ზოგადი დაკვირვებით, ლივანურში გამოიყოფა: მარადიდული, მურღულური და ბორჩხული კილოკავები. ლივანურში **ჟ** ნაკლებად ჩანს, სხვა მესხური კილოებისგან განსხვავებით შეზღუდულია, აგრეთვე, **ეე > იე** პროცესი.

ლაზურის მსგავსად, ლივანურშიც გააქტიურებულია ერგატივის როლი („მან ჩანს“, „გოგომ აკეთეფს საჭმელ“), რიგ შემთხვევაში, თავისებურია ზმნური პარადიგმა, აქტიურია II სუბიექტური და III ობიექტური პირის ნიშნები, ზანურისა და ძვ. ქართულის ნორმის მსგავსად, გვ- პირის ნიშნის ნაცვლად გამოიყენება მ- (ჩვენ მაქვან; არნ. ჩიქობავა), -ნენ/-ენ მრავლობითის სუფიქსის ნაცვლად გამოიყენება -ეს (ბიჭები ციხიდან გამოვიდეს; შ. ფუტკარაძე), შემონახულია არქაული ქართულისთვის დამახასიათებელი კითხვითი ნაწილაკი ა და სხვ.

**რაჭული კილოები:**

რაჭა დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს და შემოზღუდულია მთებით. ასეთი მდებარეობის გამო, მას ყოფენ ზემო და ქვემო რაჭად. **ზემო რაჭა** ძირითადად მოიცავს ონისა და, ნაწილობრივ, ამბროლაურის რაიონებს, **ქვემო რაჭა** კი — ამბროლაურის რაიონს (ლიხეთის ხეობის გამოკლებით); გამოყოფენ, აგრეთვე, **მთის რაჭას**, რომელიც ზემო რაჭის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს და, ისტორიული წყაროების მიხედვით, **მთიულეთი** ეწოდებოდა (ამ კუთხის რაჭველები დღესაც თავიანთ თავს „მთიულებს“ ეძახიან). სამეცნიერო ლიტერატურაში ეს სახელი არ იხმარება იმის გამო, რომ არ მოხდეს აღრევა აღმოსავლეთ საქართველოს მთიულეთთან (დუშეთის რაიონი). სახელები: **მთის რაჭა, მთარაჭა** რამდენადმე პირობითია. ტერმინი „მთის რაჭა“ ხალხურია და სამეცნიერო ლიტერატურაში ს.მაკალათიას ამავე სახელწოდების ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ დამკვიდრდა.

ჩრდილოეთით რაჭას ესაზღვრება ოსეთი (მამისონის უღელტეხილით უკავშირდება), აღმოსავლეთით — ცხინვალის მხარე (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ანუ შიდა ქართლი), ჩრდილო-აღმოსავლეთით — ქვემო სვანეთი, დასავლეთით — ლეჩხუმი, სამხრეთით -იმერეთი.

მთის რაჭა მდებარეობს მდ. რიონის სათავესა და გლოლის ანუ ჭანჭახის წყალს შორის. აერთიანებს დებისა და გლოლის თემს და შედგება სამი სოფლისაგან: დები, ჭიორა და გლოლა. მთის რაჭის სოფლები ვახუშტის თავის გეოგრაფიაში მოხსენიებული აქვს როგორც „კომკოვან-გოდლოვან-ზღუდიანი სოფლები“.

ზშირად რაჭა ლეჩხუმთან ერთად (რაჭა-ლეჩხუმი) მოიაზრება, რასაც ისტორიული საფუძველი აქვს, კერძოდ, ეს ორი კუთხე ერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონს, **თაკვერს** წარმოადგენდა. მოგვიანებით თაკვერს რაჭა გამოეყო და „თაკვერის“ სახელწოდებით მხოლოდ ლეჩხუმი აღინიშნებოდა (რ. თოფჩიშვილი, 2002, გვ.71).

რაჭულში რამდენიმე კილოკავს გამოყოფენ; შიდაგური სამ კილოკავს ასახელებს: **ქვემორაჭული, ზემორაჭული და მთარაჭული**; ვ.თოფჩიშვილი რაჭულში ოთხ ერთეულს გამოყოფს: **რიგინისთაური — დები-ჭიორას მეტყველება, გლოლური, ზემორაჭული და ქვემორაჭული**. ენობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, შესაძლებელია რაჭული მეტყველება უფრო ორ დიალექტად დაგვყო: **მთარაჭულად და ბარისრაჭულად**.

**ჭერული კილოები:**

ისტორიული **ჭერეთი** (დღევანდელი საინგილო) ამჟამად აზერბაიჯანის რესპუბლიკაშია მოქცეული და მოიცავს კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებს.

დღევანდელ **საინგილოს** დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით კახეთი ესაზღვრება, სამხრეთით — მდ. აგრი-ჩაი, აღმოსავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით — კავკასიონის მთაგერხილი.

IV-V საუკუნეებში **ჭერეთი** საქართველოს ერთ-ერთ საერისთავოს წარმოადგენდა, ხოლო XI საუკუნიდან კახეთის სამეფოშია. XV საუკუნიდან სახელწოდება „ჭერეთი“ საისტორიო წყაროებში თანდათან გაქრა, იგი კახეთის ორგანულ ნაწილად იქცა. XVII-XVIII საუკუნეებში ჭერეთი არაერთგზის აოხრდა ლეკთა თარეშისა და შაჰ-აბასის ლაშქრობების შედეგად, შემდეგ კი რუსეთ-თურქეთის დავის საგანს წარმოადგენდა.

1921 წლიდან ს.ორჯონიკიძისა და სხვა კომუნისტი ლიდერების „დამსახურებით“ საინგილო აზერბაიჯანის საზღვრებში მოექცა.

საინგილოში ქართველებთან ერთად ცხოვრობს სხვადასხვა ეროვნების ხალხი: წახურელები, ხუნძები, აზერბაიჯანელები, რუსები, სომხები. ბუნებრივია, აღნიშნულ ენებთან ურთიერთობამ ქართულ

მეტყველებას თავისებური დალი დაასვა. გავლენა იგრძნობა ყველა დონეზე: ფონემატურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ, ლექსიკურ სისტემებში.

ინგილოთა მეტყველება განიყოფა ორ კილოდ: **ალიაბათურად** და **კაკურად** (ამ კილოებზე მოლაპარაკეთ ხშირად ურთიერთგაგებინებაც კი უჭირთ); ჰერულ დიალექტებზე მეტყველებენ 12 სოფელში; აქედან, კაკურად — კახის რაიონის 7 სოფელში (კახ-ინგილო ანუ კაკი, ალათემური, მეშაბაში, ალიბეგლო, ქოთუქლო, თასმალო, ზაგამი), ალიაბათურად — ზაქათალის რაიონის 3 სოფელში (ალიაბათი, მოსული, ენგიანი) და ბელაქნის რაიონის ერთ სოფელში (ითითალა); თერთმეტივე სოფელი აზერბაიჯანშია. ინგილოთა ერთი სოფელი — სამთაწყარო — დედოფლისწყაროს რაიონშია.

ტერიტორიულად ქართული სოფლები ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულია, რაც უთუოდ განაპირობებს მათ შორის ქართული მეტყველების საგრძნობ განსხვავებას (გრ. იმნაიშვილი). „ერთიანი (საყრდენი) ეროვნული ენისგან თითქმის სრულმა მოწყვეტამ, სარწმუნოებრივმა სხვაობამ, სხვაენოვანი მოსახლეობის მოძალეობამ შედეგად ის იქონია, რომ არც ერთ სხვა ქართულ კილოს არ ახასიათებს კილოკავებად, თქმებად, ქცევებად ისეთი მრავალფეროვანი და მკვეთრი დანაწილება, როგორც ინგილოურს“ (ბ.ჯორბენაძე).

### ზანური კილოები:

ზანურ დიალექტთა ჯგუფში გაერთიანებულია ორი კილო: **მეგრული** და **ჭანური**. სპეციალურ ლიტერატურაში მეგრული და ჭანური კვალიფიცირებულია ენებადაც (ნ. მარი, ი. ყიფშიძე, გ. კარტოზია, ა. ონიანი...), ზანური ენის კილოებადაც (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია...) და ქართველურ სამწიგნობრო ენასთან მიმართებით — ქართველურ კილოებადაც (გიულდენშტედტი, ნ.მარი, ს.ხუნდაძე, ტ.ფუტკარაძე, თ.გვანცელაძე...). მეგრულ-ჭანურის აღსანიშნავად ზანურის პარალელურად გამოიყენება „**კოლხური**“ (გ. როზენი, კ. დანელია...); სავარაუდოა, რომ ძველი კოლხეთი მოიცავდა საერთოქართველური ენის მთელ ველს — ისტორიული საქართველოს მთელ ტერიტორიას, შესაბამისად, მეგრულ-ჭანური კილოების აღსანიშნავად უფრო გამოსადეგია ტერმინი: **ზანური**.

**მეგრული დიალექტი.** მეგრულს უჭირავს ვრცელი ტერიტორია: ოდიშის ზეგანი და თითქმის მთელი კოლხეთის დაბლობი — შავი ზღვიდან სვანეთის მთებამდის და ცხენისწყალ-რაიონიდან მდ. დალიძგამდის (არნ. ჩიქობავა, 1937, გვ. 4-5).

მეგრული დიალექტი გავრცელებულია: ფოთის, აბაშის, სენაკის, ხობის, მარტვილის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის, წალენჯიხის რაიონებში.

მეგრული მეტყველება უფრო დიდ ტერიტორიაზე იყო გავრცელებული, ვიდრე დღეს. ამას ცხადყოფს ტოპონიმები; ივ.ჯავახიშვილი წერს: „...იმ ადგილას, სადაც ახლა გურულები და იმერლები ცხოვრობენ, წინათ მეგრულად მოსაუბრე ტომი უნდა სახლებულიყო. ბევრი სოფლისა და მდინარის სახელების მნიშვნელობის ახსნა მხოლოდ მეგრულის საშუალებით შეიძლება, ან არა და მათ ცხადი მეგრული დამახასიათებელი თვისებები აქვთ, მაგ., მთა ჯიხანჯირი (ჯიხა — ციხე), ჯუმათი, ჭყონგვარი (ჭყონი — მუხა), მდ. ოჩხამური (ო-ჩხამური, ჩხომი — თევზი), ოჭილაური (ო+ჭილაური — სა-ჭილაო), ჭყვიში, ჭყვიამაური, ჭანეთი, მდ. გობაზოული, მდ. კინტრიში, ონჭიკუთი, ონჯოხეთი, სოფ. ოცანა გურიაში და სხვ. ამგვარი სახელების დარქმევა მთებისა და მდინარეებისათვის მხოლოდ მეგრულ-ლაზების ტომებს შეეძლო. მაშასადამე, ძირითადი და თავდაპირველი მოსახლეობა გურიაში მეგრელებისა უნდა ყოფილიყო“ (ივ.ჯავახიშვილი, 1913, გვ.56). მეგრული წარმომავლობისა ტოპონიმები: ოკრიბა, ცხენიში, წყალტუბო, ჭყვიში, ჯიხაში... ჩანს, სამწიგნობრო ენის გავლენით, რეგიონში მეგრული მეტყველება შეიზღუდა.

ისტორიულად სამეგრელოში შედიოდა **სამურზაყანო** (დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით, **გალის რაიონი** და **ოჩამჩირის რაიონის** დიდი ნაწილი), რომელიც **ენგურსა** და **დალიძგას**

შორის მდებარეობს. სახელწოდება უკავშირდება მურზაყან შერვაშიძის სახელს, რომელმაც XVIII საუკუნის დასაწყისში (1705 წ.) შემკვიდრებით მიიღო აღნიშნული ტერიტორია. „სამურზაყანოს ყველა ტოპონიმი, რომელიც დამოწმებულია შუა საუკუნეების ქართულ თუ უცხოურ ისტორიულ წყაროებსა და რუკებზე და რომელთა ეტიმოლოგიაც შესაძლებელია, არის მხოლოდ და მხოლოდ ქართველური (ძირითადად მეგრული); ეს კი ცხადყოფს, რომ სამურზაყანო ყოველთვის სამეგრელოს ორგანული ნაწილი იყო“ (პ. ცხადაია, 2002, გვ.29).

აღმოსავლეთით სამეგრელოს ესაზღვრება იმერეთი, სამხრეთით — გურია, ჩრდილო-დასავლეთით — აფხაზეთი, დასავლეთით — შავი ზღვა.

მეგრულის კილოკავური დიფერენციაცია ი. ყიფშიძის სახელს უკავშირდება და დღემდე უცვლელი რჩება. გამოიყოფა ორი კილოკავი: სენაკური (დასავლურ-მეგრული მეტყველება) და ზუგდიდურ-სამურზაყანოული (აღმოსავლური მეტყველება) (ი. ყიფშიძე, 1914, გვ. XVIII).

**ჭანური (ლაზური) დიალექტი.** ლაზეთ-ჭანეთი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშია. ადრეულ ხანაში (III-VI სს.) მოიცავდა შავი ზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ მთიანეთს — აღმოსავლეთ პონტოს მთების ჩრდილოეთ კალთებს, მდ. ჭოროხის ზემო წელის აუზს (ახლანდელი თურქეთი, ბაიბურთისა და ისპირის მაზრების ტერიტორია). VI საუკუნის I ნახევარში ჭანეთი ბიზანტიამ დაიპყრო; საქართველოს მთლიანობის აღდგენის შემდეგ მისი დიდი ნაწილი საქართველოს შემადგენლობაშია; ვარაუდობენ, რომ ბაგრატიონები — საქართველოს მეფენი, ლაზეთ-კლარჯეთიდან იყვნენ. XIII-XIV საუკუნეებში ლაზეთის ნაწილი საქართველოს ხელშეწყობით წარმოქმნილ ტრაპიზონის იმპერიაშია. XIV საუკუნეშივე ჭანეთის აღმოსავლეთი ნაწილი სამცხის სამთავროს შემადგენლობაშია. 1461 წელს, თურქეთ-ოსმალთა მიერ ტრაპიზონის იმპერიის განადგურების შემდეგ, ჭანეთი მათი ბატონობის ქვეშ აღმოჩნდა; მხოლოდ მისი აღმოსავლეთი ნაწილი დარჩა საქართველოს შემადგენლობაში. დღეს საქართველოს შემადგენლობაში არის ერთადერთი სოფელი **სარფი**, სადაც ლაზები ცხოვრობენ. რთული ისტორიული ბედის შედეგია ის, რომ დღემდე ლაზებს სხვადასხვა სახელმწიფოებრივ და კულტურულ ველში უხდებათ ცხოვრება. შესაბამისად, ლაზებში განსხვავებულია საკუთარი წარსულის ცოდნის ხარისხიც, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება ეროვნულ-ენობრივი თვითაღქმის ფაქტორებზე; კერძოდ:

**ლაზთა ერთი ნაწილი** (ძირითადად, სარფისა და გონიო-ახალსოფლის მკვიდრნი) არ მოწყვეტილა ქართველურ კულტურულ-სახელმწიფოებრივ ველს; შესაბამისად, მათ იციან, რომ მეგრელთა, კახელთა, მესხთა, ფხოველთა... მსგავსად, ისინიც არიან ერთიანი ქართველური კულტურისა და საერთოქართველურ ენაზე დაფუძნებული მწიგნობრობის ავტორები; მათთვის კარგადაა ცნობილი, რომ საქართველოს მეფეების დიდი ნაწილის გარდა, ლაზურ-მეგრული წარმოშობისანი იყვნენ ქართველური კულტურის შემქმნელები: იოვანე ლაზი, იოანე მინჩხი, სტეფანე სანანოსძე, იოანე პეტრიწი, იოვანე მარუშისძე, ჭყონდიდლები... დადიანები, ჩიქოვანები, გამსახურდიები და მრავალი სხვა; ისინი დიდ პატივს სცემენ თამარ მეფეს, რომელიც ლაზთა ფოლკლორში (მსგავსად იმერხეველთა, ტაოელთა, სვანთა, ჰერთა, კახთა...) გამორჩეულადაა წარმოდგენილი.

**ლაზთა მეორე ნაწილი** აღიზარდა თურქეთის ცენტრალურ რეგიონებში. მას დავიწყებული აქვს თავისი დედაქართულიც, მშობლიური კილოც და, თურქული განათლების სისტემის შესაბამისად, თავს თურქად მიიჩნევს.

თურქეთსა და ევროპაში მოღვაწე **ლაზთა მესამე ნაწილისათვის** უცნობია (ბუნებრივია, არა ყველასათვის!) საერთოქართველური კულტურის ქმნალობის პროცესში ლაზ-მეგრელთა მონაწილეობა, მაგრამ მათ იციან, რომ ლაზები ენობრივ-ენთიკურად არსებითად განსხვავდებიან თურქებისაგან. ლაზთა ეს ჯგუფი საკუთარი კუთხური მეტყველების (ლაზური დიალექტის) ბაზაზე ცდილობს ახლა შექმნას სამწიგნობრო ენა და „გადაირჩინოს“ თავისთავადობა.

საბჭოთა პერიოდში იქმნებოდა ქართველი ერის ნამდვილი ისტორია; ევროამერიკულ სივრცეშიც საბჭოთა სტერეოტიპები ვრცელდებოდა; შესაბამისად, საერთაშორისო ორგანიზაციების დიდი ნაწილი დღემდე მოკლებულია ობიექტურ ინფორმაციას ლაზთა, მეგრეთა, აჭარეთა, მესხთა, ჰერთა თუ სხვა ქართველთა ისტორიის შესახებ. სწორედ მეცნიერულად არგუმენტირებული ცოდნის ნაკლებობის შედეგია ის, რომ ზოგი **ევროპული ფონდი** ცდილობს, სულ მცირე, 15 საუკუნის წინ უნიკალური ქართული ანბანის შემქმნელ ქართველთა ერთ ნაწილს XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე „შექმნას“ ანბანი და დამწერლობა.

მეგრული და ჰანური დღეს ერთმანეთს მოწყვეტილია, მაგრამ საუკუნეების წინ მათ შორის სხვაობა მინიმალური იყო. დღეს ჰანურს, მეგრულსაგან განსხვავებით, ძლიერი დიალექტური დიფერენციაცია ახასიათებს (მათ შორის ხშირად გაგებინება ჭირს), რაც სამწიგნობრო ქართულისგან იზოლაციითა და უცხო ენობრივ გარემოში არსებობით აიხსნება. ჰანურის კილოკავებია: **ათინური, ვიწურ-არქაბული და ხოფური**. ათინურში გამოიყოფა ბულგეფურ-ართაშენული, ხოფურში — ჩხალური, ხოლო ვიწურ-არქაბულში — ვიწური და არქაბული თქმები.

### სვანური კილოები:

სვანეთი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში კავკასიონის კალთებზე და გარშემორტყმულია რაჭის, ლეჩხუმ-სამეგრელოსა და აფხაზეთის ქედებით. იგი იყოფა **ზემო სვანეთად** (მესტიის რაიონი) და **ქვემო სვანეთად** (ლენტეხის რაიონი). ზემო სვანეთში მიედინება **ენგური**, ხოლო ქვემო სვანეთში — **ცხენისწყალი**. ცალკე გამოიყოფა **კოდორის (დალის) ხეობის სვანეთი**, რომელიც აფხაზეთში, გულრიფშის რაიონშია.

სვანეთს აღმოსავლეთით რაჭა ესაზღვრება, სამხრეთით — ლეჩხუმი და სამეგრელო, დასავლეთით — აფხაზეთი (დასავლეთი ნაწილი), ჩრდილოეთით — ყარაჩაი და ბალყარეთი.

**სვანები** პირველად მოიხსენიებიან სტრაბონთან.

სვანეთი თემებად იყოფოდა. **ზემო სვანეთის** შვიდი საზოგადოება (უშგული, კალა, იფარი, მულახი, მესტია, ლენჯერი, ლატალი) შეადგენდა **თავისუფალ სვანეთს**, ხოლო ექვსი თემი (ბეჩო, ცხუმარი, ეცერი, ფარი, ჩუბეხვი და ლახმულა) — **სადადეშქელიანო სვანეთს** (მფლობელი: დადეშქელიანი). **ქვემო სვანეთის** შემადგენლობაში შემავალი სამი საზოგადოება (ლაშხეთი, ჩოლური და ლენტეხი) სამეგრელოს მთავრების მფლობელობაში შედიოდა და ერქვა **სადადიანო სვანეთი**.

სვანური კილოებისა და კილოკავებ-თქმების გამოყოფა ნ.მარის სახელთანაა დაკავშირებული; მანვე დაადგინა ძირითადი საკლასიფიკაციო ნიშნები (ხმოვნის სიგრძე, უმლაუტი, სხვაობა ბრუნებასა და უღლებაში, ლექსიკური თავისებურებანი); კერძოდ, ზემო სვანეთში გამოიყოფა: **ბალსზემოური** და **ბალსქვემოური**, ქვემო სვანეთში — **ლაშხური** და **ლენტეხური**; ზოგი მკვლევარი ცალკე კილოდ გამოყოფს **ჩოლურულს**. ბალსზემოური და ბალსქვემოური დარქმეულია ლატალსა და ბეჩოს შუა მდებარე **ბალის გადასასვლელი ქედის** მიხედვით.

### საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გარეთ მცხოვრებ ქართველთა მეტყველებანი.

**ფერეიდნული დიალექტი**. ფერეიდანი ერთ-ერთი პროვინციაა\* ირანში, სადაც XVII საუკუნის დასაწყისში (1614-1617 წწ.) ირანის შაჰმა აბას I-მა საქართველოდან აყრილი ათასობით ქართველი (ქართლელი, კახელი) ჩაასახლა. ასე შეიქმნა შუა ირანში ქართული სოფლები: ზემო მარტყოფი, ქვემო მარტყოფი, შულურეთი (ჩოლიურეთი), აფუსი (რუისპირი), სიბაჯი (ვაშლოვანი)... ფერეიდანი ერთა-

\* ქართველები ჩაასახლეს ასევე: მაზანდარანში, ხუზისტანში... ამ პროვინციებში მოსახლეობამ ქართული ენა ვერ შეინარჩუნა; მათ იციან, რომ წარმოშობით ქართველები არიან და ამჟამად სურთ, ისწავლონ ისტორიული დედაენა.



დერთი ირანული რაიონია, სადაც იძულებით გადასახლებულმა ქართველობამ დღემდე შეინარჩუნა ქართული ენა და ქართული ადათ-წესები. სხვა რაიონებში (ხორასანი, მაზანდარი, ფარსი...) ქართული მეტყველება აღარ ისმის. იქაური ქართველები თანდათან აითქიფნენ ირანის სხვადასხვა ტომებში. უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული მასალებით, ფერეიდანში მცხოვრებ ქართველთა რაოდენობა 12-14 ათასს შეადგენს.

**ფერეიდნული კილო** წარმოიქმნა კახურისგან:

იზოლირებულად განვითარებისა და სპარსულის გავლენის გამო, 400 წლის წინ შუა სპარსეთში (ირანში) გადასახლებული **ქართველების დიალექტური** მეტყველება ახალ ქართულ კილოდ ჩამოყალიბდა.

არნ. ჩიქობავა: „ქართული ენა ერთადერთი ძაფია, რომელიც ფერეიდანის ქართველობას აკავშირებს ქართულ სულიერ სამყაროსთან; გადაგვარებას ვერ ასცდება იგი, თუ მას არ შეენახა ეს კავშირი... მალე დაეკარგება მას შეგნება, რომ ის „გურჯია“, როგორც კი გამოესალმება ამ შეგნების ბურჯს, ენას; ვერ უშველის ამ მხრივ ვერც ქართული ურემი, ვერც ტიპიური ბანიანი სახლი და სხვა ნაშთი ქართველურ კულტურულ სახეობისა, რომელიც მას დღემდე შერჩენია“.

**ციზლარ-მოზდოკური და პლასტუნკური.** ციზლარ-მოზდოკურისა და პლასტუნკურის სახელით ცნობილია იმ ქართველთა მეტყველება, რომლებიც ცხოვრობენ ჩრდილოეთ კავკასიაში, ქალაქ მოზდოკში, ციზლარის ოლქის ორ სოფელში: სასოფლოში (ალექსანდრო-ნევსკაია), სარაფანში (შელკოვსკაია) და სოჭის მახლობლად — პლასტუნკაში.

ციზლარსა და მოზდოკში ქართველები დასახლებულან 200 წლის წინ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან (ხევი, კახეთი, ქართლი, იმერეთი...). გადასახლების ძირითადი მიზეზი უნდა ყოფილიყო ლეკთა გამანადგურებელი თარეში. ბევრიც შამილის წინააღმდეგ ომის მონაწილე ყოფილა და შემდეგ იქ დამკვიდრებულა.

ისტორიული წყაროების ჩვენებით, პირველად ციზლარში ქართული ახალშენი დააარსა რუსეთს მიმავალი ქართლის მეფის — ვახტანგ მეექვსის — ამაღლის ერთმა ნაწილმა 1724 წელს. XIX საუკუნეში ქართველთა რაოდენობა აქ თანდათან გაიზარდა (ამას ხელს უწყობდა სავაჭრო ურთიერთობებიც). დღეს ციზლარ-მოზდოკში ქართველობა მცირეა; რუსებთან ასიმილაციის გამო, ქართული ენა და ტრადიციები ძირითადად მოხუცებს ახსოვთ.

ციზლარ-მოზდოკური და პლასტუნკური ქართულნარევე სამეტყველო ერთეულს წარმოადგენს: რუსულის გავლენით ქართული მეტყველება საგრძნობლად არის შეცვლილი.

**„ჩვენებურების მეტყველება.** „ჩვენებურების ქართულით“ აღინიშნება თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების — **მუჰაჯირთა შთამომავლების** — მეტყველება („მუჰაჯირი“ არაბული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს ემიგრანტს, გადახვეწილს). მუჰაჯირი ქართველები თავისიანებს ანუ იქაურ ქართველებს „ჩვენებურებს“ ეძახიან.

თურქეთში იძულებით წასული ქართველების შთამომავლები დღეს ცხოვრობენ: ფაცაში, ბურსა-ინეგოლში, ადაფაზარ-იზმითში, გონენსა და კაიზერის მიდამოებში. მათ დიდ ნაწილს კარგად აქვთ შენარჩუნებული როგორც ქართული თვითობა (მეობა, იდენტობა), ასევე ქართული ენა. ნ. მარის შემდეგ „ჩვენებურების ქართულის“ მრავალი გამორჩეული ნიმუში ჩაიწერა, გამოიკვლია და გამოაქვეყნა პროფესორმა შუშანა ფუტყარაძემ.



**გორაკი 2** 2017

---